

**სანდაზმულთა სოციალურ
და ეკონომიკურ უფლებებთან
დაკავშირებული საჭიროებების
შეფასება საქართველოში**



European
Social
Charter

Charte
sociale
européenne

COUNCIL OF EUROPE



CONSEIL DE L'EUROPE

2024 წლის 25 სექტემბერი

ხანდაზმულთა სოციალურ და ეკონომიკურ უფლებებთან დაკავშირებული საჭიროებების შეფასება საქართველოში

„ხანდაზმულთა აქტიური სოციალური მოქალაქეობის
ხელშეწყობა საქართველოში: ცვლილებები ევროპის
სოციალურ ქარტიზე დაყრდნობით“

პროექტი
„სოციალური და ეკონომიკური უფლებების განმტკიცება
საქართველოში“

მომზადდა
დოქტორ ნიკოლოზ ა. პაპაძემ¹
ლელა ბაქრაძის²
წვლილზე დაყრდნობით

¹ საერთაშორისო კონსულტანტი, ევროპის საბჭოს სოციალურ უფლებათა დეპარტამენტი; სამართლის დოქტორი, მაასტრიხტის უნივერსიტეტი. ავტორი უდიდეს მადლიერებას გამოხატავს პროექტის ადგილობრივი კონსულტანტის, ლელა ბაქრაძის, უფროსი ოფიცრის, თამარ ნოზაძისა და ასისტენტის, გვანცა კერესელიძის მიმართ, მათი მხარდაჭერისთვის. ასევე მადლობას უხდის პროექტის ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებს.

² საქართველოში ევროპის საბჭოს ოფისის ეროვნული კონსულტანტი; გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისის ყოფილი ხელმძღვანელი; ექსპერტი სოციალური და ეკონომიკური უფლებების საკითხებში, ხანდაზმულთა უფლებებისა და მოსახლეობის განვითარების სპეციალიზაციით.

წინამდებარე ნაშრომში წახმოდგენილი
ყველა მოსაზრება ეკუთვნის ავტორ(ებ)ს და
შესაძლოა, ახ ასახავდეს ევროპის საბჭოს
ოფიციალურ პოზიციას. ყველა შეცდომაზე
პასუხისმგებელი არიან ავტორები.

წინამდებარე პუბლიკაცია მომზადდა
ევროპის საბჭოს პროექტის ფარგლებში
„სოციალური და ეკონომიკური უფლებების
განმტკიცება საქართველოში“.

დოკუმენტიდან ამონარიდების (500
სიტყვამდე) ხელახალი გამოყენება
ნებადართულია მხოლოდ არაკომერციული
მიზნებით, თუ დაცული იქნება ტექსტის
მთლიანობა, ამონარიდი არ გამოიყენება
კონტექსტიდან ამოღებულად, არ
წარმოგვიდგენს არასრულ ინფორმაციას,
ან სხვაგვარად არ შეიყვანს მკითხველს
შეცდომაში ტექსტის ბუნებასთან,
გამოყენების სფეროსა ან შინაარსთან
მიმართებით. წყარო ტექსტი ყოველთვის
აღიარებული უნდა იყოს შემდეგნაირად:
“© ევროპის საბჭო, წელი,

გამოცემა“. ყველა სხვა თხოვნა
დოკუმენტის მთლიან ან ნაწილობრივ
გამოქვეყნებაზე/თარგმნაზე უნდა
წარედგინოს ევროპის საბჭოს
კომუნიკაციების დირექტორატს (F-67075
Strasbourg Cedex ან publishing@coe.int).

წინამდებარე დოკუმენტთან
დაკავშირებული სხვა კორესპონდენციები
უნდა გაუგზავნოთ ევროპის საბჭოს
ადამიანის უფლებათა დირექტორატის
სოციალურ უფლებათა დეპარტამენტს,
DGI, F-67075 Strasbourg Cedex ან
social.charter@coe.int.

ყდა და დიზაინი:
შპს რეს ბონე
ფოტო: © shutterstock

წინამდებარე პუბლიკაციას არ გაუვლია
რედაქტირება დოკუმენტებისა და
პუბლიკაციების დეპარტამენტის
სარედაქციო განყოფილებაში,
ტიპოგრაფიული და გრამატიკული
შეცდომების შესასწორებლად.

© ევროპის საბჭო, 2024 წლის სექტემბერი

სარჩევი

აბრევიატურების ჩამონათვალი.....	05
1. შესავალი და ამოცანები	06
2. ხანდაზმულთა სოციალური უფლებების შეფასების კრიტერიუმები.	14
2.1. ევროპის საბჭოს ევროპის სოციალური ქარტიის სისტემა	16
2.1.1. ფასეულობები, რომლებსაც ეფუძნება გადასვლა	16
ხანდაზმულთა მიმართ უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომაზე	
2.1.2. პროგრესიული რეალიზაცია, როგორც ლაიტმოტივი	19
2.1.3. მუხლი 23 – ხანდაზმულთა უფლება სოციალურ დაცვაზე	22
2.1.4. ევროპის სოციალური ქარტიის სხვა მუხლები	31
2.1.5. ადგილობრივი ხელისუფლების როლი და ვალდებულებები	48
ხანდაზმულ პირთა მიმართ, ევროპის სოციალური ქარტიის	
შესაბამისად	
2.2. ევროპის საბჭოსა და გაეროს რბილი სამართლის ინსტრუმენტები,	50
რომლებიც გავლენას ახდენს ევროპის სოციალურ ქარტიაზე და	
განამტკიცებს მას.	
2.3. დებატები გაეროს ხელშეკრულების პროექტზე	54
2.4. ევროკავშირის კანონმდებლობა და საქართველოს	56
განწევრიანება ევროკავშირში	
3. ხანდაზმულთა სოციალური უფლებების მიმოხილვა საქართველოში . .	60
3.1. ინსტიტუციური ინფრასტრუქტურა	62
3.1.1. კონსტიტუციური ჩარჩო	62
3.1.2. UNECE-ის საგზაო რუკა დაბერების საკითხთა	64
ინტეგრირებისათვის საქართველოში (2014)	
3.1.3. დაბერების საკითხებზე სახელმწიფო პოლიტიკის	66
კონცეფცია (2016) და მისი სამოქმედო გეგმა (2017-2018)	
3.1.4. დემოგრაფიული უსაფრთხოების კონცეფცია	67
3.1.5. ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგია (2022-2030)	69
და სამოქმედო გეგმა (2024-2026)	
3.1.6. სახალხო დამცველის ოფისი	72
3.1.7. ადგილობრივი ხელისუფლება	73

3.1.8.	სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა	78
	და მონაცემებისა და კვლევების ხელმისაწვდომობა	
3.2.	კანონმდებლობა და პოლიტიკა თემატური საკითხების შესახებ	80
3.2.1.	მუშაობა და უწყვეტი მომზადება/სწავლა	82
3.2.2.	სოციალური დაცვა, დახმარება და მხარდაჭერის სერვისები	86
3.2.3.	ჯანდაცვა	102
3.2.4.	ძალადობისა და ბოროტად მოპყრობის პრევენცია	108
3.2.5.	თანასწორობა და დისკრიმინაციის აკრძალვა	111
3.2.6.	ავტონომია და ქმედუნარიანობა	115
3.2.7.	დამოუკიდებელი ცხოვრება და საცხოვრებლის უფლება	117
3.3.	სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის დასკვნები საქართველოს მიერ მიღებულ და მიუღებელ დებულებებზე	120
3.3.1.	დასკვნები მიღებულ დებულებათა შესახებ	121
3.3.2.	დასკვნები მიუღებელ დებულებათა შესახებ	129
4.	მნიშვნელოვანი საკითხები, ხარვეზები და შესაძლო/საჭირო დამატებითი რეფორმები	137
4.1.	საქართველოს საკანონმდებლო და რეგულირების ჩარჩოს შეფასება (ბენჩმარკინგი)	128
4.2.	ინსტიტუციური საკითხები და ხარვეზები	144
4.3.	თემატური და პოლიტიკაზე ორიენტირებული საკითხები და ხარვეზები	150
5.	დასკვნები და რეკომენდაციები	162
	რეკომენდაციები სახელმწიფოსთვის	165
	ქართიასთან დაკავშირებით	165
	ინსტიტუციური კუთხით	166
	პოლიტიკასთან დაკავშირებით	167
	თემატურად	170
	რეკომენდაციები სახალხო დამცველისთვის	177
	რეკომენდაციები სამოქალაქო საზოგადოებისთვის	177
	რეკომენდაციები აკადემიური წრეებისა და კვლევითი ორგანიზაციებისთვის	179
	რეკომენდაციები განვითარების საერთაშორისო სააგენტოებისთვის	179
	ბიბლიოგრაფია	180

აბრევიატურების ჩამონათვალი

CFREU	ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტია
CJEU	ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო
CoE	ევროპის საბჭო
CRPD	კონვენცია შშმ პირთა უფლებების შესახებ
CSOs	სამოქალაქო ორგანიზაციები
ECHR	ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია
ECSR	სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი
ECtHR	ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო
ESC	ევროპის სოციალური ქარტია
EU	ევროკავშირი
ICCPR	საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ
ICESCR	საერთაშორისო პაქტი ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ
IDPs	იძულებით გადაადგილებული პირები
ILO	შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია
LGBTI	ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი და ინტერსექსი პირები
MIPAA	მადრიდის საერთაშორისო სამოქმედო გეგმა დაბერების საკითხებზე
NGOs	არასამთავრობო ორგანიზაციები
OEWSA	ღია სამუშაო ჯგუფი დაბერების საკითხებზე
OHCHR	გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი
SDGs	მდგრადი განვითარების მიზნები
UN	გაერო
UNDP	გაეროს განვითარების პროგრამა
UNECE	გაეროს ეკონომიკური კომისია ევროპისთვის
UNFPA	გაეროს მოსახლეობის ფონდი
UNICEF	გაეროს ბავშვთა ფონდი
WHO	ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია

1. შესავალი და ამოცანები

ამჟამინდელ პოლიტიკურ დისკურსში არაერთხელ აღინიშნა, რომ 21-ე საუკუნეში მიმდინარეობს უპრეცედენტო სოციალური ტრანსფორმაცია, რაც გლობალური დემოგრაფიული ცვლილებების შედეგია და ფორმას უცვლის მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურას. სამედიცინო ტექნოლოგიათა სფეროში არსებული მიღწევების შედეგად, ადამიანები უფრო ხანგრძლივად და ჯანსაღად ცხოვრობენ. ამავდროულად, სწრაფად იკლებს შობადობის მაჩვენებელი და მცირდება სამუშაო ასაკის მქონე პოპულაციები. ბოლოდროინდელი მონაცემებით, გლობალურ დონეზე, 2050 წლისთვის, ყოველი ექვსი ადამიანიდან ერთი 65 და მეტი წლის იქნება.³ მსოფლიოს მასშტაბით, ხანდაზმულთა ყველაზე მაღალი წილი ევროპაზე მოდის და ეს ტენდენცია გაგრძელდება 2050 წლამდე. მომდევნო 25 წლის განმავლობაში, ევროპაში მოსახლეობის 1/3 იქნება 65 და მეტი წლის.⁴

საქართველო მნიშვნელოვანი დემოგრაფიული ცვლილებების წინაშე დგას, რასაც განაპირობებს მოსახლეობის დაბერება, ემიგრაციის გავლენა და დაბალი შობადობა. გაეროს მოსახლეობის ფონდის მონაცემებით, 65 და მეტი წლის ადამიანთა რაოდენობა საქართველოში 2015 წელს 14% იყო, 2030 წლისთვის 19%-მდე გაიზრდება, ხოლო 2050 წელს 25%-ს მიაღწევს.⁵

მოსახლეობის დაბერების გლობალური ფენომენი ხაზს უსვამს ხანდაზმულთა უფლებების დაცვის მნიშვნელობას და, ამავდროულად, აღიარებს იმ უნიკალურ საზოგადოებრივ გამოწვევებსა და შესაძლებლობებს, რომლებსაც წარმოშობს მიმდინარე დემოგრაფიული ცვლილებები. ეს გარდაუვალი დემოგრაფიული რევოლუცია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სოციალურ და ფისკალურ პოლიტიკაზე და უაღრესად დიდი წნეხის ქვეშ აქცევს არა მხოლოდ მთავრობებს, არამედ ადამიანებსაც. ხანდაზმულები სერიოზულ ფიზიკურ და საზოგადოებრივ ბარიერებს აწყდებიან, რომლებიც ხელს უშლის მათ, რომ იცხოვრონ ღირსეულად და უფლებების დაცვით. გლობალურ დონეზე ხანდაზმულთა პოპულაციის

3 ib. United Nations Department of Economic and Social Affairs, World Social Report: Leaving No One Behind in An Ageing World, 2023, გვ. 21.

4 Eurostat, Statistics explained, Population and demography, 2024, https://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php?title=Population_and_demography.

5 UNPD, World Population Prospects 2024, <https://population.un.org/wpp/>.

გაზრდასთან ერთად, იმატებს მათი უფლებების დარღვევებიც. ხანდაზმულებთან დაკავშირებული საკითხები ხშირად განიხილება სამედიცინო, კეთილდღეობის, პოლიტიკურ და ეკონომიკური ქრილში და იშვიათად - ადამიანის უფლებათა პერსპექტივიდან.

პროექტი საქართველოსთვის შეიქმნა ევროპის საბჭოს 2024-2027 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში,⁶ რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი ეკონომიკურ და სოციალურ უფლებებს ეხება. გეგმის თანახმად:

სოციალური უფლებების განხორციელება აჩის ახა მხოლოდ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ვადებულება, ახამედ სოციალური და ეკონომიკური მდგალობის ერთ-ერთი პირობაც, რომელიც ხედს უწყობს კახგ მმახოველობას და აძლიეხებს პატივისცემას სოციალური და დემოკრატიული მდგალობის მიმახო.

კერძოდ, ევროპის საბჭო თავის გეგმაში მიზნად ისახავს „[საქართველოს] ხელისუფლებისდახმარებას, რომეროვნული საკანონმდებლო დამარეგულირებელი ჩარჩო და პრაქტიკა სოციალური უფლებების სფეროში შეუსაბამოს ევროპულ სტანდარტებს.“

ერთ-ერთი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი გამოწვევა, რომელსაც ყველა დემოკრატიული ქვეყანა აწყდება, საქართველოს ჩათვლით, არის ხანდაზმულ ადამიანთა სტატუსი და მათ მიერ ადამიანის უფლებებით სარგებლობა ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. მართლაც, ეს 21-ე საუკუნის ერთ-ერთი გამოწვევაა და მასზე რეაგირება საქართველოში პრიორიტეტად უნდა განისაზღვროს. ლოგიკურია ამ საკითხზე ყურადღების გამახვილება, თუ გავითვალისწინებთ მის განსაკუთრებულ მნიშვნელობას, ასევე, სოციალურ უფლებათა მოწინავე, ამბიციურ, მიღწევად და მკაფიო სტანდარტებს ევროპაში. მათ ცენტრში ექცევა აქტიური სოციალური მოქალაქეობა, რაც არსებულ სტანდარტებს წარსული პოლიტიკისგან გამოარჩევს.

ევროპის სოციალური ქარტია (შესწორებული), შემდგომში - ESC ან „ქარტია“, უნიკალურია სხვადასხვა ასპექტში. იგი შეიცავს უფლებათა წყებას, რომლებიც, ინდივიდუალურადაც და კოლექტიურადაც, ხელშესახებად უჭერს მხარს ხანდაზმულ პირებს აქტიურ სოციალურ მოქალაქეობაში. ეს უფლებები ეფუძნება ადამიანის

6 ევროპის საბჭოს სამოქმედო გეგმა საქართველოსთვის, 2024-2027, CM(2023)168, 2023 წლის 3 ოქტომბერი, <https://rm.coe.int/council-of-europe-action-plan-for-georgia-2024-2027/1680ae25db>.

ავტონომიურობას და მორალურ პასუხისმგებლობას, რომელთა მნიშვნელობაც არ უფერულდება ასაკთან ერთად. ისინი ვრცელდება ეკონომიკურ სფეროზე, უზრუნველყოფს რა ხანდაზმულთა შრომის უფლებას დისკრიმინაციის გარეშე (მუხლი 1), ასევე, დასაქმებასთან დაკავშირებულ სხვა უფლებებს, როგორიცაა პროფესიული ორიენტაციის უფლება, პროფესიული მომზადების უფლება და დაცვის უფლება დასაქმების შეწყვეტის შემთხვევაში (შესაბამისად, მუხლები 9, 10 და 24). სოციალური უფლებები მოიცავს სოციალური მხარდაჭერის სრულ სპექტრს, მათ შორისაა: სოციალური უზრუნველყოფის უფლება (მუხლი 12), სოციალური და სამედიცინო დახმარების უფლება (მუხლი 13) და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურებით სარგებლობის უფლება (მუხლი 14); ასევე, შშმ ხანდაზმულთა დამოუკიდებლობის, სოციალური ინტეგრაციისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება (მუხლი 15) და ოჯახის სოციალური დაცვის უფლება, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დემოგრაფიულ ცვლილებათა პირობებში (მუხლი 16, 27-ე მუხლთან ერთობლიობაში). რა თქმა უნდა, ეს მოიცავს მატერიალურ უფლებებსაც, როგორიცაა: ჯანმრთელობის დაცვა (მუხლი 11), სიღარიბისა და სოციალური გარიყულობისგან დაცვა (მუხლი 30) და საცხოვრებლის უფლება (მუხლი 31), რაც აქტიური სოციალური მოქალაქეობის ბუნებრივი წინაპირობაა. ამ ყოველივეს განამტკიცებს E მუხლი, რომელიც კრძალავს დისკრიმინაციას და მნიშვნელოვან ინსტრუმენტს ქმნის წარსული პოლიტიკის გასაჩივრებისთვის. ქარტიის დებულებათა მიღების à la carte სისტემის გათვალისწინებით,⁷ საქართველოს მიღებული აქვს მხოლოდ ზოგიერთი ზემოაღნიშნული დებულება.⁸

ზოგადი უფლებების გარდა, რომელთაც ხელშესახები სარგებელი მოაქვთ ხანდაზმული პირებისთვის, ქარტია უნიკალურია იმითაც, რომ უზრუნველყოფს *suī generis* დებულებას კონკრეტულად ხანდაზმულთა უფლებების შესახებ (მუხლი 23). ეს დებულება უპრეცედენტოა საერთაშორისო სამართალში. არაერთი თვალსაზრისით, მისი ფილოსოფია - თანასწორი სოციალური მოქალაქეობა - გაფანტულია

7 იხილეთ ევროპის შესწორებული სოციალური ქარტიის (RevESC) III ნაწილი, მუხლი A (და შესაბამისი III ნაწილი, მუხლი 20 ორიგინალი ქარტიიდან). სახელმწიფო, რომელიც შეუერთდება შესწორებულ ქარტიას (RevESC), ვალდებულია, აირჩიოს და სრულად მიიღოს ქარტიის II ნაწილის, სულ მცირე, 16 მუხლი (ორიგინალი ქარტიის შემთხვევაში – სულ მცირე, 10 მუხლი), ან 63 პუნქტი (ორიგინალი ქარტიის შემთხვევაში – 45 პუნქტი). ამასთანავე, ქარტიაში განვევრიანებისას, თითოეულმა სახელმწიფომ უნდა მიიღოს, სულ მცირე, ექვსი იმ ცხრა მუხლიდან, რომლებიც, ქარტიის შემქმნელთა აზრით, დოკუმენტის უფლებათა ბირთვია. ესენია: მუხლები 1, 5, 6, 7, 12, 13, 16, 19 და 20.

8 ჯერ არ არის მიღებული მუხლები: 12(2) და 12(4), 13, 15(1) და 15(2), 16, 30 და 31. საქართველოს შესწორებული სოციალური ქარტია რატიფიცირებული აქვს 2005 წლის 22 აგვისტოს, რის შედეგადაც მან მიიღო 98-დან 63 პუნქტი. ამასთან, საქართველოს ჯერ არ მიუღია დამატებითი ოქმი, რომელიც უზრუნველყოფს კოლექტიური საჩივრების სისტემას. იხილეთ ევროპის საბჭოს ანგარიში საქართველოს შესახებ: [CoE, Country Report: Georgia](<https://www.coe.int/en/web/european-social-charter/georgia>).

ზემოაღნიშნულ მატერიალურ დებულებებში. თუმცა, 23-ე მუხლი ითვალისწინებს ყოვლისმომცველ, ერთგვარ სულის ჩამდგმელ ფილოსოფიას, რომელიც სხვა უფლებების სიცოცხლეს სძენს ხანდაზმულთა კონტექსტში. ძირითადი იდეა, რომელიც მას განამტკიცებს, გულისხმობს ადამიანის დამოუკიდებლობის მნიშვნელობას, ასაკის მიუხედავად. სწორედ ამიტომ, ავტონომიისა და დამოუკიდებლობის (და ურთიერთდამოკიდებულების) საკითხი ასე მნიშვნელოვანია სიბერის კონტექსტში. მსოფლიოში ხანდაზმულთა უფლებებისადმი მიდგომები რევოლუციურ ცვლილებებს განიცდის, რისი ცენტრალური ნაწილიც არის აღნიშნული ფილოსოფია. 23-ე მუხლი მოიცავს აქტიური მონაწილეობისა და სოციალური ინკლუზიის კონცეფციასაც. ასაკი არ არის გამორიცხვის საფუძველი. პირიქით, იგი გვავიძულებს, დავფიქრდეთ, თუ როგორ უნდა გავაგრძელოთ ინკლუზია. ადამიანის უფლებები არ უფერულდება ასაკის მატებასთან ერთად, ისინი მუდმივად ნარჩუნდება მთელი ცხოვრების განმავლობაში.

სამწუხაროდ, ქართის 23-ე მუხლი ერთ-ერთია იმ დებულებებს შორის, რომლებიც საქართველოს არ მიუღია. თუმცა, ვინაიდან 23-ე მუხლის ზოგადი ფილოსოფია გაფანტულია სხვა მატერიალურ მუხლებში, ეს ფაქტორი არ არის საბედისწერო. ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, რის გამოც სახელმწიფოებს აქვთ მოქნილობა ქართის გარკვეულ დებულებათა მისაღებად ან არმისაღებად, არის მათთვის სივრცის დატოვება იმ დონემდე განვითარებისთვის, რომ კონკრეტული მუხლის მიღება იყოს პრაქტიკულად მნიშვნელოვანი. საჭიროებათა შეფასების ანგარიშის თანახმად, ამჟამად შესაფერისი დროა საქართველოს მიერ 23-ე მუხლის მისაღებად, განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ ამ მუხლის ურთიერთკავშირს საქართველოს მიერ მიღებულ სხვა დებულებებთან.

ქართის მნიშვნელოვანი მახასიათებელია „პროგრესული რეალიზაციის“ ცნება. კერძოდ, არაერთ დებულებასთან მიმართებით, იგულისხმება, რომ მისი მიზნების მიღწევა შესაძლებელია თანდათანობით, ხელმისაწვდომი რესურსების შესაბამისად და ხელშემწყობი კანონებისა და პოლიტიკის დანერგვის მიხედვით. ეს მნიშვნელოვანია ასაკის კონტექსტში. ქვეყნების უმრავლესობამ დაიწყო ასაკთან დაკავშირებული მოძველებული კანონებისა და პოლიტიკის ჩანაცვლება ისეთი კანონებითა და პოლიტიკით, რომლებიც ასახავს და ხელს უწყობს აქტიურ მოქალაქეობას. მთავარია სახელმწიფო პოლიტიკის ზოგადი მიმართულება. სწორედ ამიტომ, პროცესთან დაკავშირებულ საკითხები - ცვლილებისთვის საჭირო ინსტიტუციური მოწყობის ადეკვატურობა - ძალზე მნიშვნელოვანია და ამ

ანგარიშში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს.

წინამდებარე დოკუმენტი მოიცავს სამართლებრივ და პოლიტიკურ ანალიზს, რომელიც ეფუძნება საქართველოში მოქმედი შესაბამისი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ჩარჩოებისა და პრაქტიკის სამაგიდე კვლევას, ასევე, მათ შედარებას ევროპის საბჭოს სტანდარტებთან, საერთაშორისო ნორმებსა და საუკეთესო პრაქტიკასთან ხანდაზმულთა სოციალური და ეკონომიკური უფლებების სფეროში. იგი აღწერს საქართველოში ხანდაზმულთა სოციალური და ეკონომიკური უფლებების დაცვის კუთხით არსებულ სიტუაციას და ქარტიის განხორციელების დონეს ამ მხრივ. ამასთანავე, ანგარიში ავლენს პრიორიტეტულ სფეროებს, რომლებსაც განსაკუთრებულად ესაჭიროება ევროპის საბჭოს ჩარევა და მხარდაჭერა და წარმოგვიდგენს კონკრეტულ რეკომენდაციებს, თუ როგორ უნდა აღმოიფხვრას არსებული ხარვეზები. ამის მიზანია საქართველოს სახელისუფლებო ორგანოების, სამოქალაქო საზოგადოებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მხარდაჭერა, რომ გადაჭრან ხანდაზმულ პირთა ეკონომიკური და სოციალური უფლებების დაცვასთან დაკავშირებული გამოწვევები.

შესაბამისად, წინამდებარე ანგარიშის მიზნებია:

- მხარი დაუჭიროს ხანდაზმულთა პოლიტიკის მიმდინარე რეფორმას საქართველოში, რათა ის პასიური დამოკიდებულებიდან გადავიდეს მოდელზე, რომელიც ეფუძნება აქტიურ სოციალურ მოქალაქეობას, ავტონომიას, დამოუკიდებლობასა და ინკლუზიურობას.
- განმარტოს, თუ როგორ უწყობს ხელს ქარტიიდან მომდინარე ვალდებულებები პასიური დამოკიდებულებიდან აქტიური სოციალური მოქალაქეობის მოდელზე გადასვლას და რა დამატებითი ღირებულება შეაქვთ მათ პროცესში.
- ფართოდ მიმოიხილოს საქართველოში არსებული კანონმდებლობა და პოლიტიკა ხანდაზმულობის შესახებ და მათი ზოგადი მიმართულებები, ქარტიის სტანდარტების, ასევე, ევროპის საბჭოსა და გაეროს სხვა არასავალდებულო ძალის მქონე დოკუმენტების გათვალისწინებით.
- წახალისოს იმ დებულებათა მიღება, რომლებიც საქართველოს არ აქვს რატიფიცირებული ამ დროისათვის.
- ხელი შეუწყოს საქართველოს, რომ აქტიურ მოთამაშედ იქცეს დებატებში გაეროს ხელშეკრულების შესახებ, რომელიც, სავარაუდოდ, ასახავს და განამტკიცებს ქარტიის ნორმების მთავარ მნიშვნელობას.

- მხარი დაუჭიროს საქართველოს ევროკავშირში გასაწევრიანებლად საჭირო კრიტერიუმთა შესრულებაში, ფოკუსით ქარტიის სტანდარტთა დაცვაზე, როგორც ამ კრიტერიუმთა დაკმაყოფილების ერთ-ერთ გზაზე.
- წაახალისოს ქართული სამოქალაქო საზოგადოება, რომ აქტიურად დაიცვას ხანდაზმულთა უფლებები, მათ შორის, ქარტიის მონიტორინგის მექანიზმებით.

საქართველოში არსებული ვითარების უკეთ შესაფასებლად, ასევე, საქართველოს ხელისუფლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მიერ კვლევის შედეგების გასათავისებლად, ანგარიშში გამოყენებულია მონაწილეობაზე დაფუძნებული მიდგომა. შესაბამისად, თბილისში გამართულ ფაქტების დამდგენი მისიის მოსამზადებელ შეხვედრებსა (2024 წლის 17-19 ივნისი) და მრგვალი მაგიდის დისკუსიებში (2024 წლის 13 სექტემბერი) მონაწილეობდნენ შემდეგი საჯარო უწყებებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლები:

- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; იუსტიციის სამინისტრო; ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; ფინანსთა სამინისტრო; განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დეპარტამენტი; საქართველოს სახალხო დამცველის ოფისი; სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დახმარების სააგენტო; სოციალური მომსახურების სააგენტო; დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო; სოფლის განვითარების სააგენტო; დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი; და თბილისის მუნიციპალიტეტი;
- საერთაშორისო ორგანიზაციები: გაეროს მოსახლეობის ფონდი, გაეროს განვითარების პროგრამა, გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარიატი, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია, ევროკავშირის წარმომადგენლობა და Expertise France;
- სამოქალაქო ორგანიზაციები: „საქართველოს კარიტასი“; საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება; კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის; იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია „თანხმობა“; „კოალიცია – შინმოვლა საქართველოში“ (ფონდი „თაობა“)/საქართველოს პლატფორმა ზრუნვის საკითხებზე; საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი; სოციალური სამართლიანობის ცენტრი; და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია;

- აკადემიური წრის წარმომადგენლები: ნათია ფარცხალაძე და ქეთევან ხომერიკი.

ანგარიშის მეორე ნაწილი მიმოიხილავს ხანდაზმულთა უფლებების შეფასების კრიტერიუმებს (ბენჩმარკებს) ქარტიის ფარგლებში, ადამიანის უფლებათა დაცვის უნივერსალური და რეგიონული სისტემების გათვალისწინებით. სიზუსტისათვის, განიხილება როგორც საქართველოს მიერ „მიღებული“, ასევე „მიუღებელი“ დებულებები. გარდა ამისა, ვინაიდან ქარტიით გარანტირებული ხანდაზმულთა ეკონომიკური და სოციალური უფლებების ეფექტიანი რეალიზება ტერიტორიულ დონეზე გადასაწყვეტი საკითხია, ადგილობრივი თვითმმართველობები ქარტიის შესრულებაში ძირითადი მოთამაშეები არიან, სუბსიდიარობისა და ადგილობრივი ავტონომიის პრინციპების შესაბამისად.

ამ მიზეზით, ანგარიშში მოკლედ გაანალიზდა ადგილობრივი ხელისუფლების როლი და პასუხისმგებლობა ხანდაზმულთა მიმართ, ქარტიის შესაბამისად და ქარტიის მონიტორინგის ორგანოს - სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის (შემდგომში - ECSR ან „კომიტეტი“) საქმიანობის ქრილში.

კომიტეტის იურისპრუდენციის გარდა, მოკლედ მიმოვიხილავთ ევროპის საბჭოსა და გაეროს ზოგიერთ არასავალდებულო სამართლებრივ ინსტრუმენტს ხანდაზმულთა უფლებების სფეროში. ასეთი ინსტრუმენტები ხშირად ითვალისწინებს ხელშეკრულებაზე მონიტორინგის ორგანოებს, როგორიცაა კომიტეტი. ანგარიშში ასევე მითითებულია ხანდაზმულთა უფლებებზე გაეროს თემატური ხელშეკრულების შესაძლო შემუშავების შესახებ. გლობალურ დონეზე ამგვარი განვითარება დაადასტურებს ქარტიის იმ ძირითადი დებულებების მნიშვნელობას, რომლებიც შეეხება ხანდაზმულთა სოციალურ უფლებებს. ამ პოტენციური მოვლენისადმი საერთაშორისო ყურადღების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, საქართველომაც გადადგას გარკვეული ნაბიჯები. და ბოლოს, ანგარიშში განხილულია ევროკავშირის შესაბამისი ძირითადი კანონები, პოლიტიკის მიმართულებები, განეწიანების კრიტერიუმები და რეკომენდაციები საქართველოსთვის, ვინაიდან ეს ყოველივე ხელს შეუწყობს ცვლილებებს ქარტიის შესრულების პროცესის განსამტკიცებლად.

ანგარიშის მე-3 ნაწილი, მე-2 ნაწილში შემუშავებული შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით, მიმოიხილავს ხანდაზმულთა სოციალური უფლებების მდგომარეობას საქართველოში. ამ თავში გაანალიზებულია ცვლილებათა

ხელშეწყობი ინსტიტუციური არქიტექტურა და მისი მუშაობა პრაქტიკაში, ასევე, სამართლებრივი და პოლიტიკის ჩარჩოები შემდეგ ძირითად საკითხებთან დაკავშირებით: ავტონომია, თანასწორობა, დამოუკიდებელი ცხოვრება, დასაქმებაში მონაწილეობა, საზოგადოებაში მონაწილეობა და სოციალური მხარდაჭერის სერვისები. ამავდროულად, ეს თავი განიხილავს ქართულ საზოგადოებაში, ეკონომიკასა და კულტურაში მიმდინარე ძირითად პროცესებს, რომლებიც უზრუნველყოფს კონტექსტს ცვლილებებისთვის. და ბოლოს, დოკუმენტი აანალიზებს ECSR-ის ბოლოდროინდელ დასკვნებს ქარტიის შეტყობინების პროცედურის ფარგლებში, როგორც საქართველოს მიერ მიღებულ, ისე მიუღებელ დებულებებზე, რადგან ეს აქტუალურია წინამდებარე ანგარიშის მიზნებისთვის. ანგარიშის მე-4 ნაწილში წარმოდგენილია ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხი, ასევე, ხარვეზები და ის ძირითადი რეფორმები, რომელთა განხორციელებაც საჭირო და შესაძლებელია ქარტიის შინაარსისა და სულისკვეთების ოპტიმიზაციისათვის ხანდაზმულ პირთა უფლებების კონტექსტში. ეს რეკომენდაციები იქნება ინსტიტუციური, თემატური და პოლიტიკაზე ორიენტირებული.

ქარტიის ჭრილში, შესაბამისი მოვალეობები ეკისრება საქართველოს მთავრობას, თუმცა მთავრობები მართო არ მოქმედებენ. მნიშვნელოვანია, რომ ანგარიში ასევე ეხება „შესაბამის თემთან“ „თანაწარმოების“ პოლიტიკის დონესა და ადეკვატურობას. ამ შემთხვევაში, „შესაბამისი თემი“ მოიცავს ხანდაზმულ პირთა (და ხანდაზმული პირებისთვის მოქმედ) ორგანიზაციებს. კერძოდ, იგულისხმება, რომ ასეთ ორგანიზაციებს, რომლებიც ადვოკატირებენ ცვლილებებს, სათანადოდ უჭერენ მხარს. ეს უაღრესად მნიშვნელოვანია, ვინაიდან პოლიტიკაში ცვლილებების შეტანა ან რეფორმის გატარება შეუძლებელია იმ პირთა გარეშე, რომლებზეც ის პირდაპირ მოქმედებს. აღნიშნული გავლენას ახდენს ცვლილების პროცესის ლეგიტიმურობასა და ეფექტიანობაზეც. ეფექტიანი პარტნიორი მისასალმებელია და ხელს უწყობს კარგ მმართველობას. განსაკუთრებული ხაზგასმით არის წარმოდგენილი თაობებს შორის სოლიდარობის კონცეფცია, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ხანდაზმულებსა და ახალგაზრდებს. ეს არის ერთ-ერთი საუკეთესო გზა ხანდაზმულ პირთა სოციალური ინკლუზიისათვის, რომელიც ემსახურება ფართო საზოგადოებრივ ინტერესებს.

ანგარიშის მე-5 ნაწილი შეიცავს დასკვნებსა და რეკომენდაციებს.

2. ხანდაზმულთა სოციალური უფლებების შეფასების კრიტერიუმები

როგორც შესავალში აღინიშნა, მოსალოდნელია, რომ 60 წლის და უფროსი ასაკის ადამიანთა რაოდენობა 2050 წლისთვის მთელ მსოფლიოში გაორმაგდება, ზოგიერთ რეგიონში კი, განსაკუთრებით, ევროპაში, მნიშვნელოვნად გაიზრდება. არსებული სოციალური ტრანსფორმაცია ინიცირებულია გლობალურ დონეზე მოსახლეობის დაბერებით და მისი ფართომასშტაბიანი გავლენა მნიშვნელოვან ეკონომიკურ და სოციალურ გამოწვევებს უქმნის ინდივიდებს, მთავრობებს, პოლიტიკის განმსაზღვრელ პირებსა თუ სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებს. შესაბამისად, იგი მკაფიო პასუხს საჭიროებს პოლიტიკური და სამართლებრივი ჩარჩოს დონეზე, ხანდაზმულთა უფლებების დასაცავად და განსახორციელებლად. ამ მიზნისთვის, უაღრესად მნიშვნელოვანია ხანდაზმულ პირთა უფლებების განმტკიცება, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. ამავდროულად, მოსახლეობის დაბერება გარკვეულ შესაძლებლობებს ქმნის უწყვეტი განათლების, ხანგრძლივი სამუშაო ცხოვრებისა და საზოგადოებაში წვლილის შეტანის კუთხით, ტრადიციებისა და ცოდნის შენარჩუნებით.

ტრადიციულად, დაბერება, კეთილდღეობის ქრილში, უარყოფით პროცესად აღიქმება, ხოლო ხანდაზმული ადამიანი - მოწყვლად, სუსტ და დამოკიდებულ პირად, რომელიც ხარჯავს რესურსებს. ეს მიდგომა მოდის დაბერების ბიოსამედიცინო მოდელიდან, რომლის თანახმადაც, დაბერება გამოფიტვისა და დეგრადაციის პროცესია და სამედიცინო ინტერვენციას მოითხოვს. ამ პარადიგმის თანახმად, ხანდაზმულები ხშირად არიან გამორიცხულნი ან მარგინალიზებულნი, სახელმწიფო კი ძირითადად პასუხისმგებლად მიიჩნევა კომპენსაციით უზრუნველყოფაზე იმ დანაკარგისთვის, რომელიც მათ განიცადეს შემოსავლის, ავტონომიისა და საზოგადოებრივი როლების კუთხით. ასაკობრივი დისკრიმინაციის შემცველი წარმოდგენები ხშირად განამტკიცებს არასათანადო ურთიერთობებს თაობებს შორის და დისკრიმინაციულ პრაქტიკებს საზოგადოებაში, ხოლო სამართლებრივ და პოლიტიკის დონეზე რეაგირება ხშირად არაადეკვატურია და ვერ ახერხებს სისტემური საკითხების გადაჭრას, რომლებიც გავლენას ახდენს ხანდაზმულებზე.

კეთილდღეობაზე დაფუძნებული მიდგომისგან განსხვავებით, უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა,⁹ რომელზეც გავლენას ახდენს შეზღუდული შესაძლებლობის სოციალური მოდელი, უთანასწორობასა და გარიყულობას საზოგადოებრივი ბარიერების შედეგებად აღიქვამს და არ უკავშირებს პიროვნულ ნაკლოვანებებს. იგი სახელმწიფოებს აკისრებს ამ ბარიერების აღმოფხვრის, ასევე, სრულფასოვანი მონაწილეობის, თანასწორობისა და ღირსების უზრუნველყოფის მოვალეობას თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში, ხოლო ამგვარი პოლიტიკის *raison d'être* აღემატება ეკონომიკურ არგუმენტებს. პარადიგმის მიმდინარე გადანაცვლება დაბერების ტრადიციული მოდელიდან (რომელიც ხანდაზმულებს ზრუნვის პასიურ მიმღებად განიხილავს) ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომაზე, უაღრესად მნიშვნელოვანია ხანდაზმულების, როგორც უფლებათა აქტიური მფლობელების ღირსების, ავტონომიისა და მონაწილეობის უზრუნველსაყოფად. ამავდროულად, ის უკეთეს საფუძველს ქმნის ხანდაზმულებზე გავლენის მქონე კანონებისთვის.

ადამიანის უფლებები არის არა მხოლოდ სახელმძღვანელო პრინციპები და მინიმალური სტანდარტები, არამედ ანალიტიკური და სისტემატური ჩარჩოც ხანდაზმულთა კანონმდებლობისა და გამოცდილებების გასაუმჯობესებლად, ასევე, დაბერებისადმი საზოგადოების დამოკიდებულების შესაცვლელად. ადამიანის უფლებები კომპლექსურ მიდგომას აყალიბებს იმ საკითხების გასააზრებლად და გადასაწყვეტად, რომლებსაც უფროსი ასაკის ზრდასრულები აწყდებიან კანონმდებლობასა და პრაქტიკაში. ამავდროულად, ეს მიდგომა უპირისპირდება ასაკობრივი დისკრიმინაციის შემცველ წარმოდგენებს და ხელს უწყობს ისეთი საზოგადოების შექმნას, სადაც ადამიანები არ განიცდიან დისკრიმინაციას ხანდაზმულობის გამო. და ბოლოს, ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა ხანდაზმულებს არ აღიქვამს ერთგვაროვან ჯგუფად, რომელსაც დაცვა ესაჭიროება: იგი ადამიანის უფლებებს უზრუნველყოფს მთელი ცხოვრების განმავლობაში და აღიარებს ინდივიდთა მრავალფეროვან გამოცდილებებსა და იდენტობებს, რომლებიც ყალიბდება ასაკის მატებასთან ერთად.

9 იხ. UN Human Rights Council, Report of the Independent Expert on the Enjoyment of All Human Rights by Older Persons, Claudia Mahler, 2021, <https://digitallibrary.un.org/record/3938306?v=pdf>.

2.1 ევროპის საბჭოს ევროპის სოციალური ქარტიის სისტემა

სიბერისადმი ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის ცენტრალურ ნაწილი ცალსახად არის ქარტია, რომელიც უნიკალურ ჩარჩოს ქმნის პარადიგმული ცვლილების ხელშესაწყობად. კერძოდ, იგი შეიცავს სხვადასხვა დებულებას, რომლებიც ერთობლივად უნდა წავიკითხოთ, და ითვალისწინებს მონიტორინგის ორგანოს. ეს საკითხები განხილულია წინამდებარე თავში.

2.1.1 ფასეულობები, რომლებსაც ეფუძნება გადასვლა ხანდაზმულთა მიმართ უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომაზე

მნიშვნელოვანია, თავიდანვე აღინიშნოს, რომ ქარტიის განმარტება და უფლებათა გამოყენება ეფუძნება სხვადასხვა პრინციპს, რომლებიც ხაზს უსვამს საზოგადოების ყველაზე მოწყვლადი ჯგუფების დაცვას, ხანდაზმულების, შშმ პირებისა და მარგინალიზებული ჯგუფების ჩათვლით. ამ პრინციპების განხილვა უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ მათ ეფუძნება გადასვლა ხანდაზმულთა მიმართ უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომაზე.

ღიხსება

ღირსება ფუნდამენტური ფასეულობაა, რომელსაც ეყრდნობა ადამიანის უფლებები და არსებითი მნიშვნელობა ენიჭება მოწყვლადობის ან სიღარიბის კონტექსტში. ევროპის სოციალურ ქარტიაში ღირსება განსაკუთრებით თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი სიღარიბის შემცირების (მუხლი 30), ჯანმრთელობისა (მუხლი 11) და სოციალური/სამედიცინო დახმარების (მუხლი 13) კონტექსტში, ასევე, დებულებებში, რომლებიც ცალსახად შშმ და ხანდაზმულ პირებს ეხება (შესაბამისად, მუხლები 15 და 23, დისკრიმინაციის ამკრძალავ E მუხლთან ერთად). ევროპული ქარტიის თანახმად, ღირსების იდეა უკავშირდება ქარტიით გათვალისწინებულ კონკრეტულ უფლებებს, განსაკუთრებით, რომლებიც საჭიროებს რესურსების ხელახალ გადანაწილებას.¹⁰ ღირსება უაღრესად მნიშვნელოვანია იმ მინიმალურ სტანდარტთა განსაზღვრისას, რომლებიც სახელმწიფოებმა უნდა დაიცვან ქარტიის თანახმად, და მიაწოდონ გადასვლას დახმარებასა და ზრუნვაზე დაფუძნებული

¹⁰ ECSR კომიტეტის საქმიანობა ხელმისაწვდომია HUDOC მონაცემთა ბაზაში, <https://hudoc.esc.coe.int/>.

პატერნალისტური მიდგომიდან თანასწორობასა და ინდივიდუალურ ღირსებაზე ფოკუსირებულ მოდელზე. ღირსება შეიძლება უკავშირდებოდეს მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობის იდეასაც, რომელიც მოიცავს დამოუკიდებლობას, სოციალურ ინტეგრაციას და მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ავტონომია

არსებობს გარკვეული ეჭვები, უნდა წამოიწიოს თუ არა წინ ავტონომია მნიშვნელოვან პრინციპად ეკონომიკური და სოციალური უფლებების ქრილში, ვინაიდან ეს გულისხმობს ინდივიდუალურ საჭიროებებზე ხაზგასმას, რაც, თავის მხრივ, შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს კოლექტიური კეთილდღეობის ცნებას. თუმცა, ამავდროულად, ავტონომია, როგორც ფასეულობა, მჭიდროდ უკავშირდება ღირსებას და ინდივიდებს უზრუნველყოფს შესაძლებლობით, თავად აირჩიონ მათთვის შესაფერისი სოციალური დაცვა და ცხოვრების სტილი, რასაც განამტკიცებს ამ უფლების თვითნებურად ჩამორთმევისგან დაცვის გარანტიები. ავტონომიის ფასეულობისთვის ცენტრალური მნიშვნელობა აქვს ევროპის სოციალური ქარტიის 23-ე მუხლს, რომელიც, როგორც ქვემოთ განვიხილავთ დეტალურად, სხვა უფლებებთან ერთად, იცავს ხანდაზმულთა დამოუკიდებლად ცხოვრების უფლებას და ავტონომიას ცხოვრების წესის არჩევისას. აღნიშნულ კონტექსტში, სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი ამ პრინციპზე მიუთითებს განათლების, სოციალური მომსახურებისა და სამედიცინო თანხმობის ქრილში და ხაზს უსვამს, რომ მეურვეობის პროცედურები არ უნდა გამოიყენებოდეს ბოროტად ან გადამეტებულად, ხოლო ხანდაზმულ პირებს უნდა შეეძლოთ გადაწყვეტილებათა დამოუკიდებლად მიღება.

თანასწორობა

თანასწორობის პრინციპს, რომელიც ასევე უმნიშვნელოვანესია ადამიანის უფლებებისთვის, განამტკიცებს ევროპის სოციალური ქარტია (განსაკუთრებით, E მუხლი). მას მჭიდრო კავშირი აქვს სხვა უფლებათა დაცვასთან და სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი ყოვლისმომცველ კონცეფციად იყენებს ისეთ სფეროებში, როგორიცაა დასაქმება, განათლება, ჯანდაცვა და სოციალური დაცვა. თანასწორობა ხაზს უსვამს მრავალფეროვნების პატივისცემას, ასევე, აქტიური ზომების მიღების აუცილებლობას რეალური თანასწორობის უზრუნველსაყოფად. გარდა ამისა, ის მოიცავს როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ დისკრიმინაციას, და სახელმწიფოებისგან ითხოვს, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მოწყვლად ჯგუფებს, ხანდაზმულ პირთა ჩათვლით. ECSR-ის მიხედვით, თანასწორობის

ეფექტიანად დაცვასა და განხორციელებას უზრუნველყოფს სხვადასხვა მექანიზმი, როგორიცაა თანასწორობის ორგანოები, საბჭოები, კომისიები და თანასწორობის შესახებ კანონები.

სოლიდარობა

ისტორიულად, სოლიდარობის პრინციპი უკავშირდებოდა სოციალური დაცვის სისტემებს, თუმცა დღეს მას ფართოდ განიხილავენ ადამიანის უფლებათა საბაზისო პრინციპად, მათ შორის, ECSR-შიც, რომლის საქმიანობა მოიცავს მოწყვლადი ჯგუფების გამორიცხვისა და სიღარიბის საკითხებს. სოლიდარობა ასახავს ადამიანთა სოციალურ ბუნებას და მოიცავს რესურსების ხელახალ გადანაწილებას სახელმწიფო დახმარებისა და სოციალური დაზღვევის სისტემათა მეშვეობით, რაც უკავშირდება ეკონომიკურ და სოციალურ უფლებათა პროგრესული რეალიზების იდეას (იხილეთ ქვემოთ). სოლიდარობა ფუნდამენტური ფასეულობაა, თუმცა ხშირად არ გამოიყენება სამართლებრივ კონტექსტში. მას განამტკიცებს ისეთი პრინციპები, როგორიცაა, თანასწორობა, ადამიანის ღირსება ან სოციალური სამართლიანობა. სოლიდარობის შეზღუდული სამართლებრივი გამოყენება აიხსნება სხვა ფასეულობებთან (მაგ. ავტონომიასთან) კონკურენციით და სოციალური სახელმწიფოს განვითარებადი პარადიგმით.

მონაწილეობა

მონაწილეობა, რომლის მნიშვნელობასაც ხაზს უსვამს გაეროს პრინციპები ხანდაზმული პირებისთვის, მადრიდის საერთაშორისო სამოქმედო გეგმა დაბერების საკითხებზე და შშმ პირთა უფლებების კონვენცია, გულისხმობს ჩართულობას სოციალურ უფლებათა კანონსა და პოლიტიკაში განსაზღვრისა და განხორციელების პროცესებში. ეს ასევე გულისხმობს მნიშვნელოვან და სასარგებლო ჩართულობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რაც განსაკუთრებით აქტუალურია ხანდაზმულებისთვის. სახელმწიფოებს ეკისრებათ მონაწილეობის მექანიზმთა შექმნის ვალდებულება საზოგადოების ინფორმირებისა და აქტიური ჩართულობისათვის. ამ პრინციპზე მიუთითებენ სახელმწიფო სერვისების კონტექსტშიც და მისი განხორციელება საჭიროებს ხანდაზმულთა მსგავსი პოტენციურად მოწყვლადი ჯგუფების ჩართვას პოლიტიკის განსაზღვრის პროცესში. და ბოლოს, ადამიანის უფლებათა სხვა ხელშეკრულებებისგან განსხვავებით, სოციალური პოლიტიკის განსაზღვრა-განხორციელებაში დამსაქმებლების, დასაქმებულებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობის პრინციპი ცალსახად არის ნახსენები ქარტიის ოქმში კოლექტიური საჩივრების შესახებ. ამრიგად, არასამთავრობო ორგანიზაციათა ჩართულობა ქარტიის შეტყობინებისა

და მონიტორინგის პროცედურებში გაზრდის ანგარიშვალდებულებას და ადვოკატირებას შშმ პირთა უფლებების დასაცავად.

2.1.2 პროგრესული რეალიზაცია, როგორც ლაიტმოტივი

„პროგრესული რეალიზაციის“ კონცეფცია, ნაწილობრივ, „ცივი ომის“ შედეგად წარმოიშვა, რომელმაც კიდევ უფრო გაამწვავა დიფერენციაცია სამოქალაქო/პოლიტიკურ და ეკონომიკურ/სოციალურ/კულტურულ უფლებებს შორის. მიიჩნევა, რომ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები უფრო აღსრულებადია, ვიდრე რესურსებზე დამოკიდებული ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები. ეს კონცეფციამ იუთითებს დაპირისპირებაზე ინდივიდუალურ სოციალურ უფლებებსა და საერთო ეკონომიკურ ინტერესებს შორის. პროგრესული რეალიზება ასახავს ფაქტს, რომ სოციალურ უფლებათა განხორციელება ეკონომიკურ განვითარებას უკავშირდება და აღიარებს რესურსების შეზღუდულობას, თუმცა სახელმწიფოებს ავალდებულებს მუდმივ მუშაობას ამ უფლებათა სრული რეალიზებისათვის, მათი არსის დაუზიანებლად. ამავდროულად, ექსპერტები ეჭვქვეშ აყენებენ ამ მკაცრ გამიჯვნას და აღნიშნავენ, რომ სამოქალაქო უფლებები (მაგ. სამართლიანი სასამართლოს უფლება) მნიშვნელოვან რესურსებს მოითხოვს, მაშინ, როდესაც სოციალური უფლებები (მაგ. გაერთიანების უფლება) შედარებით ნაკლებ სახსრებს საჭიროებს.

პროგრესულ რეალიზებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხანდაზმულთა უფლებების შესაფასებლად ქარტიის ქრილში. როგორც აღინიშნა, ქარტია მონაწილე ქვეყნებს საშუალებას აძლევს, თავად აირჩიონ, თუ რომელ დებულებებს მიიღებენ, რაც ასახავს ეკონომიკური და სოციალური განვითარების სხვადასხვა დონეს ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებს შორის. თუმცა, გაეროს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტისგან (მუხლი 2) განსხვავებით, ქარტია ცალსახად არ ემხრობა გარანტირებულ უფლებათა პროგრესულად განხორციელებას სახელმწიფო რესურსების შესაბამისად: არსებითად, უფლებები დაუყოვნებლივ უნდა აღსრულდეს. მიუხედავად იმისა, რომ ქარტია ამას ცალსახად არ ახსენებს, ზოგიერთ უფლებასთან მიმართებით იგი ცნობს „შედეგის ვალდებულებას“, რაც გულისხმობს პროგრესული რეალიზების ირიბად აღიარებას.

თავის საქმიანობაში ECSR აღიარებს, რომ ეკონომიკური პირობები გავლენას ახდენს სოციალურ უფლებათა რეალიზებაზე და ეთანხმება, რომ სახელმწიფოებს მხოლოდ

იმდენის გარანტირება შეუძლიათ, რამდენის საშუალებასაც აძლევთ რესურსები. ამასთან, მათ ეკისრებათ ვალდებულება, პრიორიტეტად განიხილონ დაუცველი და მოწყვლადი ჯგუფების დაცვა, განსაკუთრებით, ეკონომიკური კრიზისის დროს. ეს გარკვეულწილად შეესაბამება პროგრესული რეალიზების პრინციპს, რომელსაც ითვალისწინებს ICESCR. შესაბამისად, სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი ქარტიის ფარგლებში ავითარებს პროგრესული რეალიზების ცნებას, მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულება ამაზე პირდაპირ არ მიუთითებს. კომიტეტი კონკრეტული კრიტერიუმებით აფასებს სახელმწიფოთა საკმარის პროგრესს ამ კუთხით. ECSR-ის მიდგომა პროგრესული რეალიზების მიმართ მოიცავს მონიტორინგს სახელმწიფოთა მიერ ვალდებულებების შესრულებასა და ინტერპრეტაციაზე, ასევე, მოწყვლადი ჯგუფების უზრუნველყოფაზე აუცილებელი დაცვით.

კერძოდ, კომიტეტი აღიარებს, რომ სახელმწიფოებს შეუძლიათ, თავისუფალი შეფასების ფარგლებში იმოქმედონ საერთო თუ კონკრეტული ჯგუფების ინტერესთა დაბალანსებისას, თუმცა ხაზს უსვამს, რომ ქვეყნებმა აუცილებლად უნდა შეასრულონ პროგრესული რეალიზების კონკრეტული კრიტერიუმები. მათ გონივრულ ვადაში უნდა განავითარონ სოციალური უფლებები, ხელმისაწვდომი რესურსების მაქსიმალურად გამოყენებით, განსაკუთრებით, მოწყვლადი ჯგუფებისთვის. გარდა ამისა, ECSR-ის თანახმად, პროგრესული რეალიზება სახელმწიფოებისთვის გულისხმობს სამართლებრივი, ფინანსური და ოპერაციული ზომების მიღების ვალდებულებას, რათა აწარმოონ ეფექტიანი სტატისტიკა, რეგულარულად შეაფასონ პოლიტიკის ზემოქმედება, დასახონ გონივრული ვადები და განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ პოლიტიკის გავლენას მოწყვლად ჯგუფებზე. გაქიანურებულ განხორციელებას, განსაკუთრებით, ხანდაზმულთა მსგავსი მოწყვლად ჯგუფების შემთხვევაში, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა გონივრულ ვადებთან შესაბამისობის შეფასებისას.

ქარტიის ზოგიერთი დებულება ბუნებრივად დინამიკური და პროგრესულია, რაც სახელმწიფოებისგან უწყვეტ შეფასებასა და ადაპტაციას მოითხოვს. სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი განსაკუთრებულად გამოყოფს ქარტიის 1(1), 2(1), 12(3), 14, 18 და 26 მუხლებს, მათი დინამიკური ბუნების გამო. ეს გულისხმობს ქვეყნის ძალისხმევის შეფასებას დროთა განმავლობაში, ნაცვლად დაუყოვნებლივი შედეგების მოთხოვნისა. ECSR ქარტიას დინამიკურად განმარტავს, სახელმწიფოთა როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური ვალდებულებების გათვალისწინებით. იგი პროგრესული რეალიზების მიდგომას იყენებს ისეთ დებულებებთან მიმართებით,

როგორცაა მე-7 მუხლი ბავშვებისა და ახალგაზრდების დაცვის შესახებ. ქარტიის გარკვეული მუხლები, მაგალითად 2(1), 3(4), 12(3) და 31(2), პირდაპირ ითხოვს პროგრესულ მიდგომას. სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი სახელმწიფოთა მიერ ვალდებულებების შესრულებას აფასებს იმის მიხედვით, თუ რამდენად ახერხებენ უწყვეტი ძალისხმევის გაღებას სოციალური დაცვის სისტემათა გასაუმჯობესებლად, ისე, რომ არ დაუშვან მინიმალურ სტანდარტთა შეუსრულებლობა, განსაკუთრებით, ეკონომიკური კრიზისის დროს.

კომიტეტმა ასევე ხაზი გაუსვა საჭიროებას, რომ პოლიტიკის ფორმირებისა და განხორციელების პროცესში აქტიური კონსულტაციები გაიმართოს დაზარალებულ მოწყვლად ჯგუფებთან. განსაკუთრებით ეკონომიკური კრიზისების, მათ შორის, ცხოვრების ხარჯებთან დაკავშირებული კრიზისის დროს, სახელმწიფოებს შესაძლოა გარკვეული არგუმენტები მოჰყავდეთ ისეთი ზომების დასასაბუთებლად, რომლებიც რეგრესულად აღიქმება. ECSR აღნიშნავს, რომ ასეთი ზომები გამართლებული უნდა იყოს არადისკრიმინაციული მიზნებით და არ უნდა აზიანებდეს ქარტიით გარანტირებულ უფლებათა ძირითად შინაარსს. კომიტეტი ითხოვს ამ საკითხების საფუძვლიან კვლევას და ზემოქმედების შეფასებას, ასევე, ეფექტიან კონსულტაციებს დაზარალებულ ჯგუფებთან, რათა შემცირდეს პოლიტიკის უარყოფითი შედეგები. თუ სახელმწიფოები სათანადოდ არ ჩართავენ პროცესში დაზარალებულ ჯგუფებს (როგორებიც არიან ხანდაზმული პირები), ან არ განიხილავენ ნაკლებად საზიანო ალტერნატივებს, შესაძლებელია, ქარტიასთან შეუსაბამობა დადგინდეს.

და ბოლოს, ECSR-ის მიერ პროგრესული რეალიზების განმარტება ქარტიის ფარგლებში ასახავს პრაქტიკულ და უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომას ხანდაზმულთა სოციალური და ეკონომიკური უფლებების მიმართ. ეფექტიანობასა და თანმიმდევრულ პროგრესზე ფოკუსირებით, ასევე, სახელმწიფოებში არსებული კონკრეტული პირობებისა და რესურსების გათვალისწინებით, კომიტეტი ცდილობს ქარტიით გარანტირებულ უფლებათა არსებით განხორციელებას და აღსრულებას, რაც ევროპის მასშტაბით აძლიერებს სოციალურ კეთილდღეობას.

2.1.3 მუხლი 23 – ხანდაზმულთა უფლება სოციალურ დაცვაზე

ევროპის სოციალური ქარტიის 23-ე მუხლი¹¹ მნიშვნელოვანი სიახლეა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში: ეს არის პირველი საერთაშორისო ნორმა, რომელიც მიმართულია კონკრეტულად ხანდაზმულთა უფლებების დაცვაზე და მოიაზრებს კოორდინირებული სექტორთაშორისი ინიციატივების გამოყენებას ევროპაში მოსახლეობის დაბერებით გამოწვეულ გამოწვევათა გადასაჭრელად.¹² თავდაპირველად, ის მე-4 მუხლად ჩაინერა ორიგინალი ქარტიის 1988 წლის დამატებით ოქმში, 1996 წელს კი ჩაერთო შესწორებულ ქარტიაში. მისი უნიკალურობა გამოიხატება განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭებით ისეთი ფასეულობებისთვის, როგორიცაა ავტონომია, დამოუკიდებელი ცხოვრება და ხანდაზმულთა აქტიური სოციალური მოქალაქეობა.¹³

ხანდაზმულთა უფლებების დაცვის მთავარი მიზანი სამ ძირითად ასპექტს მოიცავს::

- ა) სრული ინტეგრაცია და აქტიური მონაწილეობა საზოგადოებაში, სოციალური შეღავათებისა და სერვისების საერთო სისტემაში ჩართვით;
- ბ) დამოუკიდებელი ცხოვრების შესაძლებლობის დაცვა დამატებითი სოციალური, ჯანდაცვის და საცხოვრებელი სერვისების უზრუნველყოფით, თუ საკუთარ თავზე ზრუნვის უნარი შეზღუდული აქვს ავადმყოფობის, შეზღუდული შესაძლებლობების, ან ასაკის გამო;
- გ) პირად გადაწყვეტილებათა მიღებისა და მოვლის პროცესში ჩართვის

11 საქართველოს არ მიუღია.

12 მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს კონკრეტულად ხანდაზმულთა უფლებებზე ორიენტირებული საერთაშორისო ხელშეკრულება, ასაკობრივ დისკრიმინაციას დისკრიმინაციის ერთ-ერთ ფორმად აღიარებს ადამიანის უფლებათა სხვადასხვა კონვენცია. ხანდაზმულთა უფლებების დაცვის ამერიკული კონვენცია (2015) დეტალურად განსაზღვრავს ასაკოვან პირთა უფლებებს და მათ დაცვას, რაც გამყარებულია თანასწორობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპებით. გარდა ამისა, ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტია (25-ე მუხლი – იხილეთ ქვემოთ) აღიარებს ხანდაზმულთა უფლებას, ღირსეულად და დამოუკიდებლად ცხოვრობდნენ და აქტიურად მონაწილეობდნენ სოციალურ და კულტურულ საქმიანობაში.

13 სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის საქმიანობის სრულყოფილად მიმოხილვისათვის, იხილეთ ევროპის საბჭოს (CoE) პუბლიკაცია: სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის პრაქტიკის დაიჯესტი, სტრასბურგი, 2022 (Digest of the case law of the European Committee of Social Rights). ხანდაზმულ პირთა უფლებებთან დაკავშირებით, განსაკუთრებით საყურადღებოა: G. Quinn და I. Doron, "ეიჯიზმის წინააღმდეგ და ხანდაზმულთა აქტიური სოციალური მოქალაქეობისკენ: ევროპის სოციალური ქარტიის ამჟამინდელი გამოყენება და მომავალი შესაძლებლობები", ევროპის საბჭო, სტრასბურგი, 2021 (Against Ageism and Towards Active Social Citizenship for Older Persons).

შესაძლებლობის მიცემა; ასევე, დაცვა ღირსების, ხელშეუხებლობისა და პირადი ცხოვრების უფლებათა დარღვევისგან მოვლის დაწესებულებებში.

23-ე მუხლი აღიარებს, რომ დაბერების პროცესებმა შეიძლება შეამციროს პირის უნარი, სრულფასოვნად მონაწილეობდეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ამიტომ, ის სახელმწიფოებს ავალდებულებს პროაქტიული ზომების მიღებას ამგვარი შეზღუდვების გადასავადებლად ან ასაცილებლად. ეს პრევენციული მიდგომა ხაზს უსვამს სახელმწიფოთა ვალდებულებას, კომპლექსური მხარდაჭერა გაუწიონ ხანდაზმულ მოსახლეობას. ასაკი, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება, ან ინტელექტუალურ შესაძლებლობათა დაქვეითება არ უნდა აფერხებდეს მათ მონაწილეობას საზოგადოებრივ საქმიანობაში, რაც ეფუძნება დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპს. შესაბამისად, ქართის 23-ე მუხლი ხანდაზმულთათვის უზრუნველყოფს ეფექტიან სოციალურ დაცვას (მიუხედავად იმისა, სრულად აქვთ შეზღუდული უნარები, თუ არა; აქტიურები რჩებიან, თუ პენსიაზე არიან; დამოუკიდებლად ცხოვრობენ, თუ დაწესებულებებში), რაც მოიცავს მათ კეთილდღეობას სამუშაო სივრცის მიღმა, ასევე, იმ სფეროებში, რომლებიც არ რეგულირდება ქართის სხვა დებულებებით.

ეს მუხლი შედგება სამი ურთიერთდაკავშირებული ნაწილისგან, რომლებიც განსაზღვრავს ხანდაზმულთა კეთილდღეობისა და ღირსების დასაცავად საჭირო უფლებებს და სახელმწიფო ვალდებულებებს ევროპის მასშტაბით. ის ხელშემკვრელ მხარეებს ავალდებულებს ყოვლისმომცველი სექტორთაშორისი ზომების განვითარებას, რომლებიც პასუხობს ხანდაზმული მოსახლეობის მრავალფეროვან საჭიროებებს ისეთ სფეროებში, როგორიცაა ჯანდაცვა, სოციალური დაცვა, სამედიცინო დახმარება და სიღარიბისა და გარიყვისგან დაცვა.

1. საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება საზოგადოების სრული და აქტიური წევრობისთვის – საცხოვრებელი პირობები და შემოსავლის უსაფრთხოება

ქართის 23-ე მუხლის პირველი ნაწილი ხაზს უსვამს ისეთი პირობების შექმნას, რომლებიც ხანდაზმულ პირებს საშუალებას მისცემს, მაქსიმალურად დიდხანს დარჩნენ აქტიურები და სრულფასოვნად მონაწილეობდნენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ეს მოიცავს ადეკვატური სახსრების (მაგ. პენსიებისა და სოციალური შეღავათების) უზრუნველყოფას, მათ შორის, შემოსავლის იმ დონისა, რომელიც შეესაბამება საზოგადოებრივ სტანდარტებს და აკმაყოფილებს საჭიროებებს,

როგორცაა საცხოვრებელი, კვება, კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობა და ტრანსპორტირება. გარდა ამისა, 23-ე მუხლი სახელმწიფოებს ავალდებულებს მისაწვდომი და გასაგები ინფორმაციის უზრუნველყოფას ხელმისაწვდომ მხარდაჭერის სერვისებსა და მათთან დაკავშირებულ ხარჯებზე, და ამ ინფორმაციის მორგებას ხანდაზმული მოსახლეობის მისაწვდომობისა და გაგების საჭიროებებზე.

2. ავტონომიის, დამოუკიდებლობისა და ცხოვრების წესის არჩევანის ხელშეწყობა – სერვისები

მუხლის მეორე ნაწილით გარანტირებულია ხანდაზმულ პირთა (მათ შორის, ვისაც გარკვეული შეზღუდვები აქვს ავადმყოფობის ან შეზღუდული შესაძლებლობების გამო) უფლება, დამოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილებები საკუთარ ცხოვრებაზე. ეს მოიცავს საცხოვრებელი ადგილისა და ცხოვრების წესის არჩევის თავისუფლებას, რასაც მხარს უნდა უჭერდეს შესაბამისი საცხოვრებელი პირობები და საჭირო სოციალური და ჯანდაცვის სერვისები. მნიშვნელოვანია, სახელმწიფოთა მიერ განვითარებული პოლიტიკა ამყარებდეს ამ არჩევანის თავისუფლებას და გარანტიას აძლევდეს ხანდაზმულ პირებს, რომ მაქსიმალურად დიდხანს შეძლებენ დამოუკიდებლობის შენარჩუნებას მათთვის სასურველ გარემოში.

3. ინსტიტუციებში მყოფ ხანდაზმულთა დაცვა – ინსტიტუციური მზრუნველობა

მუხლის მესამე ნაწილით უზრუნველყოფილია საცხოვრებელ და მოვლის დაწესებულებებში მყოფ ხანდაზმულთა სათანადო მხარდაჭერა, ისეთი ფუნდამენტური უფლებების დაცვით, როგორცაა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, ღირსების დაცვა და მონაწილეობა მათ ცხოვრებაზე გავლენის მქონე გადაწყვეტილებებში. სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება, უზრუნველყონ საკმარისი, ხელმისაწვდომი და რეგულირებული ინსტიტუციური ზრუნვის დაწესებულებები, რომლებიც დაიცავენ ამ უფლებებს და თავიდან აიცილებენ ნებისმიერი სახის ძალადობასა თუ უგულებელყოფას.

გარდა ამისა, დადგენილია, რომ ქარტიის 23-ე მუხლის განხორციელება დინამიკური პროცესია, რაც მას საშუალებას აძლევს, მოერგოს საზოგადოების განვითარებად სტანდარტებსა და აღქმებს ხანდაზმულთა უფლებებისა და საჭიროებების მიმართ. იგი ხელშემკვრელი მხარეებისთვის ქმნის ჩარჩოს ისეთი ზომების მისაღებად, რომლებიც არა მხოლოდ დაიცავს, არამედ გააძლიერებს კიდევ ხანდაზმულ პირებს

და ხელს შეუწყობს მათ სრულფასოვან და თანასწორ ჩართულობას ცხოვრების სხვადასხვა სფეროში.

მიუხედავად დინამიკური ბუნებისა, 23-ე მუხლის ყველა ასპექტის სრულად განხორციელება გამოწვევებს აწყდება. ამას იწვევს, ერთი მხრივ, აღნიშნული დებულების მიღების დაბალი დონე წევრ სახელმწიფოებში (À la carte რატიფიკაციის სისტემის გამო),¹⁴ მეორე მხრივ კი სახელმწიფოთა ეკონომიკური შეზღუდვები ამ ვალდებულების ერთგვაროვნად შესრულების კუთხით, რასაც განაპირობებს დემოგრაფიული ცვლილებები მოსახლეობის დაბერებისკენ და ზოგიერთი სახელმწიფოს უუნარობა, შეაგროვოს შესაბამისი მონაცემები.

სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის საქმიანობამ მნიშვნელოვნად გააფართოვა ქარტიის 23-ე მუხლის თავდაპირველი არეალი, რომელიც კონცენტრირებული იყო ხანდაზმულთა სოციალურ დაცვაზე. კომიტეტმა მასში შეიტანა ელემენტები, რომლებიც კრიტიკულია ხანდაზმულთა ადამიანის უფლებების დასაცავად, თუმცა მუხლის თავდაპირველ ტექსტში პირდაპირ არ იყო აღნიშნული. ეს გაფართოება მოიცავს ახალ კომპონენტთა ინტეგრირებას, მათ შორისაა:

- სრულყოფილი კანონმდებლობის შემუშავება ასაკის ნიშნით დისკრიმინაციასთან ბრძოლისათვის, არა მხოლოდ დასაქმების კონტექსტში, არამედ ისეთ სფეროებშიც, როგორიცაა: წვდომა საქონელსა და მომსახურებებზე (მათ შორის, ჯანდაცვაზე, განათლებაზე, დაზღვევასა და საბანკო პროდუქტებზე), მონაწილეობა პოლიტიკის ფორმირებასა და სამოქალაქო დიალოგში, ასევე, რესურსებისა და სერვისების განაწილება. ამასთან, ის იცავს ხანდაზმულთა სამართლებრივ ქმედუნარიანობას და უზრუნველყოფს გადანაცვლებების მხარდაჭერით მიღების მექანიზმებს (E მუხლის შესაბამისად).¹⁵
- მექანიზმების დანერგვა ხანდაზმულებზე ძალადობის შესაფასებლად და აღმოსაფხვრელად. მათ შორისაა საზოგადოებრივი ცნობიერების

¹⁴ 23-ე მუხლი მიღებული აქვს მხოლოდ 22 ქვეყანას ევროპის საბჭოს 46 წევრი სახელმწიფოდან, აქედან ორს მიღებული აქვს წინამორბედი დებულება— კერძოდ, ქარტიის 1988 წლის დამატებითი ოქმის მე-4 მუხლი. ამის ერთ-ერთი მიზეზი შესაძლოა ისიც იყოს, რომ 23-ე მუხლი არ შეიცავს დანომრილ პუნქტებს, იგი დაყოფილია ტირეების მეშვეობით, რაც გამორიცხავს ნაწილობრივი რატიფიცირების შესაძლებლობას.

¹⁵ ასაკზე დაფუძნებული განსხვავებული მოპყრობა ობიექტურად და გონივრულად უნდა გამართლდეს. ასეთი მოპყრობის დასაშვებობის განხილვისას, სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ ხანდაზმულ პირთა ფიზიკური, ფსიქოლოგიური და ინტელექტუალური შესაძლებლობები.

ასამაღლებელი კამპანიები, საკანონმდებლო ჩარჩოები, ასევე, ინსტიტუციური დაცვის მექანიზმები ხანდაზმულებზე ძალადობის გამოსავლენად და აღსაკვეთად, როგორც ზოგადად საზოგადოებაში, ისე სოციალური დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურებში.

გარდა ამისა, კომიტეტმა შეიმუშავა და გააფართოვა 23-ე მუხლის არსებული ელემენტები:

ადეკვატური სახსრები

კომიტეტი ყურადღებას ამახვილებს სახელმწიფოთა ვალდებულებაზე პოზიტიური ზომების მიღების კუთხით, რათა ხანდაზმულ პირებს ჰქონდეთ საკმარისი შემოსავალი, ასევე, წვდომა სოციალურ შეღავათებზე, და შეეძლოთ ღირსეული ცხოვრება და აქტიური მონაწილეობა საზოგადოებაში. ამ კონტექსტში, კომიტეტი აფასებს სახელმწიფოთა საპენსიო სისტემებს (როგორც დაგროვებითს, ისე არადაგროვებითს), დამატებით ფინანსურ დახმარებას (მაგალითად, ფულად შეღავათებსა ან ვაუჩერებს) და სიღარიბის დონეს ხანდაზმულთა შორის. შემდეგ ამ სახსრების ერთობლიობას ადარებს ეროვნულ შემოსავალს და სიღარიბის მაჩვენებელს (მაგალითად, წმინდა მედიანურ გათანაბრებულ შემოსავალს)¹⁶ და აფასებს მათ საკმარისობას.¹⁷ კომიტეტის თანახმად, პენსიები და სხვა სახელმწიფო შეღავათები უნდა იყოს საკმარისი ოდენობის, რათა ხანდაზმულ პირებს შეეძლოთ „ღირსეული ცხოვრება“ და აქტიური მონაწილეობა საზოგადოებრივ, სოციალურ თუ კულტურულ ცხოვრებაში. ამ მიზნით, ECSR პენსიებს (რომლებიც უნდა ებმოდეს შრომის ანაზღაურებისა და სამომხმარებლო ფასების მონიტორინგის ინდექსებს) ადარებს საშუალო ხელფასებსა და საარსებო მინიმუმს.

ინფორმაცია, სერვისები და დაწესებულებები

სახელმწიფოებმა ხანდაზმული პირებისთვის უნდა უზრუნველყონ ხელმისაწვდომი ინფორმაცია (ყველა შესაძლო საშუალებით, რომლებიც მორგებულია მათ საჭიროებებზე, და მათთვის გასაგები ენით) და შეაფასონ, რეალურად მიიღეს თუ არა ეს ინფორმაცია ადრესატებმა. ამასთან, კომიტეტი აფასებს სხვადასხვა

16 23-ე მუხლი მოითხოვს, რომ მინიმალური შემოსავლის სარგებელი შეადგენდეს ქვეყნის წმინდა მედიანური გათანაბრებული შემოსავლის, სულ მცირე, 50%-ს.

17 23-ე მუხლში გამოყენებული ტერმინი "ადეკვატური სახსრები" განმარტებულია ქართლის სხვა მუხლებზე (მაგ. 12(3) და 13) მითითებით, რაც უზრუნველყოფს სოციალური დაცვისა და დახმარების ზომების თანმიმდევრულობას სხვადასხვა დებულებაში. სოციალური დახმარება განამტკიცებს 23-ე მუხლის ფარგლებში უზრუნველყოფილ დაცვას, მისი დუბლირების გარეშე.

სერვისის ხელმისაწვდომობას, მასშტაბსა და ხარჯთეფექტიანობას. მათ შორისაა: შინმოვლის სერვისები; საზოგადოებრივი მომსახურებები; დემენციით დაავადებულ პაციენტთა დღის ცენტრები; რეაბილიტაცია; კვების მიწოდების სერვისები; რეზიდენტული ზრუნვის დაწესებულებები და გადაუდებელი საჭიროების თავშესაფრები; კულტურული, გასართობი და საგანმანათლებლო პროგრამები. ECSR-ის განმარტებით, ხანდაზმულებს უფლება აქვთ, ეს სერვისები სახელმწიფოსგან მოითხოვონ პროგრესული რეალიზების პრინციპის შესაბამისად (იხ. ზემოთ), მაშინ, როცა თანასწორი წვდომა სერვისებზე განიხილება დაუყოვნებლივ შესასრულებელ ვალდებულებად. ასეთი ფართო ინტერპრეტაცია ხაზს უსვამს ხანდაზმულთა გაძლიერებისა და პრაქტიკული მხარდაჭერის მნიშვნელობას მათი დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის.

ჯანდაცვა

კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ჯანდაცვა არ შემოიფარგლება მხოლოდ საბაზისო სამედიცინო მომსახურებით, იგი მოიცავს სპეციალიზებულ სერვისებსაც, როგორიცაა: ფსიქიკური ჯანმრთელობის პროგრამები; პალიატიური მზრუნველობა; და სპეციალური ტრენინგები მოვლის სფეროში დასაქმებულ პირთათვის. გარდა ამისა, კომიტეტი ყურადღებას ამახვილებს საჭიროებაზე, რომ გაუმჯობესდეს გერიატრიული და გრძელვადიანი მოვლის ხელმისაწვდომობა და ხარისხი, ასევე, სოციალური და სამედიცინო სერვისების კოორდინირებული მუშაობა ხანდაზმულთა საჭიროებებზე მორგებულ გარემოში. კომიტეტი სახელმწიფოებს მოუწოდებს, გააუმჯობესონ ჯანდაცვის სერვისები ხანდაზმულ პირთა სპეციალური საჭიროებების გათვალისწინებით, ასევე, უზრუნველყონ მათი ხელმისაწვდომობა, ხარისხი და საამისოდ საჭირო რესურსები, უსაფუძვლო ბარიერების გარეშე. ამ კონტექსტში, კომიტეტი ყურადღებით განიხილავს მოვლის ხარჯებს, განსაკუთრებით, შინმოვლისა და ფარმაცევტული პროდუქტების ღირებულებას, რათა დარწმუნდეს, რომ ეს ხარჯები არ წარმოშობს გადამეტებულ ფინანსურ ტვირთს, რომელმაც შეიძლება შეაფერხოს ხანდაზმულთა სრულფასოვანი მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ჯანდაცვის სერვისები უნდა იყოს საცხოვრებელ ადგილთან ახლოს, ან მიეწოდებოდეს შინ, და ხანდაზმულ პირებთან კონსულტაცია უნდა გაიარონ მათ მოვლასა და მკურნალობასთან დაკავშირებულ ყველა გადაწყვეტილებაზე.

საცხოვრებელი

კომიტეტი ხაზს უსვამს ხანდაზმულთა უფლებას შესაბამის საცხოვრებელზე,

რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს მათი ჯანმრთელობის საჭიროებებს. კომიტეტი სახელმწიფოებს მოუწოდებს ისეთი პოლიტიკის დანერგვას, რომელიც ხელს შეუწყობს „ადგილზე დაბერებას“ (ageing in place). ეს გულისხმობს საცხოვრებლის ადაპტირებას და ფინანსური დახმარების გაწევას სახლის მოდიფიცირებისთვის, რადგან ადგილის შეცვლა ხშირად არ არის სიცოცხლისუნარიანი ალტერნატივა ხანდაზმულ პირთა „ბუნებრივ“ გარემოსთან დაშორების გამო. მიუხედავად იმისა, რომ სათანადო საცხოვრებლის ხელმისაწვდომობა უნდა განიხილებოდეს პროგრესულად განსახორციელებელ უფლებად, სახელმწიფოები ვალდებული არიან, გონივრულ ვადებში მიაღწიონ ხელშესახებ პროგრესს და მაქსიმალურად ეფექტიანად გამოიყენონ ფინანსური რესურსები. ამ პროცესში მოიაზრება საჭიროებებისა და რესურსების სტატისტიკური აღრიცხვა; პოლიტიკის გავლენის რეგულარულად შეფასება; ვადების დაწესება მიზნების მისაღწევად; და მოწყვლად ხანდაზმულებზე პოლიტიკის გავლენის შეფასება. გარდა ამისა, საცხოვრებელზე წვდომის მისაღებად, უნდა დაწესდეს ლოდინის გონივრული ვადები, თუმცა გადამეტებული პერიოდის გატარება დროებით თავშესაფრებში ქარტიის დარღვევად ითვლება.

ინსტიტუციური ზრუნვა

კომიტეტი აღიარებს, რომ ინსტიტუციურ გარემოში მცხოვრებ ხანდაზმულებს უნიკალური საჭიროებები აქვთ და აქცენტს აკეთებს ინსტიტუციური ზრუნვის ხელმისაწვდომობაზეც და ხარისხზეც. ხელმისაწვდომობა უკავშირდება საწოლების ან ინსტიტუციური დაწესებულებების (საზოგადოებრივი იქნება, თუ კერძო) საკმარის რაოდენობას, მოლოდინის პერიოდებსა და სიებს, მომსახურების ხელმისაწვდომობასა და ხარჯებს,¹⁸ ასევე, სპეციალიზებულ დაწესებულებათა არსებობას; ხარისხი კი უკავშირდება პროფესიონალიზმს და ზრუნვის დაწესებულებათა კონტროლს, მაგალითად, ლიცენზირებას, პერსონალის კვალიფიკაციისა და ხელფასების რეგულირებას, ასევე, დამოუკიდებელი ინსპექციის სისტემებისა და საჩივრების მექანიზმების არსებობას.

კომიტეტი მიუთითებს, რომ ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის უფლება და დამოუკიდებელი ინსპექციის სისტემების არსებობა ინსტიტუციურ ზრუნვაში

¹⁸ კომიტეტმა მიიჩნია, რომ მუნიციპალიტეტთა თვითნებური პრაქტიკა მზრუნველობითი დახმარების განაწილებასთან დაკავშირებით, ასევე, ზრუნვის დაწესებულებებზე წვდომისთვის დაწესებული ზედმეტად მაღალი გადასახადები, რომლებიც ხშირად აღემატება პენსიის ოდენობას, ეწინააღმდეგება ქარტიის 23-ე მუხლს. იხილეთ სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის გადაწყვეტილებები საქმის არსებით მხარეზე, შემდეგი საჩივრების ფარგლებში: № 70/2011 და № 71/2011, The Central Association of Carers in Finland v. Finland.

დაუყოვნებლივ შესასრულებელ ვალდებულებად განიხილება. მისივე შეფასებით, არასახელმწიფოებრივი ინსტიტუციური სერვისებიც უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს. კომიტეტი ხელს უწყობს თემზე დაფუძნებულ ალტერნატიულ მომსახურებათა განვითარებასაც (სადაც ეს შესაძლებელია), მაგრამ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ინსტიტუციური ზრუნვა პატივს უნდა სცემდეს ხანდაზმულთა ავტონომიას, პირად ცხოვრებას¹⁹ და ცხოვრების ხარისხს. და ბოლოს, სახელმწიფოები ვალდებული არიან, ინსტიტუციებში მცხოვრებ ხანდაზმულ პირებს მისცენ მათ საცხოვრებელ პირობებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებში მონაწილეობის შესაძლებლობა. ეს მოიცავს ზომებს, რომლებიც ხანდაზმულ პირებს რეალურად ჩართავს მათ ყოველდღიურ ცხოვრებაზე მოქმედ გადაწყვეტილებებში ინსტიტუციურ გარემოში.

შესაბამისად, 23-ე მუხლის განხილვისას კომიტეტი აფასებს შვიდ ძირითად კატეგორიას: სამართლებრივი ჩარჩო; ხანდაზმულთა მიმართ ძალადობის პრევენცია; ადეკვატური სახსრები; ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და სერვისები; ჯანდაცვის სერვისები; საცხოვრებელი პირობები; და ინსტიტუციური ზრუნვის ხარისხი. თითოეული კატეგორია დეტალურად განიხილება, ხოლო სახელმწიფოთა მიერ ვალდებულების შესრულება შეფასდება საერთაშორისო ნორმებსა და შედარებით მონაცემებზე დაყრდნობით, ქარტიის ისეთ პრინციპებთან შესაბამისობისათვის, როგორიცაა: ღირსება, ავტონომია, თანასწორობა, სოლიდარობა და ხანდაზმულთა სრულფასოვანი მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ქარტიის განმარტებისას კომიტეტი იყენებს უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომას, რომელიც უპირისპირდება ასაკობრივ სტერეოტიპებს და ხელს უწყობს ხანდაზმულთა მხარდამჭერი კომპლექსური პოლიტიკის ფორმირებას. განსაკუთრებით კოლექტიური საჩივრების განხილვისას, კომიტეტმა არაერთხელ უარყო სტერეოტიპები, რომლებიც ხანდაზმულობას მოწყვლადობასთან აიგივებს. მან დაიცვა ხანდაზმულთა უფლებები და დაუპირისპირდა უარყოფით საზოგადოებრივ აღქმებს, რომლებიც ხანდაზმულობას ბუნებრივად არასრულფასოვან მდგომარეობად წარმოაჩენს.²⁰ და ბოლოს, კომიტეტი სახელმწიფოებს მოუწოდებს

19 ხანდაზმულ პირთა დაწესებულებებში პირადი ცხოვრების დაცვის მასშტაბის განსაზღვრისას, კომიტეტს შეუძლია, დაეყრდნოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს, განსაკუთრებით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლს, რომელიც იცავს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას და მოიცავს სახელმწიფოს როგორც ნეგატიურ (ჩაურევლობის მოთხოვნა), ასევე პოზიტიურ (პირადი ცხოვრების ეფექტიანად დაცვა) ვალდებულებებს.

20 იხილეთ სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის გადაწყვეტილებები საქმის არსებით მხარეზე: № 165/2018, Panhellenic Association of Pensioners of the OTE Group, № 210/2022, International Federation of Associations of the Elderly (FIAPA) v. France.

ეიჯიზმის საწინააღმდეგო ყოვლისმომცველი ზომების მიღებას, რომლებიც სცდება საკანონმდებლო ჩარჩოს ფარგლებს.²¹ მათ შორისაა:

- არსებული კანონებისა და პოლიტიკის გადახედვა და ასაკის ნიშნით დისკრიმინაციის აღმოფხვრა;
- სამოქმედო გეგმების შემუშავება, რომლებიც ხანდაზმულ პირებს უზრუნველყოფს თანასწორი შესაძლებლობებითა და უფლებებით;
- დადებითი დამოკიდებულების გაძლიერება ხანდაზმულობის მიმართ, ფართომასშტაბიანი ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიებითა და თაობათაშორისი სოლიდარობის ხელშეწყობით.

დასკვნის სახით, აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა სასამართლოსგან განსხვავებით, რომელიც, ძირითადად, ინდივიდუალური საჩივრების განხილვაზეა ორიენტირებული და არა ფართომასშტაბიან სოციალურ საკითხებზე,²² ECSR-ის მრავალმხრივი მიდგომა ქარტიის 23-ე მუხლის მიმართ უზრუნველყოფს სახელმწიფოთა ძალისხმევის ყოვლისმომცველ შეფასებას ხანდაზმულთა უფლებების დაცვის კუთხით. მიუხედავად იმისა, რომ კომიტეტი აღიარებს ფინანსურ და კულტურულ განსხვავებებს სახელმწიფოთა შორის, ასევე, პოლიტიკისა და პრიორიტეტების განსაზღვრის განსხვავებულ მეთოდებს, ის მაინც ინარჩუნებს მკაცრ სტანდარტებს და ითხოვს ხანდაზმულებზე მზრუნველობის პოლიტიკისა და პრაქტიკის უწყვეტ გაუმჯობესებას. თავისი საქმიანობის ფარგლებში, ECSR არა მხოლოდ აკვირდება ვალდებულებების შესრულებას სახელმწიფოთა მიერ, არამედ რეკომენდაციებსაც იძლევა გაუმჯობესებაზე და ზრდის მათ ცნობიერებას და ანგარიშვალდებულებას ხანდაზმულთა სოციალურ და ეკონომიკურ უფლებებთან დაკავშირებით. კომიტეტის დეტალური შეფასებებისა და რეკომენდაციების მიზანია ხანდაზმულთა უფლებების გაძლიერება და უფრო მკაფიო ნორმებისა და შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბება ხელშემკვრელი სახელმწიფოებისთვის, რათა სათანადოდ შეასრულონ თავიანთი სამართლებრივი ვალდებულებები.

21 იბ. ევროპის საბჭოს (CoE) სოციალურ უფლებათა კომიტეტის განმარტებითი განცხადება 23-ე მუხლის შესახებ (ხანდაზმულ პირთა სოციალური დაცვის უფლება) – ეიჯიზმი, 2021: ECSR Statement of Interpretation on Article 23 – Ageism, 2021.

22 იბ. მაგ., ECtHR, Case Dodov v. Bulgaria (2008), საჩივარი no. 59548/00; Case Farbtuhs v. Latvia (2004), Application no. 4672/02.

2.1.4 ევროპის სოციალური ქარტიის სხვა მუხლები

ამავდროულად, მნიშვნელოვანია, 23-ე მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულთა უფლებების დაცვა განიხილებოდეს ქარტიით უზრუნველყოფილ სხვა გარანტიებთან ერთად, რომლებიც ასევე ხანდაზმულ პირებზე ვრცელდება და მიზნად ისახავს მათ სრულფასოვან მოქალაქეობას საზოგადოებაში, როგორც გაანალიზებულია შემდეგ გვერდებზე. 23-ე მუხლის კავშირი ქარტიის სხვა დებულებებთან ხაზს უსვამს ინტეგრირებული მიდგომის აუცილებლობას, რათა ხანდაზმულ პირებს გაეწიოთ მათ საჭიროებებზე მორგებული და მიზნობრივი მხარდაჭერა. ამ დებულებათა საერთო მიზანია ხანდაზმულთა ღირსებისა და ავტონომიის დაცვა და საზოგადოებაში ჩართვა, რაც ასახავს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კანონმდებლობის განვითარებად სტანდარტებსა და ვალდებულებებს.

შრომა, პროფესიული ორიენტაცია და ტრენინგი

ხანდაზმულთა შრომის უფლება დაცულია ევროპის სოციალური ქარტიის პირველი მუხლით²³ და განიხილება ფუნდამენტურ უფლებად, რომლის დაცვა სავალდებულოა ყველა ხელშემკვრელი სახელმწიფოსთვის. ამ მუხლში გათვალისწინებულია როგორც ნეგატიური, ისე პოზიტიური ვალდებულებები, რომლებიც უკავშირდება სამუშაოს არჩევის თავისუფლებას, იძულებითი შრომისგან დაცვას, პროფესიულ მომზადებასა თუ გადამზადებას და დასაქმების ხელშეწყობას. გარდა ამისა, სახელმწიფოები ვალდებული არიან, გაზარდონ დასაქმების მაჩვენებლები ისეთი ეკონომიკური პოლიტიკის დანერგვით, რომელიც ხელს შეუწყობს სამუშაო ადგილების შექმნას, და ისეთი ზომების გატარებით, რომლებიც უმუშევარ პირებს დაეხმარება დასაქმებასა თუ კვალიფიკაციის ამაღლებაში.

1(1) მუხლი ხაზს უსვამს დასაქმების მაღალი მაჩვენებლების მიღწევის პოლიტიკურ მიზანს და საგანგებოდ აღნიშნავს, რომ დასაქმების ხელშეწყობის სტრატეგიები აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს ხანდაზმულ მუშაკებს. მათი გამორიცხვა ამ სტრატეგიებიდან ობიექტური მიზეზის გარეშე, შესაძლოა, ქარტიის დარღვევად შეფასდეს. ქარტიასთან შესაბამისობის შესაფასებლად, ECSR-მა შეიმუშავა დეტალური ინდიკატორები, მათ შორის, შრომის ბაზარზე მონაწილეობის მაჩვენებლები მოწყვლადი ჯგუფებისთვის, როგორებიც არიან ხანდაზმულები და

23 საქართველოს მიღებული აქვს.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები.

ევროპის სოციალური ქარტიის 1(2) მუხლი ირიბად კრძალავს იძულებით ან სავალდებულო შრომას; ასევე, მიუთითებს, რომ ხანდაზმული მუშაკები არ უნდა დაისაჯონ სამუშაო შეთავაზებაზე უარის გამო, თუ მათგან მოითხოვება ისეთი ფიზიკური ან გონებრივი უნარები, რომლებიც ასაკის გამო აღარ აქვთ. ეფექტიანი ანტიდისკრიმინაციული ზომები უნდა უზრუნველყოფდეს წვდომას დასაქმების თანასწორ შესაძლებლობებზე და აღკვეთდეს ხანდაზმულ მუშაკთა ირიბ გამორიცხვას დასაქმების სამსახურების მიერ. ასაკის ნიშნით დისკრიმინაციის აკრძალვას აძლიერებს ქარტიის 24-ე მუხლი,²⁴ რომელიც შეეხება დასაქმებულთა დაცვას უკანონო გათავისუფლებისგან. 24-ე მუხლის თანახმად, გათავისუფლება უნდა იყოს დასაბუთებული და გამართლებული, განსაკუთრებით, ასაკობრივი დისკრიმინაციის კონტექსტში, რომელიც ხშირად ვლინდება პენსიაზე იძულებითი გასვლის პრაქტიკით. 1(2) და 24 მუხლების მიზანია ისეთი განსხვავებული მოპყრობის აცილება დასაქმებაში, რომელიც არ ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს და არაპროპორციულ გავლენას ახდენს ხანდაზმულებზე.

სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი მკაცრი კრიტერიუმით ადგენს დისკრიმინაციას, ყურადღებას ამახვილებს რა შესაძარებელ სიტუაციებსა და ლეგიტიმურ მიზნებზე. ECSR-ის თანახმად, ასაკის ნიშნით გათავისუფლება სამსახურიდან, როგორიცაა სავალდებულო პენსიაზე გასვლის პოლიტიკა, შესაძლოა, ქარტიის 24-ე მუხლის დარღვევად ჩაითვალოს, თუ არ არის გამართლებული ლეგიტიმური საფუძვლებით, როგორიცაა: სამუშაოს შესრულების უნარი, ქცევა, ან ოპერაციული საჭიროებები. კომიტეტი ერთმანეთისგან განარჩევს დამსაქმებლის მიერ ინიცირებულ პენსიაზე გაშვებას და კანონით დადგენილ სავალდებულო პენსიაზე გასვლას: თუ დამსაქმებელი ინიციატივას თავად იღებს და თანამშრომელს ასაკის გამო ათავისუფლებს სამსახურიდან, ეს ქარტიის 24-ე მუხლის ფარგლებში ექცევა და შესაძლოა, დისკრიმინაციად შეფასდეს, მაგრამ თუ სახელმწიფო კანონით განსაზღვრავს პენსიაზე გასვლის ასაკს და გადაწყვეტილება არ არის მიღებული დამსაქმებლის შეხედულებისამებრ, 24-ე მუხლი არ ირღვევა. მაგალითად,²⁵ ECSR-მა დაადგინა, რომ მეზღვაურთა სამსახურიდან გათავისუფლება მხოლოდ იმის გამო, რომ 62 წლის ასაკს მიაღწიეს, ასაკის ნიშნით დისკრიმინაციაა. კომიტეტმა

²⁴ საქართველოს არ მიუღია.

²⁵ იხ. კომიტეტის გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, საჩივარი No. 74/2011, Fellesforbundet for Sjøfolk v. Norway.

ხაზგასმით აღნიშნა, რომ სამსახურიდან გასათავისუფლებლად უნდა არსებობდეს დასაბუთებული არგუმენტები, რომლებიც უკავშირდება თანამშრომლის უნარს ან ქცევას, ანდა სამუშაოს ოპერაციულ საჭიროებებს.

ქართის 1(4) მუხლი, ერთობლიობაში მე-9 (პროფესიული ორიენტაცია),²⁶ მე-10 (პროფესიული მომზადება)²⁷ და მე-15 (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები)²⁸ მუხლებთან, ხაზს უსვამს პროფესიული ორიენტაციის, მომზადება-გადამზადებისა და რეაბილიტაციის მნიშვნელობას ხანდაზმული მუშაკებისთვის. ეს პროცესები მათ ეხმარება, რომ შეინარჩუნონ სამუშაო ადგილები, განავითარონ კარიერული შესაძლებლობები, აითვისონ ახალი როლი და შეინარჩუნონ კონკურენტუნარიანობა შრომის ბაზარზე (მაგალითად, ელექტრონული უნარების გაუმჯობესებით). გარდა ამისა, შესაძლებელია ქართის მე-20²⁹ (გენდერული თანასწორობა) და 27-ე³⁰ (ოჯახური ვალდებულებების მქონე დასაქმებულთა მხარდაჭერა) მუხლების გაერთიანება ზემოაღნიშნულ დებულებებთან, რათა პროფესიული გადამზადების პოლიტიკა ითვალისწინებდეს გენდერულ თანასწორობას და ოჯახური ვალდებულებების მქონე მუშაკთა მხარდაჭერას, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს თანაბარ შესაძლებლობებს.

განგრძობითი პროფესიული მომზადება მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამუშაო ძალის აქტიური სიბერის მხარდაჭერაში, ასევე, იმ დემოგრაფიულ ცვლილებათა მართვაში, რომლებიც გავლენას ახდენს შრომის ბაზარზე. ამიტომ, ქართის ეს მუხლები ერთობლივად უწყობს ხელს ადამიანური რესურსების განვითარებას, რათა შრომის ბაზრის მოთხოვნები შეესაბამებოდეს ინდივიდუალურ შესაძლებლობებს. თანაბარი წვდომა ამ სერვისებზე გადამწყვეტია იმისთვის, რომ ხანდაზმულმა დასაქმებულებმა შეძლონ შრომის ბაზრის ცვლილებებთან ადაპტირება და სამუშაო შესაძლებლობების გაუმჯობესება. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ პროფესიული მომზადებისა და გადამზადების სერვისები იყოს ხელმისაწვდომი და ხარისხიანი, რათა მაქსიმალურად გაძლიერდეს ხანდაზმულთა სოციალური ინტეგრაცია და დამოუკიდებლობა. ქართის სხვადასხვა მუხლის

26 საქართველოს არ მიუღია.

27 პუნქტები 1 და 3 (რომლებიც განსაკუთრებით აქტუალურია ხანდაზმული პირებისთვის), ასევე, პუნქტი 5, საქართველოს არ მიუღია. პუნქტები 2 და 4 საქართველოს მიღებული აქვს.

28 მე-15 მუხლის სამი პუნქტიდან საქართველომ მხოლოდ მე-3 მიიღო.

29 საქართველოს მიღებული აქვს.

30 საქართველოს მიღებული აქვს.

ასეთი ურთიერთკავშირი ხაზგასმით აჩვენებს, რომ ხანდაზმულ მუშაკთა უნარების განვითარება და კარიერული ზრდის მხარდაჭერა საჭიროებს ყოვლისმომცველ და კოორდინირებულ მიდგომას.

სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი ქართვის ამ მუხლების შესრულებას კონკრეტული კრიტერიუმებით აფასებს, რათა დაადგინოს, ხომ არ აწყდებიან ხანდაზმული მუშაკები ბარიერებს დასაქმების შესაძლებლობის, პროფესიული მომზადების, ან სხვა მხარდამჭერი სერვისების ხელმისაწვდომობის კუთხით. კომიტეტი ხაზს უსვამს საჭიროებას, რომ პროფესიული ორიენტაციის პროგრამები მოერგოს მოწყვლადი ჯგუფების, მათ შორის, ხანდაზმულების საჭიროებებს. გარდა ამისა, ECSR ყურადღებას ამახვილებს პროფესიული ორიენტაციის სპეციალიზებულ ინიციატივებზე, რომელთა მიზანია სენსიტიური ჯგუფების, განსაკუთრებით, ხანდაზმულების საჭიროებათა დაკმაყოფილება. კომიტეტი ასევე აფასებს სახელმწიფოთა რეაგირებას ეკონომიკურ ცვლილებებზე, მათი პროფესიული ორიენტაციის სტრატეგიათა ფარგლებში. საკითხები, როგორიცაა არათანაბარი წვდომა ან დისკრიმინაციული პრაქტიკა, შეიძლება ქართვის დარღვევად შეფასდეს და ხელშემკვრელი მხარეებისგან მოითხოვს გამოსასწორებელი ზომების მიღებას. ამ ვალდებულებების შესრულება რთული პროცესია და საჭიროებს დროს, სტრუქტურულ პოლიტიკას, ადმინისტრაციულ ინფრასტრუქტურას, საბიუჯეტო რესურსებს და ყოვლისმომცველ ქმედებებს, რომლებიც მოერგება თითოეული ქვეყნის სპეციფიკურ საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. ქარტია არ ადგენს კონკრეტულმეთოდებსანორგანიზაციულსტრუქტურებსპროფესიულიორიენტაციის სერვისებისთვის, რაც სახელმწიფოებს მოქნილობას ანიჭებს მათი პოლიტიკის შემუშავება-განხორციელების პროცესში. სახელმწიფოები არ არიან ვალდებულნი, დაუყოვნებლივ მიაღწიონ ქარტიაში აღწერილ პროფესიული კონსულტაციის უმაღლეს სტანდარტებს, თუმცა მათ პროგრესულად და თანმიმდევრულად უნდა იმოქმედონ. ასეთმა მიდგომამ უნდა აიცილოს პროფესიული კონსულტაციის ხარისხისა და ხელმისაწვდომობის შემცირება (რეგრესის პრევენცია) და დაიცვას მინიმალური სტანდარტები, როგორიცაა: ეფექტიანი კოორდინაცია სახელმწიფო და კერძო სექტორებს შორის; ადეკვატური საბიუჯეტო სახსრების გამოყოფა; საკმარისი ოდენობის კვალიფიციური პერსონალის უზრუნველყოფა; მიზნობრივი ჯგუფების ინფორმირებისა და ჩართულობის ხელშეწყობა.

როგორც ამ ანგარიშის სხვა ნაწილებშია განხილული, საზღვრების დადგენის

მიზნით,³¹ ქარტიის მე-2,³² მე-3³³ და მე-4³⁴ მუხლები იცავს შრომის ფუნდამენტურ უფლებებს, როგორიცაა სამართლიანი სამუშაო პირობები, უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო პირობები და სამართლიანი ანაზღაურება. ეს უფლებები განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ხანდაზმულ მუშაკთა ღირსებისა და კეთილდღეობის დასაცავად.

სოციალური დაცვა, სოციალური და სამედიცინო დახმარება და სოციალური სერვისები

ევროპის სოციალური ქარტიის მე-12 მუხლით³⁵ გარანტირებულია სოციალური დაცვის უფლება, ფართო გაგებით, რომელიც მოიცავს სოციალური დაცვის სისტემის შექმნა-შენარჩუნებას, მინიმალური შეღავათების განსაზღვრას და მათ თანდათანობით გაუმჯობესებას დროთა განმავლობაში. გარდა ამისა, მე-12 მუხლი, სოციალური დაცვის კუთხით, თანასწორ მოპყრობას და თანაბარ უფლებებს უზრუნველყოფს ქარტიის ხელშემკვრელი სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქისთვის. ამ მუხლთან შესაბამისობას ECSR აფასებს ისეთი საკითხების შესწავლით, როგორიცაა მოცული მოსახლეობის მასშტაბი, რისკების მართვის მექანიზმები, შეღავათების დონე და სოციალური უზრუნველყოფის სისტემის დაფინანსების წყაროები. კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს პრევენციულ ზომებზე, რათა დამსაქმებელმა თავი არ აარიდოს სოციალური უზრუნველყოფის შენატანების გადახდას; ასევე, ხაზს უსვამს არაფორმალური დასაქმების შემცირების მნიშვნელობას სოციალური უზრუნველყოფის სისტემის მდგრადობისათვის.

მე-12 მუხლი მოითხოვს ყოვლისმომცველი სოციალური დაცვის სისტემის არსებობას, რომელიც ფარავს ისეთ სოციალურ რისკებს, როგორიცაა უმუშევრობა, ავადმყოფობა, ჯანდაცვა, სიბერე, მშობიარობა, საწარმოო ტრავმა, დახმარება ოჯახის წევრებისთვის, შეზღუდული შესაძლებლობა და დახმარება გარდაცვლილთა ოჯახის წევრებისთვის. ეს სისტემა ფუნქციონირებს სოციალური დაზღვევის პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს ინდივიდების, დამსაქმებლებისა და

31 დეტალური ინფორმაციისთვის, იხილეთ: M. Smusz-Kulesza, "საქართველოში სოციალურ უფლებებთან დაკავშირებულ საჭიროებათა შეფასება", ანგარიში მომზადდა ევროპის საბჭოს პროექტის ფარგლებში: „სოციალური და ეკონომიკური უფლებების განმტკიცება საქართველოში“, 10 ნოემბერი 2021., <https://rm.coe.int/needs-assessment-report-eng/1680a4af29>.

32 საქართველოს ნაწილობრივ აქვს მიღებული.

33 საქართველოს არ მიუღია.

34 საქართველოს ნაწილობრივ აქვს მიღებული.

35 მე-12 მუხლის ოთხი პუნქტიდან საქართველოს მიღებული აქვს მხოლოდ 1-ლი და მე-3.

სახელმწიფოს ერთობლივ ფინანსურ მონაწილეობას. სოციალური უზრუნველყოფა გონივრულად უნდა ანაცვლებდეს დაკარგულ შემოსავალს და არ იყოს წმინდა მედიანური გათანაბრებული შემოსავლის 50%-ზე ნაკლები, სიღარიბის ასარიდებლად. უმუშევრობის დახმარება უნდა გაიცეს გონივრულ ვადაში, ხოლო მიმღებებს უნდა შეეძლოთ, გარკვეული დროის განმავლობაში უარი თქვან მათი კვალიფიკაციისთვის შეუფერებელ სამუშაო შეთავაზებებზე, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხანდაზმული მუშაკებისთვის.

მე-12 მუხლი სახელმწიფოებს აკისრებს „დინამიკურ ვალდებულებას“, მუდმივად აუმჯობესებდნენ სოციალური დაცვის სისტემებს. ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფოები უწყვეტ ძალისხმევას უნდა აჩვენებდნენ ამ სისტემათა გასაძლიერებლად, სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი კი აკვირდებოდა, ხომ არ შეინიშნება რეგრესი სოციალური დაცვის უფლებათა განხორციელებაში. კომიტეტი ყურადღებას ამახვილებს ისეთ ცვლილებებზეც, როგორიცაა საპენსიო სისტემების რეფორმირება, ან ჯანდაცვის ანაზღაურების შემცირება. ევროპის სოციალური ქარტიის დამატებითი ოქმის განმარტებით ანგარიშში ხაზგასმულია, რომ მე-12 მუხლის გამოყენება შესაძლებელია 23-ე მუხლის ინტერპრეტაციისთვისაც, თუმცა მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში.³⁶ ეს მიანიშნებს ამ ორი მუხლის ფუნქციურ გადაკვეთაზე, სადაც მე-12 მუხლი მოიცავს უფრო კონკრეტულ დაცვას, რომელმაც შეიძლება ხელი შეუწყოს 23-ე მუხლით გათვალისწინებულ ფართო უფლებათა ვიწროდ განსაზღვრას.

ევროპის სოციალური ქარტიის მე-13³⁷ მუხლით გარანტირებულია სოციალური და სამედიცინო დახმარების უფლება - ყველასთვის, ვისაც ის ესაჭიროება, ხანდაზმულ პირთა ჩათვლით, რომელთა საჭიროებებსაც შესაძლოა სრულად ვერ ფარავდეს საპენსიო შეღავათები. სოციალური დახმარება განსხვავდება სოციალური დაზღვევისგან, რადგან ეს სარგებელი ეფუძნება საჭიროებებს და ხელმისაწვდომია გადახდისუნარიანობის შეფასებით, ხოლო სოციალური დაზღვევის შეღავათები, როგორც წესი, მოიცავს შენატანებზე დაფუძნებულ მექანიზმებს. სოციალური დახმარება უზრუნველყოფს ფულად დახმარებას, როდესაც სოციალური დაზღვევის სარგებელი არასაკმარისია, ან არ ვრცელდება შესაბამის პირებზე. ის ფინანსდება საერთო გადასახადებიდან და მიზნად ისახავს ძირითად საჭიროებათა

36 ევროპის სოციალური ქარტიის დამატებითი ოქმის განმარტებითი ანგარიში, სტრასბურგი, 5 მაისი 1988, ETS № 128, <https://rm.coe.int/16800cb346>.

37 საქართველოს არ მიუღია.

დაკმაყოფილებას, რომლებსაც ბაზრის მექანიზმები ვერ ფარავს, განსაკუთრებით, შეზღუდული მსყიდველუნარიანობის გამო. დახმარება შეიძლება გაიცეს როგორც ფულადი, ისე არაფულადი სახით და არ არის დამოკიდებული წარსულში გაკეთებულ შენატანებზე. ის უზრუნველყოფს საარსებო სახსრებს, განსაკუთრებით, გადაუდებელ სიტუაციებში. სამედიცინო დახმარება მოიცავს არასასწრაფო სამედიცინო დახმარებასაც. თუ პაციენტს მკურნალობაზე უარს ეუბნებიან მხოლოდ დაავადების სიმძიმის საფუძველზე, ეს შესაძლოა ქარტიის მე-13 მუხლის დარღვევად ჩაითვალოს და ეწინააღმდეგებოდეს თანასწორობის უფლებას, განსაკუთრებით, ხანდაზმულ პირთა კონტექსტში.

სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ სოციალურ და სამედიცინო დახმარებაზე წვდომა იყოს გარანტირებული და სამართლებრივად აღსრულებადი უფლება. ეს მოიცავს ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების უფლებას და, საჭიროების შემთხვევაში, უფასო იურიდიული დახმარების მიღებას. მე-13 მუხლის თანახმად, სოციალური დახმარების მიღების უფლება უნდა ემყარებოდეს მხოლოდ ეკონომიკურ საჭიროებას და რესურსების ნაკლებობას, დამატებითი პირობების გარეშე, როგორიცაა, მაგალითად, კონკრეტულ ქვეყანაში ცხოვრების ხანგრძლივობა. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ყველა კვალიფიციური პირი, უცხო ქვეყნის მოქალაქეთა ჩათვლით, რომლებიც ლეგალურად ცხოვრობენ ან მუშაობენ მათ ტერიტორიაზე, ინფორმირებული იყოს თავის უფლებებზე და თავისუფლად ახერხებდეს მათ რეალიზებას. დისკრიმინაციული პრაქტიკა, მათ შორის, ქვეყანაში ცხოვრების ხანგრძლივობასა ან ასაკზე დაფუძნებული შეზღუდვები კრიტერიუმები, ყურადღებით მონმდება ქარტიასთან შესაბამისობის კუთხით. მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოები ანგარიშვალდებულნი არიან მაშინაც, როცა სოციალური დახმარება დეცენტრალიზებულია და მისი გონივრული ერთგვაროვნება უნდა უზრუნველყონ რეგიონებში.

კომიტეტი ხაზს უსვამს, რომ მე-13 მუხლი სახელმწიფოებს ავალდებულებს ინტეგრირებული სტრატეგიების შემუშავებას, რომლებიც ხელს შეუწყობს ინდივიდებისა და ოჯახების გამოყვანას სიღარიბიდან. ეს შეესაბამება ფართო მიზანს - შესაბამისი საჭიროების მქონე პირთა სოციალური და სამედიცინო დახმარება იყოს სათანადო და ხელმისაწვდომი. ქვეყნებმა უნდა დაადგინონ ზუსტი სამართლებრივი ზღვარი სიღარიბის ინდიკატორთა საფუძველზე (მაგალითად, წმინდა მედიანური გათანაბრებული შემოსავლის 50%), რითაც განისაზღვრება დახმარების მიღების უფლება. სარგებლის მინიჭების პროცესი უნდა წარიმართოს

მკაფიო კრიტერიუმებით და გამჭვირვალე პროცედურებით. კომიტეტის თანახმად, სოციალური დახმარება შეიძლება იყოს ფულადიც და არაფულადიც, თუმცა სათანადოდ უნდა ფარავდეს ძირითად საჭიროებებს და ხელს უწყობდეს ღირსეული ცხოვრების სტანდარტს.

ქართის მე-14 მუხლი³⁸ ხელშემკვრელ მხარეებს ავალდებულებს სოციალური უზრუნველყოფის მომსახურებათა არა მხოლოდ ხელშეწყობას, არამედ მიწოდებასაც, ასევე, მათი ეფექტიანობის უზრუნველყოფას სოციალური სამუშაოს მეთოდებით. ამ მუხლის მიზანია, მხარი დაუჭიროს სოციალურად დაუცველ პირებსა და მონყვლად ჯგუფებს, როგორებიც არიან ხანდაზმულები; ასევე, ხელი შეუწყოს მათ კეთილდღეობას, განვითარებასა და საზოგადოებაში ინტეგრაციას, პიროვნული ავტონომიის დაცვით. სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის განმარტებით, მე-14 მუხლი მოითხოვს კოორდინირებულ თანამშრომლობას საჯარო ხელისუფლებასა და კერძო ორგანიზაციებს შორის, სოციალური უზრუნველყოფის სამსახურების შექმნა-შენარჩუნებისათვის. ეს მუხლი არ ავალდებულებს სახელმწიფოებს სერვისების უფასოდ მიწოდებას, იგი ხელს უწყობს თანამშრომლობას მათი მიწოდებისთვის. სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, აქტიურად ითანამშრომლონ სამოქალაქო საზოგადოებასთან კეთილდღეობის პოლიტიკის განსაზღვრისას, რომელიც გავლენას ახდენს სოციალურ სერვისებზე. ეს მოიცავს მომხმარებელთა ჯგუფების, მათ შორის, ხანდაზმულების მონაწილეობას გადაწყვეტილებათა მიღების პროცესებში (სახელმწიფო უწყებებთან ერთად), რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოლიტიკის მოსარგებად მათ საჭიროებებზე. თანაწარმოების კონცეფცია გულისხმობს სერვისების მომხმარებელთა და მიმწოდებელთა ერთობლივ ძალისხმევას, რათა მომსახურება მეტად მოერგოს ბენეფიციართა საჭიროებებს. ამ კონტექსტში, სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი აფასებს, თუ როგორ უზრუნველყოფენ სახელმწიფოები მომხმარებელთა მონაწილეობას კანონმდებლობის შემუშავებაში, ბიუჯეტის განაწილებაში, გადაწყვეტილების მიღების პროცესებსა და სერვისების მიწოდებაში, ქართის სტანდარტთა დასაკმაყოფილებლად.

ქართის მე-14 მუხლი თითოეულ პირს ანიჭებს უფლებას, მიიღოს კონსულტაცია, რჩევა, რეაბილიტაცია, სახლის პირობებში დახმარება, რეზიდენტული ზრუნვა და გადაუდებელი სოციალური მომსახურებები სოციალური სამუშაოს საშუალებით.

38 საქართველოს მიღებული აქვს.

ეს არ გულისხმობს, რომ უფლება დაუყოვნებლივ უნდა განხორციელდეს, თუმცა აღნიშნული სერვისები უნდა მიეწოდებოდეს ეროვნული კეთილდღეობის საჭიროებების, სოციალური და კულტურული ტრადიციების, ოჯახური ვალდებულებებისა და არსებული რესურსების გათვალისწინებით. საბოლოოდ, სახელმწიფოორგანოებს და, შესაბამისად, ხელშემკვრელ სახელმწიფოს ეკისრებათ პასუხისმგებლობა, რომ არავინ დარჩეს სოციალური მხარდაჭერის გარეშე. სახელმწიფოები თავისუფალი შეფასების ფარგლებით სარგებლობენ, როდესაც ირჩევენ მეთოდებსა და პრიორიტეტებს მე-14 მუხლის განსახორციელებლად, თუმცა მათ უნდა აჩვენონ ხელშესახები პროგრესი და გამოყონ საკმარისი რესურსები ქარტიის მიზნების მისაღწევად.

მე-14 მუხლი მჭიდროდ უკავშირდება ქარტიის რამდენიმე მუხლს, განსაკუთრებით, მე-13-სა და მე-12-ს. მისი მოქმედების სფერო უფრო ფართოა, 13(3) მუხლთან შედარებით, რომელიც კონკრეტულად ეხება ადეკვატური სახსრების არმქონე პირთა დახმარებას. ამ განსხვავების შედეგად, მე-14 მუხლი მოიცავს სოციალური უზრუნველყოფის მომსახურებათა უფრო ფართო სპექტრს, რომლებიც ვრცელდება ყველა პირზე, და არა მხოლოდ მათზე, ვინც დაუყოვნებლივ დახმარებას საჭიროებს. ECSR-მა განიხილა მე-14 მუხლისა და სხვა დებულებების ურთიერთგადაფარვის საკითხი და ხაზი გაუსვა, რომ 13(3) მუხლის მოთხოვნებთან შესაბამისობა ავტომატურად არ ნიშნავს მე-14 მუხლის ვალდებულებათა შესრულებას. მე-14 მუხლი სახელმწიფოებს ავალდებულებს ფართო სპექტრის სოციალური უზრუნველყოფის მომსახურებათა მიწოდებას, მაშინ, როდესაც 13(3) მუხლი ფოკუსირებულია კონკრეტულად ეკონომიკურად დაუცველ პირთა დახმარებაზე.

ზემოაღნიშნული მოთხოვნები ნაწილობრივ ემთხვევა 23-ე მუხლს. ტექსტის შინაარსიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ 23-ე მუხლი უფრო ფართომასშტაბიან რაოდენობრივ და ხარისხობრივ მოთხოვნებს აწესებს ხანდაზმულ პირთათვის განკუთვნილ სერვისებზე; ასევე, მოითხოვს მათზე მონიტორინგს და შესაბამისი სამართლებრივი დაცვის მექანიზმების არსებობას. ზოგადად, მე-14 მუხლი სოციალური უზრუნველყოფის მომსახურებებს მოიცავს ფართო კონტექსტში, მაშინ, როდესაც ქარტიის სხვა მუხლები (მაგალითად, 15, 16, 17, 19, 23 და 31) პირდაპირ უკავშირდება კონკრეტული მოწყვლადი ჯგუფების – შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, ბავშვების, მიგრანტი მუშაკებისა და ხანდაზმულების საჭიროებებს. სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, ამ კონკრეტული მუხლების შესაბამისად შეიმუშაონ სტრატეგიული მიზნები და ისე განკარგონ რესურსები, რომ თითოეულ

ჯგუფს დაუკმაყოფილონ განსაკუთრებული საჭიროებები მე-14 მუხლის უფრო ზოგად ფარგლებს მიღმა. ნებისმიერ შემთხვევაში, ამ მუხლების ერთობლივი მოქმედება ქმნის ქარტიის სოციალური პოლიტიკის ჩარჩოს, რომლის მიზანია ყოვლისმომცველი სოციალური დაცვის სისტემების შექმნა მარგინალიზაციის ასაცილებლად და სიღარიბის შესამცირებლად.

ჯანმრთელობის უფლება

ქარტიის მე-11 მუხლით³⁹ გარანტირებულია ჯანმრთელობის დაცვის უფლება. ქარტიის სხვა დებულებებისგან განსხვავებით, რომლებიც ჯანმრთელობის უფლებებს კონკრეტული ჯგუფების ან ასპექტების მიხედვით განსაზღვრავს, მე-11 მუხლი ხაზს უსვამს უფრო ფართო საზოგადოებრივ უფლებას – ძლიერი და მდგრადი ჯანდაცვის სისტემის არსებობას. ეს მოიცავს ისეთ სახელმწიფო პოლიტიკას, რომელიც ემსახურება ჯანმრთელობის დაცვას და სცდება მხოლოდ სამედიცინო დახმარებას, რადგან უფრო ფართო მიზნებს ითვალისწინებს ჯანმრთელობის დაცვის კუთხით. ქარტიის ხელშემკვრელი სახელმწიფოები სამართლებრივად ვალდებული არიან, მე-11 მუხლის მიხედვით უზრუნველყონ ეფექტიანი ზომები, მათ შორის, სამედიცინო მკურნალობა, ჯანმრთელობის ხელშეწყობა და პრევენციული ღონისძიებები. 11(1) მუხლის თანახმად, გადამწყვეტია ჯანმრთელობის დაცვის სერვისების ორი ფუნდამენტური სტანდარტი: ყველას უნდა ჰქონდეს უფლება გადაუდებელ სამედიცინო დახმარებაზე; და ყველას უნდა ჰქონდეს წვდომა სათანადო მკურნალობაზე, გონივრულად განსაზღვრულ მოლოდინის დროში.

კომიტეტი, რომელიც ამ მუხლის შესრულებას აკონტროლებს, მუდმივად უსვამს ხაზს საჭიროებას, რომ ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა ეროვნულ ჯანდაცვის სისტემებში ჩართონ სპეციალური დებულებები, რომლებიც დაიცავს ხანდაზმულებს, ხოლო შესრულების შესაფასებლად გამოიყენონ კონკრეტული ინდიკატორები. ჯანმრთელობის დაცვის ზომების საკმარისობა და ინკლუზიურობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხანდაზმული პირებისთვის, რადგან, ასაკიდან გამომდინარე, იზრდება მათი ჯანმრთელობის რისკები. კომიტეტის შეფასებები ხაზს უსვამს პრევენციული ზომების მნიშვნელობას, რომელთა მიზანია ასაკთან დაკავშირებული ჯანმრთელობის პრობლემების არიდება. ეს მოიცავს ჯანდაცვის ისეთ სისტემათა მხარდაჭერას, რომლებიც, მკურნალობასთან ერთად, პრევენციასაც უწევს ხანდაზმული მოსახლეობის სპეციფიკურ პრობლემებს ჯანმრთელობის კუთხით.

39 საქართველოს მიღებული აქვს.

კომიტეტის შეფასებით, ჯანდაცვის სერვისებზე წვდომის დიფერენცირება ასაკის მიხედვით კრიტიკულად განიხილება ქართის მე-11 მუხლის ქრილში, E მუხლთან ერთობლიობაში. ამგვარი სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად, ჯანმრთელობის სერვისებზე პრიორიტეტის მინიჭებისას ასაკი არ უნდა იყოს ერთადერთი განმსაზღვრელი ფაქტორი, აქ ასევე გასათვალისწინებელია პაციენტის საერთო კლინიკური მდგომარეობა და მკურნალობასთან დაკავშირებული კონკრეტული რისკები. გარდა ამისა, ხანგრძლივი მოლოდინის სიები ჯანმრთელობის სერვისების მისაღებად, მიუხედავად იმისა, რომ ეს ზოგჯერ გარდაუვალია რესურსების შეზღუდვის გამო, შესაძლოა, სერიოზულ გავლენას ახდენდეს ხანდაზმულ პირთა უფლებაზე, დროულად ჩაუტარდეთ საჭირო მკურნალობა.

მე-11 მუხლი ავსებს 23-ე მუხლს, უზრუნველყოფს რა ჯანმრთელობის დაცვის უფლებას, რომელიც სპეციფიკურ ზომებს მოიცავს ხანდაზმულ პირთა ჯანმრთელობის დასაცავად. ECSR ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ჯანდაცვის სერვისებზე წვდომა ხანდაზმულ პირებს არ უნდა დააწვეს მძიმე ფინანსურ ტვირთად. შესაბამისად, სამკურნალო ხარჯები ერთობლივად უნდა დაფაროს საზოგადოებამ. ამ პრინციპის მიზანია ჯანდაცვის თანასწორი ხელმისაწვდომობა, დისკრიმინაციის გარეშე, განსაკუთრებით, მონყვლადი ჯგუფებისთვის. როგორც განვიხილეთ, ECSR ფართოდ განმარტავს ჯანმრთელობის უფლებას ორივე მუხლის ფარგლებში, რაც მოიცავს არა მხოლოდ ხანდაზმულთა სახლების მომსახურებას, არამედ სახელმწიფოთა ვალდებულებას, ხანდაზმული პირებისთვის შექმნან ყოვლისმომცველი ჯანდაცვის სისტემა, მათ შორის: პირველადი ჯანდაცვა, ფსიქიკური ჯანმრთელობის პროგრამები და ჯანმრთელობის ხელშეწყობის ინიციატივები მათთვის, ვინც შინ დარჩენას ირჩევს. ეს გაფართოებული განმარტება ასახავს ECSR-ის მიდგომას - ხანდაზმული პირებისთვის სრულყოფილი და ყოვლისმომცველი წვდომის უზრუნველყოფას ჯანდაცვაზე.

და ბოლოს, ECSR აღიარებს, რომ ჯანდაცვის უფლებათა განხორციელება თანმიმდევრული პროცესია, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ჯანდაცვის სისტემები დიდი ოდენობით რესურსებს მოითხოვს. ამავდროულად, ECSR მნიშვნელოვნად მიიჩნევს გაზომვად პროგრესს და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სახელმწიფოებმა თანასწორი წვდომა უნდა უზრუნველყონ არსებულ ჯანდაცვის სერვისებზე, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, რაც შეესაბამება ქართის E მუხლს.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლება დამოუკიდებლობაზე, სოციალურ ინტეგრაციასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობაზე

ქართვის მე-15 მუხლის⁴⁰ მიზანია, ხანდაზმული შშმ პირებისთვის შექმნას პირობები თანასწორი მოქალაქეობისა და საზოგადოებაში სრულფასოვანი მონაწილეობისთვის. იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ისეთ უფლებებს, როგორიცაა დამოუკიდებლობა, სოციალური ინტეგრაცია და აქტიური ჩართულობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამ მიდგომამ შეცვალა შეხედულება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ, რომლებიც ადრე განიხილებოდნენ ქველმოქმედებაზე დამოკიდებულ ბენეფიციარებად, ხოლო ახლა აღიარებულნი არიან უფლებამოსილ სუბიექტებად, რომლებსაც შეუძლიათ, ღირსეულად და ავტონომიურად მიიღონ გადაწყვეტილებები საკუთარ ცხოვრებაზე. მე-15 მუხლის ქრილში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპი, რომლის თანახმადაც, ყველა შშმ პირს, განურჩევლად ასაკისა, დიაგნოზისა, თუ წარმოშობისა, გარანტირებული უნდა ჰქონდეს თანასწორი მოპყრობა, როგორც კანონმდებლობაში, ისე პრაქტიკაში. მე-15 მუხლი თანხვდება საერთაშორისო ჩარჩოებს, განსაკუთრებით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციებს, რომლებიც არეგულირებენ დასაქმების, პროფესიული რეაბილიტაციისა და სამუშაო ადგილას დისკრიმინაციისგან დაცვის დეტალურ სტანდარტებს.

ქართვის 15(1) მუხლი უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებას განათლებასა და პროფესიულ მომზადებაზე, მათ შორის, პირველად და ზოგად განათლებაზე, პროფესიულ საშუალო განათლებასა და სხვა ფორმის პროფესიულ მომზადებაზე. ECSR ამ დებულებას ფართოდ განმარტავს და მოიაზრებს უმაღლეს განათლებასაც, მათ შორის, საუნივერსიტეტოსაც, რადგან განათლება მნიშვნელოვანი ფაქტორია ღია შრომის ბაზარზე წვდომისა და პიროვნული თვითგამორკვევისთვის.

15(2) მუხლი ხელშემკვრელ სახელმწიფოებს ავალდებულებს, ხელი შეუწყონ შშმ პირთა თანასწორ და ეფექტიან წვდომას ღია შრომის ბაზარზე, ფარავს რა შეზღუდული შესაძლებლობის ყველა ტიპს. ECSR განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ეროვნული კანონმდებლობის შექმნაზე, რომელიც კრძალავს

40 მე-15 მუხლის სამი პუნქტიდან საქართველოს მხოლოდ მე-3 აქვს მიღებული.

შრომის ბაზარზე დისკრიმინაციას შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით. ამასთან, სახელმწიფოებმა რეალურად უნდა უზრუნველყონ თანასწორი შესაძლებლობები დასაქმებაში და აკრძალონ სამსახურიდან გათავისუფლება შეზღუდული შესაძლებლობის გამო. დამსაქმებლები ვალდებული არიან, გონივრული მისადაგებით იხელმძღვანელონ, რათა ხელი შეუწყონ შშმ პირთა დასაქმებას და მხარი დაუჭირონ იმ ადამიანთა უწყვეტ დასაქმებას, რომლებმაც შეზღუდული შესაძლებლობა დასაქმების განმავლობაში შეიძინეს. 15(2) მუხლის მიხედვით, სავალდებულო არ არის სამუშაო კვოტების დანერგვა შშმ პირებისთვის, თუმცა, ასეთი მექანიზმების არსებობის შემთხვევაში, მათი ეფექტიანობაც განიხილება შესაბამისობის შეფასებისას. 15(3) მუხლის მიზანია კომუნიკაციისა და მობილობის დამაბრკოლებელ გარემოებათა აღმოფხვრა, რათა შშმ პირებს ჰქონდეთ წვდომა ტრანსპორტზე, საცხოვრებელ პირობებზე, კულტურულ თუ დასასვენებელ აქტივობებზე და შეეძლოთ დამოუკიდებლობის, სოციალური ინტეგრაციისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღწევა. ECSR მოითხოვს, რომ ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა დანერგონ ყოვლისმომცველი ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა, რომელიც მოიცავს როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორს, და ქმნის ეფექტიან სამართლებრივ მექანიზმებს დისკრიმინაციის წინააღმდეგ. სოციალური ინტეგრაციისა და სრული ჩართულობის ხელშესაწყობად, აუცილებელია კოორდინირებული პოლიტიკა, პროაქტიული ზომებითა და საკონსულტაციო მექანიზმებით, რომლებიც უზრუნველყოფს შშმ პირთა ჩართულობას პოლიტიკის ფორმირებისა და განხორციელების პროცესში.

ოჯახის სოციალური, სამართლებრივი და ეკონომიკური დაცვის უფლება

მე-16 მუხლი⁴¹ ხაზს უსვამს ოჯახის მხარდაჭერის მნიშვნელობას ხანდაზმული პირებისთვის, რადგან ოჯახური ურთიერთობები გადამწყვეტ როლს ასრულებს ცხოვრების ყველა ეტაპზე. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს არაფორმალურ მზრუნველებს, რომლებიც ხშირად მეუღლეები ან პარტნიორები არიან და მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ხანდაზმულთა გრძელვადიანი მოვლის პროცესში. ამგვარი არაფორმალური მზრუნველობა გადამწყვეტია ხანდაზმულთა კეთილდღეობისა და პიროვნული იდენტობის შესანარჩუნებლად. მე-16 მუხლი ოჯახის კონცეფციას მხოლოდ ქორწინებით არ ზღუდავს და მოიცავს მრავალფეროვან ფორმებს. ამ მუხლით ასევე გარანტირებულია ოჯახების უფლება

41 საქართველოს არ მიუღია.

საცხოვრებელზე, რომელიც უკავშირდება ქარტიის 31-ე მუხლს. გარდა ამისა, მე-16 მუხლი ხელშემკვრელ სახელმწიფოებს ავალდებულებს ოჯახების სამართლებრივ უფლებათა დაცვას მეუღლეთა თანასწორობის პრინციპის საფუძველზე, განსაკუთრებით, ოჯახური ქონების განკარგვისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის მიმართულებით. მე-16 მუხლი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს იმ ხანდაზმულ ქალთა დაცვაზე, რომლებიც დგანან ძალადობისა და ჩაგვრის განსაკუთრებული რისკის ქვეშ. სავალდებულოა შესაბამისი სამართლებრივი ზომების არსებობა, როგორიცაა: შემაკავებელი ორდერების გაცემა; მოძალადეთა ეფექტიანი სამართლებრივი დევნა; ძალადობის მსხვერპლთა დახმარებისა და მხარდაჭერის სერვისების უზრუნველყოფა. პრაქტიკულ დონეზე, ძალადობის პრევენციისა და მსხვერპლთა დაცვისათვის აუცილებელია მონაცემთა ანალიზის სისტემების დანერგვა, პოლიციის თანამშრომელთა გადამზადება და მსხვერპლთა მხარდაჭერის სერვისების გაძლიერება. ეს დებულება უკავშირდება და განამტკიცებს სოციალური უზრუნველყოფისა (მე-12 მუხლი) და სოციალური დახმარების (მე-13 მუხლი) ვალდებულებებს.

მე-16 მუხლი ხაზს უსვამს არაფორმალურ მზრუნველთა ეკონომიკური დაცვის საჭიროებას, რომლებიც, როგორც წესი, ქალები არიან და, ხანდაზმული ოჯახის წევრის მოვლის გამო, ხანგრძლივი პერიოდით ტოვებენ შრომის ბაზარს. ეს გარემოება გავლენას ახდენს სოციალური დაზღვევის ჩანაწერებსა და პენსიის მიღებაზე. ზოგიერთ ქვეყანაში ამ დანაკლისის ასანაზღაურებლად დაწესებულია საკრედიტო მექანიზმები, თუმცა ხშირად არასაკმარისი ან შეზღუდული ფორმით, რის შედეგადაც არაფორმალური მზრუნველები სათანადო სოციალურ დაცვას ვერ იღებენ ხანდაზმულობის პერიოდში. ამგვარი მდგომარეობა შეიძლება გასაჩივრდეს ქარტიის მე-16 მუხლის საფუძველზე, განსაკუთრებით, 27-ე (ოჯახური ვალდებულებების მქონე მუშაკთა თანაბარი შესაძლებლობები და თანასწორი მოპყრობა)⁴² და E (თანასწორი მოპყრობის პრინციპი) მუხლებთან ერთობლიობაში.

უფლება სიღარიბისა და სოციალური გარიყვისგან დაცვაზე

30-ე მუხლი⁴³ ეხება სიღარიბისა და სოციალური გარიყვის მრავალგანზომილებიან საკითხს. იგი აწესებს უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომას და მიზნად ისახავს

42 საქართველოს მიღებული აქვს.

43 საქართველოს არ მიუღია.

ბრძოლას სიღარიბის სხვადასხვა ფორმასთან. ამავდროულად, მუხლი ხაზს უსვამს საჭიროებას, რომ შემუშავდეს კოორდინირებული პოლიტიკა და სიღარიბის სანინააღმდეგო ზომებზე მონიტორინგის მექანიზმები. ECSR-ის განმარტებით, სიღარიბე ნიშნავს შეზღუდვებს, რომლებიც განპირობებულია საჭირო რესურსების ნაკლებობით. შემოსავლის ნაკლებობა მისი ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია, თუმცა სიღარიბის განსაზღვრება სხვა უფლებათა შეზღუდვასაც მოიცავს. სიღარიბესა და სოციალურ გარიყულობაში ცხოვრება აღიარებულია ადამიანის ღირსების შელახვად, რასაც შეიძლება განაპირობებდეს სხვადასხვა ფაქტორი: უმუშევრობა, უსახლკარობა, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება, არასაკმარისი განათლება და ა.შ.

30-ე მუხლი მჭიდროდ უკავშირდება ქარტიის სხვა დებულებებს და პირდაპირ მოიცავს წვდომას დასაქმებაზე, საცხოვრებელზე, განათლებაზე, კულტურულ აქტივობებსა და სოციალურ თუ სამედიცინო დახმარებაზე. ის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სოციალური დაცვისა და დახმარების როლს სიღარიბისა და სოციალური გარიყულობის პრევენციაში. თუკი მე-12 და მე-13 მუხლები ფოკუსირებულია ინდივიდუალურ უფლებებზე, 30-ე მუხლი აფასებს სისტემის საერთო ეფექტიანობას სიღარიბის⁴⁴ შემცირებაში, მთელი მოსახლეობის მასშტაბით. სოციალური სისტემების შესაფასებლად, ECSR იყენებს გაეროს სახელმძღვანელო პრინციპებს და ხაზს უსვამს სიღარიბეში მცხოვრებ პირთა ავტონომიას, რაც შეესაბამება აქტიური სოციალური მოქალაქეობის პრინციპებს.

მე-12, მე-13, 23-ე და 30-ე მუხლები ერთობლივად აყალიბებენ სოციალურ ზღვარს, რომლის ქვემოთ არცერთი ადამიანი არ უნდა აღმოჩნდეს. ისინი ყურადღებას ამახვილებენ არა მხოლოდ მატერიალურ მხარდაჭერაზე, არამედ სოციალურ ჩართულობასა და მონაწილეობაზეც. ეს მუხლები, განსხვავებული მიზნების მიუხედავად (მაგ. სიღარიბის შემცირება და საზოგადოებაში მონაწილეობა), ერთობლივად განამტკიცებენ საერთო მიზანს - ხანდაზმულ პირთა სოციალურ ინტეგრაციასა და დაცვას.

კომიტეტი ითხოვს, რომ ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა „გლობალური და კოორდინირებული მიდგომა“ შეიმუშაონ სიღარიბისა და სოციალური გარიყულობის

⁴⁴ სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი ადეკვატურობას აფასებს შედარებითი ინდიკატორების გამოყენებით, როგორიცაა სიღარიბის რისკის მაჩვენებელი სოციალური დახმარების მიღებამდე და მიღების შემდეგ, Eurostat-ის მონაცემების შესაბამისად.

წინააღმდეგ. ეს მიდგომა უნდა მოიცავდეს ანალიტიკური ჩარჩოების შექმნას, პრიორიტეტთა განსაზღვრას და სოციალურ უფლებებზე წვდომის ბარიერების აღმოფხვრას. კომიტეტი ხაზს უსვამს, რომ საჭიროა ინტეგრირებული პოლიტიკის განხორციელება სხვადასხვა სექტორში და არა მხოლოდ კონკრეტული ჯგუფების მიზნობრივი მხარდაჭერა. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ეფექტიანი მონიტორინგის მექანიზმთა არსებობა, რომლებიც მოიცავს სამოქალაქო საზოგადოებისა და უშუალოდ დაზარალებული პირების ჩართულობას.

საცხოვრებლის უფლება

31-ე მუხლი⁴⁵ მოიცავს სხვადასხვა ასპექტს, რომლებიც აუცილებელია ადეკვატური საცხოვრებელი პირობების უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებით, ისეთი მოწყვლადი ჯგუფებისთვის, როგორებიც არიან ხანდაზმულები. თემზე დაფუძნებული შესაბამისი სერვისების არარსებობის პირობებში, ისინი ხშირად დგანან საცხოვრებელთან დაკავშირებული გამოწვევების წინაშე. ECSR-მა აღნიშნა, რომ სოციალური სეგრეგაცია არღვევს 31-ე მუხლს, რაც ნიშნავს, რომ იგივე პრინციპი უნდა ვრცელდებოდეს გარემოებებზე, რომლებშიც ხანდაზმული პირები იზოლაციის რისკის ქვეშ არიან. 31(3) მუხლის მიხედვით, სახელმწიფოები ვალდებული არიან, სოციალურ საცხოვრისს პრიორიტეტულად უზრუნველყოფდნენ იმ ჯგუფებისთვის, რომლებსაც ყველაზე მეტად სჭირდებათ, ხანდაზმულ პირთა ჩათვლით. გარდა ამისა, უნდა შემცირდეს მოლოდინის დრო საცხოვრებლის მისაღებად, ხოლო დაკმაყოფილებული ან უარყოფილი განცხადების შემთხვევაში, ხელმისაწვდომი იყოს სამართლებრივი დაცვის საშუალებები, რომლებიც ხელს შეუწყობს საცხოვრებლის განაწილების პროცესის სამართლიანობასა და ხელმისაწვდომობას. 31-ე და E მუხლების გათვალისწინებით, ეროვნული საცხოვრებლის პოლიტიკა და სტრატეგიები, რომლებიც არაპროპორციულად აზარალებს ხანდაზმულ პირებს, შესაძლოა შეუსაბამოდ ჩაითვალოს ქარტიის მოთხოვნებთან მიმართებით.

23-ე მუხლი ნაწილობრივ ემთხვევა 31-ე მუხლის მოთხოვნებს და მისი მონიტორინგი უნდა ფოკუსირდეს იმავე საკითხებზე, რომლებიც გაწერილია 31-ე მუხლში (ე.ი. საცხოვრებლის უფლების როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ ასპექტებზე). საცხოვრებელზე წვდომის კუთხით, მთავარი საკითხებია: 1) სამართლიანი კონტრაქტები; 2) გასაქირავებელი სოციალური საცხოვრებლების

45 საქართველოს მიღებული აქვს.

ხელმისაწვდომობა; 3) მათი განაწილების მექანიზმები; 4) ფასების პოლიტიკა. საცხოვრებლის ადეკვატურობის შეფასებისას, მთავარი პრობლემაა: 5) საცხოვრებლის ვარგისიანობა და 6) შესაბამისობა კონკრეტული ჯგუფების საჭიროებებთან. ხანდაზმულ პირთა კონტექსტში, შესაფერისობის კრიტერიუმი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ხელმისაწვდომობაზე (მაგ. ლიფტების არსებობა ურბანულ ტერიტორიაზე არსებულ საცხოვრებელ კორპუსებში).

დისკრიმინაციის აკრძალვა

დისკრიმინაციისაკრძალვაფუნდამენტურიპრინციპიაევროპისსოციალურიქარტიის ჩარჩოში. E მუხლი მკაცრად კრძალავს ყველა ფორმის დისკრიმინაციას ქარტიით გარანტირებულ უფლებათა განხორციელებაში, ასაკის ნიშნით დისკრიმინაციის ჩათვლით. თუმცა, E მუხლი, ცალკე აღებული, არ ქმნის საფუძველს ხელშემკვრელ სახელმწიფოთა წინააღმდეგ საჩივრის შესატანად, იგი უზრუნველყოფს ქარტიით გათვალისწინებულ ვალდებულებათა აღსრულებას დისკრიმინაციის გარეშე.

ECSR განასხვავებს პირდაპირ და ირიბ დისკრიმინაციას. პირდაპირი დისკრიმინაცია არის განსხვავებული მოპყრობა მსგავს სიტუაციებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით, ლეგიტიმური მიზნის, ობიექტური საფუძვლებისა ან პროპორციულობის გარეშე; ირიბი დისკრიმინაცია კი არის მდგომარეობა, როდესაც ფორმით ნეიტრალური კანონი ან პოლიტიკა არაპროპორციულად აზარალებს კონკრეტულ ჯგუფს, არ ითვალისწინებს რა შესაბამის განსხვავებებს, ან არ უზრუნველყოფს თანაბარ წვდომას უფლებებზე. ECSR-ის უახლესი საქმეები ყურადღებას ამახვილებს ირიბდისკრიმინაციაზე, კერძოდ, თუროგორ შეიძლება, ერთი შეხედვით ნეიტრალური კანონები უსამართლოდ აისახებოდეს კონკრეტულ ჯგუფებზე, მაგალითად, ხანდაზმულ პირებზე. გარდა ამისა, კომიტეტი შეშფოთებულია მრავალმხრივი და ურთიერთგადამკვეთი დისკრიმინაციის პრობლემებით, მაგალითად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ხანდაზმულ ქალებთან მიმართებით. დისკრიმინაციის ეფექტიანად აღმოფხვრისათვის, ECSR სახელმწიფოებს სთავაზობს:

- ზუსტი მონაცემების შეგროვებას, რათა განისაზღვროს დისკრიმინაციული პრაქტიკის მასშტაბი;
- ჩვენებას, რომ პოლიტიკა არ არის დისკრიმინაციული, როცა საპირისპირო მტკიცებულებები არსებობს;
- ადგილობრივი ხელისუფლების ქმედებათა ზედამხედველობასა და

რეგულირებას, დისკრიმინაციის ასაცილებლად;

- ყველა პირისთვის წვდომის მიცემას უფლებებსა და შეღავათებზე, ჯგუფებს შორის არსებულ განსხვავებათა გათვალისწინებით.

ECSR მუდმივად უსვამს ხაზს სახელმწიფოთა ვალდებულებას, ასაკის ნიშნით დისკრიმინაციას ებრძოლონ საზოგადოების სხვადასხვა სფეროში, რაც ეხმიანება ადამიანის უფლებათა ფართო პრინციპებს.

2.1.5 ადგილობრივი ხელისუფლების როლი და ვალდებულებები ხანდაზმულ პირთა მიმართ, ევროპის სოციალური ქარტიის შესაბამისად

ევროპაში დეცენტრალიზაციის ტენდენციების ფონზე, ადგილობრივი ხელისუფლება გადამწყვეტ როლს ასრულებს ხანდაზმულ პირთა სოციალური უფლებების განხორციელებაში, რომლებიც გარანტირებულია ქარტიით და ასახავს სუბსიდიარობისა და ადგილობრივი ავტონომიის პრინციპებს. ქარტიის 1-ლი მუხლი ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს მოიაზრებს ხელშეკრულებითი ვალდებულებების მიმღებ უწყებებად, მიუხედავად იმისა, რომ, ტრადიციულად, ითვლებიან ისეთ სახელმწიფო ორგანოებად, რომლებსაც არ ეკისრებათ პირდაპირი საერთაშორისო პასუხისმგებლობა და ეხებათ სახელმწიფო ზედამხედველობა და ანგარიშგების მოთხოვნა. საერთაშორისო სამართლის ფარგლებში, ადგილობრივი ხელისუფლების ქმედებები სახელმწიფოს ქმედებებად მიიჩნევა და გულისხმობს ქარტიის ვალდებულებათა დაცვას. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოებს შეუძლიათ უფლებამოსილების გადაცემა ადგილობრივი ხელისუფლებისთვის, ეს მათ არ ათავისუფლებს ქარტიით ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებებისგან. სახელმწიფოებმა უნდა იზრუნონ, რომ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებმა საკმარისი რესურსები და მხარდაჭერა მიიღონ თავიანთი ფუნქციების შესასრულებლად, ისე, რომ არ დაარღვიონ ქარტიის ვალდებულებები. ეფექტიანი განხორციელებისთვის, შესაძლოა, საჭირო გახდეს ცენტრალური ზედამხედველობა, რათა ვალდებულებები შესრულდეს მმართველობის ყველა დონეზე. თუ სახელმწიფო არ ზღუდავს ან არ ასანქცირებს ადგილობრივ ხელისუფლებას ქარტიით გათვალისწინებულ უფლებათა დარღვევის შემთხვევაში, ეს შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფოს საერთაშორისო ვალდებულებების დარღვევად. ამ კონტექსტში, ECSR ხაზს უსვამს სახელმწიფოს როლს ადგილობრივ ქმედებათა ზედამხედველობასა და რეგულირებაში, ქარტიის

სტანდარტების დასაცავად.

სოციალური ქარტია და ევროპის საბჭოს ადგილობრივი თვითმმართველობის ქარტია,⁴⁶ ერთობლივად წაკითხული, ხაზს უსვამენ, რომ სახელმწიფოებს ეკისრებათ რესურსებისა და მოვალეობების დეცენტრალიზების ვალდებულება, რათა ადგილობრივმა ორგანოებმა შეძლონ საზოგადოებრივ საქმეთა დამოუკიდებლად მართვა. ამავდროულად, მათ ეს უნდა გააკეთონ ადამიანის უფლებათა სტანდარტების დაცვით. ადგილობრივი ხელისუფლება უნდა იცავდეს ადამიანის უფლებებს საკუთარ პოლიტიკასა და საქმიანობაში და ამას ხელს უწყობდეს ეროვნული გარემო, რომელიც გაამარტივებს ქარტიის ვალდებულებათა შესრულებას.

ხანდაზმულ პირთა უფლებების კონტექსტში, ECS ადგილობრივი ხელისუფლებისთვის ითვალისწინებს რეკომენდაციებს, რომლებიც მიზნად ისახავს პოლიტიკის შემუშავება-განხორციელებას სოციალური ქარტიისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ქარტიის ფარგლებში. კომიტეტი აკვირდება, როგორ აწვდიან ადგილობრივი თვითმმართველობები ხანდაზმულთა მომსახურებებს, განსაკუთრებით, როდესაც ეს სერვისები დეცენტრალიზებულია. სახელმწიფოებმა უნდა წარმოადგინონ ინფორმაცია მომსახურების მიწოდების პასუხისმგებლობებზე, ხოლო ადგილობრივმა ხელისუფლებამ თავიდან აიცილოს ხანდაზმულთა ძალადობა და უზრუნველყოს მათი დამოუკიდებელი ცხოვრება. ECSR-ის კოლექტიური საჩივრების პრაქტიკა აჩვენებს, რომ ადგილობრივმა ხელისუფლებებმა უნდა შეასრულონ 23-ე მუხლი, ხანდაზმულ პირთა უფლებებთან დაკავშირებულ სხვა მუხლებთან ერთად, მაშინაც კი, თუ მნიშვნელოვან დისკრეციას ანიჭებთ ცენტრალური ხელისუფლება. ზოგიერთი დარღვევის შემთხვევაში, ადგილობრივი დისკრეცია ზედმეტად ფართოა, ან სერვისები ვერ აკმაყოფილებს ხანდაზმულთა საჭიროებებს.⁴⁷ ამგვარად, სოციალური უზრუნველყოფის მომსახურებათა ეფექტიანი დეცენტრალიზება მკაფიო მოვალეობებსა და ზედამხედველობას საჭიროებს ქარტიის სტანდარტებთან შესაბამისობისათვის.

დასასრულს, ევროპის სოციალური ქარტია და ევროპის ადგილობრივი თვითმმართველობის ქარტია ერთობლივად ქმნიან მექანიზმს, რომელიც ზრდის

46 რატიფიცირებული აქვს ევროპის საბჭოს ყველა წევრ სახელმწიფოს, საქართველოს ჩათვლით.

47 იხ. სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, საჩივრები No. 70/2011 და 71/2011, The Central Association of Carers in Finland v. Finland.

ადგილობრივი ხელისუფლების ანგარიშვალდებულებასა და ეფექტიანობას ხანდაზმულობასთან დაკავშირებული პოლიტიკის განხორციელებაში, საერთაშორისო სტანდარტთა შესაბამისად.

2.2 ევროპის საბჭოსა და გაეროს რბილი სამართლის ინსტრუმენტები, რომლებიც გავლენას ახდენს ევროპის სოციალურ ქარტიზე და განამტკიცებს მას

ევროპის საბჭომ ეტაპობრივად შეცვალა მიდგომა და ხანდაზმულ პირთა უფლებების ქრილში ყურადღებას ამახვილებს ავტონომიაზე, ჩართულობაზე, მონაწილეობასა და თანასწორობაზე. ასეთი ცვლილება მიანიშნებს ტრადიციული პროტექციონისტული მიდგომებიდან თანამედროვე, ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომაზე გადასვლას, რაც განამტკიცებს ქარტიის სტანდარტთა მნიშვნელობას. გარდა ამისა, ევროპის საბჭო ითვალისწინებს ხანდაზმულობისა და შეზღუდული შესაძლებლობის კვეთას და ისეთი ინკლუზიური პოლიტიკის საჭიროებას, რომელიც ხელს შეუწყობს ავტონომიას, აქტიურ მონაწილეობასა და დამოუკიდებელ ცხოვრებას, ამავდროულად კი დაიცავს ძალადობის, ექსპლუატაციისა და უგულებელყოფისგან.

მინისტრთა კომიტეტი, პოლიტიკის განმსაზღვრელი ძირითადი ორგანო ევროპის საბჭოში, რეკომენდაციებით ხელმძღვანელობს წევრ სახელმწიფოებს რეფორმების გატარებაში. ეს რეკომენდაციები, მიუხედავად იმისა, რომ სამართლებრივად სავალდებულო არ არის, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შიდა პოლიტიკასა და სასამართლო გადაწყვეტილებებზე, განსაკუთრებით, ECtHR-ის პრაქტიკაში. მინისტრთა კომიტეტის საკვანძო რეკომენდაციებია:

- რეკომენდაცია No. R (94)9 - ხაზს უსვამს ხანდაზმულ პირთა მნიშვნელობას საზოგადოებისთვის, ასევე, თაობათაშორისი სოლიდარობის საჭიროებას, და ხელს უწყობს თანასწორ მონაწილეობას, განსაკუთრებით, ინსტიტუციურ გარემოში;
- რეკომენდაცია CM/Rec(2009)6 - ეს არის გარდამტეხი წერტილი ავტონომიისა და აქტიური მონაწილეობის მიმართულებით, განსაკუთრებით, ისეთ სფეროებში, რომლებიც მოიცავს ხანდაზმულობისა და შეზღუდული შესაძლებლობების საკითხებს. იგი განამტკიცებს არჩევანისა და თვითგამორკვევის უფლებას, ხაზს უსვამს არსებული სერვისების დაბალ ხარისხს და სახელმწიფოებს მოუწოდებს

ხანდაზმულთა ჩართვას სერვისების შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების პროცესში, განსაკუთრებით, როდესაც ეს ეხება თემზე დაფუძნებულ სერვისებს;

- რეკომენდაცია CM/Rec(2014)2 - უზრუნველყოფს ხანდაზმულ პირთა ადამიანის უფლებების თანასწორ და ეფექტიან რეალიზაციას; ყურადღებას ამახვილებს თანასწორობაზე, დისკრიმინაციის აკრძალვაზე, პირად ავტონომიასა და მონაწილეობაზე; ხაზს უსვამს ხანდაზმულთა ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში და მათი ქმედუნარიანობის შენარჩუნებას შესაბამისი მხარდაჭერით; მიმართულია სოციალური დაცვისა და დასაქმების საკითხებზე; სახელმწიფოებს მოუწოდებს ხანდაზმულთა ჩართვას შრომის ბაზრის პოლიტიკაში; და ხაზს უსვამს ინფორმირებული თანხმობის საჭიროებას სამედიცინო მომსახურებაში.

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ (PACE) ასევე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ხანდაზმულ პირთა უფლებების გაძლიერებაში, განსაკუთრებით, საზოგადოებრივი აზრის ფორმირებით და წევრ სახელმწიფოთა შორის მზარდი კონსენსუსის ჩამოყალიბებით. მიუხედავად იმისა, რომ ასამბლეა ვერ იღებს კანონებს ან საერთაშორისო ხელშეკრულებებს, მისი რეკომენდაციები და რეზოლუციები გავლენას ახდენს ევროპული პოლიტიკის მიმართულებებზე. PACE-ის საკვანძო რეკომენდაციები და რეზოლუციებია:

- რეკომენდაცია 1619 (2003) - ყურადღებას ამახვილებს ხანდაზმულ მიგრანტთა უფლებებზე.
- რეკომენდაცია 1749 (2006) - მიემართება სოციალური დაცვის პროგრამათა ფინანსური მდგრადობის საკითხებს, ევროპაში არსებული დემოგრაფიული ცვლილებებისა და მათი გავლენების გათვალისწინებით.
- რეკომენდაცია 1796 (2007) - ხაზს უსვამს ხანდაზმულ პირთა დისკრიმინაციისა და სოციალური გარიყვის საკითხებს, ასევე, განიხილავს ურთიერთგადაძმვეთ დისკრიმინაციას, განსაკუთრებით, ხანდაზმული ქალებისა და მიგრანტების მიმართ.
- რეზოლუცია 1793 (2011) - ხაზს უსვამს, რომ ასაკობრივი დისკრიმინაცია არის ღირსების შელახვა და საზოგადოებრივი რესურსების ფუჭი გამოყენება; მოუწოდებს ასაკობრივი დისკრიმინაციის საწინააღმდეგო კანონმდებლობის მიღებისკენ; მხარს უჭერს საზოგადოებრივ დამოკიდებულებათა შეცვლაზე მიმართულ პროგრამებს; ხაზს უსვამს ხანდაზმულ პირთა განსხვავებულ როლებს

(როგორც მოქალაქეების, მუშაკების, მზრუნველებისა და მომხმარებლების).

- რეზოლუცია 1958 (2013) - მისი ფოკუსია ასაკობრივი დისკრიმინაციის დაძლევა შრომის ბაზარზე, განსაკუთრებით, ხანდაზმულ ქალთა შემთხვევაში, რომლებიც დამატებით გამოწვევებს აწყდებიან ზრუნვითი ვალდებულებების გამო, შედეგად კი, შემდგომში, ეზღუდებათ პენსიით სარგებლობა. იგი შეიცავს რეკომენდაციას, რომელიც შეეხება დისკრიმინაციის საწინააღმდეგო კანონმდებლობის მიღებას, ასევე, სამუშაო პირობების მორგებას ხანდაზმულ მუშაკთა საჭიროებებზე.
- რეზოლუცია 2168 (2017) - ხაზს უსვამს, რომ უარყოფითი სტერეოტიპები და ასაკობრივი დისკრიმინაცია იწვევს ძალადობას, იზოლაციასა და გარიყვას; ამასთანავე, სახელმწიფოებს მოუწოდებს ეიჭიბმთან ბრძოლას, ხანდაზმულთა მოვლის გაუმჯობესებას და სოციალური გარიყვის პრევენციას.

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, ევროპის სოციალური ქარტიის „მონათესავე ხელშეკრულება“, ხანდაზმულ პირებს არ განიხილავს ცალკე სოციალურ ჯგუფად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ასაკობრივ დისკრიმინაციასთან დაკავშირებული საქმეები განიხილა ECHR-ის მე-14 მუხლის საფუძველზე, რომელიც კრძალავს დისკრიმინაციას კონვენციით გარანტირებული უფლებებით სარგებლობისას. დამატებითი მე-12 ოქმი ამ აკრძალვას ავრცელებს კონვენციით გათვალისწინებულ უფლებათა მიღმაც, თუმცა ასაკს, როგორც დისკრიმინაციის აკრძალულ საფუძველს, პირდაპირ არ მიუთითებს. მიუხედავად ამისა, ასაკი დისკრიმინაციის შესაძლო საფუძველად აღიარებულია „სხვა სტატუსის“ ქვეშ. სასამართლოს პრაქტიკაში ასაკის ნიშნით დისკრიმინაციის საკითხები მოიცავს სამ ძირითად სფეროს: ქმედუნარიანობა და ავტონომია; დაპატიმრების ან თავისუფლების აღკვეთის პირობები; მომსახურების ან პენსიების ადეკვატურობა. ამ კონტექსტში, ECHR-ის საკვანძო უფლებები, რომლებიც აქტუალურია ხანდაზმული პირებისთვის, მოიცავს სიცოცხლის უფლებას, წამების აკრძალვას, თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლებას, სამართლიანი სასამართლოს უფლებას, პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცვის უფლებას, გამოხატვის თავისუფლებას და სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების უფლებას. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია ამ სფეროებში, მისი პრაქტიკა ჯერ კიდევ ჩამორჩება ისეთ ჩარჩოებს, როგორიცაა ევროპის სოციალური ქარტია და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია.⁴⁸

48 nb. CoE, Factsheet – Older people and the ECHR, 2023, https://prd-echr.coe.int/documents/d/echr/FS_Elderly_ENG.

ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის ოფისი წევრ სახელმწიფოებს ეხმარება ადამიანის უფლებათა ეფექტიანად დაცვაში, ხელს უწყობს ადამიანის უფლებათა სწავლებას და ავლენს სამართლებრივ ხარვეზებს, მათ შორის, ხანდაზმულ პირთა უფლებების სფეროში.⁴⁹ ამ მიმართულებით, მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს გაწეული ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესსაც.⁵⁰

მეორე მხრივ, გაერო სულ უფრო მეტად აქცევს ყურადღებას ხანდაზმულ პირთა სოციალური პოლიტიკის საკითხებს. ეს ხშირად გამოიხატება „რბილი სამართლის“ ინსტრუმენტთა შექმნით, რომლებიც შეესაბამება ევროპის სოციალური ქარტიის სტანდარტებს. ამ მიმართულებით, პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო 1982 წლის მსოფლიო ასამბლეა დაბერების საკითხების შესახებ, რომლის შედეგადაც შემუშავდა „ვენის საერთაშორისო სამოქმედო გეგმა დაბერების საკითხებზე“ (Vienna Plan). 2002 წელს მეორე მსოფლიო ასამბლეამ დაბერების საკითხების შესახებ მიიღო „მადრიდის საერთაშორისო სამოქმედო გეგმა დაბერების საკითხებზე“ (Madrid Plan), რომელიც ეფუძნება წინამორბედ ინიციატივებს - 1991 წლის პრინციპებს ხანდაზმული პირებისთვის და 1992 წლის საერთაშორისო კონფერენციას დაბერების საკითხების შესახებ. 2002 წლის შემდეგ, გაეროს ეკონომიკურ და სოციალური საქმეთა დეპარტამენტი (UNDESA) პერიოდულად განიხილავს მადრიდის სამოქმედო გეგმის შესრულებას.

გარდა ამისა, სპეციალიზებულმა სააგენტოებმა, როგორიცაა გაეროს მოსახლეობის ფონდი, დიდი წვლილი შეიტანეს მოხსენებების მომზადებაში, რომლებიც ხაზს უსვამს ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომებს ხანდაზმულობის მიმართ. 2014 წელს გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ დანიშნა დამოუკიდებელი ექსპერტი ხანდაზმულ პირთა მიერ ადამიანის უფლებებით სარგებლობის საკითხებში. მის ფუნქციებში შედის არსებულ სამართლებრივ ჩარჩოთა გაუმჯობესების საჭიროებების შეფასება და ცნობიერების ამაღლება ხანდაზმულთა უფლებებზე.⁵¹

მდგრადი განვითარების 2030 წლის დღის წესრიგი ასევე მოუწოდებს, რომ არავინ

49 იხ. <https://www.coe.int/el/web/commissioner/thematic-work/older-persons>. კონკრეტულად საქართველოს შესახებ, იხ. <https://rm.coe.int/report-of-the-council-of-europe-commissioner-for-human-rights-dunja-mi/1680a740bf>.

50 საქართველოს შესახებ იხ., <https://rm.coe.int/assessment-report-human-rights-at-local-level-in-georgia-eng/1680a524e0>. See also, generally, <https://rm.coe.int/ageing-communities-ensuring-access-to-quality-social-care-for-older-pe/1680b1a056>.

51 იხ. კომისრის ანგარიში 2018 წლის ვიზიტზე საქართველოში: <https://digitallibrary.un.org/record/1638448?ln=es&v=pdf>.

დარჩეს მიღმა და მდგრადი განვითარების მიზნები გავრცელდეს ყველა ასაკობრივ ჯგუფზე, განსაკუთრებით, ყველაზე მოწყვლად პირებზე, ხანდაზმულთა ჩათვლით.⁵² დღის წესრიგში წარმოდგენილია მდგრადი განვითარების ყოვლისმომცველი სტრატეგია, რომელიც ხაზს უსვამს ადამიანის უფლებათა დაცვას დისკრიმინაციის გარეშე. ხანდაზმულობა იკვეთება SDG-ის რამდენიმე მიზანთან, მათ შორისაა: სიღარიბის აღმოფხვრა, ჯანმრთელობის დაცვა, გენდერული თანასწორობა, ეკონომიკური ზრდა, სოციალური უთანასწორობების შემცირება და მდგრადი ურბანული განვითარება. მოსახლეობის მომზადებას დაბერებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს განვითარების ინტეგრირებული შედეგების მისაღწევად. ამასთან, დღის წესრიგი ხანდაზმულებს აღიარებს არა მხოლოდ მოწყვლად ჯგუფად, არამედ საზოგადოებრივი განვითარების აქტიურ მონაწილეებად. ასაკოვან ადამიანებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ეკონომიკაში, მათ შორის, შრომის ბაზარზე მონაწილეობით (როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ სექტორში), გადასახადების გადახდით, მოხმარებით და ოჯახისთვის მატერიალური რესურსების გადაცემით. ისინი ჩართულნი არიან მეწარმეობაშიც და ითვისებენ ახალ ტექნოლოგიებს, რაც ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდასა და პროდუქტიულობას.

2.3 დებატები გაეროს ხელშეკრულების პროექტზე

საერთაშორისო სამართალში⁵³ არ არსებობს ხელშეკრულება, რომელიც მთლიანად ხანდაზმულ პირთა უფლებებს ეხება, მხოლოდ რამდენიმე ფრაგმენტული მითითება კეთდება ასაკთან დაკავშირებულ უფლებებზე. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ამ სამართლებრივი ნაპრალის შევსების მცდელობები, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ზოგადი ხელშეკრულებების განმარტებებითა და „რბილი სამართლის“ ფართომასშტაბიანი ინსტრუმენტებით, ხანდაზმულ პირთა დაცვაში მრავალი ხარვეზია, ხოლო არსებული მექანიზმები არ კმარა ასაკთან დაკავშირებულ უფლებათა დასაცავად. ამ ხარვეზების აღმოსაფხვრელად, ასევე, ხანდაზმულებთან დაკავშირებული გლობალური დისკურსის შესაცვლელად ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომით, მზარდი მხარდაჭერა შეინიშნება იდეისადმი, რომ შეიქმნას საყოველთაო საერთაშორისო ხელშეკრულება ხანდაზმულ პირთა უფლებების შესახებ. ეს ტენდენცია შეესაბამება ქარტიის ზოგად მიმართულებებს

52 ამ მხრივ, იხ., https://www.un.org/development/desa/ageing/wp-content/uploads/sites/24/2017/07/UNDP_AARP_HelpAge_International_AgeingOlderpersons-and-2030-Agenda-2.pdf.

53 ამერიკის კონტინენტზე 2015 წლიდან მოქმედებს სპეციალური ხელშეკრულება ხანდაზმულ პირთა უფლებების შესახებ — ხანდაზმულ პირთა უფლებების დაცვის ამერიკული კონვენცია, პირველი რეგიონული ხელშეკრულება, რომელიც სრულად აღიარებს ხანდაზმულთა ადამიანის უფლებებს.

და კიდევ ერთხელ ადასტურებს მისი საკვანძო დებულებების მნიშვნელობას.

2010 წლის 21 დეკემბერს, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ, ხანდაზმულ პირთა უფლებებთან დაკავშირებული მზარდი შეშფოთების პასუხად და გაეროს გენერალური მდივნის ანგარიშის საფუძველზე, მიიღო რეზოლუცია 65/182, რომლის შედეგადაც შეიქმნა „ღია სამუშაო ჯგუფი ხანდაზმულ პირთა უფლებების დაცვის გასაძლიერებლად“ (Open-Ended Working Group on Ageing – OEWSGA).⁵⁴ მისი მიზანი იყო, განეხილა ხანდაზმულთა უფლებების საერთაშორისო ჩარჩო, გამოეკვლინა არსებული ხარვეზები და შეესწავლა მათი აღმოფხვრის გზები, მათ შორის, ახალ სამართლებრივ ინსტრუმენტთა მიღების შესაძლებლობა. ჯგუფი მუშაობის ფარგლებში განიხილავს სხვადასხვა საკითხს, როგორიცაა: თანასწორობა და დისკრიმინაციის აკრძალვა; ძალადობა, უგულებელყოფა და ბოროტად მოპყრობა; ავტონომია და გრძელვადიანი მოვლა; სოციალური დაცვა და უწყვეტი განათლება; სამართლებრივი დაცვის ხელმისაწვდომობა; ეკონომიკური უსაფრთხოება და სხვა. სამუშაო ჯგუფის თითოეული სესია ხანდაზმულ პირთა უფლებების სხვადასხვა ასპექტს ეძღვნება და მასში აქტიურად მონაწილეობს სამოქალაქო საზოგადოება.

აღსანიშნავია, რომ თავის მე-14 სესიაზე, რომელიც გაიმართა 2024 წლის 20-24 მაისს და, სავარაუდოდ, ბოლო იქნება, OEWSGA-მ მნიშვნელოვანი პროგრესი აჩვენა. კერძოდ, პირველად მიიღეს გადაწყვეტილება ხანდაზმულთა ადამიანის უფლებებზე, რომელიც დაეფუძნა 13/1 გადაწყვეტილების შემდეგ წარდგენილ და მთავრობათაშორისი მოლაპარაკებებით მომზადებულ რეკომენდაციებს.⁵⁵ გადაწყვეტილება მოიცავს რჩევებს ხანდაზმულთა დაცვაში არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად, მათ შორის, გაეროს ახალი, სამართლებრივად სავალდებულო კონვენციის მიღებით - იმ კონვენციათა ანალოგიური დოკუმენტის, რომლებიც იცავენ ქალთა, ბავშვთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებს. OEWSGA-ს მიერ მიღებული გადაწყვეტილება 2024 წლის სექტემბერში წარედგინება გაეროს გენერალური ასამბლეის 78-ე სესიას. ეს უდავოდ მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა საქართველოსთვის აღნიშნულ პროცესებში ჩასართავად, რამაც შესაძლოა დააჩქაროს ხანდაზმულთა პოლიტიკის ტრანსფორმაცია ქვეყანაში. აღსანიშნავია, რომ წინამდებარე ანგარიშის მოსამზადებელი, ფაქტების

54 იხ. ღია სამუშაო ჯგუფის ნაშრომი დაბერების საკითხებზე, რომელიც შეეხება ხანდაზმულთა უფლებების განმტკიცებას და ხელმისაწვდომია აქ: <https://social.un.org/ageing-working-group/>.

55 <https://documents.un.org/doc/undoc/ltd/n23/096/01/pdf/n2309601.pdf?token=7lZjIHjTHFZDPvHuw&fe=true>.

შემსწავლელი მისიის ფარგლებში, საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ამ ეტაპზე არ არიან ჩართულნი OEWSA-ს საქმიანობაში. ეს მიაჩნიათ, რომ მათი ადრინდელი აქტიური მონაწილეობა ამგვარ ინიციატივებში შემცირებულია.

2.4 ევროკავშირის კანონმდებლობა და საქართველოს განეწვრიანება ევროკავშირში

ევროკავშირის ნორმატიული და იურისპრუდენციული ლანდშაფტი ხანდაზმულ პირთა მიმართ მოიცავს პირველადი სამართლის დებულებებს, მეორეული სამართლის დირექტივებსა და განვითარებად სასამართლო პრაქტიკას, რაც ცალსახად ხელს უწყობს კანონმდებლობის ტრანსფორმაციის პროცესს საქართველოში და განამტკიცებს ევროპის სოციალური ქარტიის მექანიზმებს. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის კანონმდებლობის უშუალო გავლენა ხანდაზმულთა ცხოვრებაზე შედარებით შეზღუდულია - განსაკუთრებით იმ პირებისთვის, რომლებიც უკვე პენსიაზე არიან და აღარ მუშაობენ - ევროკავშირის სამართლის მრავალი ელემენტი მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს ხანდაზმულ პირთა ცხოვრებაზე. მაგალითად, 2000/78/EC დირექტივა კრძალავს ასაკობრივ დისკრიმინაციას დასაქმებასა და პროფესიულ საქმიანობაში, რაც ფართო სასამართლო პრაქტიკას ქმნის ხანდაზმულ მუშაკთა თანაბარი მონაწილეობის უფლების დასაცავად შრომის ბაზარზე. ამასთანავე, თავისუფალი გადაადგილების წესები გავლენას ახდენს ხანდაზმულ პირებზე, განსაკუთრებით, ვინც დამოკიდებულია ოჯახის წევრებზე, რომლებიც სხვა ქვეყნებში მუშაობის უფლებით სარგებლობენ. ხანდაზმულთა კეთილდღეობაზე ასევე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სამუშაო და პირადი ცხოვრების დაბალანსების კანონმდებლობა და ევროპული აქტი ხელმისაწვდომობის შესახებ.

ამავდროულად, ევროკავშირის რეგულაციები კონკურენციის, საჯარო შესყიდვებისა და სერვისების თავისუფალი გადაადგილების შესახებ განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა მიეწოდებოდეს სოციალური და ჯანდაცვის მომსახურებები, რაშიც მნიშვნელოვანი როლი აქვთ კერძო პროვაიდერებს. წარსულში ევროკავშირის კანონმდებლობას მინიმალური გავლენა ჰქონდა სოციალურ მომსახურებებზე, მათ შორის, გრძელვადიანი მოვლის სერვისებზე, თუმცა ამჟამად მისი მნიშვნელობა გაზრდილია. გარდა ამისა, 2011/24/EU დირექტივა პაციენტთა უფლებების შესახებ საზღვართაშორისი ჯანდაცვის ქრილში გავლენას ახდენს ხანდაზმულ

პირთათვის ხელმისაწვდომ სამედიცინო მომსახურებაზე, ხოლო ევროკავშირის კანონმდებლობა კოორდინაციას უწევს სოციალური დაცვის იმ სქემებს, რომლებსაც გავლენა აქვს ხანდაზმულთა უფლებებსა და შეღავათებზე.

ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტია მყარ საფუძველს ქმნის ხანდაზმულთა უფლებებისთვის და განმტკიცებულია „ევროპის სოციალურ უფლებათა სვეტიტ“, რომელიც რამდენიმე მიზანს აერთიანებს, ხანდაზმულთა ინტერესების გათვალისწინებით.⁵⁶ 25-ე მუხლი, რომელიც ეფუძნება ევროპის სოციალური ქარტიის 23-ე მუხლს, განსაკუთრებულად უსვამს ხაზს ხანდაზმულთა ღირსეული და დამოუკიდებელი ცხოვრების უფლებას, ასევე, მათ შესაძლებლობას, მონაწილეობდნენ სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში. ეს პრინციპი ევროკავშირის კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის ერთ-ერთი მთავარი საყრდენია, როდესაც საქმე ხანდაზმულ პირებს ეხება. 25-ე მუხლი შეიცავს როგორც ნეგატიურ (ღირსების ხელმყოფ ქმედებათა პრევენცია), ასევე პოზიტიურ (სოციალური დაცვისა და ჯანდაცვის ხელშეწყობა) ვალდებულებებს. მიუხედავად იმისა, რომ 25-ე მუხლი ზოგად პრინციპებს უფრო განსაზღვრავს, ვიდრე უშუალოდ აღსრულებად ინდივიდუალურ უფლებას, ის მნიშვნელოვანი სტანდარტია ევროკავშირის კანონმდებლობისა და მისი განსახორციელებელი ეროვნული ზომების განმარტებისა თუ გადახედვისათვის.

მართალია, 25-ე მუხლის სრული მასშტაბი და შინაარსი ჯერ კიდევ არ განუმარტავთ ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოსა და ეროვნულ სასამართლოებს, CJEU მნიშვნელოვან როლს ასრულებს ხანდაზმულთა დისკრიმინაციისგან დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის საქმეში. არსებული სასამართლო პრაქტიკა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს თანასწორობასა და ინტეგრაციას,⁵⁷ თუმცა გარკვეული გამოწვევები კვლავ რჩება, განსაკუთრებით ისეთი კუთხით, როგორიცაა ეკონომიკური კრიზისების გავლენის შემცირება და ხანდაზმულთა სრულად დაცვა

56 მაგ. იხ. პრინციპები 3 (თანაბარი შესაძლებლობები), 15 (ხანდაზმულთა შემოსავალი და პენსია) და 18 (გრძელვადიანი ზრუნვა).

57 იხილეთ, მაგალითად, CJEU-ის პრეცედენტული საქმეები: საქმე C-161/18, Villar Láiz (2019) – სასამართლომ აკრძალა ირიბი დისკრიმინაცია სქესის ნიშნით საპენსიო გამოთვლებში და ხაზი გაუსვა თანასწორობის აუცილებლობას, მიუხედავად იმისა, რომ ნახევარ განაკვეთზე, ძირითადად, ქალები მუშაობდნენ. საქმე C-914/19, Ministero della Giustizia (2021) – სასამართლომ დაადგინა, რომ 50 წლამდე ასაკობრივი ზღვრის დაწესება ნოტარიუსის პროფესიაზე წვდომისთვის, არ შეესაბამებოდა ევროკავშირის კანონმდებლობას. საქმე C-32/19, Pensionsversicherungsanstalt (2020) – სასამართლომ განმარტა, რომ საპენსიო ასაკი არ უნდა აბრკოლებდეს სხვა წევრ სახელმწიფოში მუდმივად ცხოვრების უფლებას, რაც ხელს უწყობს სოციალურ მოქალაქეობას.

სიღარიბისგან ევროკავშირის წევრ ქვეყნებში.⁵⁸

ევროკავშირმა გადადგა ნაბიჯები, რათა გაეძლიერებინა დაფინანსება ხანდაზმულობასთან დაკავშირებული კვლევებისა და პოლიტიკის კოორდინაციისათვის, ყურადღების გამახვილებით შრომის ბაზარზე ხანდაზმულთა მონაწილეობასა და „ვერცხლის ეკონომიკის“ განვითარებაზე. გარდა ამისა, იგი მხარს უჭერს ორგანიზაციებს, რომლებიც ხელს უწყობენ ხანდაზმულთა მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ხანდაზმულობის პოზიტიურად აღქმას საზოგადოებაში.⁵⁹

ამ კონტექსტში, მნიშვნელოვანია, მოკლედ მიმოვიხილოთ ევროპის საბჭოს მიერ კოპენჰაგენში დადგენილი კრიტერიუმები (1993) და ევროკომისიის დასკვნები საქართველოს შესაბამისობაზე ევროკავშირის კანონმდებლობასთან. 2023 წლის დეკემბერში ევროპულმა საბჭომ საქართველოს ოფიციალურად მიანიჭა კანდიდატი ქვეყნის სტატუსი,⁶⁰ თუმცა, მიმდინარე მოვლენათა გათვალისწინებით, მისი განევრიანების პროცესი, ფაქტობრივად, შეჩერებულია.⁶¹ ნებისმიერ შემთხვევაში, ხანდაზმულთა სოციალურ უფლებებზე აქცენტირებული ანალიზი შეიძლება დაეხმაროს საქართველოს ევროკავშირში გასანევრიანებელი კრიტერიუმების დაკმაყოფილებაში. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ევროპის სოციალური ქარტიის სტანდარტთა შესრულების მნიშვნელობას, როგორც საჭირო ნაბიჯს ამ კრიტერიუმების შესასრულებლად.

ამ კონტექსტში, მნიშვნელოვანია, ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ საქართველოს დასაქმების პოლიტიკა, ზოგადად, შეესაბამება ევროკავშირის მინიმალურ სტანდარტებს შრომის სამართლის, თანასწორობის, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების კუთხით, თუმცა ის კონკრეტულად არ მიუთითებს ხანდაზმულ პირებზე (იხილეთ ქვემოთ). ამასთან, ქალები შრომის ბაზარზე მნიშვნელოვანი უთანასწორობის წინაშე დგანან, ხოლო არაფორმალური დასაქმება სერიოზულ

58 ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა სააგენტო, ანგარიში, 2018, https://fra.europa.eu/sites/default/files/fra_uploads/fra-2018-fundamental-rights-report-2018-focus_en.pdf.

59 იხ. EU, Green Paper on Ageing: Fostering solidarity and responsibility between generations, 2021, https://commission.europa.eu/document/download/2d800530-4408-4291-a229-ebd08729d561_en?filename=1_en_act_part1_v8.pdf.

60 იხ. European Commission, Georgia, 2024, https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/european-an-neighbourhood-policy/countries-region/georgia_en.

61 იხ. ევროპის საბჭო, შეხვედრა (27 ივნისი 2024) – დასკვნები <https://www.consilium.europa.eu/media/qa3lblga/euco-conclusions-27062024-en.pdf>.

გამოწვევად რჩება. რაც შეეხება სოციალურ პოლიტიკას, საქართველოში მოქმედებს კანონმდებლობა და სახელმწიფო პროგრამები, რომლებიც შეეხება სიღარიბესა და სოციალურ დაცვას და დაფინანსებულია ზოგადი შემოსავლებითა და სავალდებულო საპენსიო შენატანებით. თუმცა, ამ სფეროებში კვლავ მნიშვნელოვანი გამოწვევებია, განსაკუთრებით, მოწყვლადი ჯგუფებისთვის, რის გამოც საჭიროა დამატებითი ჰარმონიზაცია და ეფექტიანი განხორციელება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოციალური დაცვის კომპლექსური სისტემის ჩამოყალიბება, რეაგირება სიღარიბის ეროვნულ ზღვარს ქვემოთ მცხოვრები მოსახლეობის საჭიროებებზე და უმუშევრობის დახმარების შემოღება, რომელიც ამ ეტაპზე არ არსებობს.

2014 წლის ანტიდისკრიმინაციული კანონი კრძალავს დისკრიმინაციის ყველა ფორმას, მათ შორის, ასაკის ნიშნით. ამავდროულად, შრომის ბაზარზე და სოციალურ პოლიტიკაში გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად, უკვე მოქმედებს კანონმდებლობა და შესაბამისი ინსტიტუციები. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს დისკრიმინაციასთან ბრძოლისა და გენდერული თანასწორობის სამართლებრივი ჩარჩოები დიდწილად შეესაბამება ევროკავშირის კანონმდებლობას (acquis), ისინი საკმარისი ეფექტიანობით არ აღსრულება. მაგალითად, განსაკუთრებით საგანგაშოა ოჯახში ძალადობა და ფემიციდის შემთხვევები, რაც ხანდაზმული ქალებისთვისაც მნიშვნელოვანი საკითხია.

გარდა ამისა, ლგბტი პირთა უფლებების დაცვა მნიშვნელოვან გაუმჯობესებას საჭიროებს. ეროვნულ, სოციალურ და კულტურულ უმცირესობათა უფლებები სათანადოდ დაცული არ არის, რაც ხანდაზმულ პირთა დიდ ნაწილსაც ეხება.

და ბოლოს, საქართველოს ადამიანის უფლებათა სტრატეგია მოწყვლადი ჯგუფების უფლებათა დაცვას უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტად მიიჩნევს. აუცილებელია მონიტორინგისა და მონაცემთა შეგროვების კომპლექსური მექანიზმის შექმნა, რათა შეფასდეს ადამიანის უფლებათა პოლიტიკის განხორციელება. რაც შეეხება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებს, რომლებიც რელევანტურია ხანდაზმულთა მნიშვნელოვანი ნაწილისთვისაც: საქართველოში არსებობს ძლიერი საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც ავლენს ბიოფსიქოსოციალურ მოდელზე გადასვლის ნიშნებს, თუმცა შშმ პირები კვლავ აწყდებიან დისკრიმინაციას და შეზღუდულ წვდომას მომსახურებებზე. ამას გარდა, მუნიციპალიტეტებს დამატებითი მხარდაჭერა სჭირდებათ სოციალურ მომსახურებათა ეფექტიანად დასაგეგმად

და განსახორციელებლად. როგორც ევროკავშირის წარმომადგენლობასთან შეხვედრისას აღინიშნა, საქართველოს სრულ შესაბამისობას ევროკავშირის სოციალურ კანონმდებლობასთან (social acquis) მნიშვნელოვანი რეფორმები სჭირდება, თუმცა ქვეყანაში განვითარებული ბოლოდროინდელი მოვლენების გამო, ამ კუთხით პროგრესი არ აღინიშნება, მოლაპარაკებები კი შეჩერებულია.

3. ხანდაზმულთა სოციალური უფლებების მიმოხილვა საქართველოში

პირველრიგში, აღსანიშნავია, რომ საქართველომ დიდარი ისტორიის მქონე ქვეყანაა, რომელმაც განვლო როგორც დამოუკიდებლობის, ასევე საბჭოთა მმართველობის პერიოდები. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ეკონომიკური რეფორმები, ძირითადად, ლიბერალიზაციასა და პრივატიზაციას ემსახურებოდა. ქვეყანა ახლაც გამოწვევების წინაშე დგას, განსაკუთრებით, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის კონფლიქტთა გამო, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მის სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებაზე. მიუხედავად პოლიტიკური და ეკონომიკური მიმოქცევების ცვალებადობისა, საქართველოს ეკონომიკამ აჩვენა გამძლეობა და ზრდის ტენდენცია. ქვეყნის მთავარი სექტორებია მომსახურება, მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, თუმცა სიღარიბე და უმუშევრობა ჯერ კიდევ სერიოზულ გამოწვევად რჩება. ეკონომიკურმა რეფორმებმა და უკეთესმა ბიზნესგარემომ შესაძლებელი გახადა უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, თუმცა კვლავაც არსებობს მნიშვნელოვანი ბარიერები ინკლუზიის გაზრდისა და სიღარიბის შემცირების კუთხით.⁶²

მოსახლეობის საყოველთაო აღწერის (2014) ბოლო მონაცემთა მიხედვით, რომელიც მიმოიხილავს ხანდაზმულთა დემოგრაფიულ, სოციალურ, ეკონომიკურ და ჯანდაცვის მდგომარეობას,⁶³ 2014 წელს 65 წლის და უფროსი ასაკის პირები მოსახლეობის 14.3%-ს შეადგენდნენ; 2024 წლისთვის ეს მაჩვენებელი 16.2%-მდე გაიზარდა, რაც მიუთითებს ხანდაზმული მოსახლეობის სტაბილურ ზრდაზე 1989

62 იხ. ILO, Assessment of the Social Protection System in Georgia, 2021, <https://www.ilo.org/publications/assessment-social-protection-system-georgia>.

63 <https://www.geostat.ge/en/modules/categories/737/2014-general-population-census-results>.

წლიდან;⁶⁴ 2030 წლისთვის ხანდაზმულთა წილი 18.9%-მდე გაიზრდება, ხოლო 2050 წლისთვის 25.3%-ს მიაღწევს.

ეს დემოგრაფიული ტრანსფორმაცია⁶⁵ რამდენიმე ფაქტორის შედეგია. ერთ-ერთი მთავარი მიზეზია შობადობის შემცირება. 2023 წელს 40 214 ბავშვი დაიბადა, ხოლო 2016 წელს - 56 569. ამას, ძირითადად, განაპირობებს რეპროდუქციული ასაკის ქალთა რაოდენობის შემცირება ემიგრაციის გამო, ასევე, გენდერის ნიშნით შერჩეული აბორტების პრაქტიკა, რომელიც 1990-იანი წლებიდან არსებობდა და რომლის შედეგადაც ბევრად ნაკლები გოგონა იბადებოდა. თუმცა, ბოლო წლებში დადებითი ტენდენციები გამოვლინდა ამ კუთხით და დაბადებისას სქესთა შეფარდება ბუნებრივ ბიოლოგიურ დონესთან ახლოს მერყეობს.⁶⁶ გარდა ამისა, ხანდაზმული მოსახლეობის გაზრდას განაპირობებს: სიკვდილიანობის კლების ტენდენცია (2023 წელს 42765 ადამიანი გარდაიცვალა, 2016 წელს კი - 50 771) და ისტორიული მიგრაციული პროცესები. ემიგრაციის გაზრდის გამო (2023 წელს იყო 245 064 ემიგრანტი, 2016 წელს კი - 98 288), რაც უკავშირდება ახალგაზრდების გასვლას ქვეყნიდან, დროებით მოიმატა ხანდაზმულ ზრდასრულთა მაჩვენებელმა. ამავდროულად, ბოლო ორი წლის განმავლობაში გაიზარდა იმიგრაციის მაჩვენებელიც (2023 წელს იყო 205 857 იმიგრანტი, 2016 წელს კი - 90 227), რაც, ძირითადად, უკავშირდება უკრაინისა და რუსეთის ფედერაციის მოქალაქეთა შემოსვლას, რომლებიც ომსა და მის შედეგებს გამოექცნენ.

პროგნოზები მიუთითებს ხანდაზმულ ზრდასრულთა რაოდენობის მუდმივ ზრდაზე, რაც მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს ხანდაზმულთა დამოკიდებულების კოეფიციენტზე (2024 წელს - 25.1, 2016 წელს - 21.7, 2030 წლის პროგნოზია 29.7, ხოლო 2050 წლისა - 42.8)

სხვადასხვა პოსტსაბჭოთა ქვეყანასთან შედარებით, საქართველოში სიცოცხლის ხანგრძლივობა მნიშვნელოვნად გაიზარდა - 2023 წელს კაცების შემთხვევაში იყო 70.6 წელი, ხოლო ქალებისთვის - 79.4 წელი. ეს, სხვა საკითხებთან ერთად, ნიშნავს,

64 <https://www.geostat.ge/en/modules/categories/41/population>.

65 2003 წლიდან ფერტილობის (შობადობის) ჯამურმა კოეფიციენტმა ზრდა დაიწყო (2002 წელს არსებული 1.5-დან) და მიაღწია ჩანაცვლების დონეს; ამჟამად აღინიშნება ზომიერი კლება - 2021 წელს იყო 2.0, 2023 წელს კი - 1.7.

66 იხ. C. Z. Guilmoto and S. Tafuro, Trends in the Sex Ratio at Birth in Georgia: An Overview Based on the 2014 General Population Census Data, UNFPA, 2017, https://www.geostat.ge/media/20630/4.-SRB-Trends_ENGL_Fin-al_0.pdf.

რომ ბევრი ხანდაზმული ქალი ქვრივობის რისკის წინაშე დგას, რადგან მათი სიცოცხლის ხანგრძლივობა მნიშვნელოვნად აღემატება კაცებისას. ხანდაზმულთა 48.4% კვლავ ეკონომიკურად აქტიურია, თუმცა მათი 85.1% დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში, სადაც პროდუქტიულობა დაბალია, ხოლო არაფორმალური დასაქმება - მაღალი. ბევრი მათგანისთვის დასაქმებას განაპირობებს ეკონომიკური აუცილებლობა.⁶⁷ შესაბამისად, საქართველოში სამუშაო ძალის აქტიურად დაბერების პოტენციალი, ერთი შეხედვით, კარგად არ არის განვითარებული. დამატებით, ხანდაზმულთა უმრავლესობა (82.1%) დამოუკიდებლად საქმიანობს, ხოლო გენდერული თანასწორობა პროფესიულ განაწილებაში შედარებით დაბალ ნიშნულზეა. ხანდაზმულ პირთა ძირითადი შემოსავლის წყაროა პენსია და სოციალური დახმარებები, ხოლო ქალთა დასაქმების დონე, განსაკუთრებით, 60 წლის ზემოთ, მნიშვნელოვნად დაბალია, კაცებთან შედარებით.

3.1 ინსტიტუციური ინფრასტრუქტურა

3.1.1 კონსტიტუციური ჩარჩო

საქართველოს ვალდებულებები ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით, ძირითადად, გამომდინარეობს საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან და ქვეყნის კონსტიტუციიდან.⁶⁸ საქართველო მხარეა გაეროსა და ევროპის საბჭოს არაერთი ხელშეკრულებისა, რომლებიც ეხება ადამიანის უფლებებს. მათ შორისაა: საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ; საერთაშორისო პაქტი ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ; ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია; და ევროპის სოციალური ქარტია. ეს ხელშეკრულებები უშუალოდ გამოიყენება საქართველოს შიდა სამართალში, ეროვნულ კანონმდებლობაზე უფრო მაღალი იურიდიული ძალით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეწინააღმდეგება კონსტიტუციის მოთხოვნებს.

საქართველოს კონსტიტუცია ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებსა და თავისუფლებებს „წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებად“ მიიჩნევს. მისი II თავი კონკრეტულად ამ უფლებებს ეხება და ყველა სახელმწიფო ორგანოს ავალდებულებს (ადგილობრივი ხელისუფლების ჩათვლით), იმოქმედონ

67 <https://www.geostat.ge/en/modules/categories/37/employment-and-wages>.

68 საქართველოს შესახებ სამართლებრივი აქტები ინგლისურ ენაზე ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/>.

კონსტიტუციურ დებულებათა შესაბამისად. მიუხედავად ამისა, კონსტიტუციაში არ გვხვდება ცალკე მითითება ხანდაზმულ პირთა უფლებებზე.

საქართველოს კონსტიტუცია ქვეყნის სამართლებრივი ჩარჩოს საფუძველია და ყველა მოქალაქისთვის უზრუნველყოფს ფუნდამენტურ უფლებებს. მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირ არ ახსენებს ასაკთან დაკავშირებულ უფლებებს, კონსტიტუცია უზრუნველყოფს კანონის წინაშე თანასწორობას, პიროვნული მახასიათებლების მიუხედავად; იცავს შრომის უფლებებს, მათ შორის, სამართლიან ანაზღაურებასა და უსაფრთხო სამუშაო გარემოსთან დაკავშირებით; მხარს უჭერს კულტურულ განვითარებას და მოქალაქეთა შეუზღუდავ მონაწილეობას კულტურულ ცხოვრებაში, რაც შესაძლოა საფუძვლად დაედოს სპეციალური რეგულაციების შექმნას ხანდაზმული და მობილობის შეზღუდვის მქონე პირებისთვის. ამავდროულად, იგი არ მოიცავს ცალკე დებულებებს ხანდაზმულთა ფიზიკურ გარემოზე წვდომის შესახებ. და ბოლოს, კონსტიტუცია უზრუნველყოფს განათლებისა და მისი ფორმის არჩევის უფლებას, თუმცა არა კონკრეტულად ხანდაზმულთათვის. ასევე მოქმედებს გარანტიები ჯანმრთელობის დაზღვევის კუთხით, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ხანდაზმულთა სამედიცინო საჭიროებებისთვის.

2017-2018 წლებში განხორციელებულმა საკონსტიტუციო რეფორმებმა გააძლიერა სოციალურ უფლებათა სტატუსი და ყურადღება გაამახვილა სოციალურ სამართლიანობაზე, თანასწორობასა და სოლიდარობაზე. საკონსტიტუციო დონეზე, სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს ჯანდაცვა, სოციალური დაცვა, საარსებო მინიმუმი და ღირსეული საცხოვრებელი; ასევე, ხელი შეუწყოს დასაქმებას. საქართველოს კონსტიტუცია აღიარებს „სოციალური სახელმწიფოს“ პრინციპს, რომელიც ეფუძნება სოციალურ სამართლიანობას, თანასწორობასა და სოლიდარობას. თუმცა, I თავში ჩამოყალიბებულ ამ პრინციპებს დეკლარაციული სახე აქვს და არ მიაკუთვნებენ უშუალოდ აღსრულებად უფლებებს. საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგად, ბევრი სოციალური და ეკონომიკური უფლება მეორე თავიდან (ძირითადი უფლებები) პირველში (ზოგადი დებულებები) გადანაცვლდა, რის შედეგადაც მათ აღარ განიხილავს სასამართლო. ამ ცვლილების მიზანი იყო, სასამართლოებს არ შესძლებოდათ სოციალური პოლიტიკისა და რესურსების გადანაწილების საკითხთა განხილვა და ეს მოვალეობები მხოლოდ პარლამენტის კომპეტენციაში მოქცეულიყო.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს ნორმატიული აქტების

კონსტიტუციურობას მოქალაქეების, იურიდიული პირებისა და სახალხო დამცველის მიერ წარდგენილ სარჩელთა საფუძველზე. ისტორიულად, სასამართლო ფრთხილად უდგება სოციალურ უფლებებს, მიუთითებს რა, რომ სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებს სასამართლო არ განიხილავს. ამავდროულად, ცალკეულ საქმეებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ ეტაპობრივად, სასამართლო უფრო აქტიურ პოზიციას ირჩევს, განსაკუთრებით, თანასწორობისა და ადამიანური ღირსების დაცვის საკითხებში. გამოწვევების მიუხედავად, ბოლოდროინდელი საქმეები ხელს შეუწყობს სამომავლო სამართალწარმოებებს სოციალურ უფლებებზე, თუმცა საკონსტიტუციო და რესურსებთან დაკავშირებული შეზღუდვების ფარგლებში. ზოგადად, საქართველოში არასწორი წარმოდგენები ვრცელდება სოციალურ უფლებათა განხორციელებაზე. მოსახლეობის ნაწილი ფიქრობს, რომ ამ უფლებათა რეალიზება დამოკიდებულია მხოლოდ სახელმწიფოს კეთილ ნებაზე. სოციალური უფლებები დეკლარირებულია, მაგრამ პრაქტიკაში ეფექტიანად არ აღსრულდება, რაც განპირობებულია საბჭოთა მიდგომებით.

3.1.2 UNECE-ის საგზაო რუკა დაბერების საკითხთა ინტეგრირებისათვის საქართველოში (2014)

საქართველოს მთავრობის ოფიციალური მიმართვის საფუძველზე, გაეროს ევროპის ეკონომიკურმა კომისიამ 2014 წელს შეიმუშავა საგზაო რუკა, რომელიც მიზნად ისახავდა ხანდაზმულობის საკითხთა ინტეგრირებას საქართველოს პოლიტიკაში.⁶⁹ ინიციატივა შეესაბამებოდა მადრიდის საერთაშორისო სამოქმედო გეგმას დაბერების საკითხებზე და მის რეგიონული განხორციელების სტრატეგიას, რის შედეგადაც საქართველოსთვის შეიქმნასპეციალური სახელმძღვანელო დოკუმენტი. საგზაო რუკის შემუშავების პროცესში ჩამოყალიბდა ინტერდისციპლინური სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფდა თანამშრომლობას სახელმწიფო უწყებებს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის. ეს გზამკვლევი კომპლექსური ჩარჩოა, რომელიც მიზნად ისახავს ხანდაზმულთა საკითხების ინტეგრირებას საქართველოს ეროვნულ დღის წესრიგში.

ისტორიულად, საქართველოს აკლდა თანმიმდევრული სტრატეგია, რომელიც გაითვალისწინებდა ხანდაზმულობის საკითხებს სხვადასხვა სექტორში და სხვადასხვა ადმინისტრაციულ დონეზე. საგზაო რუკამ მიზნად დაისახა ამ ხარვეზის

⁶⁹ https://unece.org/DAM/pau/age/Capacity_building/Road_Maps/Georgia/Publication/ECE-WG.1-22_12-15.pdf.

გამოსწორება, პოლიტიკის განხორციელებისადმი სტრუქტურირებული მიდგომის დანერგვით.

დოკუმენტმა გააანალიზა საქართველოში მოქმედი პოლიტიკური და ინსტიტუციური ჩარჩო ხანდაზმულობასთან დაკავშირებით, გამოავლინა ხარვეზები და წარმოადგინა რეკომენდაციები ცხოვრებისეული და პოლიტიკური მიდგომის საფუძველზე. საგზაო რუკა მოიცავდა რეკომენდაციებს შემდეგ საკითხებზე: სამინისტროთა შორის კოორდინაციის გაუმჯობესება; ადმინისტრაციულ დონეებზე თანამშრომლობის მექანიზმთა შექმნა; და მონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბება, მიუკერძოებელ ინდიკატორებსა და პროგრესზე თვალის მიდევნების მკაფიო მექანიზმებთან ერთად. იგი ასევე ითვალისწინებდა კონკრეტულ თემატურ რეკომენდაციებს, რომელთა უმეტესობა დღესაც აქტუალურია საქართველოში.

შრომის ბაზართან დაკავშირებით, საგზაო რუკა ეხება ასაკობრივ დისკრიმინაციასთან ბრძოლას, ხანდაზმულ პირთა დასაქმების შესაძლებლობების ხელშეწყობას და პროფესიული განათლების ინტეგრაციას შრომის ბაზრის საჭიროებებთან. სოციალური ჩართულობის კუთხით, დოკუმენტი ყურადღებას ამახვილებს საჯარო სივრცეთა ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებაზე, ტრანსპორტის არჩევანის გაფართოებაზე და ხანდაზმულ პირთა სოციალურ იზოლაციასთან ბრძოლაზე, საზოგადოებრივი ჩართულობისა და ტექნოლოგიური წიგნიერების განვითარებით. ჯანდაცვის მიმართულებით, საგზაო რუკა მხარს უჭერს ჯანდაცვის სერვისების გაძლიერებას, მედიკამენტთა ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას და გრძელვადიანი მზრუნველობის მომსახურებათა გაფართოებას, რომლებიც მოერგება ხანდაზმულ პირთა საჭიროებებს. თაობათა სოლიდარობის კუთხით, დოკუმენტი ხაზს უსვამს მრავალთაობიანი ოჯახური სტრუქტურების მხარდაჭერას, ზრუნვით პასუხისმგებლობებში გენდერული თანასწორობის წახალისებას და ალტერნატიული ზრუნვის სერვისების განვითარებას იმ ხანდაზმულთათვის, რომლებსაც არ აქვთ ოჯახური მხარდაჭერა. და ბოლოს, საგზაო რუკა ეხება მიგრაციის გავლენას ხანდაზმული მოსახლეობის დემოგრაფიულ მონაცემებზე, ასევე, ხანდაზმულ მიგრანტთა წინაშე არსებულ გამოწვევებს და დაბრუნებულ ემიგრანტთა შესაძლო დახმარების საკითხებს.

საერთო ჯამში, გზამკვლევი ხაზს უსვამს კულტურული ცვლილების აუცილებლობას ხანდაზმულობის პოლიტიკისადმი კოორდინირებული მიდგომის დასაწერად საქართველოში. დოკუმენტი მოუწოდებს, რომ გაღრმავდეს გრძელვადიანი

თანამშრომლობა საერთაშორისო პარტნიორებსა და დაინტერესებულ მხარეებთან, რათა ხანდაზმულობის საკითხები სრულფასოვნად ინტეგრირდეს საზოგადოების ყველა სექტორში. საქართველომ აიღო ვალდებულება, რომ მიიღებდა საგზაო რუკას და შეიმუშავებდა სამოქმედო გეგმას მისი რეკომენდაციების განსახორციელებლად. მთავრობამ ასევე დადო პირობა, რომ ანგარიშს წარუდგენდა UNECE-ის ხანდაზმულობის საკითხებზე მომუშავე ჯგუფს მიღწეული პროგრესის შესახებ, თუმცა, ჩვენ ხელთ არსებული ინფორმაციით, საქართველოს ასეთი ანგარიში არ წარუდგენია.

3.1.3 დაბერების საკითხებზე სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფცია (2016) და მისი სამოქმედო გეგმა (2017-2018)

UNECE-ის საგზაო რუკის პასუხად, საქართველომ 2016 წელს შეიმუშავა „დაბერების საკითხებზე სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფცია“, რაც შეიძლება დადებით ნაბიჯად შეფასდეს. ეს პოლიტიკის დოკუმენტი შეეხება ხანდაზმულებთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხს, განსაკუთრებით, ჯანდაცვის გაუმჯობესებას, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაციას, სოციალურ დაცვას, უწყვეტ განათლებასა და დასაქმებას. დოკუმენტი ასევე მნიშვნელოვან კომპონენტად გამოკვეთს გენდერული თანასწორობის დამკვიდრებას. კონცეფციამ მთავრობას დაავალდებულა ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავება (2016-2018 წლებისთვის), ხოლო ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაავალა სამოქმედო გეგმის კოორდინაცია, შესრულების მონიტორინგი და ანგარიშგება პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის წინაშე.

კონცეფციის მიხედვით, ხანდაზმული მოსახლეობა საქართველოში სწრაფად იზრდება, რაც გავლენას ახდენს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე, საჯარო ფინანსებსა და საზოგადოებრივ სექტორებზე. ამ კონტექსტში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხელშემწყობი გარემოსა და ინსტიტუციური მექანიზმების შექმნა დაბერების საკითხთა ჩასართავად ყველა პოლიტიკურ მიმართულებაში; ასევე, ასაკობრივი შეზღუდვებისგან თავისუფალი გარემოს ჩამოყალიბება, რათა ხანდაზმულმა პირებმა შეძლონ სრულად მონაწილეობა სოციალურ, კულტურულ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. ამ მიზნების მნიშვნელოვანი ასპექტია საზოგადოებრივი აღქმებისა და მედიაგაშუქების გაუმჯობესება ხანდაზმულთა საკითხებთან დაკავშირებით.

კონცეფცია ასევე მიუთითებს, რომ საჭიროა ხანდაზმულ პირთა შრომითი პოტენციალის განვითარება-გამოყენება და სოციალური დაცვის სისტემის ადაპტაცია დემოგრაფიულ და სოციალურ-ეკონომიკურ ცვლილებებთან. პრიორიტეტებად განისაზღვრა ხანდაზმულთა საჭიროებებზე მორგებული ჯანდაცვის სერვისების გაძლიერება და უწყვეტი განათლების ხელშეწყობა, რათა ის მოერგოს დემოგრაფიულ ცვლილებებს. დოკუმენტში ყურადღება გამახვილდა რამდენიმე მნიშვნელოვან ჰორიზონტალურ საკითხზეც, როგორიცაა: გენდერული პერსპექტივის ინტეგრირება დაბერების საკითხთა პოლიტიკაში; თაობათაშორისი სოლიდარობის წახალისება; საქართველოს ინტეგრაციის გაღრმავება ხანდაზმულობასთან დაკავშირებულ საერთაშორისო პროცესებში; კვლევების ჩატარება და მონაცემთა შეგროვება დაბერების საკითხებზე, მყარი ემპირიული საფუძვლის შესაქმნელად პოლიტიკისა და პროგრამებისთვის.

ამის შემდეგ დამტკიცდა 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმა, რომელიც მიზნად ისახავდა „დაბერების საკითხებზე სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფციის“ განხორციელებას, თუმცა საამისოდ განსაზღვრული იყო ძალიან შეზღუდული დრო (დაახლოებით, ერთი წელი). სამოქმედო გეგმა მიმართული იყო კონცეფციაში განსაზღვრული მიზნების პრაქტიკულ რეალიზაციაზე და ყურადღებას ამახვილებდა კონკრეტულ ვალდებულებებსა და ვადებზე. კონცეფციაც და სამოქმედო გეგმაც კომპლექსურად იყო ფორმულირებული, თუმცა, საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშების თანახმად, მათი განხორციელება სერიოზული გამოწვევებს აწყდებოდა. სამოქმედო გეგმაში მითითებულ ვალდებულებათა ნახევარზე მეტი არ შესრულდა, რაც მიუთითებს მნიშვნელოვან სხვაობაზე განზრახულ და რეალურ შედეგებს შორის. დოკუმენტის მოქმედების ვადა 2018 წელს ამოიწურა, ახალი გეგმა კი ჯერ არ დამტკიცებულა. შედეგად, უკვე 5-6 წელია, საქართველოში არ არსებობს ხანდაზმულობის ყოვლისმომცველი პოლიტიკა და მისი განხორციელების სტრატეგია. ეს ხარვეზი შეიძლება მიუთითებდეს ან პოლიტიკური ნების ნაკლებობაზე, ან გამოწვევებზე ისეთი კუთხით, როგორიცაა საქართველოში სახელმწიფოს როლის აღიარება ხანდაზმულ პირთა გაძლიერებაში.

3.1.4 დემოგრაფიული უსაფრთხოების კონცეფცია

2016 წელს დამტკიცდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკის დოკუმენტი – „დემოგრაფიული უსაფრთხოების კონცეფცია“, რომელიც შეესაბამება

საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო სამართლის პრინციპებსა და გაეროს 2030 წლის მდგრადი განვითარების მიზნებს. დოკუმენტი მოიცავს დემოგრაფიული უსაფრთხოების იმ მიზნებს, ამოცანებს, პრინციპებსა და ძირითად მიმართულებებს, რომლებიც მნიშვნელოვანია საქართველოში მცხოვრები ხანდაზმულ პირებისთვის, და განსაზღვრავს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მოქმედებებს. კონცეფციის მიზნებია: დეპოპულაციის პრევენცია; მოსახლეობის რაოდენობის სტაბილიზაცია მიგრაციის რაციონალურად მართვით; კომპლექსური მიდგომის ჩამოყალიბება დემოგრაფიულ ცვლილებათა მიმართ და მათთან დაკავშირებული ეროვნული უსაფრთხოების რისკების შემცირება. შესაბამისად, ეს დოკუმენტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების პოლიტიკის საფუძველია და მიზნად ისახავს მდგრად საზოგადოებრივ განვითარებას. კონცეფციის პრინციპებსა და ზოგად თემებს შორის აღსანიშნავია: ადამიანის უფლებებისა და ღირსების პატივისცემა, გენდერული და ასაკობრივი თანასწორობის დაცვა, ადამიანის უწყვეტი განვითარება, მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის ფორმირება, პოლიტიკური პროცესების გახსნილობა და ინკლუზიურობა.

კონცეფცია ითვალისწინებს საქართველოს დემოგრაფიულ გამოწვევებს და მათ ეკონომიკურ შედეგებს. კერძოდ, აღიარებს, რომ შრომისუნარიანი მოსახლეობის ასაკის მატების პირობებშიც არსებობს ეკონომიკური ზრდის პოტენციალი, თუ შესაბამისი პოლიტიკა ეფექტიანად განხორციელდება; ამასთან, სიცოცხლის გახანგრძლივებამ შეიძლება ეკონომიკური სარგებელი მოიტანოს პროდუქტიულობის გაუმჯობესებითა და დანაზოგების გაზრდით. შესაბამისად, კონცეფცია აღიარებს, რომ საჭიროა ხანდაზმულ მუშაკთა დასაქმების ხელშეწყობა, მათ შორის, უწყვეტი განათლებით, პროფესიული გადამზადებით და დასაქმების მოქნილი შესაძლებლობების შექმნით.

გარდა ამისა, დოკუმენტი ყურადღებას ამახვილებს კიბოს, დიაბეტის, გულ-სისხლძარღვთა და სასუნთქი სისტემის დაავადებათა მაღალ გავრცელებაზე საქართველოში, რისი აცილებაც შესაძლებელია მიზნობრივი ჯანდაცვის ღონისძიებებით და დაავადების ადრეული გამოვლენით. ამასთან, კონცეფცია ხაზს უსვამს, რომ საჭიროა გერიატრიული და პალიატიური მზრუნველობისა და გრძელვადიანი მოვლის სერვისების რეფორმირება, ასევე, ოჯახის წევრ მომვლელთა მხარდაჭერა, რათა მათ შეძლონ საკუთარი პასუხისმგებლობებისა და პროფესიული კარიერის დაბალანსება.

კონცეფციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია თაობებს შორის ცოდნის გაცვლის ნახალისება, რაც ითვალისწინებს ხანდაზმულ პირთა გამოცდილების გამოყენებას მენტორობის პროცესში. სხვა პრიორიტეტების შორის არის: ყველა ასაკისა და შესაძლებლობის მქონე პირისთვის ხელმისაწვდომი გარემოს უზრუნველყოფა; ხანდაზმულთა მიმართ ძალადობის, უგულებელყოფისა და არასათანადო მოპყრობის პრევენცია და მათზე რეაგირება; და სიღარიბის შემცირება მოწყვლად ჯგუფების, მათ შორის, ხანდაზმული პირებისთვის.

და ბოლოს, კონცეფცია ხაზს უსვამს მონაცემთა შეგროვების აუცილებლობას ხანდაზმულ პირთა საჭიროებებსა და მოლოდინებზე, სხვადასხვა დემოგრაფიული ფაქტორის გათვალისწინებით.

3.1.5 ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგია (2022-2030) და სამოქმედო გეგმა (2024-2026)

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელობით, შემუშავდა ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგია 2022-2030 წლებისთვის - მეორე ასეთი დოკუმენტი საქართველოს ისტორიაში. სტრატეგია პარლამენტმა 2023 წლის დასაწყისში მიიღო, სამთავრობო უწყებებთან, პარლამენტსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან ფართო თანამშრომლობით. დოკუმენტი მოიცავს ფუნდამენტურ უფლებებს ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, სამოქალაქო და პოლიტიკურ სფეროებში და განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს დისკრიმინაციის აღმოფხვრაზე, ასევე, მოწყვლადი ჯგუფების (მათ შორის, ხანდაზმულების, შშმ პირებისა და ბავშვების) დაცვასა და გენდერულ საკითხებზე.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს ადამიანის უფლებათა სტრატეგიაში ხანდაზმულ პირებს ცალკე თავი ეთმობა, რაც, მცირე მოცულობის მიუხედავად (მხოლოდ ნახევარი გვერდია), დადებით წინგადადგმულ ნაბიჯად მიიჩნევა. თუმცა, დაინტერესებულ მხარეთა მითითებით, სტრატეგიამ კრიტიკა დაიმსახურა იმის გამო, რომ არ ასახავს კონკრეტულ ქმედით ზომებს, მისი განხორციელების პროცესი კი შეფერხებულია მთავრობაში მომხდარი ცვლილებებისა და პოლიტიკური ნების მუდმივი ნაკლებობის გამო. ამას განსაკუთრებულად განაპირობებს ის, რომ ხანდაზმულობის საკითხები არ არის ქართული პოლიტიკისთვის მნიშვნელოვანი თემა და ხშირად მხოლოდ პენსიების განხილვით შემოიფარგლება, ნაცვლად იმისა,

ფართო საზოგადოებრივ საკითხებსაც ითვალისწინებდეს, ადამიანის უფლებებთან ერთად. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გავრცელებული წარმოდგენა, რომ ხანდაზმული პირები აღარ არიან საზოგადოების აქტიური წევრები, რაც კიდევ უფრო ამყარებს მარგინალიზაციას.

ეროვნული სტრატეგიის თანახმად, ხანდაზმულობასთან დაკავშირებული გამოწვევების მოგვარება სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. სტრატეგიის მიზნებია: ხანდაზმულთა უფლებების ეფექტიანად დაცვა და ხელშეწყობა; მათი აქტიური მონაწილეობის წახალისება დასაქმებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში; სოციალური და ჯანდაცვის მომსახურებების სათანადოდ უზრუნველყოფა, რაც მოიცავს ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ფსიქოსოციალური მხარდაჭერის მიზნობრივ სერვისებს, სპეციალიზებულ დღის ცენტრებს, პალიატიურ და გერიატრიულ მზრუნველობას. სტრატეგია ასევე ითვალისწინებს კომპლექსური ზომების გატარებას დემოგრაფიულ და სოციალურ-ეკონომიკურ ცვლილებათა კონტექსტში. გარდა ამისა, დოკუმენტის მიზანია ხანდაზმულ პირთა მიმართ ძალადობის დროულად გამოვლენა, მასზე რეაგირება და მისი პრევენცია; ციფრულ ტექნოლოგიათა ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება; ხანდაზმულთა ციფრული უნარების განვითარება, რათა შეძლონ სოციალური კავშირების შენარჩუნება და ინფორმაციის მიღება.

2024-2026 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა, რომელიც ადამიანის უფლებათა სტრატეგიის განსახორციელებლად შეიქმნა, ხანდაზმულ პირთა უფლებებს ოთხიდან მესამე პრიორიტეტად („პრიორიტეტი 3“) განიხილავს. გეგმაში დასახულია კონკრეტული მიზნები, ასევე, განსაზღვრულია შესაბამისი აქტივობები, პასუხისმგებელი უწყებები, პარტნიორები, ინდიკატორები, რისკები და საბიუჯეტო საკითხები, შემდეგი მიმართულებებით:

- ხანდაზმულ პირთა აქტიური ჩართულობის წახალისება დასაქმებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში;
- სოციალური და ჯანდაცვის მომსახურებების უზრუნველყოფა, დემოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებების გათვალისწინებით;
- ხანდაზმულ პირთა მიმართ ძალადობის გამოვლენა, პრევენცია და მასზე რეაგირება;
- ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ფსიქოსოციალური მხარდაჭერის სერვისების უზრუნველყოფა იმ ხანდაზმულებისთვის, რომლებიც განსაკუთრებით

დააზარალა კოვიდ-19-ის პანდემიისას დაწესებულმა შეზღუდვებმა;

- ხანდაზმულ პირთა ციფრულ ტექნოლოგიებზე წვდომის ხელშეწყობა და მათი უნარების განვითარება, რათა შეეძლოთ გარემოსთან კონტაქტი და ინფორმაციის მიღება;
- სერვისების უწყვეტად მიწოდება სპეციალიზებულ დღის ცენტრებში, ფსიქიატრიული, პალიატიური და გერიატრიული მზრუნველობის ჩათვლით.

როგორც აღნიშნულია 2024-2026 წლების სამოქმედო გეგმაში, ეს მიზნები მიიღწევა ხანდაზმულობის საკითხებთან დაკავშირებული ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავებით, რომელიც შეესაბამება „დაბერების საკითხებზე სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფციას (2024-2025)“. გეგმაში უნდა ჩაერთონ სამთავრობო უწყებები, სამოქალაქო ორგანიზაციები და საერთაშორისო პარტნიორები, თუმცა, დაინტერესებულ მხარეთა ინფორმაციით, სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა ჯერ კიდევ არ არის უზრუნველყოფილი. ამ დროისათვის, ახალი სამოქმედო გეგმა ჯერ არ მიუღიათ. დამატებით, ზემოაღნიშნული მიზნების მისაღწევად, მოსალოდნელია მიზნობრივი პოლიტიკის ინტერვენციები, საკანონმდებლო შესწორებები და რესურსების გადანაწილება, ასევე, რეგულარული მონიტორინგი და შეფასება სამოქმედო გეგმის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად და განვითარებად საჭიროებებზე მოსარგებად.

ახალი სამოქმედო გეგმა, რომელიც ამჟამად შემუშავების პროცესშია და, როგორც მოსალოდნელია, 2024-2026 წლებში განხორციელდება, სავარაუდოდ, მოიცავს ახალ სამთავრობო სტრატეგიებს, მისი კოორდინირება კი დაევალება ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს. ოფიციალური წყაროების თანახმად, სამოქმედო გეგმის განხორციელებას მონიტორინგს გაუწევს მინისტრის მოადგილეებისგან შემდგარი სპეციალური საბჭო. დამატებით, შეიქმნება სამუშაო ჯგუფი, სადაც გაერთიანდებიან არასამთავრობო ორგანიზაციების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა (UNFPA, UN-ECE, WHO) და მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები. შეხვედრისას UNFPA-ის წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ მათი ფონდი აქტიურად თანამშრომლობს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან, ხანდაზმულ პირთა ახალი სამოქმედო გეგმის პროექტის შესამუშავებლად.

გარდა ამისა, ოფიციალური წყაროების მიხედვით და 2024-2026 წლების სამოქმედო

გეგმის მოთხოვნის შესაბამისად, იუსტიციის სამინისტრო ამჟამად მუშაობს ხანდაზმულ პირთა სპეციალური კანონმდებლობის პროექტზე, რომელიც ეფუძნება მულტიდისციპლინურ მიდგომას. კანონპროექტის მიზანია ხანდაზმულ პირთა სამართლებრივი გარანტიების მოქცევა ერთიან სამართლებრივ ფორმატში, საქართველოს კონსტიტუციისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად; ასევე, დამატებითი სამართლებრივი გარანტიების გაძლიერება ღირსეულად დაბერებისათვის. ინიციატივა ასევე მიზნად ისახავს ზრუნვის სერვისების ფორმალიზებასა და გაუმჯობესებას, დღის ცენტრების მომსახურებათა ჩათვლით. და ბოლოს, საქართველომ ასევე დაამტკიცა SDG-ის ეროვნული დოკუმენტი, რომელიც მოიცავს ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოსდაცვით განზომილებებს დაადგენს პოლიტიკის მიმართულებებს 2030 წლამდე. იგი მოიცავს 200 ინდიკატორს, შესაბამის ამოცანებთან ერთად.

3.1.6 სახალხო დამცველის ოფისი

საქართველოს სახალხო დამცველის ოფისი, როგორც განსაზღვრულია საქართველოს ორგანული კანონში „სახალხო დამცველის შესახებ“, იცავს და ხელს უწყობს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს საქართველოში. ოფისი დამოუკიდებლად მოქმედებს. მას ევალება ზედამხედველობა საერთაშორისო სტანდარტების დაცვაზე, რეკომენდაციების შემუშავება, და ჩართულობა ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ საგანმანათლებლო საქმიანობაში. 2014 წელს საქართველოს სახალხო დამცველი განისაზღვრა ორგანოდ, რომელიც პასუხისმგებელია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის განხორციელებაზე, ხელშეწყობასა და დაცვაზე. გარდა ამისა, უწყება ასრულებს ეროვნული პრევენციული მექანიზმის ფუნქციას, რასაც ითვალისწინებს გაეროს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატური ოქმი. კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ სახალხო დამცველს განსაზღვრავს თანასწორობის ორგანოდ.

უწყება აქტიურად მუშაობს ხანდაზმულთა უფლებებზე, აღიარებს რა მათი რაოდენობის ზრდით წარმოქმნილ დემოგრაფიულ გამოწვევებს საქართველოში, ასევე, უფლებრივ პრობლემებს, რომლებსაც ისინი აწყდებიან. სახალხო დამცველის ოფისის ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა დეპარტამენტში ორი თანამშრომელი კონკრეტულად ხანდაზმულთა უფლებებზე მუშაობს.

ოფისი მუდმივად აკვირდება ხანდაზმულთა მდგომარეობას, მისი მიგნებები კი ქვეყნდება სახალხო დამცველის ყოველწლიურ ანგარიშებში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, ან სპეციალურ ანგარიშებში, რომლებიც შეეხება ხანდაზმულთა უფლებებს.⁷⁰ გარდა ამისა, უწყებამ მონიტორინგი გაუწია იმ ხანდაზმულთა მდგომარეობას, რომლებიც ცხოვრობენ თბილისსა და ქუთაისში სახელმწიფო დაფინანსებით მოქმედ დაწესებულებებში, ასევე, ადგილობრივი თვითმმართველობებისა და კერძო ორგანიზაციების მიერ დაფინანსებულ საცხოვრებელ სივრცეებში. ამ მონიტორინგის მნიშვნელოვანი მიგნებები დამატებით განიხილება საქართველოს სამართლებრივი და პოლიტიკის ჩარჩოს ანალიზისას (იხ. თავი 3.2). და ბოლოს, სახალხო დამცველი აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო დისკუსიებში ხანდაზმულ პირთა უფლებების შესახებ, მათ შორის, OEWGA-ს ფარგლებში. ხანდაზმულ პირებს, მაგალითად, სოციალური დახმარების ბენეფიციარებს, შეუძლიათ, ოფიციალურად მიმართონ საჩივრით სახალხო დამცველს. თავის მხრივ, უწყებას შეუძლია, სასამართლოში დაიცვას მათი ინტერესები, ან სასამართლოს მეგობრის (amicus curiae) სტატუსით ჩაერთოს საქმეებში, როგორც უკვე მოხდა რამდენიმე შემთხვევაში.

3.1.7 ადგილობრივი ხელისუფლება

ადგილობრივი ხელისუფლება საქართველოში ფლობს როგორც ექსკლუზიურ, ისე დელეგირებულ უფლებამოსილებებს, რომლებიც განსაზღვრულია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით. მიუხედავად იმისა, რომ კოდექსი პირდაპირ არ მიუთითებს ადამიანის უფლებებზე, ადგილობრივი ხელისუფლების ქმედებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადამიანის უფლებათა რეალიზაციაზე ადგილობრივ დონეზე. ამას ადასტურებს 2023-2025 წლების სტრატეგია, რომლის მიზანია ადგილობრივი ხელისუფლების როლის გაძლიერება ადამიანის უფლებათა უზრუნველყოფაში. დოკუმენტი შეიმუშავა ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულმა ასოციაციამ (NALA), თუმცა მისი ოფიციალური მიღება ჯერ არ დასრულებულა. გარდა ამისა, საქართველოს დეცენტრალიზაციის სტრატეგიის (2020-2025) მიზანია ადგილობრივი მმართველობის გაძლიერება და მისი დაკავშირება ადამიანის უფლებებით სარგებლობასთან. ამ პროცესში ყურადღება გამახვილდება გამჭვირვალობაზე, ანგარიშვალდებულებასა და მოქალაქეთა მონაწილეობაზე ადგილობრივ გადაწყვეტილებათა მიღებაში.

70 <https://www.ombudsman.ge/eng/angarishebi>.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი განსაზღვრავს ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენციებს, როგორიცაა: მუნიციპალური ბიუჯეტირება, ბუნებრივი რესურსების მართვა, ურბანული დაგეგმარება, სანიტარული ნორმების დაკმაყოფილება და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა. ეს სფეროები პირდაპირ გავლენას ახდენს ხანდაზმულთა უფლებებზე, როგორიცაა ჯანსაღ გარემოში ცხოვრება, განათლების ხელმისაწვდომობა, კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობა და სოციალური სერვისების მიღება. ცენტრალურ მთავრობას შეუძლია, დამატებითი უფლებამოსილებებიც გადასცეს ადგილობრივ ხელისუფლებას, განსაკუთრებით, იმ სფეროებში, სადაც ლოკალურად განხორციელება უფრო ეფექტიანად მიიჩნევა (მაგ. ბავშვთა უფლებები და შშმ პირთა უფლებები).

2019 წლის შემდეგ, საქართველო მიიღო რამდენიმე მნიშვნელოვანი კანონი (მაგ: ბავშვის უფლებათა კოდექსი, კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ და კანონი „სოციალური მუშაობის შესახებ“), რომლებმაც გააფართოვეს ადგილობრივი ხელისუფლების პასუხისმგებლობები, მათ შორის, სოციალური მომსახურებისა და დაცვის სფეროში. სოციალურ უფლებამოსილებათა დელეგირება საქართველოს დეცენტრალიზაციის სტრატეგიის მნიშვნელოვანი ასპექტია, რომელიც მიზნად ისახავს მუნიციპალიტეტთა გაძლიერებას სოციალური სერვისების გასაუმჯობესებლად. კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ (2021) ითვალისწინებს ახალი ვალდებულებების გადაცემას ადგილობრივი ხელისუფლებისთვის, შშმ პირთა უფლებების დასაცავად და ხელშესაწყობად. ეს მოიცავს სპეციფიკურ სერვისებს, როგორიცაა პერსონალური ასისტენტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის.

მუნიციპალიტეტებში, როგორც წესი, მოქმედებს სპეციალიზებული სამსახურები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ჯანდაცვისა და სოციალური მზრუნველობის პრიორიტეტთა განსაზღვრაზე, ბიუჯეტირებასა და პროგრამების განხორციელებაზე. ადგილობრივ საკრებულოებში ჯანმრთელობისა და სოციალური საკითხების კომიტეტები ზედამხედველობენ ბიუჯეტის დამტკიცებას და აღმასრულებელ ორგანოთა ქმედებებს. სოციალური დახმარების საკითხებზე გადანაწილებებს, ძირითადად, იღებენ მერიის კომისიები, რომლებიც მთავარ ყურადღებას ამახვილებენ სოციალურად დაუცველის სტატუსზე.

რაც შეეხება ადგილობრივ საბინაო პოლიტიკას, მუნიციპალიტეტთა დონეზე არ არსებობს თანმიმდევრული მეთოდი უსახლკარო პირთა საჭიროებების

რეგისტრირებისა და შეფასებისთვის. ეს, თავის მხრივ, უზუსტობასა და ხარვეზებს იწვევს მონაცემებში, რომლებიც საჭიროა უსახლკარო მოსახლეობის გამოსავლენად და შესაბამისი ინტერვენციების დასაგეგმად. რეგისტრაციის არსებული ინსტრუქციების შესრულებას სწორედ ეს შეუსაბამობები აფერხებს. მუნიციპალიტეტები პრობლემებს აწყდებიან უსახლკარობის აღმოსაფხვრელი პროგრამებისა და ბიუჯეტების განხორციელებაშიც. მათ შორისაა სოციალური თავშესაფრების ნაკლებობა, საცხოვრებელი ფონდის შეზღუდულობა, დახმარების პროგრამების არასაკმარისი დაფინანსება. მუნიციპალიტეტთა მიერ უსახლკარო პირებისთვის გამოყოფილი ფინანსური რესურსები შეზღუდულია და, ძირითადად, ფოკუსირდება დროებით დახმარებაზე (მაგ: თავშესაფრებსა და საცხოვრებლის ქირის სუბსიდიებზე), ნაცვლად მდგრადი გადაწყვეტილებებისა, რომლებიც უზრუნველყოფს დამოუკიდებელ ცხოვრებას. მუნიციპალური ქვეპროგრამები, ძირითადად, ფოკუსირებულია გადაუდებელ საჭიროებებზე, როგორიცაა თავშესაფრები და ფულადი დახმარება ქირის გადასახდელად, რის გამოც, ხშირად, უსახლკარო ადამიანები ვეღარ ახერხებენ დამოუკიდებლად ზრუნვას საკუთარ თავზე. არაეფექტიანი მენეჯმენტი და პრიორიტეტთა არასწორი განაწილება კიდევ უფრო ამწვავებს მოწყვლად უსახლკარო პირთა გამორიცხვას აუცილებელი სერვისებიდან.

გრძელვადიანი მზრუნველობის სფეროში უკვე დაწყებულია სტანდარტებისა და კონცეფციების განსაზღვრა ხანდაზმული პირებისთვის. პრიორიტეტულ მიმართულებებს შორისაა: ბიოფსიქოსოციალურ მიდგომაზე დაფუძნებული ინტეგრირებული მზრუნველობის მოდელების განვითარება; სოციალური დახმარების გაძლიერება; სახლის პირობებში ზრუნვის პროგრამების ხელშეწყობა. თუმცა, სახალხო დამცველის ოფისის მონაცემებით, საქართველოს მუნიციპალიტეტთა, დაახლოებით, 70%-ს არ გააჩნია ხანდაზმულთა საჭიროებებზე დაფუძნებული კონკრეტული პროგრამები. არსებული ადგილობრივი პროგრამები, ძირითადად, მოიცავს საყოფაცხოვრებო კომუნალური გადასახადების დაფინანსებას და ერთჯერადი ფულადი დახმარების გაცემას, რომელიც, ძირითადად, ორიენტირებულია მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებსა და 80+, 95+, 100+ წლის ხანდაზმულებზე.

საინტერესოა, რომ სოციალურ გარიყულობასა და მართობასთან საბრძოლველად (რაც საქართველოში ფართოდ გავრცელებული მოვლენაა), ასევე, დასაქმების მიღმა აქტიური დაბერების ხელშესაწყობად, ზოგიერთმა მუნიციპალიტეტმა შექმნა

ხანდაზმულთა კლუბები ან აქტიური დაბერების ცენტრები. ამ ცენტრების მიზანია სოციალიზაციის ხელშეწყობა, გამოცდილების გაზიარება და საგანმანათლებლო შესაძლებლობების შექმნა 60 წლის და უფროსი ასაკის პირებისთვის. განსაკუთრებით ქალები იჩენენ დიდ ინტერესს ამ ინიციატივებში მონაწილეობისადმი. არსებული მონაცემებით, ასეთ საზოგადოებაზე დაფუძნებულ პროგრამებზე მოთხოვნა მზარდია, რაც მიუთითებს ხანდაზმულთა სურვილზე, მეტად ჩაერთონ სოციალურ აქტივობებში.

მუნიციპალიტეტები ასევე აფინანსებენ მკურნალობისა და რეაბილიტაციის ხარჯებს და მედიკამენტებს, თუმცა გათვალისწინებული თანხები ხშირად არ კმარა მთელი წლის განმავლობაში ამ ხარჯების დასაფარად. ხანდაზმულთა სახლის პირობებში მოვლა არ არის პრიორიტეტი მუნიციპალურ ბიუჯეტებში. ასეთი სერვისები იშვიათად ფინანსდება სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ თანადაფინანსებულ პროექტთა ფარგლებშიც. რეზიდენტული ზრუნვის დაწესებულებები მხოლოდ ზოგიერთ მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს, რაც ინსტიტუციური მზრუნველობის სერვისების მნიშვნელოვან დეფიციტზე მიუთითებს. დღის ცენტრთა რაოდენობა არ კმარა, რაც კიდევ უფრო ზღუდავს ხანდაზმულთა მხარდაჭერის შესაძლებლობებს. მნიშვნელოვანი განსხვავებები არსებობს ქალაქებსა და სოფლებს შორის, სერვისთა როგორც დიაპაზონის, ისე ხარისხის კუთხით. კერძოდ, სოფლად მცხოვრები ხანდაზმულებისთვის დამატებითი დაფინანსება არასაკმარისად გამოიყოფა, განსაკუთრებით, მეჩხრად დასახლებულ მთიან რეგიონებში. გარდა შინ ვიზიტებისა, რომელთა მიზანია ხანდაზმულთა ინფორმირება ხელმისაწვდომ სერვისებზე, ხანდაზმულთა ჩასართავად ხელმისაწვდომი საშუალებები არაეფექტიანია.

რაც შეეხება ადგილობრივი ხელისუფლების ქმედებებს ხანდაზმულთათვის ხელსაყრელი გარემოსა და მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად: ეკომეგობრული ავტობუსების ბოლოდროინდელმა შესყიდვებმა გააუმჯობესა ჰაერის ხარისხი თბილისში,⁷¹ თუმცა სხვა ქალაქებში კვლავ პრობლემად რჩება მოძველებული საზოგადოებრივი ტრანსპორტი. ურბანული განვითარების სფეროში მიღებული გადაწყვეტილებები (მაგალითად, რეკრეაციული ზონების სტატუსის მოხსნა

71 იხ. WHO, Global Age-friendly Cities: A Guide, 2007, https://iris.who.int/bitstream/handle/10665/43755/9789241547307_eng.pdf?sequence=1; WHO, Global Network for Age-friendly Cities and Communities, WHO/FWC/ALC/18.4, 2018, <https://iris.who.int/bitstream/handle/10665/278979/WHO-FWC-ALC-18.4-eng.pdf?sequence=1>; WHO, National programmes for age-friendly cities and communities: A guide, 2023, <https://iris.who.int/bitstream/handle/10665/366634/9789240068698-eng.pdf?sequence=1>.

მშენებლობის მიზნებით) ზოგჯერ ეწინააღმდეგება საზოგადოებრივ ინტერესებს. ეს სერიოზულ სამართლებრივ პრობლემებს წარმოშობს ურბანული დაგეგმარების კონტექსტში, განსაკუთრებით, რეკრეაციულ სივრცეთა შენარჩუნება-განვითარების მიმართულებით.

რაც შეეხება ადამიანურ რესურსებსა და ექსპერტულ ცოდნას/გამოცდილებას, შედარებითი სტაბილურობა შეინიშნება მუნიციპალურ ჯანდაცვისა და სოციალურ სამსახურებში დასაქმების შემთხვევებში და არაერთ თანამშრომელს მნიშვნელოვანი გამოცდილება აქვს თავის პოზიციაზე. პერსონალის უმეტეს ნაწილს აქვს წვდომა საჭირო ინფორმაციასა და ლიტერატურაზე, ასევე, გამოცდილება პროგრამების ეფექტიანობის შეფასებასა და სამიზნე ჯგუფების საჭიროებათა კვლევაში. თუმცა, კვლავ არსებობს განსხვავებები რეგიონებს შორის, განსაკუთრებით, შორეულ დასახლებებსა და სოფლებში, სადაც პრობლემები ამ მიმართულებით განსაკუთრებულად შესამჩნევია.

შეზღუდული ფინანსური და მატერიალური რესურსების გამო, მუნიციპალიტეტები სერიოზულ გამოწვევებს აწყდებიან, რაც აფერხებს მათი მუშაობის ეფექტიანობას. არ არსებობს მკაფიო მითითებები და სტანდარტები ფინანსური რესურსების დელეგირებაზე, რაც ეწინააღმდეგება კონსტიტუციურ და სამართლებრივ დებულებებს. საჭიროებათა შეფასებისა და რეაგირების სისტემები ნაკლებად განვითარებულია და ხშირად დამოკიდებულია ადრე განხორციელებულ პროგრამებზე, ნაცვლად იმისა, რეალურ დროში არსებულ მონაცემებს დაეყრდნოს. ამას გარდა, ადგილობრივი ხელისუფლების ცნობიერება ადამიანის უფლებათა ვალდებულებების შესახებ დაბალია, მათ შორის, ხანდაზმულ პირთა უფლებებთან მიმართებით. საქართველოში, ადგილობრივ დონეზე, არ არსებობს ხანდაზმულ პირთა საბჭოები ან კომიტეტები და სხვა ინიციატივები, რომლებიც ხანდაზმულ პირებს ჩართავდა პოლიტიკის შემუშავების პროცესში. მეტი ძალისხმევაა საჭირო, რომ გაიზარდოს ადგილობრივი ხელისუფლების ცოდნა და შესაძლებლობები საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და ეროვნული კანონმდებლობით დაცულ ადამიანის უფლებებთან მიმართებით.

ასევე აღინიშნება კოორდინაციის ნაკლებობა სამთავრობო უწყებებსა და დონორებს შორის, რაც ხშირად იწვევს ორმაგი ძალისხმევის გაღებას და რესურსების არაეფექტიან გამოყენებას. დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრებზე გამოიკვეთა რამდენიმე ძირითადი პრობლემა: სერვისების შესყიდვისა და სუბსიდირების

კანონმდებლობა დაბრკოლებებს წარმოშობს მუნიციპალურ დონეზე მოქმედი ორგანიზაციებისთვის, ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების ორგანოები კი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მოქმედებენ; ამას გარდა, მუნიციპალურ დონეზე შემუშავებული ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამები არ გამოირჩევა მდგრადობით, ან ისეთი მექანიზმებით, რომლებიც ხელს შეუწყობდა მათ დადებით გავლენას საზოგადოებრივ ჯანმრთელობასა და სოციალური უზრუნველყოფის სხვა მაჩვენებლებზე. ამასთან, აღნიშნული პროგრამები მოქმედებს სფეროში არსებული ფედერალური პროგრამების დამატების სახით.

3.1.8 სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა და მონაცემებისა და კვლევების ხელმისაწვდომობა

საქართველოში ხანდაზმულ პირთა მხარდაჭერის სისტემა დიდწილად ეყრდნობა სამოქალაქო საზოგადოებას და არასამთავრობო ორგანიზაციებს. არასამთავრობო ორგანიზაციები, როგორც წესი, ჰოლისტიკურ მიდგომას იყენებენ და ხანდაზმული პირების მათი საქმიანობის ნაწილად განიხილებიან, თუმცა, როგორც წესი, მათ უფლებებს ნაკლები ყურადღება ეთმობა, თუ არ ჩავთვლით გამონაკლის შემთხვევებს. საქართველოს პენსიონერთა კავშირის გარდა, რომელსაც არ აქვს საკმარისი შესაძლებლობები ხანდაზმულთა სოციალური და ეკონომიკური უფლებების ადვოკატირებისთვის, ამ ეტაპზე არ არსებობს კონკრეტულად ხანდაზმულ პირთა უფლებებზე ორიენტირებული სხვა ორგანიზაცია. არსებული ორგანიზაციები, ძირითადად, ვეტერანებს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებსა და სხვა სპეციფიკურ ჯგუფებს ფარავენ. ადამიანის უფლებებზე მომუშავე იურისტები და ორგანიზაციები საქართველოში, გარდა ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა,⁷² არ ფოკუსირდებიან ხანდაზმულთა უფლებებზე და არც დღის წესრიგი აქვთ ჩამოყალიბებული ამ მიმართულებით.

ხანდაზმულ პირთა შორის თვითადვოკატირება კვლავ სუსტად არის განვითარებული საქართველოში. ამას, სავარაუდოდ, განაპირობებს ქართული კულტურა, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ხანდაზმულთა ოჯახურ როლსა და სოციალურ პოზიციას, ან საბჭოთა ეპოქიდან მომდინარე ისტორიული გამოცდილება, რომელმაც ადამიანებს სკეპტიკური დამოკიდებულება

72 nb. L. Macharashvili, The Legal Status of Older Persons in Georgia, GYLA, 2022, <https://www.gyla.ge/files/2020/%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/untitled%20folder/THE%20LEGAL%20STATUS%20OF%20OLDER%20PERSONS%20IN%20GEORGIA.pdf>.

ჩამოყალიბა საკუთარი უფლებების მოთხოვნისადმი. ხშირად, უფლებებისთვის ბრძოლა აღიქმება ოჯახურ ფასეულობათა უგულებელყოფად, რაც აფერხებს ძალისხმევას ადვოკატირებისთვის, აბრკოლებს მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომის ჩამოყალიბებას ხანდაზმულთა სპეციფიკური საჭიროებების მიმართ და ზღუდავს ხანდაზმულთა მონაწილეობას გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში.

და ბოლოს, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში არსებობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების საკონსულტაციო საბჭო, არ არსებობს ცალკე საბჭო ან სამუშაო ჯგუფი, დაკომპლექტებული სახელმწიფოს, სამოქალაქო საზოგადოებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლებით, რომელიც იმუშავებდა ხანდაზმულ პირთა საკითხებზე. ამასთან, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობაზე გავლენა მოახდინა ბოლო პერიოდში მიღებულმა კანონმა უცხოური გავლენის შესახებ,⁷³ რამაც შეანელა თანამშრომლობა ადამიანის უფლებათა მიმართულებით.

საქართველოში შეინიშნება სრულყოფილი კვლევებისა და მონაცემების ნაკლებობა ხანდაზმული პირების შესახებ. ეს ბარიერია ეფექტიანი პროგრამებისა და პოლიტიკების შემუშავებისთვის, რომლებიც მოერგება ხანდაზმულთა სპეციფიკურ საჭიროებებს. მონაცემთა ხარვეზები უკავშირდება განსაკუთრებით მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა ხანდაზმულთა მიმართ ძალადობა და უსახლკარობა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს მონაცემთა შეგროვების, ანალიზისა და გავრცელების მანდატს ანიჭებს საქართველოს კანონი „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“. სამსახური დამოუკიდებლად მოქმედებს, რათა დაცული იყოს მონაცემთა სიზუსტე და ხარისხი. დაინტერესებულ მხარეთა შეფასებით, აუცილებელია კომპლექსური, ასაკის მიხედვით დახარისხებული მონაცემების შეგროვება, რათა პოლიტიკა და პროგრამები შემუშავდეს მტკიცებულებებზე დაყრდნობით. ასევე აღინიშნა, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უშუალო კომუნიკაცია ხანდაზმულ პირებთან, რათა უკეთ გავიგოთ მათი სურვილები და საჭიროებები, კერძოდ, აქტიური დაბერებისა და დამოუკიდებელი ცხოვრების შესაძლებლობასთან მიმართებით.

73 ამ მხრივ, იხ. ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიის დასკვნა, [https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD\(2024\)020-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD(2024)020-e).

3.2 კანონმდებლობა და პოლიტიკა თემატური საკითხების შესახებ

ხანდაზმულობის საკითხებთან დაკავშირებული კანონმდებლობისა და პოლიტიკის უკეთ გასაანალიზებლად, მნიშვნელოვანია, გავარკვიოთ, რომელი საკვანძო აქტორები მოქმედებენ ქვეყნის საზოგადოებრივი სისტემის სტრუქტურაში, ასევე, რა პასუხისმგებლობები ეკისრებათ მათ ხანდაზმულთა საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და სოციალური უფლებების დასაცავად.

მიუხედავად იმისა, რომ ხანდაზმულობასთან დაკავშირებული პოლიტიკის სფეროები გადანაწილებულია სხვადასხვა სამინისტროში, რაც ართულებს კოორდინირებულ დაგეგმვასა და მართვას, საქართველოში ხანდაზმულობის საკითხებზე პასუხისმგებელი მთავარი უწყებაა ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. მის კომპეტენციაში შედის სოციალური დაცვის პოლიტიკის შემუშავება, სამედიცინო და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სერვისების მართვა, მედიცინისა და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირება, სახელმწიფო პენსიებსა და სოციალური დაცვის მექანიზმებზე ზედამხედველობა, მოწყვლადი ჯგუფების უფლებათა დაცვა და მონაცემთა გაანალიზება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა მიერ გაწეული სოციალური დახმარების შესახებ. ამავდროულად, სამინისტრო სერიოზულ გამოწვევებს აწყდება სოციალური სერვისების მონიტორინგისა და ეფექტიანობის შეფასებაში, რადგან პროცესზე მონიტორინგი უფრო პრიორიტეტულია, ვიდრე შედეგებზე.

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ფარგლებში მოქმედებს რამდენიმე საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომლებიც უშუალოდ მუშაობენ ხანდაზმულ პირებთან დაკავშირებულ საკითხებზე:

ა) სოციალური მომსახურების სააგენტო მართავს სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამებს, მათ შორის, სახელმწიფო პენსიებსა და სოციალურ დახმარებებს. სააგენტოს ფუნქციებია: სოციალური დახმარების განაცხადების მართვა; ბენეფიციართა უფლებამოსილებების განსაზღვრა; მონაცემთა ბაზების წარმოება; მოსახლეობის ინფორმირება არსებულ სოციალურ პროგრამებზე. განსაკუთრებით

აღსანიშნავია, რომ სააგენტომ ცოტა ხნის წინათ დაიწყო „ერთი ფანჯრის“ პრინციპით მოქმედი სერვისცენტრების მართვა. ამ ცენტრებში ერთ სივრცეშია ხელმისაწვდომი სოციალური სერვისები, დასაქმების ხელშეწყობის პროგრამები და ჯანდაცვის სერვისები. პირველი ასეთი ცენტრი თბილისში 2023 წლის ივნისში გაიხსნა, სამომავლოდ კი დაგეგმილია 15 ცენტრის გახსნა ქვეყნის მასშტაბით. გარდა ამისა, იქმნება ინტეგრირებული სოციალური რეესტრი, რომელიც 2026 წლისთვის ერთ ბაზაში გააერთიანებს ყველა სოციალურ, დასაქმებისა და ჯანდაცვის სერვისს, რითაც გააუმჯობესებს ხელმისაწვდომობასა და ეფექტიანობას.

ბ) ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სააგენტო სახელმწიფო პოლიტიკას ახორციელებს შემდეგი მიმართულებებით: ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვა და დახმარება, ბრძოლა ქალთა მიმართ და ოჯახში სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ, ეროვნული პროგრამების შესრულება სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვთა მზრუნველობის მიმართულებით. დამატებით, უწყება საქართველოში ასრულებს მეურვეობისა და მზრუნველობის ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოს როლს, მართავს უცხოეთში შვილად აყვანის პროცესებს და ახორციელებს სახელმწიფო პოლიტიკას მეურვეობის, მზრუნველობის, მხარდაჭერის, შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის კუთხით. იგი ასევე ზრუნავს ღირსეული საცხოვრებელი პირობების შექმნაზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, ხანდაზმულებისა და მზრუნველობამოკლებული ბავშვებისთვის.

გ) შრომის ინსპექცია ზედამხედველობს შრომის კანონმდებლობის, მათ შორის, შრომის კოდექსისა და საჯარო სამსახურების შესახებ კანონების დაცვას; ამასთანავე, აწესებს სანქციებს დარღვევებისთვის.

დ) დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს მიზანია დასაქმების ხელშეწყობა და აქტიური შრომის ბაზრის პოლიტიკის განხორციელება.⁷⁴ სააგენტო ასევე უზრუნველყოფს საშუამავლო სერვისებს სამუშაოს მაძიებლებსა და დამსაქმებლებს შორის, არეგისტრირებს დასაქმების მსურველებსა და ვაკანტურ

74 საქართველოს მთავრობის განვითარების მისწრაფებებს ასახავს „ხედვა 20230 - საქართველოს განვითარების სტრატეგია“, რომელიც დასაქმების შესაძლებლობათა შექმნას მთავარ მექანიზმად განიხილავს სიღარიბის შემცირებისა და ცხოვრების სტანდარტთა გაუმჯობესებისათვის. სტრატეგიის მიზანია აქტიური შრომის ბაზრის პოლიტიკის განხორციელება, რათა შემცირდეს შეუსაბამობები მიწოდებასა და მოთხოვნას შორის, უმუშევრობის დონესთან ერთად. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ESCAP-ის ანგარიშში: Readiness to implement the action plan to strengthen regional cooperation on social protection: Georgia, 2023.

პოზიციებს და მართავს შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემებს.

ადგილობრივ დონეზე, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ავითარებენ ინფრასტრუქტურას შშმ პირების, ბავშვებისა და ხანდაზმული პირებისთვის; ისინი მართავენ უსახლკარო პირთა მზრუნველობის დაწესებულებებს და აწარმოებენ რეესტრებს; აფინანსებენ სოციალურ, კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებს; წყვეტენ ადგილობრივად სოციალური დახმარების გაცემის საკითხებს და აწვდიან სერვისებს იმ სფეროებში, რომლებიც არ შედის სხვა სამთავრობო ორგანოთა კომპეტენციაში. მუნიციპალიტეტები ასევე პასუხისმგებელი არიან დაგეგმარებასა და საცხოვრებელი პირობების განვითარებაზე, თუმცა არასაკმარისი ფინანსები ხშირად ზღუდავს ადგილობრივ შესაძლებლობებს ამ სფეროებში. ისინი ადმინისტრირებას უწევენ სხვადასხვა შეღავათს, როგორცაა ეროვნულ დონეზე უზრუნველყოფილი შეღავათების დანამატები, თუმცა არ არსებობს მონაცემთა ცენტრალიზებული ბაზა, სადაც ისინი აღირიცხება ან შეფასდება.

და ბოლოს, არასახელმწიფო აქტორები, განსაკუთრებით, არასამთავრობო ორგანიზაციები, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სერვისების მიწოდებაში (მაგ: როგორცაა მუნიციპალიტეტთა მიერ დაფინანსებული შინმოვლის სერვისი). მეორე მხრივ, კერძო სექტორი კვლავ შეზღუდულად ერთვება სოციალურ მომსახურებებში, მოხალისეობრივი სექტორი კი ნაკლებად განვითარებულია.

3.2.1 მუშაობა და უწყვეტი მომზადება/სწავლა

ზოგადად, ხანდაზმულ მოსახლეობას საქართველოში განათლების უფრო დაბალი დონე აქვს, ვიდრე ახალგაზრდა თაობას, რაც შეუსაბამობას წარმოშობს შრომის ბაზარზე არსებულ უნარებსა და მოთხოვნილ კვალიფიკაციას შორის. 2015 წლიდან საქართველომ სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამა განახორციელა დასაქმების ხელშესაწყობად. ეს პროგრამები განკუთვნილია სამუშაოს მაძიებელთათვის, მათ შორის, ვინცარის 16 წლის დამეტის დარეგისტრირებულია დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოში. პროგრამის კომპონენტებია: პროფესიული მომზადება, გადამზადება და სამუშაო ბაზარზე კონკურენტუნარიანობის გაზრდა. დასაქმების ხელშეწყობის პროგრამა მოიცავს მოწყვლად ჯგუფებსაც, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, თუმცა არ ითვალისწინებს ხანდაზმულებს, ასევე, მათი დაქირავების წახალისებას საპენსიო ასაკში მეწარმეობის ხელშესაწყობად. ეს განპირობებულია კანონმდებლობით, რომლის მიხედვითაც, პენსიის ასაკს

მიღწეული პირი აღარ განიხილება შრომის ბაზრის აქტიურ ნაწილად,⁷⁵ რაც, სავარაუდოდ, ზღუდავს მათი გადამზადების შესაძლებლობებს. თუმცა, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენლებთან შეხვედრებისას აღინიშნა, რომ პრაქტიკაში, ხანდაზმულ პირებს განსაკუთრებული წესით შეუძლიათ მონაწილეობა ამ პროგრამებში, საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად. 65 წელს გადაცილებულ პირთა ოფიციალურად ჩასართავად მსგავს პროგრამებში, საჭიროა მინისტრის ბრძანება, რაც ადმინისტრაციული დაბრკოლებაა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ეროვნული სტრატეგია (2022-2030) ეფუძნება სამ ძირითად პრინციპს: თანასწორობა, ხარისხი და მართვა. მისი მიზანია ინკლუზიური და ხარისხიანი განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობა და უწყვეტი განათლების შესაძლებლობების გაუმჯობესება. სტრატეგია ყურადღებას ამახვილებს განათლების, კვლევისა და ინოვაციის ისეთი სისტემების განვითარებაზე, რომლებიც ადამიანებს მისცემს შესაძლებლობას, სრულად გამოავლინონ თავიანთი პოტენციალი და საკუთარი წვლილი შეიტანონ საქართველოს მდგრად სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაში. განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ დაიწყო ზრდასრულთა განათლების სისტემის განვითარება და კრიტიკულად მნიშვნელოვანი გახდა მოკლევადიანი პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამები, რომლებიც ფორმალური განათლების სისტემის ნაწილად იქცა. განსაკუთრებით აღსანიშნავია პროფესიული მომზადებისა და გადამზადების მოკლევადიანი პროგრამები, რომლებიც მიზნად ისახავს ზრდასრულთა, მათ შორის, 65+ ასაკის პირთა უნარების განახლებას. პრიორიტეტულ სფეროებში სწავლებას სრულად სახელმწიფო აფინანსებს. პროგრამის დასრულების შემდეგ, ბენეფიციარები იღებენ სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერტიფიკატს. 2019-2024 წლებში ამ გადამზადების პროგრამებში სულ 175 ხანდაზმული (65+) პირი მონაწილეობდა.

დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დასაქმების სერვისებისა და პროგრამების განვითარების დეპარტამენტის წარმომადგენლის განცხადებით, 2020-2023 წლებში დასაქმების მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადების ქვეპროგრამაში მონაწილეობდა 9 000-ზე მეტი სამუშაოს მაძიებელი, თუმცა აქედან

⁷⁵ დაინტერესებულ მხარეთა თანახმად, საქართველოს კანონმდებლობა მიჰყვება OECD-ის განსაზღვრებას: შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობა არის 15-დან 64 წლამდე ასაკის მოსახლეობის წილი მთლიან მოსახლეობაში.

მხოლოდ 26 იყო ხანდაზმული პირი და მათგან 21 სამუშაოს 2023 წელს ეძებდა. ყველა მათგანი იყო თვითდასაქმებული პენსიონერი. ეს განპირობებულია იმით, რომ „დასაქმების ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სააგენტოს არ აქვს უფლება, პროაქტიულად იმუშაოს საპენსიო ასაკის პირებთან. გარდა აღნიშნული ქვეპროგრამისა, სააგენტო ახორციელებს შრომის ბაზრის პოლიტიკის სხვა აქტიურ ღონისძიებებსაც, მათ შორისაა: კარიერული დაგეგმვის სერვისები, სტაჟირებები და სასწავლო კურსები ძირითადი კომპეტენციების შესახებ. ასევე წარმოდგენილი იყო ინიციატივა ხანდაზმულთა საჭიროებებზე მორგებული „მესამე ასაკის უნივერსიტეტი“ (Universities of the Third Age) პილოტირების შესახებ, თუმცა ეს იდეა, ჯერჯერობით, მხოლოდ დოკუმენტურ დონეზე რჩება.

საქართველოს 2020 წლის კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ და შრომის კოდექსი ითვალისწინებს დასაქმებისას შშმ პირთა დაცვის მექანიზმებს, რომლებიც შესაძლოა, ხანდაზმულთათვისაც აქტუალური იყოს. ეს მოიცავს გონივრული მისადაგების პრინციპს, რომლის მიხედვითაც, დამსაქმებლის ვალდებულებებში ექცევა სამუშაო გარემოს სათანადოდ ადაპტირება, თუ ეს არ აკისრებს არაპროპორციულ ტვირთს. გარდა ამისა, დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო კარიერული დაგეგმვის სერვისებს სთავაზობს ყველა სამუშაოს მაძიებელს, ხანდაზმული შშმ პირების ჩათვლით, და ეს სერვისები ხელმისაწვდომია ყველა რეგიონში. თუმცა, მიუხედავად საკანონმდებლო გარანტიებისა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები კვლავ აწყდებიან სხვადასხვა ბარიერს, როგორიცაა შეზღუდული წვდომა განათლების დაწესებულებებზე, სათანადო საცხოვრებლების ნაკლებობა, ტრანსპორტისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის პრობლემები. ეს დაბრკოლებები მნიშვნელოვნად ზღუდავს მათ სრულფასოვან მონაწილეობას და ჩართულობას შრომის ბაზარზე.

დაინტერესებულ მხარეთა ინფორმაციით, „ფორმალურ განათლებაში პროფესიული ორიენტაციის, კონსულტირებისა და კარიერული დაგეგმვის სტრატეგია (2024-2030)“ ცოტა ხნის წინ შემუშავდა და დამტკიცდა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 139/N ბრძანებით (2024 წლის 27 აგვისტო). დოკუმენტი უზრუნველყოფს თანაბარ წვდომას კარიერის მართვის სერვისებზე, ასევე, ყველას აძლევს შესაძლებლობას, მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილებები და განახორციელონ თავიანთი უფლებები სწრაფად ცვალებად სოციალურ-ეკონომიკურ გარემოში.

2022 წლის თებერვალში ამოქმედდა საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობის ქვეპროგრამა, რომელიც რეგულირდება 2024 წლის დადგენილებით დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამების შესახებ. პროგრამის მიზანია აქტიური შრომის ბაზრის პოლიტიკის განხორციელება სოციალურად დაუცველი პირებისთვის, საზოგადოებრივ სამუშაოებზე მათი დასაქმების ხელშეწყობა და სოციალური დაცვის/დახმარების უზრუნველყოფა. დადგენილების მიხედვით, საზოგადოებრივია სამუშაო, რომელიც არ მოითხოვს სპეციალურ პროფესიულ მომზადებას და სასარგებლოა საზოგადოების ინტერესებისთვის. პროგრამის ფარგლებში შექმნილი სამუშაო ადგილები არ საჭიროებს განსაკუთრებულ ცოდნასა და გამოცდილებას. მისი მიზანია სოციალურად დაუცველ პირთა ეკონომიკური აქტივობის გაზრდა. თუმცა, დაინტერესებულ მხარეთა შეფასებით, პროგრამას აქვს გარკვეული ხარვეზები, როგორიცაა: პროფესიული უნარების არასაკმარისი განვითარება, რაც ზღუდავს მომავალში დასაქმების პერსპექტივებს; და გენდერული სტერეოტიპების შესაძლო გამყარება დასაქმების როლებში. ასევე გაიჟღერა შეშფოთებამ, რომ პროგრამის ბენეფიციართათვის სათანადოდ არ არის გარანტირებული შრომის ძირითადი უფლებები, მათ შორის, უფლება ღირსეულ სამუშაო პირობებზე.

და ბოლოს, საქართველოში არსებობს სტერეოტიპი, რომ ხანდაზმულები ნაკლებად დინამიკური და ქმედითი მუშაკები არიან, რაც უარყოფითად მოქმედებს მათი დასაქმების შესაძლებლობებზე. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობა მკაცრად კრძალავს ასაკის ნიშნით დისკრიმინაციას, ეს ფორმა კვლავ ფართოდ გავრცელებული პრაქტიკაა გათავისუფლებისა⁷⁶ და სამსახურში აყვანის პროცესებში, განსაკუთრებით, კერძო სექტორში. ვაკანსიის ბევრ განცხადებაში მითითებულია ასაკობრივი ზღვარი, რაც დისკრიმინაციაა. დისკრიმინაცია ნარჩუნდება მიუხედავად მტკიცებულებებისა, რომ ხანდაზმული მუშაკები სამუშაო გარემოს გამოცდილებასა და სანდოობას მატებენ. გარდა ამისა, შრომის კოდექსი მოიცავს მუხლებს, რომლებიც ეხება ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულებას, შემცირებულ სამუშაო საათებს და შშმ პირების მომვლელთა მხარდაჭერას, თუმცა არ არსებობს კონკრეტულად ხანდაზმულ

76 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ბოლო პერიოდში რამდენიმე სარჩელი განიხილა საჯარო მოხელეთა მიმართ ასაკობრივი დისკრიმინაციის შესახებ (მაგალითად, უნივერსიტეტის პროფესორების, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების, ნოტარიუსების), რომლებსაც აკადემიურ პოზიციაზე დარჩენა სურდათ, მიუხედავად იმისა, რომ კანონით ნებადართული არ იყო. სასამართლომ თითოეული საქმე ინდივიდუალურად შეაფასა და ზოგიერთი შეზღუდვა არაკონსტიტუციურად ცნო (მაგალითად, იხ. საქმე № 3/2/767, 1272, 14 დეკემბერი 2018; № 1/3/1591, 1605, 1 ივნისი 2023), ზოგიერთი კი კონსტიტუციასთან თავსებადად მიიჩნია (საქმე № 1/2/1546, 1595, 22 თებერვალი 2023).

პირებზე მორგებული დებულებები. დაინტერესებულ მხარეთა ინფორმაციით, ამჟამად შემუშავების პროცესშია ახალი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელიც ხანდაზმულ პირთა დასაქმების პრობლემებს მოაგვარებს.

3.2.2 სოციალური დაცვა, დახმარება და მხარდაჭერის სერვისები

2003 წლიდან საქართველოს მთავრობა, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმის ფარგლებში, ახორციელებს მასშტაბურ ეკონომიკურ რეფორმებს, რომელთა მიზანია ინკლუზიური და დივერსიფიცირებული ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა. ამასთანავე, ბოლო წლებში ქვეყანამ გაატარა ეკონომიკური რეფორმები, რომლებიც მხარს უჭერს ინკლუზიურ წვდომას ეკონომიკურ შესაძლებლობებზე, ეკონომიკის სტრუქტურულ გაუმჯობესებას და სოციალური დაცვის მექანიზმთა გაძლიერებას. მიუხედავად იმისა, რომ ეს რეფორმები ხელს უწყობდა მკაცრ საბიუჯეტო პოლიტიკას და ფისკალურ კონსოლიდაციას, საქართველოს მთავრობა აღიარებს სოციალური დაცვის მნიშვნელოვან როლს ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდაში. საქართველოს მთავრობისთვის პრიორიტეტულია სოციალური დაცვა, რაც აისახება ეროვნულ ბიუჯეტში ამ სექტორისთვის გამოყოფილ მნიშვნელოვან დაფინანსებაზე.

სხვა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებისგან განსხვავებით, საქართველომ გააუქმა სოციალური დაზღვევის სისტემა და გადავიდა გადასახადებით დაფინანსებულ მოდელზე. ქვემოთ განხილულია ამ მოდელის ძირითადი კომპონენტები:

- საყოველთაო ასაკობრივი პენსია 60 წელს გადაცილებული ქალებისა და 65 წელს გადაცილებული კაცებისთვის;
- ახალი დაგროვებითი საპენსიო სისტემა, რომელიც ეფუძნება სავალდებულო დანაზოგებს;
- შშმ პირებისთვის განკუთვნილი დახმარებები;
- მიზნობრივი სოციალური პროგრამები, როგორიცაა მიზნობრივი სოციალური დახმარება;
- საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში გაწეული სამედიცინო მომსახურება.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მნიშვნელოვანი პროგრესი შეინიშნება სიღარიბის შემცირებისა და საყოველთაო ასაკობრივი პენსიის დაფარვის კუთხით, სისტემაში კვლავ არსებობს ხარვეზები, მაგალითად, როგორიცაა უმუშევრობის დახმარებისა და სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევის დაზღვევის არარსებობა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სოციალური დაცვის სისტემა ფარავს

სასიცოცხლო ციკლის არაერთ რისკს, კვლავ რჩება ხარვეზები ისეთ სფეროებში, როგორიცაა სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევები, უმუშევრობის დახმარება და დაღუპულთა ოჯახების დახმარება (survivor's benefits). ზოგადად, რადიკალურ ცვლილებათა სერიებმა და პოლიტიკისა და რეფორმების სპონტანურმა ბუნებამ შედეგად მიგვიყვანა მეტად რთულ და ფრაგმენტულ სამართლებრივ ჩარჩომდე. სოციალური დაცვის რისკები და შეღავათები გაფანტულია სხვადასხვა საკანონმდებლო აქტში. სოციალური დაცვის სისტემის გაფართოებისა და გაერთიანებისათვის გაღებული ძალისხმევის მიუხედავად, მას ჯერ კიდევ აკლია პოლისტიკური ხედვა, რაც სისტემის არაეფექტიანობას იწვევს.⁷⁷

პენსიები

სოციალური დაცვის ბიუჯეტის ყველაზე დიდი ნაწილი ეთმობა საყოველთაო ასაკობრივ პენსიას, რაც ამ ბიუჯეტის 70%-ზე მეტს შეადგენს. ამაში შედის როგორც საყოველთაო ასაკობრივი პენსია, ასევე სახელმწიფო კომპენსაციები გარკვეული ჯგუფებისთვის, მათ შორის, სახელმწიფო მოხელეებისა და ომის ვეტერანებისთვის.⁷⁸ სახელმწიფო სოციალურ პენსიებს გასცემს ხანდაზმული მოსახლეობის სოციალურად და სიღარიბისგან დასაცავად. პენსიის მიღების კრიტერიუმი მხოლოდ ასაკს ეფუძნება: ქალებისთვის ის ხელმისაწვდომია 60 წლიდან, ხოლო კაცებისთვის – 65 წლიდან. წლების განმავლობაში პენსიის ოდენობა ეტაპობრივად გაიზარდა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია კანონი „სახელმწიფო პენსიების შესახებ“ (2005), რომელიც არადაგროვებითი სქემით მოქმედებს და ფარავს შესაბამის პირთა, დაახლოებით, 97%-ს. კანონი ადგენს, რომ სახელმწიფო პენსია გაიცემა მხოლოდ ასაკობრივი კრიტერიუმის საფუძველზე. 2021 წლიდან პენსიები ყოველწლიურად ინდექსირდება, სულ მცირე, ინფლაციის მაჩვენებლის შესაბამისად. ამასთან, 70+ ასაკის პენსიონერებისთვის გათვალისწინებულია დამატებითი თანხა, რომელიც მიბმულია ეკონომიკურ ზრდაზე, თუმცა არ უნდა ჩამოსცდეს კონკრეტულ მინიმალურ ზღვარს. დამატებითი შეღავათები (20%-ის ოდენობით) გაიცემა პენსიონერებისთვის, რომლებიც მაღალმთიან რეგიონებში ცხოვრობენ, „მაღალმთიანი რეგიონების

77 ESCAP, Readiness to implement the action plan to strengthen regional cooperation on social protection: Georgia, 2023, <https://www.unescap.org/kp/2023/readiness-implement-action-plan-strengthen-regional-cooperation-social-protection-georgia>.

78 სპეციალური სახელმწიფო კომპენსაცია გაიცემა იმ პირებზე, რომლებიც მსახურობდნენ გარკვეულ სახელმწიფო თანამდებობებზე ან იკავებდნენ მაღალ პოზიციებს დიპლომატიაში, სამხედრო სფეროში, სამოქალაქო ავიაციაში, მართლმსაჯულებასა და პარლამენტში. ეს კომპენსაცია ავტომატურად რეგულირდება სახელმწიფო პენსიებში ცვლილებების შესაბამისად.

განვითარების შესახებ“ სახელმწიფო კანონის შესაბამისად.

საქართველოს საპენსიო სისტემის ამ პირველ საყრდენს მართავს სოციალური მომსახურების სააგენტო, რომელიც ექვემდებარება ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს. არადაგროვებით სახელმწიფო პენსიას ხშირად დადებითად აფასებენ საყოველთაო ხელმისაწვდომობის გამო, თუმცა კრიტიკის საგანია ის, რომ არ მოწმდება მისი გადახდისუნარიანობა, რამაც შესაძლოა, არაოფიციალური დასაქმება წაახალისოს. პენსიის არსებული ოდენობები საქართველოში ოდნავ ჩამორჩება საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებულ მინიმალურ ზღვარს, თუმცა უკეთესია იმ პენსიებზე, რომლებიც არსებობს მსგავსი ეკონომიკის მქონე ან უფრო მაღალშემოსავლიან ქვეყნებში. ამავდროულად, საქართველოში საშუალო ყოველთვიური სარგებელი მხოლოდ ოდნავ აღემატება საარსებო მინიმუმს, რაც ნიშნავს, რომ სოციალური პენსია, ძირითადად, უკიდურესი სიღარიბის პრევენციას ემსახურება და ვერ უზრუნველყოფს ღირსეული ცხოვრების პირობებს, ან ისეთ სტანდარტს, რომელიც პენსიონერს დასაქმებისას ჰქონდა. სახალხო დამცველის შეფასებით, სოციალური პენსიის ოდენობა, ცალკე აღებული, სრულად ვერ აკმაყოფილებს ხანდაზმული მოსახლეობის საჭიროებებს, რომლებიც უკავშირდება ჯანმრთელობის პრობლემებს, მედიკამენტთა შეძენას და კვების ხარჯებს, მიუხედავად იმისა, რომ ჯანდაცვის საჭიროებებს ნაწილობრივ აფინანსებს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა.

საქართველოს საპენსიო სისტემის მეორე საყრდენს არეგულირებს საქართველოს კანონი „დაგროვებითი პენსიების შესახებ“ (2018), რომელიც შემოღებულია სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020-ის“ ფარგლებში, არადაგროვებითი სქემის შესავსებად და ზემოხსენებულ პრობლემათა აღმოსაფხვრელად. ამ სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სქემის მიზანია როგორც პენსიების უზრუნველყოფა, ასევე ეკონომიკური ზრდის სტიმულირება, ინვესტიციების გზით. ახალ დაგროვებით საპენსიო სქემაში მონაწილეობა სავალდებულოა ფორმალურად დასაქმებული 60 წლამდე ასაკის კაცებისა და 55 წლამდე ასაკის ქალებისთვის, ხოლო თვითდასაქმებულებისა და ხანდაზმული დასაქმებულებისთვის ის ნებაყოფლობითია, რაც შესაძლოა, მომავალში გამოწვევად იქცეს. დაგროვებითი სქემის ფარგლებში საპენსიო შენატანები შეაქვთ როგორც დასაქმებულებს, ისე დამსაქმებლებსა და სახელმწიფოს. კერძოდ: დასაქმებულს საპენსიო ანგარიშზე შეაქვს მისთვის გასაცემი დასაბეგრი ხელფასის

2%, დამსაქმებელი ასევე 2%-ს იღებს საკუთარ თავზე, სახელმწიფო კი ამატებს 2 ან 1%-ს (შემოსავლის დონიდან გამომდინარე). საპენსიო ასაკი იგივეა, რაც არადაგროვებითი პენსიის შემთხვევაში - კაცებისთვის 65 წელი, ქალებისთვის კი 60. ახალ დაგროვებით საპენსიო სისტემას მართავს სახელმწიფო საპენსიო სააგენტო - ნახევრად ავტონომიური ორგანიზაცია, რომელსაც ხელმძღვანელობს კომისიის მიერ შერჩეული სამეთვალყურეო საბჭო. ამ საბჭოს შემადგენლობაში არის სამი მინისტრი, პარლამენტის სამი წევრი და ეროვნული ბანკის მიერ დანიშნული სამი დამოუკიდებელი წევრი.⁷⁹ „საქსტატის“ ოფიციალური მონაცემებით, 2024 წლის 31 აგვისტოსთვის სისტემაში რეგისტრირებული იყო 1 548 000 მონაწილე, ხოლო დაგროვილი ფინანსური აქტივები შეადგენდა 38.9 მილიონ ლარს.

ამავდროულად, ამ საპენსიო სქემის ფარგლებში პროფკავშირებისა და დამსაქმებელთა გაერთიანებების წარმომადგენლობის არარსებობამ გარკვეული შეშფოთება წარმოშვა საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობისა და საზოგადოების ნდობის თვალსაზრისით.⁸⁰ ამასთან, დაგროვებით საპენსიო სისტემას აკლია გადანაწილების მექანიზმები, როგორცაა მზრუნველის კრედიტები და მინიმალური გარანტირებული პენსია. ამგვარ მექანიზმთა არარსებობა განსაკუთრებით უარყოფითად აისახება ქალებზე, რადგან, როგორც წესი, მათ შედარებით მოკლე კარიერა და დაბალი შემოსავალი აქვთ, რაც ვერ ამცირებს შრომით ბაზარზე არსებულ უთანასწორობას. გარდა ამისა, დაგროვებით საპენსიო სისტემას ხშირად აკრიტიკებენ სოლიდარობის ნაკლებობის გამო: კერძოდ, მაღალშემოსავლიანი პირები სახელმწიფო შენატანებით უფრო მეტ სარგებელს იღებენ, ვიდრე დაბალშემოსავლიანები,⁸¹ რაც ზრდის რისკს, რომ სოციალური უთანასწორობა გაღრმავდება და მოწყვლად ჯგუფებს არ ექნებათ სათანადო მხარდაჭერა. და ბოლოს, საპენსიო სისტემის მეორე საყრდენის ფარგლებში გატარებული რეფორმები არ ვრცელდება ამჟამინდელ პენსიონერებზე, რაც მნიშვნელოვანი გამოწვევაა ხანდაზმული მოსახლეობის მიმდინარე საჭიროებათა

79 ახალი კანონმდებლობის მიხედვით, რომელიც ძალაში შევა 2025 წლის 1 მაისიდან, დაინერგება განახლებული სამთავრობო სტრუქტურა, რომელიც შედგება პროფესიული მართვის ერთი საბჭოსგან (9-15 წევრით).

80 დაინტერესებულ მხარეთა თანახმად, კანონში შეტანილი ცვლილებები, რომლებიც ძალაში 2025 წლის 1 მაისიდან შევა, ახალ მმართველ საბჭოს აძლევს საკონსულტაციო ჯგუფის შეკრებისა და შექმნის შესაძლებლობას, როგორც დასაქმებულთა, ასევე დამსაქმებელთა წარმომადგენლობით, რათა თავი მოუყაროს რეკომენდაციებს. გარდა ამისა, ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, მოითხოვოს ასეთი საკონსულტაციო ჯგუფის შექმნა.

81 მაღალშემოსავლიან პირთა მიმართ მოქმედებს შეზღუდვა - სახელმწიფოს არ შეაქვს საპენსიო შენატანი, თუ დასაქმებულის/თვითდასაქმებულის წლიური დასაბეგრი შემოსავალი 60,000 ლარს აღემატება.

ეფექტიანად დაკმაყოფილებისათვის.

საქართველოს საპენსიო სისტემის მესამე საყრდენია კერძო საპენსიო სქემები, რომლებიც ამჟამად მინიმალურ დონეზეა განვითარებული. კერძოდ, ამ სქემებში ჩართულობა დაბალია, ხოლო ფონდის მოცულობა ჩამორჩება ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტს (მშპ). მათი მიზანია მომავალში უფრო მაღალი შემოსავლის უზრუნველყოფა პენსიონერებისთვის.⁸² საქართველოს ახალი კანონი „ნებაყოფლობითი კერძო პენსიის შესახებ“ ძალაში შევა 2025 წლის 1 იანვრიდან და უზრუნველყოფს მეორე საყრდენით გათვალისწინებული შეღავათების მსგავს საგადასახადო შეღავათებს.

UNICEF-ის „ოჯახების კეთილდღეობის მონიტორინგის კვლევის“ (2017) მიხედვით, ⁸³ოჯახების 58.9%-ში ცხოვრობს, სულ მცირე, ერთი საპენსიო ასაკის პირი. პენსია მნიშვნელოვან როლს ასრულებს საოჯახო ხარჯებში, ხოლო ოჯახები მნიშვნელოვნად არიან დამოკიდებულნი პენსიონერი ოჯახის წევრის შემოსავალზე. საპენსიო შემოსავლის გაუქმების შემთხვევაში, ოჯახებში, სადაც პენსიონერები ცხოვრობენ, უკიდურესი სიღარიბის დონე 3.7%-დან 34.1%-მდე გაიზრდებოდა. საქართველოს მთავრობა პრიორიტეტულად მიიჩნევს ხანდაზმული მოსახლეობის საბაზისო სოციალურ დაცვას, რაც გამოიხატება როგორც საყოველთაო ასაკობრივი პენსიის, ასევე ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით.

სოციალური პენსია აღიარებს ხანდაზმულ პირთა წვლილს საზოგადოების კეთილდღეობაში და მოიცავს ფართო სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ სარგებელს, რომელიც ვრცელდება არა მხოლოდ პენსიონერებზე, არამედ მათ ოჯახებზე, თემებსა და მთლიან ეკონომიკაზე. მიუხედავად მისი მნიშვნელობისა, სოციალური პენსია ხშირად არ კმარა იმ ცხოვრებისეული სტანდარტის შესანარჩუნებლად, რომელიც ადამიანს ჰქონდა შრომითი საქმიანობის პერიოდში. ამიტომ, იდეალურ შემთხვევაში, მას უნდა განამტკიცებდეს დამატებითი ფინანსური ინსტრუმენტები. ხანდაზმული მოსახლეობის ჯანდაცვითი საჭიროებები იზრდება მაშინ, როდესაც ამ ადამიანთა შრომისუნარიანობა კლებულობს. სიღარიბის მაჩვენებელთან დაკავშირებული გენდერული უთანასწორობა და გარდაცვლილის ოჯახის წევრისთვის განკუთვნილი პენსიის არარსებობა განსაკუთრებულად

82 კანონი „კერძო დაგროვებითი პენსიების შესახებ“ (2023).

83 <https://www.unicef.org/georgia/media/1051/file/WMS.pdf>.

უარყოფითად აისახება ხანდაზმულ ქალებზე, რომლებიც შეადგენენ ქვრივთა პოპულაციის 86%-ს. საყოველთაო პენსია არ კმარა მრავალმხრივ მოწყვლადი ხანდაზმული პირებისთვის, რაც მიუთითებს დამატებითი მხარდაჭერის აუცილებლობაზე, როგორცაა შშმ პირისა და გარდაცვლილის ოჯახის წევრის პენსია.

სოციალური დახმარება

სოციალური დახმარების მიმართულებით, საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონები და დადგენილებები, რომლებიც ითვალისწინებს სხვადასხვა სოციალური შეღავათის უზრუნველყოფას. მათ შორისაა ორსულობისა და მშობიარობის დახმარება, შშმ პირთა დახმარება და გარდაცვლილის არასრულწლოვანი ოჯახის წევრის დახმარება. ამ პროგრამების მიზანია სოციალური დაცვის გაძლიერება და სიღარიბის შემცირება. სოციალური დახმარების მექანიზმებში მნიშვნელოვანი როლი აქვს მიზნობრივ სოციალურ დახმარებას და სხვადასხვა კონკრეტული ჯგუფისთვის განკუთვნილ დახმარებებს, მათ შორის, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთათვის. გარდა ამისა, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სოციალური სამსახურების დეცენტრალიზაციას მუნიციპალიტეტთა დონეზე. ეს მოიცავს უფლებამოსილების დელეგირებას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებზე, რათა გაიზარდოს სოციალური დახმარების მიწოდების ეფექტიანობა.

საქართველოს სოციალური დაცვის სისტემა სხვადასხვა მხარდამჭერ პროგრამას მოიცავს მოწყვლადი ჯგუფებისთვის, როგორებიც არიან ხანდაზმულები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახები. კომპლექსური მხარდაჭერის გასაწევად, იგი უზრუნველყოფს როგორც ფინანსურ, ასევე არაფინანსურ დახმარებებს. საქართველომ მნიშვნელოვანი ინვესტიციები განახორციელა ძლიერი პოლიტიკისა და ადმინისტრაციული ჩარჩოს ჩამოყალიბებაში, რომელიც მიმართულია გადასახადებით დაფინანსებული სოციალური დახმარების ეფექტიანად მიწოდებაზე. პოლიტიკის შემუშავებაზე პასუხისმგებელია ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. სოციალური მომსახურების სააგენტო ადმინისტრირებას უწევს სოციალური დახმარების გადარიცხვებსა და სერვისებს, 72 რეგიონული ფილიალის მეშვეობით.

სოციალური დახმარების ბიუჯეტის, დაახლოებით, 26% მიმართულია მიზნობრივი

დახმარების პროგრამებზე, რომლებშიც შედის მიზნობრივი სოციალური დახმარება, შშმ პირის დახმარება და გარდაცვლილის არასრულწლოვანი ოჯახის წევრის დახმარება, ასევე, ბავშვის მოვლის და სხვა მცირემასშტაბიანი პროგრამები. მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამა შეიქმნა უკიდურესი სიღარიბის აღმოსაფხვრელად და სოციალური რისკების შესამცირებლად. იგი მოიცავს სხვადასხვა ფულად გასაცემს და ეფუძნება UNICEF-თან თანამშრომლობით შემუშავებულ ახალ მეთოდოლოგიას. მიდგომა ყურადღებას ამახვილებს სოციალურად დაუცველი ოჯახების კონკრეტულ საჭიროებებზე და მათ უწევს საარსებომინიმუმის შესაბამის დახმარებას, თუ არაქვთ შემოსავალი, ან შემოსავლის მომტანი ქონება. სოციალური დაცვის სისტემის ეფექტიანობის გასაზრდელად, 2006 წელს საქართველომ დანერგა გადახდისუნარიანობის შეფასების მეთოდოლოგია, რომლის მიზანია უკიდურესად ღარიბი ოჯახების იდენტიფიცირება და მხარდაჭერა. მეთოდი ოჯახის შემოსავალს აფასებს სხვადასხვა ინდიკატორის საფუძველზე, რომელთა შორისაც არის ადგილმდებარეობა და ქონება. საარსებო შემწეობის ოდენობა დამოკიდებულია ოჯახისთვის მინიჭებულ ქულაზე – რაც უფრო მაღალია ის, მით ნაკლები თანხა ერიცხება თითოეულ წევრს.⁸⁴

გარდა სარეიტინგო ქულის საფუძველზე მინიჭებული შემწეობისა, დახმარების მიმღებ ოჯახებს წვდომა აქვთ სხვადასხვა არაფულად შეღავათზეც. კერძოდ, ისინი სარგებლობენ უფრო ფართო საყოველთაო ჯანმრთელობის დაზღვევით, ვიდრე დანარჩენი მოსახლეობა. გარდა ამისა, ადგილობრივი ხელისუფლებამათს თავაზობს დამატებით ფინანსურ და პირდაპირ მხარდაჭერასა (უფასო კვება, გარკვეული მედიკამენტების დაფინანსება, საგრანტო პროგრამები სტუდენტებისთვის, საბინაო დახმარება, კომუნალური გადასახადების სუბსიდირება) და მომსახურებებს (სერვისები შშმ პირებისთვის, სკოლისგარე და საგანმანათლებლო აქტივობები ბავშვებისთვის, საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხარჯების სუბსიდირება). ოჯახის სარეიტინგო ქულა განსაზღვრავს, თუ რომელ მუნიციპალურ შეღავათს/სერვისს მიიღებს იგი. შესაბამისად, მუნიციპალური დახმარების სისტემა მჭიდროდ უკავშირდება ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობის ამსახველ ქულას.⁸⁵

2023 წელს, მიზნობრივი სოციალური დახმარება ქვეყანაში, დაახლოებით, 670 000-მა

84 კატეგორიები და ოდენობები: 30,001 ქულაზე ნაკლები: 60 ლარი თითოეულ პირზე. 30,001 - 57,000 ქულა: 50 ლარი თითოეულ პირზე. 57,001 - 60,000 ქულა: 40 ლარი თითოეულ პირზე. 60,000 – 65,001 ქულა: 30 ლარი. 120,000 ქულაზე მეტი: 200 ლარი თითოეულ 16 წლამდე ბავშვზე.

85 სოციალურად დაუცველი ოჯახები, რომლებიც იღებენ საარსებო შემწეობას, გათავისუფლებულნი არიან სასამართლო მოსაკრებლისგან, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ადამიანმა მიიღო, რაც მოსახლეობის 18%-ს შეადგენს. ბენეფიციართა 25%-ზე მეტი ხანდაზმული პირია, ძირითადად, ქალი. ეს მაჩვენებელი, ისტორიულად, ყველაზე მაღალია პროგრამის გაფართოებული დაფარვის გამო. გარდა ამისა, 2015 წელს საქართველოს მთავრობამ დანერგა იმ ბავშვთა დახმარების პროგრამა, რომელთა ოჯახის ქულაც 100 000-ს არ აღემატებოდა. 2021 წელს ქულების ზღვარი 120 000-მდე გაიზარდა, 2023 წლის ივლისში კი 200 ლარამდე გაიზარდა დახმარების ოდენობა. ამ პროგრამის ფარგლებში, დაახლოებით, 240 000 ბავშვი სარგებლობს ფინანსური მხარდაჭერით. დაინტერესებულ მხარეთა შეფასებით, ქულის ზღვრის ცვლილებამ გააფართოვა პროგრამის დაფარვა: კერძოდ, 65 000 ქულის მქონე ბენეფიციართა საშუალო თვიური რაოდენობა 415 000 ადამიანამდე გაიზარდა.

აღსანიშნავია, რომ სოციალური დახმარების მიღების მსურველი ოჯახების რაოდენობა საგრძნობლად აღემატება პროგრამის შესაძლებლობებს, რადგან მოსახლეობის, დაახლოებით, 40% რეგისტრირებულია მიზნობრივი სოციალური დახმარების მონაცემთა ბაზაში. გარდა ამისა, ბევრი ბენეფიციარი დიდხანს რჩება დამოკიდებული სოციალურ პროგრამებზე, რაც გრძელვადიანი დამოკიდებულების მნიშვნელოვან მაჩვენებელზე მიუთითებს.⁸⁶ ამავედროულად, ინფლაციის მიუხედავად, 2015 წელს ბენეფიციარი ოჯახების ქულებით გადანაწილების სისტემის ამოქმედების შემდეგ, 16 წლის და უფროსი პირებისთვის გათვალისწინებული დახმარების ოდენობა არ გაზრდილა.

მიუხედავად იმისა, რომ მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამა კარგად არის ადმინისტრირებული, მისი დიზაინი გარკვეულ ხარვეზებს შეიცავს ბენეფიციართა ჩართვა-გამორიცხვის კუთხით, რაც განსაკუთრებულად ეხება უსახლკაროებს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებსა და ხანდაზმულებს. ეს საზოგადოებაში ხშირად იწვევს უკმაყოფილებას. მაგალითად, სოციალურად დაუცველის სტატუსი და შესაბამისი ქულა აუცილებელი პირობაა ბევრი მუნიციპალური შეღავათისა და მომსახურების მისაღებად. შედეგად, ადგილობრივ დონეზე არსებული სერვისების მნიშვნელოვანი ნაწილი ხელმისაწვდომია მხოლოდ იმ პირებისთვის, რომლებიც ოფიციალურად არიან აღიარებულნი სოციალურად დაუცველ პირებად. ეს ნიშნავს, რომ ადამიანები, რომლებიც ნამდვილად საჭიროებენ დახმარებას, მაგრამ

86 2022 წელს საქართველომ წამოიწყო რეფორმა მიზნობრივი სოციალური დახმარების სისტემის გასაუმჯობესებლად. რეფორმა ხორციელდება საქართველოს „ადამიანური კაპიტალის პროგრამის“ ფარგლებში, რომლის ხელშეკრულებაც 2022 წელს გაფორმდა რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკსა და საქართველოს შორის. პროგრამის ნაწილია „საზოგადოებრივი სამუშაოს ქვეპროგრამა“, რომელიც მხარს უჭერს მიზნობრივი სოციალური დახმარების მიმღებთა გააქტიურებას და ინტეგრაციას შრომით ბაზარზე.

სოციალური პროგრამების მიღმა რჩებიან, ვერ სარგებლობენ მნიშვნელოვან შედეგებით, როგორცაა: მედიკამენტთა დაფინანსება, უფასო კვების პროგრამები, შინმოვლის სერვისები, ერთჯერადი ფულადი დახმარებები, კომუნალური გადასახადების სუბსიდირება და სხვა.⁸⁷ ამასთან, მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამა, რომელიც სიღარიბესთან ბრძოლას ემსახურება, ვერ ანაცვლებს სიცოცხლის ციკლის განმავლობაში საჭირო კომპლექსურ სოციალურ დახმარებებს. სახალხო დამცველმა წლების განმავლობაში არაერთი პრობლემა აღრიცხა მიზნობრივი სოციალური დახმარების სისტემასთან დაკავშირებით. მათ შორისაა: მეთოდოლოგიის ხარვეზები, ეფექტიანობის შეფასების საჭიროება, ადმინისტრაციული შეფერხებები დახმარებათა გადარიცხვაში. ერთ-ერთი მთავარი პრობლემა იყო ის, რომ პროგრამა ბენეფიციარებს არ უბიძგებდა დასაქმებისკენ, რადგან შემოსავლის ნებისმიერი, თუნდაც მინიმალური ზრდა იწვევდა საარსებო შემწეობის დაკარგვას. თუმცა, ბოლოდროინდელი რეფორმებით ეს გამოწვევა ნაწილობრივ გადაიჭრა – ბენეფიციარებს უკვე შეუძლიათ დასაქმება ავტომატური დისკვალიფიკაციის გარეშე, რაც ნიშნავს, რომ არაერთ ბენეფიციარს შეუძლია საკუთარი სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება შრომის ბაზარზე აქტიურად ჩართვით.

სოციალური პაკეტი

მიზნობრივი სოციალური დახმარების გარდა, 2012 წელს შექმნილი „სოციალური პაკეტის პროგრამა“ ფინანსურად ეხმარება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, გარდაცვლილის ოჯახებსა და სხვა სპეციფიკურ კატეგორიებს. პაკეტით გათვალისწინებული თანხები არაერთხელ შესწორდა მოწყვლადი ჯგუფების, განსაკუთრებით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და მათი ოჯახების მხარდასაჭერად.

სოციალური პაკეტი მოიცავს სხვადასხვა სახის შედეგს, რომლებიც მიემართება მოსახლეობის მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერას. ბენეფიციარებს შორის არიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, გარდაცვლილთა ოჯახები, ობლები, რეპრესიის მსხვერპლნი, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი პირები და სხვა. მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ პირებს, დამატებით, 20%-იანი დანამატი

87 M. Janiashvili, The Role of Targeted Social Assistance in the Social Protection System and Its Connection with Other Social Support Services, Social Justice Center, 2023, <https://socialjustice.org.ge/en/products/saarse-bo-shemtseobis-rol-i-sotsialuri-datsvis-sistemashi-da-misi-mimarteba-sotsialuri-mkhardacheris-skva-ser-visebtan>, გვ. 56.

ენიჭებათ, სოციალურ პაკეტთან ერთად, რომელიც მოიცავს როგორც ფულად, ისე არაფულად მხარდაჭერას. თანხები ყოველწლიურად ეტაპობრივად იზრდება ეკონომიკური მაჩვენებლების, მათ შორის, მშპ-ისა და ინფლაციის დონის გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს მინიმალურ ყოველწლიურ მატებას. შშმ პირთა სოციალური პაკეტის ფარგლებში გათვალისწინებული შეღავათები მნიშვნელოვნად ამცირებს სიღარიბეს მათ ოჯახებში. საქართველოს მთავრობის მონაცემებით, ასეთი შეღავათების გაუქმება უკიდურესი სიღარიბის დონეს 11.2%-დან 23.8%-მდე გაზრდიდა შშმ პირთა ოჯახებში.⁸⁸

თუმცა, სოციალურ პაკეტს აკრიტიკებენ იმის გამო, რომ საკმარისად არ მოიცავს შშმ პირთა მნიშვნელოვან ნაწილს და არ შეესაბამება ინდივიდუალურ საჭიროებებსა და ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომას, რასაც განაპირობებს შეზღუდული შესაძლებლობის შეფასების სისტემის მხოლოდ სამედიცინო დიაგნოზზე ფოკუსირება საქართველოში. უნდა აღინიშნოს, რომ ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, რომლებსაც ბავშვობიდან არ ჰქონიათ შშმ პირის სტატუსი, ამ დახმარების მიღმა რჩებიან. ამასთან, გავრცელებული მოსაზრებით, არსებული ფინანსური დახმარება ვერაკმაყოფილებს მნიშვნელოვნად და ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საბაზისო საჭიროებებს, რადგან საარსებო მინიმუმზე ნაკლებია. გარდა ამისა, სახალხო დამცველი და სხვა უწყებები დისკრიმინაციულად მიიჩნევენ გარკვეულ რეგულაციებს, მაგალითად, ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირთა გამორიცხვას სოციალური პაკეტიდან და სხვა შეღავათებიდან, თუ უკვე იღებენ პენსიას იმ ქვეყნიდან, რომლის მოქალაქეებიც არიან.⁸⁹ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია რეგულაცია, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ხანდაზმულ პირებს უკრძალავს ერთდროულად რამდენიმე სოციალური შეღავათის მიღებას. მათ შეუძლიათ მიიღონ როგორც მიზნობრივი სოციალური დახმარება, ისე სოციალური პაკეტი, თუმცა სოციალური პენსიისა და სოციალური პაკეტის ერთდროულად მიღება შეუძლებელია. სახალხო დამცველმა ასეთი შეზღუდვა დაუსაბუთებლად მიიჩნია. მან გაითვალისწინა ფინანსური შეზღუდვები სოციალური დახმარების პოლიტიკასთან დაკავშირებით, თუმცა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ასეთი პოლიტიკა

88 ევროპის საბჭო, საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი მე-14 ეროვნული ანგარიში ევროპის სოციალური ქარტიის განხორციელების შესახებ, 26/01/2021 RAP/RChA/GEO/14(2021), <https://rm.coe.int/rap-cha-geo-14-2021/1680a13289>, p. 137.

89 2023 წლიდან საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად, საჯარო სექტორის თანამშრომლებს, რომლებსაც აქვთ ნებისმიერი ტიპის შეზღუდული შესაძლებლობა, აქვთ უფლება, მიიღონ სოციალური პაკეტი, ხელფასთან ერთად.

ზედმიწვევით უნდა შეესაბამებოდეს თანასწორობის პრინციპებს.

სოციალური სეხვისები სოციალური სეხვისები

საქართველოს მთავრობის მიერ დაფინანსებული „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის პროგრამა“ მოიცავს მრავალმხრივ ინიციატივებს, რომელთა მიზანია მოწყვლადი ჯგუფების, მათ შორის, ხანდაზმულებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მხარდაჭერა. პროგრამის დაფინანსება ყოველწლიურად იზრდება, რაც შესაძლებელს ხდის გეოგრაფიული დაფარვის გაფართოებას დამეტიბენეფიციარის ჩართვას, ასევე, ახალი სერვისების დანერგვას (მაგალითად, როგორიცაა შინმოვლა და პერსონალური ასისტენტის მომსახურება 2023 წლიდან). პროგრამას ადმინისტრირებას უწევს სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო (SCA) - საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც ექვემდებარება ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს. იგი მოიცავს შემდეგ ქვეპროგრამებს:

1. დღის ცენტრებში მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბენეფიციარებს უწევს კომპლექსურ მხარდაჭერას. მათ შორისაა ტრანსპორტირება, ინდივიდუალური რეაბილიტაციის პროგრამები, პროფესიული უნარების განვითარება, კულტურული და სპორტული აქტივობები, არაფორმალური განათლება და საჭირო ფსიქოსოციალური და სამედიცინო მხარდაჭერა. პროგრამა მოქმედებს საქართველოს მუნიციპალიტეტთა უმეტესობაში, თბილისის, ქუთაისისა და რუსთავის ჩათვლით, და ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. მომსახურების ძირითადი მიმწოდებლები არიან არასამთავრობო ორგანიზაციები.

2. დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს უზრუნველყოფს შესაბამისი დამხმარე საშუალებებით, რომლებიც განისაზღვრება კონკრეტული საჭიროებებისა და კრიტერიუმების შესაბამისად. ამავდროულად, არსებული ინფორმაციით, საბაზისო სერვისების მიღება, როგორიცაა ეტლებით უზრუნველყოფა, გართულებულია ბიუროკრატიული პროცესების გამო.

3. ყრუთა კომუნიკაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამა: მისი მიზანია სმენადაქვეითებულ პირთა სოციალური რეინტეგრაცია. პროგრამა მოიცავს სმენის

აპარატების მიწოდებას ბავშვებისა და მოზარდებისთვის, ხანდაზმულ პირთა ჩათვლით, ასევე, ჟესტური ენის თარჯიმნის მომსახურებას.

4. სათემო ორგანიზაციებში მომსახურებით უზრუნველყოფის პროგრამა: 24-საათიან მზრუნველობას სთავაზობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებსა და ხანდაზმულებს (მათ შორის, მცირე საოჯახო ტიპის სახლებში). პროგრამა უზრუნველყოფს 24-საათიან საცხოვრისს, ზრუნვას, პირველად დახმარებას, ეკონომიკური დამოუკიდებლობის ხელშეწყობა აქტივობებს და საზოგადოებაში ინტეგრაციას. გარდა ამისა, თბილისსა და ქუთაისში ხანდაზმული პირებისთვის ფუნქციონირებს ორი საცხოვრებელი სახლი.

5. ომის მონაწილეთა რეაბილიტაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამა: ომის ვეტერანებს სთავაზობს სამედიცინო კონსულტაციებს, ფიზიოთერაპიას, ლაბორატორიულ თუ ინსტრუმენტულ კვლევებსა და ბალნეოლოგიურ თერაპიას.

6. შინმოვლის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა: შინმოვლის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტი 2023 წელს დამტკიცდა. მისი მიზანია ბენეფიციართა დამოუკიდებლობის მხარდაჭერა, ინსტიტუციონალიზაციისა და ჰოსპიტალიზაციის პრევენცია და ოჯახების დახმარება სახლში მიწოდებული სხვადასხვა მომსახურებით.

7. პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა: ბენეფიციარებს უწევს მრავალფეროვან მომსახურებას, როგორც კვებით უზრუნველყოფა, პირადი ჰიგიენისა და მოვლის ხელშეწყობა, დახმარება საყოფაცხოვრებო ფუნქციების შესრულებაში, მობილობის მხარდაჭერა, ჯანდაცვის, რეაბილიტაციისა და ყოველდღიური აქტივობების დაგეგმვა.

შინმოვლისა და პერსონალური ასისტენტის პროგრამები 2023 წლიდან ჩაერთო სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამაში, საპილოტე ინიციატივების სახით. მათი მიზანია ბენეფიციართა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება, დამოუკიდებლობის ხელშეწყობა და ინსტიტუციონალიზაციის პრევენცია. 2024 წელს პროგრამა კვლავ საპილოტე ფორმატით მიმდინარეობს, ხოლო 2025 წელს დაგეგმილია მისი გაფართოება. პროგრამის ხელმისაწვდომობა რეგიონებში დამოკიდებულია მომსახურების მიმწოდებელ ორგანიზაციებზე, რომელთა ნაკლებობამ შესაძლოა ხანდაზმული მოსახლეობა სათანადო

მხარდაჭერის გარეშე დატოვოს. შინმოვლის ქვეპროგრამას კვლავ აქვს გარკვეული გამოწვევები, მათ შორის, ასეთ სერვისებში სპეციალიზებული კვალიფიციური ადამიანური რესურსების ნაკლებობა.

საქართველოს ზოგიერთ მუნიციპალიტეტში ასევე მოქმედებს რამდენიმე ქვეპროგრამა, რომლებიც ეტაპობრივად გავრცელდება ყველა მუნიციპალიტეტზე. მათი წლიური დაფინანსება, ძირითადად, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყოფა. ბენეფიციარები მომსახურებებს ერთჯერადი ან ყოველთვიური მხარდაჭერის სახით იღებენ. ამრიგად, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სოციალური სერვისების დეცენტრალიზაციას მუნიციპალიტეტების დონეზე. ეს მოიცავს უფლებამოსილების დელეგირებას ადგილობრივ თვითმმართველობებზე, რათა გაიზარდოს სოციალური დახმარების მიწოდების ეფექტიანობა. ამის მაგალითია „აქტიური დაბერების კლუბები“, რომლებიც ადგილობრივ დონეზე ფუნქციონირებს ფორმალური რეგულაციების გარეშე. ზოგიერთი მუნიციპალიტეტი მათ საკუთარი ბიუჯეტიდან აფინანსებს, დონორების ან ე. წ. ქრაუდფანდინგის საშუალებით, რაც მოქნილ საოპერაციო მოდელს ქმნის. კლუბები ტექნიკურ მხარდაჭერას იღებენ UNFPA-გან და ოპერირებენ მის მიერ შემუშავებული სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით, თუმცა არ ტარდება სტანდარტიზებული მონიტორინგი ამ პრინციპების პრაქტიკაში გამოყენებაზე. მიზანშეწონილია მუნიციპალიტეტთა მიერ დაფინანსებული მსგავსი კლუბების სტანდარტიზაცია (ოპერაციული სახელმძღვანელო პრინციპების ოფიციალურად მიღება), რაც ხელს შეუწყობს სტანდარტული მომსახურების შეთავაზებას ბენეფიციართათვის (საუკეთესო პრაქტიკის საფუძველზე) და მონიტორინგს მიღწეულ შედეგებზე. კლუბები ხელს უწყობენ ხანდაზმულთა ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუმჯობესებას, დაავადებათა პრევენციას ექიმებთან ვიზიტებით და სოციალურ აქტივობებში ჩართულობას, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებაში კვლავ არსებობს სტერეოტიპები და სტიგმა, განსაკუთრებით, აქტიურ ქალთა მიმართ. კლუბებს სჭირდებათ ტექნიკური მხარდაჭერა და პროგრამული მრავალფეროვნება, განსაკუთრებით, განათლებისა და ციფრული ჩართულობის კუთხით. ასევე აღსანიშნავია ძალისხმევა თაობათაშორისი აქტივობების ხელშესაწყობად კლუბებში, თუმცა ამ პროცესის მონიტორინგი სრულყოფილად არ ტარდება. თაობათაშორისი საპილოტე აქტივობები უკვე მიმდინარეობს ზოგიერთ ქალაქში, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და გაეროს მხარდაჭერით, თუმცა ჯერ ფართოდ არ არის გავრცელებული.

სახალხო დამცველის მონაცემებით, ადგილობრივ თვითმმართველობებში მნიშვნელოვანი სისტემური გამოწვევები არსებობს ხანდაზმულ პირთა კეთილდღეობის კუთხით. ოფისი მუდმივად აღრიცხავს პრობლემებს, როგორიცაა მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობები, სიღარიბე, უსახლკარობის საფრთხე, მიზნობრივი პროგრამების ნაკლებობა ხანდაზმულებისთვის. ეს პრობლემები მიუთითებს ადგილობრივ დონეზე მორგებული პროგრამებისა და ფინანსური რესურსების აუცილებლობაზე, ხანდაზმული მოსახლეობის საჭიროებათა ეფექტიანად დასაკმაყოფილებლად. როგორც აღინიშნა, 2019 წელს სახალხო დამცველის მიერ ჩატარებული მუნიციპალიტეტთა ბიუჯეტების კვლევა აჩვენებს, რომ საქართველოს მუნიციპალიტეტების, დაახლოებით, 70%-ს არ აქვს სპეციალურად ხანდაზმული პირებისთვის განკუთვნილი მიზნობრივი პროგრამები. ზოგიერთ მუნიციპალიტეტში ას წელს მიღწეულ პირებზე გაიცემა ერთჯერადი ფინანსური დახმარება, რომელსაც ჯილდოს სახე უფრო აქვს, ვიდრე კონკრეტულ საჭიროებებზე დაფუძნებული სოციალური შეღავათის. მიზნობრივი მხარდაჭერის არარსებობის გამო, ბევრი ხანდაზმული პირი დამოკიდებული ხდება ერთჯერად დახმარებაზე, ნაცვლად კომპლექსური ზრუნვის პროგრამებში ჩართვისა.

სერვისების კუთხით, აღსანიშნავია „უფასო სასადილოს“ პროგრამა, თუმცა მისი დაფარვა სხვადასხვა მუნიციპალიტეტში არათანაბარია. დიდ მუნიციპალიტეტებში, როგორც წესი, მხოლოდ ერთი უფასო სასადილო ფუნქციონირებს, რაც გარეუბნებში მცხოვრებ ხანდაზმულებს უზღუდავს წვდომას მომსახურებებზე. ზოგიერთს ამ სერვისით სარგებლობაში ხელს უშლის ლოგისტიკური სირთულეებიც, რაც გამოწვეულია მობილობის პრობლემებით, ან სერვისების არათანაბარი განაწილებით ადმინისტრაციულ ერთეულებში.

სახალხო დამცველმა შეისწავლა ხანდაზმულებზე ზრუნვის ადგილობრივი პროგრამები, მათ დაფინანსებასთან ერთად, და აღნიშნა გარკვეული დადებითი ტენდენციები (მაგ: მუნიციპალიტეტთა მიერ დაფინანსებული ან თანადაფინანსებული შინმოვლის სერვისები). თუმცა, მომსახურება, ძირითადად, შემოიფარგლება ელემენტარული მხარდაჭერით, როგორიცაა კომუნალური გადასახადების დაფარვა, მედიკამენტთა შეძენაში დახმარება და ერთჯერადი ფულადი დახმარების გაცემა ხანდაზმულებისა და ომის ვეტერანებისთვის. ამასთან, ბევრი ადგილობრივი პროგრამა მოითხოვს სოციალურად დაუცველი ოჯახების რეგისტრაციას ერთიან მონაცემთა ბაზაში, რაც ხანდაზმულ პირებს ურთულებს სერვისებზე წვდომას. ზოგიერთი მუნიციპალიტეტი ფინანსურად გაჭირვებულ

ოჯახებს სთავაზობს დახმარებას ქირის გადახდაში, თუმცა მისი ოდენობა კვლავ არასაკმარისად ფარავს ხანდაზმულთა საბინაო საჭიროებებს.

და ბოლოს, მუნიციპალიტეტებმა გარკვეულ პროგრესს მიაღწიეს ხანდაზმული პირებისთვის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაში, მათ შორის, პანდუსების მონტაჟით, ასევე, საზოგადოებრივი შენობებისა და ტრანსპორტის მისაწვდომობის გაზრდით. თუმცა, ამ ჯგუფზე მორგებული კომპლექსური და ინდივიდუალური მომსახურებები კვლავ არ არის საკმარისად განვითარებული.

რაც შეეხება ხანგრძლივი მოვლის სერვისებს,⁹⁰ როგორც სამედიცინოს, ასევე არასამედიცინოს: მიუხედავად იმისა, რომ არსებობს სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი გარკვეული მომსახურებები, ისინი არ ფინანსდება სათანადოდ და არ გვთავაზობს ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ მიდგომებს. დაინტერესებულ მხარეთა შეფასებით, ზოგ შემთხვევაში ხანდაზმულ პაციენტს სჭირდება შინმოვლის სერვისიდან ინსტიტუციურ ზრუნვაზე გადასვლა, თუმცა სპეციალიზებულ დაწესებულებებში ადგილების არარსებობა სერიოზული პრობლემაა. სპეციალიზებული დღის ცენტრები აწყდებიან სისტემურ გამოწვევებს, რომელთა შორისაც არის არასაკმარისი ინფრასტრუქტურა, დაბალი კვალიფიკაციის მქონე პერსონალი და მონიტორინგის სუსტი მექანიზმები. პალიატიური მზრუნველობა, რომელიც ხელმისაწვდომია სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში, ასევე ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნას. პრობლემატურია ჰოსპისის საწოლების შეზღუდული რაოდენობაც და კომპლექსური შინმოვლის სერვისების ნაკლებობა.

მთავრობა ხანდაზმულთა ხანგრძლივი მოვლის საჭიროებებს, ძირითადად, ორ საცხოვრებელ დაწესებულებაში აკმაყოფილებს, რომლებიც მდებარეობს თბილისსა და ქუთაისში და ფუნქციონირებს სახელმწიფო ზრუნვის ადატრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ზედამხედველობით. თუმცა, თბილისის დაწესებულებას რამდენიმე წელია არ მიუღია ახალი ბენეფიციარები, რადგან იგეგმება მისი ეტაპობრივი დახურვა და გადასვლა დიდი ზომის საცხოვრებელი სახლებიდან მცირე სათემო ორგანიზაციათა ქსელის შექმნაზე. გარდა ამისა, აღინიშნა სერვისის მიმწოდებელი სათემო ორგანიზაციების ნაკლებობა, რაც ზრდის ბენეფიციართა ლოდინის დროს. დაინტერესებულ მხარეთა

90 ტერმინი „ხანგრძლივი მოვლა“ განმარტებულია ჯანდაცვის შესახებ კანონში.

შეფასებით, ხანდაზმული პირებისთვის განკუთვნილი რეზიდენტული ზრუნვა საქართველოში მეტ განვითარებასა და გაუმჯობესებას საჭიროებს.

ამავდროულად, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს რეზიდენტულ დაწესებულებათა მომსახურების მინიმალური სტანდარტები, მათი აღსრულება პრობლემად რჩება. ამას ხაზი გაუსვა გაეროს დამოუკიდებელმა ექსპერტმა ხანდაზმულთა უფლებების საკითხებში, რომელიც 2018 წელს ეწვია საქართველოს სახალხო დამცველის მოწვევით.⁹¹ დაწესებულებებში, რომლებსაც სახელმწიფო არ აფინანსებს, უფლებათა დარღვევის შემთხვევები ხშირად უყურადღებოდ რჩება, რაც მიუთითებს არაადეკვატურ შესაძლებლობებსა და მომსახურების დაბალ ხარისხზე. ცოტა ხნის წინათ, მონიტორინგის მიზნით, სახალხო დამცველი ეწვია ხანგრძლივი მოვლის კერძო დაწესებულებებს, სადაც მნიშვნელოვანი ხარვეზები გამოვლინდა. მათ შორისაა:

- ინფორმირებულობის ნაკლებობა სამართლებრივი სტანდარტების შესახებ;
- უფლებათა დარღვევები მიღების პროცესში;
- არასათანადო ინფრასტრუქტურული და სანიტარიული პირობები;
- ჯანდაცვის უგულებელყოფა და არასათანადო კვება;
- ემოციური და ფსიქიკური მხარდაჭერის ნაკლებობა;
- პერსონალის კვალიფიკაციასა და შრომით უფლებებთან დაკავშირებული პრობლემები.

ხანდაზმულთა კერძო დაწესებულებებთან მიმართებით, აშკარად აღინიშნება ინფორმირებულობისა და დაწესებული სამართლებრივი სტანდარტების ნაკლებობა. ეს დაწესებულებები ფუნქციონირებენ სახელმწიფოს ყოვლისმომცველი ზედამხედველობისა და რეგულირების გარეშე. ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენლებთან შეხვედრისას აღინიშნა, რომ საჭიროა კერძო, თვითდაფინანსებულ დაწესებულებათა რეგულირება, როგორიცაა ხანდაზმულთა რეზიდენტული საცხოვრებლები. ამ პრობლემის მოსაგვარებლად, მუშავდება შესაბამისი კანონპროექტი, რომლის მიღება იგეგმება 2024 წლის ბოლოსთვის.

და ბოლოს, სოციალური სამუშაოს მიმართულებით, საქართველომ მნიშვნელოვანი

91 იხ. დამოუკიდებელი ექსპერტი ანგარიში, რომელიც მომზადდა 2018 წელს საქართველოში განხორციელებული ვიზიტის შემდგომ. <https://digitallibrary.un.org/record/1638448?ln=es&v=pdf>.

ინვესტიცია განახორციელა შესაბამის რეფორმებში, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს პრევენციას და სოციალურ საჭიროებათა დროულ იდენტიფიცირებას. 2020 წლის კანონმა „სოციალური სამუშაოს შესახებ“ სამართლებრივი საფუძველი შექმნა ამ სფეროში, თუმცა მისი პრაქტიკული განხორციელება კვლავ გამონვევად რჩება. საქართველოში სოციალურ მუშაკთა რაოდენობა მნიშვნელოვნად ჩამორჩება მოთხოვნას. ეს ეხება როგორც აკადემიური კვალიფიკაციის მქონე მუშაკებს, ისე სერტიფიცირებულ კადრებს. სოციალური მუშაკები გადატვირთულ პირობებში მუშაობენ, არასაკმარისი ანაზღაურებით. ხშირად, სახელმწიფო სექტორში დასაქმების პარალელურად, ისინი სამოქალაქო ორგანიზაციების პროექტებშიც არიან ჩართულნი, რაც უარყოფითად აისახება ბენეფიციარებზე ზრუნვის ხარისხზე. სოფლად განსაკუთრებით რთულია შესაბამისად მომზადებული კადრების მოძიება და სამსახურში აყვანა, ხანდაზმულთა საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. ამასთან, მოსახლეობაში კვლავაც არსებობს არასწორი წარმოდგენების სოციალურ სამუშაოსა და სერვისებთან დაკავშირებით, რაც ინვესტ დამოკიდებულებას, ნაცვლად გაძლიერებისა, განსაკუთრებით შესაძლებლობათა განვითარების არარსებობის პირობებში. დაინტერესებულ მხარეთა შეფასებით, საჭიროა მულტისექტორული მიდგომა, რომელიც ითვალისწინებს სპეციალისტთა სხვადასხვა ჯგუფის ჩართულობას; ასევე აუცილებელია ინსტიტუციური ზრუნვის პრაქტიკის ჩანაცვლება.

3.2.3 ჯანდაცვა

როგორც აღინიშნა, ბოლო ათწლეულების განმავლობაში საქართველოში შეინიშნება სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდა და სიკვდილიანობის შემცირება. ეს პროგრესი უკავშირდება არაგადამდებ დაავადებათა უკეთ მართვას, ფატალურ დაზიანებათა შემცირებას, დაავადებათა დროულ დიაგნოსტიკას და მკურნალობის გაუმჯობესებას. საქართველო აქტიურად უწყობს ხელს ჯანდაცვის შესახებ განათლებას სხვადასხვა პროგრამის საშუალებით, რომელთა მიზანია ცნობიერების ამაღლება სხვადასხვა საკითხზე: თამბაქოს კონტროლი, ჯანსაღი კვება, ალკოჰოლის მოხმარება, ფიზიკური აქტივობა, ფსიქიკური ჯანმრთელობა და ნარკოტიკულ ნივთიერებათა ბოროტად გამოყენების პრევენცია. საგანმანათლებლო ინიციატივები მოიცავს გენდერზე დაფუძნებულ ძალადობასაც.

საქართველოს კონსტიტუცია უზრუნველყოფს ჯანდაცვის უფლებას და ხაზს უსვამს წვდომას ხელმისაწვდომ და ხარისხიან სამედიცინო მომსახურებაზე.

როგორც აღინიშნა, საქართველო აღიარებულია სოციალურ სახელმწიფოდ, რომელიც ორიენტირებულია ადამიანის ჯანმრთელობასა და სოციალურ დაცვაზე და ხელმძღვანელობს სოციალური სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპებით. თუმცა, ბოლო სამიათწლეულის განმავლობაში ქვეყანაში შეინიშნება მოსახლეობის მნიშვნელოვანი კლება - 4.8 მილიონიდან (1994) 3.7 მილიონამდე (2024) - ძირითადად, ემიგრაციისა და დაბალი შობადობის გამო. მოსახლეობის დაბერების ტენდენცია აშკარაა, რის გამოც აუცილებელია ხანდაზმულ მოქალაქეთა ჯანდაცვის სერვისების გაზრდა.

საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული პოლიტიკის შედეგად, თითქმის მთელი მოსახლეობა სარგებლობს ჯანდაცვის მომსახურებით.⁹² კერძოდ, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ამოქმედების შემდეგ (2013), მოსახლეობის დაახლოებით 98%-ს აქვს წვდომა ჯანმრთელობის დაზღვევის სქემებზე. მათი 92% დაზღვეულია სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში, 8% კი სარგებლობს კერძო დაზღვევით, მათ შორის, დამსაქმებელთა მიერ დაფინანსებული ან სხვა კერძო სქემებით.

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა ეფუძნება ისეთ პრინციპებს, როგორიცაა საყოველთაო და თანაბარი წვდომა სამედიცინო მომსახურებაზე, ასევე, ადამიანის უფლებებისა და პაციენტის ავტონომიის დაცვა. პროგრამამ გააფართოვა მოსახლეობის წვდომა სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ სამედიცინო სერვისებზე (გარდა წინადაგნოსტიკური კვლევებისა, რაზე მუშაობაც ამჟამად მიმდინარეობს). საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა მოიცავს ძირითად პაკეტებს, რომლებიც ფარავს გეგმურ და გადაუდებელ სამედიცინო მომსახურებებს, ონკოლოგიურ და სამშობიარო სერვისებს, ამბულატორიულ მომსახურებას, ოპერაციებს, ქიმიოთერაპიას, აუცილებელ მედიკამენტებსა და რეაბილიტაციას. პროგრამა სრულად ფარავს პენსიონერებსა და სოციალურად დაუცველ ჯგუფებს, ხოლო დანარჩენი მოქალაქეები სარგებლობენ თანაგადახდის მექანიზმებით, მათი შემოსავლების მიხედვით.

სახალხო დამცველმა ხაზი გაუსვა, რომ საქართველოში მედიკამენტთა მაღალი ფასები ბევრი მოქალაქისთვის აფერხებს წვდომას ჯანდაცვაზე. რეგიონებში მაღალია საკუთარი ჯიბიდან გადასახდელი თანხებიც. „ქრონიკული დაავადებების

92 საწყის ეტაპზე პროგრამა იყო საყოველთაო, თუმცა 2018 წლიდან შეღავათები ვრცელდება იმ პირებზე, რომელთა წლიური შემოსავალი არ აღემატება 40,000 ლარს.

სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამას“ აკრიტიკებენ იმის გამო, რომ ვერ იძლევა წვდომას ხარისხიან და ეფექტიან მედიკამენტებზე. ამასთან, სახალხო დამცველმა ხაზი გაუსვა გაუმჯობესებებს ონკოლოგიური მკურნალობის ანაზღაურების კუთხით, საყოველთაო ჯანდაცვის ფარგლებში.

„საქართველოს 2022-2030 წლების ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული სტრატეგია“ ყურადღებას ამახვილებს ყველა ასაკის ადამიანის ჯანსაღ ცხოვრებაზე და მიემართება რეაგირებას დემოგრაფიული დაბერების გამოწვევებსა და ჯანდაცვის მზარდ მოთხოვნებზე, ჯანმრთელობისა და აქტიური დაბერების პოლიტიკის განხორციელებით. მისი მიზანია თანაბარი წვდომის უზრუნველყოფა ჯანდაცვის სერვისებზე საქართველოს ყველა რეგიონში, რეაგირება უთანასწორობებზე და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. ამას გარდა, „არაგადამდებ დაავადებათა პრევენციისა და კონტროლის ეროვნული სტრატეგია 2023-2030“ მიზნად ისახავს ისეთი რისკფაქტორების შემცირებას, როგორიცაა თამბაქოსა და ალკოჰოლის მოხმარება, და ცხოვრების ჯანსაღი წესის ხელშეწყობას.

„სოფლის ექიმის პროგრამა“, რომელსაც მართავს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, მიზნად ისახავს პირველადი ჯანდაცვის ფიზიკური და ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდას. თუმცა, სამედიცინო პერსონალის გეოგრაფიულ განაწილებაში მნიშვნელოვანი უთანასწორობა შეინიშნება, რაც მიუთითებს, რომ საჭიროა ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის კოორდინაციის გაძლიერება სერვისების მიწოდების ოპტიმიზაციისათვის. აღსანიშნავია, რომ ადგილობრივ ხელისუფლებას არ აქვს როლი ჯანდაცვის სერვისების მიწოდებაში, სოფლის ექიმების განთავსება მხოლოდ სამინისტროს პრეროგატივაა. თუმცა, სამედიცინო ხარჯებისა და მედიკამენტების შესაძენად, მუნიციპალიტეტები ერთჯერად ფინანსურ დახმარებას გასცემენ, ჯანდაცვის კომისიების საშუალებით. სახალხო დამცველის მონიტორინგმა შეუსაბამობები გამოავლინა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რომელიც ხშირად მოკლებულია სამართლებრივ და ფაქტობრივ დასაბუთებას. ამან მუნიციპალიტეტებში მცხოვრები ყველაზე მოწყვლადი მოსახლეობისთვის კითხვები წარმოშვა ჯანდაცვის მხარდაჭერის თანაბარ განაწილებასთან მიმართებით.

ამჟამად, საქართველო მასშტაბური ინსტიტუციური ზრუნვიდან გადადის თემზე

დაფუძნებულ ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისებზე. კანონი „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ (2006) ხაზს უსვამს ფსიქიკური ჯანმრთელობის მნიშვნელობას საზოგადოებრივი კეთილდღეობისთვის და განსაზღვრავს ფსიქიკური დარღვევის მქონე პირთა უფლებებსა და დაცვის მექანიზმებს. ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2015-2020 წლებისათვის, ასევე, ახალი, 2022-2030 წლების სტრატეგია, მიზნად ისახავს ფსიქიატრიული მომსახურების გაფართოებას, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას და სტიგმის შემცირებას. თემზე დაფუძნებული მობილური ჯგუფები ფსიქიკურ მხარდაჭერას უზრუნველყოფენ, ხოლო კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებები ევროკავშირის სტანდარტებს შეესაბამება. ამავდროულად, სახალხო დამცველი ხაზს უსვამს მნიშვნელოვან გამოწვევებს ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისებში, მათ შორისაა სუიციდის პრევენციის სტრატეგიის არარსებობა ფსიქიკური ჯანმრთელობის მქონე პირთა შორის და სოციალური ინტეგრაციის სერვისების არასაკმარისად განვითარება. დაინტერესებულ მხარეთა თანახმად, არ არსებობს დეინსტიტუციონალიზაციის სტრატეგია და დეპრესიის მართვის კვალიფიციური დაწესებულებები. შეშფოთება გამოითქვა ფსიქიატრიულ დაწესებულებებში თვითნებურ სამედიცინო ინტერვენციებთან დაკავშირებით. მათ შორისაა ინექციებისა და სწრაფი დამამშვიდებელი საშუალებების იძულებითი გამოყენება, შესაბამისი სამართლებრივი გარანტიებისა და პაციენტის თანხმობის გარეშე. სახალხო დამცველის შეფასებით, ეს პრაქტიკა შესაძლოა არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობად ჩაითვალოს.

გარდა ამისა, შექმნილია საოჯახო მედიცინის სისტემა, რომლის მიზანია ქრონიკული დაავადებების, მათ შორის, გულ-სისხლძარღვთა პრობლემების, ასევე, დიაბეტის პრევენციისა და მართვის გაუმჯობესება. ამასთან, პირველადი ჯანდაცვის სისტემაში ერთვება ტელემედიცინის სერვისები, რათა გაიზარდოს ჯანდაცვის მომსახურების ხელმისაწვდომობა, განსაკუთრებით, შორეულ რეგიონებში. გერიატრიული მოვლის კუთხით, საქართველოში ამჟამად ხელმიუწვდომელია საკმარისი რაოდენობის სპეციალიზებული საწოლები და სპეციალისტები. საჭიროა ყურადღების გამახვილება გერიატრიის ინტეგრირებაზე სამედიცინო განათლებასა და პროფესიულ განვითარებაში. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა გვაცნობა, რომ არსებობს მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამა, „გერიატრიული ასისტენტი“, რომელიც მოიცავს 144 საათს (6 კვირას)

და ხელმისაწვდომია პროფესიული განათლების 14 დაწესებულებაში.⁹³ ასევე მოქმედებს ექთნების მოსამზადებელი გრძელვადიანი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს ზოგადი პროფილის კონკურენტუნარიანი ექთნების მომზადებას ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე. პროგრამაში შედის საგანმანათლებლო მოდული „გერონტოლოგია და გერიატრიის საფუძვლები“, რომელიც აუცილებლად უნდა დაინერგოს ყველა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ექთნის მოსამზადებელი კურსის შესათავაზებლად.⁹⁴

აღსანიშნავია, რომ არსებობს ახალი სტრატეგიები და ინსტრუმენტები, რომლებიც ორიენტირებულია თემზე დაფუძნებულ სერვისებსა და დეინსტიტუციონალიზაციაზე, მათ შორისაა ალცჰაიმერის დაავადებისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელო პრინციპებიც. პალიატიური მზრუნველობის მიმართულებით, სახელმწიფო პროგრამა უზრუნველყოფს როგორც ამბულატორიულ, ისე სტაციონარულ მომსახურებას განუკურნებელი დაავადების მქონე პაციენტებისთვის. სერვისები დაფინანსებულია ვაუჩერული სისტემის საშუალებით, რომლის თანადაფინანსებაც დამოკიდებულია ასაკსა და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსზე. თუმცა, საქართველოში არ მოქმედებს საკმარისი რაოდენობის პალიატიური მზრუნველობის დაწესებულებები, განსაკუთრებით, ზრდასრულებისთვის. მოწყვლადი ხანდაზმული პირებისთვის ინსტიტუციური ზრუნვა ხშირად ერთადერთი გამოსავალია, მიუხედავად იმისა, რომ შინ დარჩენა სურთ. ამასთანავე, პალიატიური ზრუნვის ხარჯები ხანდაზმული პირებისთვის ხშირად ფინანსურად ხელმიუწვდომელია.

და ბოლოს, რაც შეეხება ექთნების მდგომარეობას, მათ საქართველოში დაბალი ანაზღაურება და რთული სამუშაო პირობები აქვთ, მაშინ, როცა არ არის შემუშავებული სპეციალური პოლიტიკა ექთნების მხარდასაჭერად. ხშირად ისინი ერთდროულად რამდენიმე სამედიცინო დაწესებულებაში მუშაობენ არასაკმარისი ხელფასის გამო, რისი შედეგიც არის გახანგრძლივებული სამუშაო საათები,

93 პროფესიული მომზადების პროგრამის, „გერიატრიული ასისტენტის“ მიზანია, სტუდენტმა შეიძინოს ხანდაზმულ პირთა მოვლის საჭიროებებზე მორგებული ცოდნა და უნარები. მათ შორისაა: ზრუნვა, დაავადებისა და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინება, ეფექტიანი კომუნიკაცია, მოვლის პროცედურების ჩატარება, კვება, ჰიგიენის დაცვა, ჩაცმა/გახდა, საწოლის მომზადება, თეთრეულის შეცვლა, პაციენტის უსაფრთხოებაზე ზრუნვა, მისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა, სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური ნორმების დაცვა, საოჯახო ტიპის მომსახურება და დღის ცენტრის სერვისების მიწოდება. ამ პროგრამის დასრულების შემთხვევაში, სტუდენტს ენიჭება გერიატრიული ასისტენტის სერტიფიკატი.

94 იგი ანიჭებს კვალიფიკაციას (ექთნის ასოცირებული ხარისხი, რომელიც ამოქმედდა 2020 წლის 29 თებერვალს). ამჟამად საქართველოში 30 ასეთი საგანმანათლებლო დაწესებულებაა. სასწავლო შედეგი 1: ხანდაზმულ პაციენტში ასაკთან დაკავშირებული ცვლილებების განსაზღვრა; და სასწავლო შედეგი 2: საშუალო და ხანდაზმული ასაკის მახასიათებელთა განსაზღვრა, რაც სტუდენტს აძლევს 3 კრედიტს. კვალიფიკაციის მოსაპოვებლად, აუცილებელია საექთნო პროგრამის სრულად გავლა.

მინიმალური შესვენებები და „პროფესიული გადაწვის“ მაღალი რისკი. გარდა ამისა, საქართველოში ექთნები მიეკუთვნებიან ერთ-ერთ ყველაზე დაბალანაზღაურებად პროფესიულ ჯგუფს. ქვეყანაში ექიმთა სიჭარბის ფონზე, ექთნების სერიოზული დეფიციტი აღინიშნება, რაც აღრმავებს პრობლემებს, რომლებსაც აწყდებიან მედდები. ექთნების რაოდენობა საქართველოში ყოველწლიურად კლებულობს, რადგან ბევრი მათგანი ტოვებს პროფესიულ სფეროს მძიმე სამუშაო პირობებისა და დაბალი ხელფასის გამო. დაინტერესებულ მხარეთა შეფასებით, ამ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, პარლამენტმა 2024 წლის 21 თებერვალს მიიღო კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს ცვლილებების შეტანას „ჯანდაცვის შესახებ“ კანონში. მისი მიზანია: ექთნებისა და ბებიაქალების საქმიანობის განვითარება თანამედროვე საერთაშორისო მოთხოვნათა შესაბამისად და მედდების ჩართვა უწყვეტი განათლების სისტემაში. ამასთან, 2023 წლის 1 იანვრიდან მოქმედებს მინიმალური ხელფასი ექიმებისა და მედდებისთვის, კერძოდ: ექიმებისთვის – 7 ლარი საათში (სულ მცირე, 1 260 ლარი თვეში), მედდებისთვის კი 4.4 ლარი საათში (სულ მცირე, 792 ლარი თვეში). რეფორმის შედეგად, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში ჩართული ყველა კლინიკა ვალდებულია, ექიმებისა და მედდების ხელფასები დააწესოს სამინისტროს მიერ განსაზღვრული მინიმალური ზღვრის გათვალისწინებით. ახალი რეგულაციის ფარგლებში, ხელფასის ზრდა შეეხო 9 000-მდე ექიმს და 8 000-ზე მეტ მედდას.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ საქართველო გამოწვევების წინაშე დგას ხანდაზმული მოსახლეობის ჯანდაცვის საჭიროებათა დაკმაყოფილების კუთხით, რასაც კიდევ უფრო ამძაფრებს დემოგრაფიული ცვლილებები და არაგადამდებ დაავადებათა გავრცელება. საკანონმდებლო ჩარჩოსა და ეროვნული სტრატეგიების მიზანია ამ საკითხების გადაჭრა საყოველთაო ჯანდაცვის გაფართოებით, პირველადი ჯანდაცვის რეფორმებითა და ჯანმრთელობის ხელშეწყობი მიზნობრივი ინიციატივებით. თუმცა, ხანდაზმული პირების, ასევე, ქრონიკული დაავადებებისა და დემენციის მქონე პაციენტების შემთხვევაში, კვლავ არსებობს სერიოზული უთანასწორობები და ხარვეზები სპეციალიზებული მოვლის მიმართულებით (მაგალითად, დიაგნოსტიკის ნაკლებობა). ასევე აღინიშნება პრევენციული ჯანდაცვის სტრატეგიების ნაკლებობა, განსაკუთრებით, პირველადი ჯანდაცვის დონეზე. ამ პრობლემათა დასაძლევად, საჭიროა დამატებითი განვითარება და ინვესტიციები, მათ შორის, უწყვეტი სამედიცინო განათლება და პროფესიული მომზადება ხანდაზმულთა მოვლის უნარების გასაუმჯობესებლად.

3.2.4 ძალადობისა და ბოროტად მოპყრობის პრევენცია

საქართველომ აქტიური ბრძოლა ოჯახში ძალადობასთან 2006 წელს დაიწყო, სპეციალური კანონის მიღებით „ქალთა მიმართან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“. ამასთანავე, შეიქმნა სახელმწიფო თავშესაფრები და დღის ცენტრები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან მსხვერპლთა ფსიქოლოგიურ და სოციალურ რეაბილიტაციაზე, ასევე, იურიდიული და სამედიცინო დახმარების გაწევაზე. კანონი კომპლექსურად განიხილავს ოჯახში ძალადობას, მათ შორის, იმ ხანდაზმულთა დაცვას, რომლებიც ბოროტად მოპყრობის რისკის წინაშე დგანან. კანონი სახელმწიფოს ავალდებულებს ძალადობის პრევენციის მექანიზმთა შექმნას, რომლებიც გაითვალისწინებს რისკების ანალიზს, სამართლებრივ ზომებს, სტატისტიკური მონაცემების შეგროვებას, საგანმანათლებლო კამპანიებსა და სპეციალიზებულ სასწავლო კურსებს. კანონი ასევე მოიცავს დამცავი და შემაკავებელი ორდერების გამოყენების შესაძლებლობას სისხლის სამართლებრივი და სამოქალაქო სამართალწარმოების ფარგლებში, ოჯახში ძალადობის პრევენციისა და მართვისათვის.

საქართველოში მოქმედებს:

- სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ექვსი კრიზისული ცენტრი (თავშესაფარი) ოჯახში ძალადობის/ბოროტად მოპყრობის მსხვერპლთათვის, რომლებიც უზრუნველყოფენ თავშესაფარსა და მხარდამჭერ სერვისებს. სამი მათგანი (ორი თბილისში და ერთი ბათუმში) ასევე განკუთვნილია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთათვის.
- ორი ცხელი ხაზი ოჯახური ძალადობისა და ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლთათვის, 24/7 სამუშაო რეჟიმით: ერთი (116006) სთავაზობს კონსულტაციას და გადამისამართებას შესაბამის სერვისებთან, მათ შორის, ფსიქოლოგიურ დახმარებასა და რეაბილიტაციის პროგრამებთან, ხოლო მეორე (111) განკუთვნილია ბავშვთა დახმარებისთვის.

კანონი ასევე განსაზღვრავს სერვისებს, რომლებსაც უზრუნველყოფს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. ესენია:

- ოჯახური კონფლიქტების მიზეზთა შესწავლა და მათ მოგვარებაში დახმარება;
- მსხვერპლთა მხარდამჭერი ღონისძიებების გატარება;

- ძალადობის ჩამდენი პირთა რისკჯგუფების იდენტიფიკაცია და მართვა;
- მონაწილეობა დამცავი და შემაკავებელი ორდერების გაცემასა და მონიტორინგში;
- მსხვერპლთა დახმარებისა და სოციალური რეაბილიტაციის პროგრამების შემუშავება და მხარდაჭერა.

თავშესაფრებსა და კრიზისულ ცენტრებში გამოიყენება სპეციალური პროგრამები, მათ შორის: ემოციების მართვის ტექნიკები, კომუნიკაციის უნარების განვითარება, კონფლიქტების მართვა და თვითშეფასების გაუმჯობესება. ზოგიერთი მუნიციპალიტეტი მსხვერპლს ეხმარება ბინის ქირის გადახდაში, თუმცა ეს მხარდაჭერა არ არის ხელმისაწვდომი ყველა რეგიონში.

საკანონმდებლო რეფორმების, დანაშაულთან ბრძოლის გამკაცრებული პოლიტიკისა და საზოგადოებრივი ცნობიერების ასამაღლებელი ნაბიჯების მიუხედავად, ოჯახში ძალადობასთან ბრძოლის სოციალური პოლიტიკა კვლავ გამონკვევების წინაშე დგას. სახელმწიფოს მიდგომა, ძირითადად, ორიენტირებულია თავშესაფრებსა და კრიზისულ ცენტრებზე, თუმცა ისინი არ არის საკმარისი ოდენობის და სრულყოფილად აღჭურვილი. პრევენციული ზომები და კომპლექსური სოციალური სერვისები ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის ნაკლებად არის განვითარებული. სოციალური მუშაკები აღნიშნავენ, რომ რეაქტიული ნაბიჯების ნაცვლად, საჭიროა პრევენციული სოციალური პროგრამების გაძლიერება; ასევე, ხაზს უსვამენ, რომ მნიშვნელოვანია ოჯახში ძალადობის საკითხთა ინტეგრირება სკოლის სასწავლო გეგმაში, რადგან ეს ხელს შეუწყობს სტიგმის აღმოფხვრას ძალადობის შეტყობინებასთან დაკავშირებით.

მნიშვნელოვანი ხარვეზები აღინიშნება ძალადობის მსხვერპლ ქალებზე მორგებულ სოციალურ მომსახურებათა ხელმისაწვდომობაში. ბიუროკრატიული დაბრკოლებები და მხარდაჭერის არასაკმარისი ხანგრძლივობა ხელს უშლის მსხვერპლს გრძელვადიანი დამოუკიდებლობისა და სოციალური რეინტეგრაციის მიღწევაში. სახელმწიფოს უწყვეტი მხარდაჭერა, საგანმანათლებლო, პროფესიული მომზადებისა და დასაქმების პროგრამები, კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რათა მსხვერპლმა თავშესაფრის დატოვების შემდეგ შეძლოს თავის რჩენა. თავშესაფართა სიმცირე ასევე პრობლემად რჩება, რადგან მათზე მოთხოვნა ხშირად აჭარბებს მიწოდებას. მსხვერპლთა დახმარების გასაუმჯობესებლად, განსაკუთრებულად საჭიროა ბავშვთა მოვლის სერვისების გაფართოება, ფსიქოლოგიური მხარდაჭერის გაძლიერება და ფინანსური დახმარების გაუმჯობესება. სოციალური სერვისების

ხელმისაწვდომობა არათანაბარია და დამოკიდებულია მხოლოდ სოციალურ მუშაკთა კვალიფიკაციასა და მონდომებაზე. სხვადასხვა ჯგუფს არათანაბარი წვდომა აქვს სოციალურ სერვისებზე, რაც გამოწვეულია გეოგრაფიული და საინფორმაციო უთანასწორობით. სოფლად განსაკუთრებით დაბალია ინფორმაციისა და სერვისების ხელმისაწვდომობა.

ხანდაზმულ პირთა მიმართ ძალადობა, მათ შორის, უგულებელყოფა და ფიზიკური, ფსიქოლოგიური ან ფინანსური ძალადობა, კვლავ ფართოდ გავრცელებული პრობლემაა. შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკა აჩვენებს, რომ ხანდაზმულ პირთა შორის მნიშვნელოვნად მაღალია მსხვერპლთა რაოდენობა და ყველაზე ხშირია ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალადობა. ძირითად გამოწვევებს შორისაა ფსიქოსოციალური სერვისებისა და ხანდაზმულ მსხვერპლზე მორგებული სპეციალური პროგრამების არარსებობა, როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო უზრუნველყოფს ფსიქოსოციალურ რეაბილიტაციას, სამედიცინო მომსახურებას, იურიდიულ დახმარებას, თარჯიმნის მომსახურებას და დროებით თავშესაფარს კრიზისულ ცენტრებში, ეს სერვისები არ არის მორგებული ხანდაზმულ მსხვერპლთა სპეციფიკურ საჭიროებებზე. 2021 წლიდან შინაგან საქმეთა სამინისტრო აწარმოებს სტატისტიკას ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე, რომელშიც ხანდაზმული პირებიც არიან ჩართულნი. ეს ხელს უწყობს სტატისტიკურ გამჭვირვალებას, თუმცა სამოქალაქო ორგანიზაციების მითითებით, აღნიშნული მონაცემები არ არის სათანადოდ დეტალიზებული ასაკის მიხედვით და შესაძლოა, არ ასახავდეს რეალურ სიტუაციას ზოგიერთი შემთხვევის შეუტყობინებლობის გამო.

სახალხო დამცველი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ხანდაზმულ პირთა მიმართ ძალადობისა და არასათანადო მოპყრობის შესწავლას. მისი შეფასებით, ძირითად გამოწვევებს შორისაა იმ რისკფაქტორთა იდენტიფიცირების სირთულე, რომლებიც ხელს უწყობს ძალადობას, სტატისტიკის არასათანადო აღრიცხვა, და ეფექტიანი მონიტორინგის სისტემის არარსებობა, რაც ართულებს შესაბამის რეაგირებას. გარდა ამისა, სერიოზული ხარვეზები არსებობს ფსიქოსოციალური და ეკონომიკური რეაბილიტაციის პროგრამებში, რომლებიც უნდა მოერგოს ხანდაზმულ მსხვერპლთა საჭიროებებს, ეს კი, გრძელვადიან პერსპექტივაში, ზღუდავს ეფექტიან დაცვას ძალადობისგან. დაინტერესებულ მხარეთა შეფასებით, საქართველოში ხანდაზმულ პირთა მიმართ ოჯახში ძალადობა უმეტესად ფსიქოლოგიური და ეკონომიკური ფორმით ვლინდება. ვინაიდან სახელმწიფო

პენსია ბევრი ხანდაზმულისთვის ერთადერთი შემოსავალია, პრობლემაა, როდესაც ბანკები პენსიის მნიშვნელოვან ნაწილს სასესხო დავალიანებათა გამო აკავებენ - ეს კიდევ უფრო ამწვავებს ფინანსურ მოწყვლადობას. შეშფოთებას იწვევს ფაქტი, რომ ბევრი ხანდაზმული მსხვერპლი ერიდება ამგვარი არასათანადო მოპყრობის შეტყობინებას. მოძალადეები, ძირითადად, ოჯახის წევრები არიან, ხოლო შეუტყობინებლობა ხშირად გამოწვეულია კულტურული ღირებულებებით (მაგ. როგორიცაა ოჯახის სინმინდე), ან იმით, რომ თავად მსხვერპლი არ აღიარებს არასათანადო მოპყრობას.

დაბოლოს, რაც შეეხება გენდერული ნიშნით ძალადობას, რომელიც საქართველოში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხანდაზმული ქალებისთვის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის კანონმდებლობაში გარკვეული დადებითი ცვლილებების მიუხედავად, მისი ეფექტიანი აღსრულება და სამთავრობო უწყებებს შორის კოორდინაცია კვლავ არ წარმართება საკმარის დონეზე. ფემიციდის პრობლემა საგანგაშო რჩება, რაც მიუთითებს გენდერული ნიშნით ძალადობის აღმოფხვრის სისტემურ გამოწვევებზე. საქართველოში არსებული მყარად დამკვიდრებული პატრიარქალური დამოკიდებულებები ხელს უწყობს საზოგადოების შემწყნარებლობას გენდერული ძალადობის მიმართ, რაც კიდევ უფრო ართულებს მის აღმოფხვრას. ხანდაზმული პირები განსაკუთრებულად მოწყვლადნი არიან საოჯახო გარემოში, სადაც ძალადობა ხშირად შეუტყობინებელი რჩება.

3.2.5 თანასწორობა და დისკრიმინაციის აკრძალვა

საქართველოს კონსტიტუცია პირდაპირ არ მოიხსენიებს ასაკს დისკრიმინაციის აკრძალულ საფუძვლებს შორის, თუმცა კი აღიარებს, რომ უკანონო საფუძვლების ეს ჩამონათვალი ამომწურავი არ არის. ამის გამო, ქართული კანონმდებლობა გარკვეული გამოწვევების წინ აღმოჩნდა.

მიუხედავად ამისა, საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ (2014) ასაკს დისკრიმინაციის აკრძალულ საფუძვლად მოიაზრებს. კანონი კრძალავს დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმას, მათ შორის, პირდაპირ და არაპირდაპირ დისკრიმინაციას, შევიწროებასა და ვიქტიმიზაციას. გარდა ამისა, კანონი დროებით სპეციალურ ზომებს ითვალისწინებს სხვადასხვა ჯგუფის თანასწორობის მისაღწევად და თანაბარ უფლებებს უზრუნველყოფს ცხოვრების ყველა სფეროში, როგორიცაა: შრომითი ურთიერთობები, სოციალური

დაცვა, ჯანდაცვა და განათლება, კულტურა და მეცნიერება, არჩევნები და სამოქალაქო აქტივობები, მართლმსაჯულება და სახელმწიფო სერვისები, საქონლისა და მომსახურების მიღება, საცხოვრებელზე წვდომა, სამეწარმეო საქმიანობა, საბანკო სექტორი და წვდომა ბუნებრივ რესურსებზე. თუმცა, დაინტერესებულ მხარეთა შეფასებით, ასაკის ნიშნით დისკრიმინაცია კვლავ ფართოდ არის გავრცელებული საქართველოში, განსაკუთრებით, როცა ეს ეხება ჯანმრთელობისა და მოგზაურობის დაზღვევის ან სხვა ფინანსური პროდუქტების შეძენას ხანდაზმულ პირთა მიერ. ანტიდისკრიმინაციული კანონი ვრცელდება სახელმწიფო ინსტიტუციებზე, ორგანიზაციებსა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებზე, თუ კონკრეტული სამართლებრივი აქტებით სხვა რამ არ არის დადგენილი. დისკრიმინაციის სავარაუდო შემთხვევები შეიძლება გასაჩივრდეს სახალხო დამცველის აპარატში, რომელიც ასრულებს თანასწორობის ორგანოს ფუნქციას, ანდა სასამართლოში.

შრომითი ურთიერთობების მიმართულებით, 2020 წელს საქართველოს შრომის კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა, რომლებიც მიზნად ისახავდა დაურეგულირებელი ან არასრულად რეგულირებული შრომითი საკითხების მოწესრიგებას, ასევე, ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანას ევროკავშირის სტანდარტებსა და საერთაშორისო ნორმებთან, მათ შორის, დისკრიმინაციის აკრძალვის კუთხით. თუმცა მოვლის სფეროში მუშაობა, მათ შორის, საოჯახო საქმიანობა და ხანდაზმულ ან შშმ პირებზე ზრუნვა, ძირითადად, არ ანაზღაურდება, რის გამოც ის სტატისტიკურად უხილავი რჩება და სათანადოდ არ აისახება პოლიტიკის ფორმირებაში. ტრადიციული გენდერული ნორმები ზრუნვის პასუხისმგებლობას ძირითადად ქალებს აკისრებს, რაც ზღუდავს მათ შესაძლებლობას, სრულად მონაწილეობდნენ ეკონომიკურ საქმიანობასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ეს ფაქტორი ხელს უწყობს გენდერული უთანასწორობის შენარჩუნებას შრომის ბაზარზე, რადგან ქალები, რომლებიც მნიშვნელოვნად არიან ჩართულნი აუნაზღაურებელ შრომაში (მოვლაში), ნაკლები ალბათობით მონაწილეობენ სამუშაო ძალაში.

რაც შეეხება სოციალურ დაცვას, გლობალურ ტენდენციებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ახალმა საპენსიო სისტემამ შეიძლება არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩააყენოს ნაკლებშემოსავლიანი და შედარებით ხანმოკლე სამუშაო ისტორიის მქონე პირები, განსაკუთრებით ქალები, რადგან საპენსიო სარგებლის ოდენობა დამოკიდებულია შენატანებზე. ქალები მეტად

არიან დამოკიდებულნი საყოველთაო პენსიაზე, უფრო ხანგრძლივი სიცოცხლის გამო, და კაცებზე ორჯერ მეტად ეყრდნობიან მიზნობრივ სოციალურ დახმარებას. როგორც აღინიშნა, საქართველოს საპენსიო სისტემა, განსაკუთრებით, მისი დაგროვებითი სქემა, არ ითვალისწინებს არაანაზღაურებად ზრუნვას და საოჯახო შრომაში ჩართულ ქალებს. ეს გარემოება მათ უზღუდავს საპენსიო უფლებებით სარგებლობას, რადგან არ ითვალისწინებს შენატანებს ზრუნვითი შრომისთვის. ქალები საქართველოში სერიოზული გენდერული დისკრიმინაციის წინაშე დგანან შრომითი ცხოვრების განმავლობაში, რის გამოც, კაცებთან შედარებით, დაბალ შემოსავალსა და პენსიას იღებენ. პრობლემას კიდევ უფრო ამძაფრებს ის, რომ ქალები ხშირად დასაქმებულნი არიან არაფორმალურ, ნახევარგანაკვეთიან და დაბალანაზღაურებად სამუშაოებზე, რაც ხელს უშლის პენსიისთვის საჭირო დანაზოგის დაგროვებას.

როგორც აღინიშნა, საქართველოში საპენსიო ასაკი განსხვავდება გენდერის მიხედვით (კაცებისთვის არის 65 წელი, ქალებისთვის კი 60 წელი), რასაც დისკრიმინაციულად მიიჩნევენ გაეროს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტი და ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი. რეგიონულ კონტექსტში, ეს განსხვავება ხშირად აღიქმება ოჯახის შიგნით არსებულ უთანასწორობათა კომპენსაციის მცდელობად, თუმცა პენსიაზე ადრეულად გასვლამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ქალების საპენსიო დანაზოგზე და შეამციროს ეს კაპიტალი. ამჟამინდელი საპენსიო სქემები და საპენსიო ასაკის განსაზღვრის წესი ასახავს იმ საზოგადოებრივ ღირებულებებსა და ისტორიულ გენდერულ როლებს, რომლებიც ხელს უშლის ქალთა მონაწილეობას შრომით ბაზარზე და ფინანსურ დაცულობას საპენსიო პერიოდში. შესაბამისად, სოციალური დაცვის სისტემამ უნდა გაითვალისწინოს გენდერული უთანასწორობები. სისტემა ფოკუსირებულია სხვადასხვა სოციალურ ფენასა და თაობას შორის შემოსავლის გადანაწილებაზე, თუმცა ის უნდა გახდეს უფრო ფართო და გენდერულად მგრძნობიარე ინსტრუმენტთა ნაწილი, რომელიც სტრუქტურულ უთანასწორობებს შინამეურნეობის დონიდანვე გაანეიტრალებს.

რაც შეეხება ხანდაზმულ ღებტი პირებს, დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრების საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ ეს ჯგუფი სისტემური გარიყვისა და დისკრიმინაციის წინაშე დგას, რაც აღრმავებს მის სოციალურ

და ეკონომიკურ მოწყვლადობას.⁹⁵ სოციალური პოლიტიკა არ აღიარებს და არ ითვალისწინებს ლგბტი პირთა სპეციფიკურ საჭიროებებს, ეს კი უნდობლობას იწვევს სახელმწიფოს მიმართ. ლგბტი საზოგადოება საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მარგინალიზებული და მოწყვლადი ჯგუფია, რომელიც აწყდება ძალადობას, სოციალურ გარიყვას, უმუშევრობას და შეზღუდულ წვდომას ეკონომიკურ რესურსებსა თუ ჯანდაცვის სერვისებზე, რაც კიდევ უფრო აღრმავებს მათ სოციალურ იზოლაციას.⁹⁶ ეს პირები საქართველოში სერიოზულ გამოწვევებს აწყდებიან დასაქმების კუთხით, კულტურული გარიყულობის, ძალადობისა და სოციალურ-ეკონომიკური ჩაგვრის გამო. ჯანდაცვის სერვისებზე წვდომა ლგბტი ადამიანებს მნიშვნელოვნად ეზღუდებათ, ხოლო მათი ფსიქიკური პრობლემები ხშირად სოციალურ მოწყვლადობას, ძალადობასა და დისკრიმინაციას უკავშირდება. სამართლებრივი დაცვის მექანიზმთა ნაკლებობა, უარყოფითი საზოგადოებრივი დამოკიდებულებები და არასაკმარისი სახელმწიფო მხარდაჭერა მნიშვნელოვნად ზღუდავს ამ პირთა წვდომას ფუნდამენტურ სოციალურ უფლებებზე, მათ შორის, დასაქმებაზე, ჯანდაცვაზე, განათლებაზე და საცხოვრებელზე.

რაც შეეხება ეთნიკურ უმცირესობებს, 2014 წლის საყოველთაო აღწერის მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის 13.2%-ს ეთნიკური უმცირესობები წარმოადგენენ, რომელთა შორისაც ყველაზე დიდი ჯგუფები არიან სომხები და აზერბაიჯანელები. ისინი საქართველოს მოქალაქეები არიან და, ძირითადად, ქვემო ქართლში, კახეთსა და სამცხე-ჯავახეთში ცხოვრობენ. დაინტერესებულ მხარეთა შეფასებით, ეთნიკური უმცირესობები მნიშვნელოვან პრობლემებს აწყდებიან სოციალური გარიყვის, უმუშევრობის, სიღარიბისა და განათლებაზე წვდომის კუთხით. ენობრივი ბარიერი ასევე აბრკოლებს მათ წვდომას სოციალურ სერვისებზე და მონაწილეობას პოლიტიკაში.⁹⁷ ამრიგად, ეთნიკურ უმცირესობებს შეზღუდული აქვთ წვდომა სოციალური დაცვის სერვისებსა და სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ პროგრამებზე, რაც კიდევ უფრო ამწვავებს მათ მოწყვლადობას.

95 L. Jalagania, Social Exclusion of LGBTQ Group in Georgia: Quantitative research Analysis, Human Rights Education and Monitoring Centre (EMC), 2020, https://socialjustice.org.ge/uploads/products/pdf/Social_Exclusion_of_LGBTQ_Group_1612128635.pdf.

96 ასევე, იხ. ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიის მოსაზრება საკონსტიტუციო კანონპროექტზე „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვნების დაცვის შესახებ“, [https://www.venice.coe.int/web-forms/documents/?pdf=CDL-AD\(2024\)021-e](https://www.venice.coe.int/web-forms/documents/?pdf=CDL-AD(2024)021-e).

97 T. Piranishvili and Z. Barbakadze, Social and economic exclusion of ethnic minority groups, Social Justice Center, 2023, <https://socialjustice.org.ge/en/products/etnikuri-umtsiresobebis-sotsialuri-da-ekonomikuri-eksk-luzia>.

და ბოლოს, საქართველოში სამართლებრივი და სოციალური გამოწვევების წინაშე დგანან იძულებით გადაადგილებული პირებიც, მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა ითვალისწინებს საცხოვრებელი ფართისა და დახმარების გამოყოფას. ბევრი მათგანი ცხოვრობს არადაამაკმაყოფილებელ პირობებში, სადაც, ძირითადად, არ არის უზრუნველყოფილი საბაზისო საჭიროებები. დაინტერესებულ მხარეთა შეფასებით, დევნილებს დამატებითი საჭიროებები აქვთ, როგორიცაა ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია და პოსტტრავმული სტრესული აშლილობის მკურნალობა. ისინი ნაკლებად მონაწილეობენ გადანაცვეტილების მიღების პროცესებში, როგორც ადგილობრივ, ისე ეროვნულ დონეზე,

რაც უზღუდავთ შესაძლებლობას, გავლენა მოახდინონ მათთან დაკავშირებულ პოლიტიკაზე.

საქართველოში თითქმის არ განიხილება და არც სოციალურ პოლიტიკაშია ინტეგრირებული სხვადასხვა სოციალური ფაქტორის ურთიერთგადაკვეთის საკითხი, განსაკუთრებით, თუ როგორ იკვეთება ასაკი, შეზღუდული შესაძლებლობა და გენდერი სოციალურ საკითხებთან. სოციალური დისკურსი სათანადოდ არ ითვალისწინებს ლგბტი ჯგუფებსა და ეთნიკურ უმცირესობებს.

3.2.6 ავტონომია და ქმედუნარიანობა

ქმედუნარიანობა ადამიანის უფლებათა ფუნდამენტური ელემენტია, რომელიც ინდივიდს აძლევს საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების სრულად რეალიზების საშუალებას. ეს საკითხი არსებითად მნიშვნელოვანია შშმ პირთა მოწყვლადი ჯგუფებისთვის, რომლებიც ისტორიულად აწყდებიან ქმედუნარიანობის შეზღუდვას, და განსაკუთრებით აქტუალურია ხანდაზმულ პირთა დიდი ნაწილისთვის საქართველოში. ქვეყანაში დეტალურად არის განსაზღვრული ქმედუნარიანობის სამართლებრივი ჩარჩო, რომლის მთავარი საფუძვლებია სამოქალაქო კოდექსი და საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა. ფიზიკური პირები დაბადების მომენტიდან იძენენ სამოქალაქო უფლებებსა და მოვალეობებს და მათი უფლებაუნარიანობა წყდება სიკვდილის შემდგომ (მუხლი 11 – უფლებაუნარიანობა). დაუშვებელია ფიზიკური პირებისთვის უფლებათა ჩამორთმევა. ქმედუნარიანობა, ანუ სამოქალაქო უფლებების სრული მოცულობით განხორციელების უნარი, წარმოიშობა სრულწლოვანების მიღწევისთანავე (18 წლის ასაკში) (მუხლი 12 - ქმედუნარიანობა). ფსიქოსოციალური საჭიროებების მქონე

(მხარდაჭერის მიმღები) პირები ინარჩუნებენ ქმედუნარიანობას. ქმედუნარიანობის შეზღუდვა შესაძლებელია მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში. დაუშვებელია მისი შეზღუდვა გარიგებით (მუხლი 13 – ქმედუნარიანობის შეზღუდვის დაუშვებლობა გარიგებით). შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირად მიიჩნევა ის სრულწლოვანიც, რომელსაც სასამართლომ დაუნესა მზრუნველობა. შეზღუდვა უქმდება მაშინ, როცა აღარ არსებობს საფუძველი, რომლის გამოც პირს შეეზღუდა ქმედუნარიანობა (მუხლი 14 – შეზღუდული ქმედუნარიანობა). შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირთა გარიგებებისთვის საჭიროა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირი გარიგებით იღებს სარგებელს (მუხლი 15 – თანხმობის მოთხოვნა).

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია საქართველოს რატიფიცირებული აქვს 2013 წლის დეკემბერში. 2014 წლის აპრილიდან მის დებულებებს საქართველოსთვის სავალდებულო ძალა აქვს. CRPD-ის მე-12 მუხლი, რომელიც ქმედუნარიანობას ეხება, საქართველოსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. კონვენციის შესრულებას დამოუკიდებელ მონიტორინგს უწევს სახალხო დამცველი, რომელსაც მხარს უჭერენ შესაბამისი სტრუქტურები, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დეპარტამენტი და საკონსულტაციო საბჭო.

2014 წელს ერთ-ერთ პრეცედენტულ საქმეში⁹⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ბათილად ცნო მეურვეობის სისტემის განმსაზღვრელი კანონმდებლობის გარკვეული ნაწილი, რამაც საფუძველი დაუდო რეფორმებს და გადაწყვეტილების მიღებაში მხარდამჭერი მოდელის დანერგვას. რეფორმის მიზანი იყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მაქსიმალური სამართლებრივი დაცვა, ასევე, შესაბამისობა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან. რეფორმის შემდგომი კანონმდებლობა, ძირითადად, შეესაბამება CRPD-ის მოთხოვნებს და ორიენტირებულია ფსიქოსოციალური საჭიროებების მქონე პირთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე, თუმცა, პრაქტიკული განხორციელების თვალსაზრისით, საქართველო მნიშვნელოვან გამოწვევებს აწყდება. მათ შორისაა:

- ეფექტიანი პოლიტიკისა და ინსტიტუციური ჩარჩოს არარსებობა მხარდაჭერილი

98 საქართველოს მოქალაქეები – ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, <https://constcourt.ge/uploads/documents/5e539fecabac4.pdf>.

გადაწყვეტილების მისაღებად;

- მოსამართლეთა და ჩართულ სუბიექტთა არასაკმარისად გადამზადება და მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოების ნაკლებობა;
- შშმ პირთა ფორმალურად (და არა შინაარსიანად) ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესებში;
- სირთულეები ფსიქოსოციალურ საჭიროებათა შეფასებასთან დაკავშირებით და მულტიდისციპლინური მიდგომის არარსებობა;
- არასაკმარისი მონიტორინგის მექანიზმები უფლებათა დასაცავად და არასათანადო გავლენის ასარიდებლად.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობა პრიორიტეტულ მიმართულებად განიხილავს შშმ პირთა სოციალური პირობებისა და შესაძლებლობების გაუმჯობესებას. საქართველოს კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ (2020) სხვადასხვა მხარდამჭერი პროგრამის სამართლებრივი საფუძველია და ეყრდნობა ადამიანის უფლებათა პრინციპებს. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის საკოორდინაციო საბჭო, რომელიც 2021 წელს შეიქმნა, მნიშვნელოვან როლს ასრულებს სხვა უწყებებთან კოორდინაციაში. იგი ზედამხედველობს სხვადასხვა კომიტეტს, რომელთა საქმიანობის ფოკუსია შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის შესაფასებელი სისტემის გაუმჯობესება, დეინსტიტუციონალიზაციის გაძლიერება და სოციალური მხარდაჭერის სერვისების გაფართოება.

3.2.7 დამოუკიდებელი ცხოვრება და საცხოვრებლის უფლება

სათანადო საცხოვრებლის უფლება გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლით, როგორც სოციალური სახელმწიფოს პრინციპის ნაწილი. თუმცა, ხანდაზმული პირები ხშირად დგანან საცხოვრებელ პირობებთან დაკავშირებული სირთულეების წინაშე, რადგან მრავალი მათგანი არასათანადო გარემოში ცხოვრობს, ან უსახლკარობის რისკის ქვეშ არის. 90-იან წლებში პოსტსაბჭოთა პრივატიზაციის პროცესმა ზოგიერთი ხანდაზმული საცხოვრებლის გარეშე დატოვა. ამასთანავე, ბინათმესაკუთრეთა კოოპერატივების

სუსტად მართვამ და საერთო სივრცეთა არასათანადოდ მოვლამ უარყოფითი გავლენა მოახდინა სხვადასხვა ინფრასტრუქტურასა (როგორიცაა ლიფტები, შენობის სახურავები) და კომუნალურ მომსახურებაზე. გარდა ამისა, საქართველოში, განსაკუთრებით თბილისში, მაღალია საბინაო ხარჯები, ხანდაზმულ პირებს კი ხშირად არ აქვთ წვდომა სესხებსა და იჯარაზე. ამავდროულად, სახელმწიფოს

მხარდაჭერა სოციალური საცხოვრისის უზრუნველყოფის კუთხით შეზღუდულია. საქართველოში არარსებობს სრულყოფილი სამთავრობო სტრატეგია და სამოქმედო გეგმა საცხოვრებელი უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით, უსახლკარო პირთათვის. ქვეყნის კანონმდებლობა ვიწროდ განსაზღვრავს სათანადო საცხოვრებლის ცნებას, საერთაშორისო ვალდებულებათა მიუხედავად. არ არსებობს უსახლკარობის სრულყოფილი სამართლებრივი განსაზღვრება, რაც ზღუდავს პოლიტიკის ეფექტიან დაგეგმვას. მუნიციპალიტეტები, რომლებსაც ევალებათ ტერიტორიული დაგეგმარება, ინფრასტრუქტურის განვითარება და სოციალური სერვისების, მათ შორის, საცხოვრებლის უზრუნველყოფა უსახლკაროებისთვის, დგანან სხვადასხვა გამოწვევის წინაშე. მათ შორისაა უსახლკარობის განსაზღვრის ერთიანი კრიტერიუმების არარსებობა, მონაცემთა არასრულფასოვანი ბაზები და არასაკმარისი საბიუჯეტო რესურსები. „სოციალური დახმარების შესახებ“ კანონითა და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით განსაზღვრული სამართლებრივი ვალდებულებების მიუხედავად, უსახლკარო ადამიანები არ არიან სათანადოდ უზრუნველყოფილნი თავშესაფრით. ამ კონტექსტში, საქართველოს სახალხო დამცველმა გასცა რეკომენდაცია, რომ უსახლკარობის სამართლებრივი განსაზღვრება შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს.

საქართველოს მთავრობა, ღია მმართველობის პარტნიორობით ნაკისრ ვალდებულებათა ფარგლებში, აღიარებს უსახლკარობასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ხარვეზებს და მიზნად ისახავს ერთიანი სტრატეგიებისა და საცხოვრისის პოლიტიკის შემუშავებას, რათა პრობლემა სისტემურ დონეზე გადაჭრას. 2024 წლიდან საქართველო ახორციელებს პროგრამას, რომლის მიზანია სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება და უსახლკარო ოჯახების განსახლება. პროგრამის ფარგლებში, 2025 წლის ბოლოსთვის 1 000 ოჯახს უნდა ჰქონდეს ახალი საცხოვრებელი. ამ მიზნით, პროექტისთვის გამოყოფილია 50 000 000 ლარი. პროგრამაში ჩასართავად, საჭიროა რეგისტრაცია სოციალურად დაუცველ ოჯახთა ერთიან ბაზაში და შესაბამისობა ოჯახის სიდიდისა და საცხოვრებელი პირობების კუთხით განსაზღვრულ კრიტერიუმებთან.

გარდა ამისა, სერიოზული ხარვეზებია ადგილობრივ ინფრასტრუქტურაში, განსაკუთრებით, დიდი ქალაქების გარეთ, სადაც გზები და ქვეითთათვის განკუთვნილი სივრცეები მნიშვნელოვან გაუმჯობესებას საჭიროებს.

საზოგადოებრივი შენობები და ტრანსპორტი, არსებული კანონმდებლობის მიუხედავად, კვლავ ნაკლებად მისაწვდომია ხანდაზმულებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. ტერიტორიული და სივრცითი მოწყობის კოდექსი (2018), მშენებლობაში მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, განსაზღვრავს ტექნიკურ რეგულაციებს, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია შშმ პირებზე ადაპტირებული გარემოს შესაქმნელად. ამასთან, სივრცითი და ქალაქმშენებლობითი განვითარების სააგენტოს შექმნა მიზნად ისახავს ზედამხედველობას ურბანული დაგეგმარების პოლიტიკაზე და შესაბამისობას სივრცით რეგულაციებთან.

რაც შეეხება დამოუკიდებელ ცხოვრებას, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ერთგულებს დეინსტიტუციონალიზაციის პროცესს, ხანდაზმული პირები კვლავ სერიოზულ გამოწვევებს აწყდებიან, მათ შორის, მართობისა და საზოგადოებისგან იზოლაციის კუთხით.⁹⁹ ხელმისაწვდომი საცხოვრებლისა და თემზე დაფუძნებული სერვისების ნაკლებობა ხელს უწყობს დიდ ინსტიტუციებზე დამოკიდებულების შენარჩუნებას, ზღუდავს რა სრულ ჩართულობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. 2022 წელს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ ჩაატარა კვლევა, რომლის მიზანიც იყო ინსტიტუციებში მცხოვრებ პირთა საჭიროებების შეფასება და მარტყოფისა და დუშეთის პანსიონატებში მყოფ შშმ პირთა დეინსტიტუციონალიზაციის გეგმის შემუშავება. ამ კვლევის საფუძველზე, დამტკიცდა დამოუკიდებელი ცხოვრებისა და დეინსტიტუციონალიზაციის სტრატეგია (2023-2030) და სამოქმედო გეგმა (2023-2025), რომელთა მიზნებია: ინსტიტუციებში მცხოვრებ პირთა გადაყვანა თემზე დაფუძნებულ გარემოში ან ზრუნვის ალტერნატიულ მოდელებზე; და ინსტიტუციონალიზაციის პრევენციის მექანიზმთა შექმნა. სტრატეგიის ფარგლებში, შემდგომ ნაბიჯებს შორის არის: თემზე დაფუძნებული სერვისების განვითარება ქვეყნის მასშტაბით; და შშმ პირებისა და მათი წარმომადგენელი ორგანიზაციების აქტიურად ჩართვა პოლიტიკის განხორციელებასა და მონიტორინგში. საქართველოში მიმდინარეობს შეზღუდული შესაძლებლობის შეფასების სამედიცინო მოდელიდან ბიოფსიქოსოციალურ მიდგომაზე გადასვლის პროცესი, რისი მიზანიც არის ინდივიდუალურ საჭიროებათა უკეთ იდენტიფიცირება და მხარდაჭერი სერვისების ოპტიმალურად მორგება.

99 I. Kachkachishvili and A. Papiashvili, Loneliness Among Older People: Research Analyses Georgia-2021, UNFPA Georgia, 2021, <https://georgia.unfpa.org/sites/default/files/pub-pdf/lonelinesseng.pdf>.

და ბოლოს, ციფრულ ინკლუზიასთან დაკავშირებული კვლევის მიხედვით (2024 წლის ივნისი), საქართველოში ოჯახების 91.5%-ს აქვს წვდომა ინტერნეტზე, რაც მოსახლეობაში მაღალი ციფრული კავშირის მაჩვენებელია.¹⁰⁰ ეს ხელს უწყობს ციფრული ჩართულობის გაძლიერებას და ონლაინსერვისებსა და ინფორმაციაზე წვდომას საზოგადოების უმეტესობისთვის. ამავე კვლევის მონაცემებით, 60 წლის და უფროსი ასაკის პირთა 89.1% ყოველდღიურად ან თითქმის ყოველდღიურად იყენებს ინტერნეტს. თუმცა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ხანდაზმული პირები ხშირად გამორიცხულნი არიან კვლევებიდან და ინფორმაციის გავრცელების პროცესებიდან, ტექნოლოგიებზე შეზღუდული წვდომის გამო. არსებული ბარიერები, როგორიცაა მხოლოდ ონლაინრეგისტრაცია სერვისის მისაღებად (მაგალითად, Covid-19-ზე ვაქცინაციისთვის), არაპროპორციულად აისახება ხანდაზმულებზე, განსაკუთრებით, რეგიონებში მცხოვრებ პირებზე. სიღარიბე ასევე ხელს უწყობს ციფრულ გარიყულობას იმ ხანდაზმულთა შორის, რომლებიც ინფორმაციის მიღების ძირითად წყაროდ კვლავ ტელევიზიას იყენებენ. ეს ზღუდავს მათ წვდომას ციფრულ რესურსებზე და კიდევ უფრო ამძაფრებს სოციალურ გარიყულობას.

3.3 სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის დასკვნები საქართველოს მიერ მიღებულ და მიუღებელ დებულებებზე

ევროპის სოციალური ქარტიის ანგარიშგების სისტემის ფარგლებში, წევრი სახელმწიფოები რეგულარულად წარადგენენ დეტალურ ანგარიშებს ქარტიის მიღებულ დებულებათა შესრულებაზე, როგორც კანონმდებლობით, ასევე პრაქტიკაში. ამ ანგარიშებს განიხილავს სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი და აფასებს ეროვნული პრაქტიკის შესაბამისობას ქარტიის მოთხოვნებთან. შეფასების შედეგად, ქვეყნდება დასკვნები, რომლებიც შეიცავს ინფორმაციას ეროვნულ დონეზე არსებული მდგომარეობის შესაბამისობაზე ქარტიის სტანდარტებთან.

2002 წლიდან მოქმედებს პარალელური პროცედურა, რომლითაც განიხილება ქარტიის მიუღებელი დებულებები. მისი მიზანია წევრ სახელმწიფოთა წახალისება ESC-ის ყველა დებულების ეტაპობრივად მიღებისკენ, რაც ეფუძნება ქარტიის სულისკვეთებას უფლებათა ყოვლისმომცველი დაცვის შესახებ. კომიტეტის

¹⁰⁰ <https://www.geostat.ge/en/modules/categories/106/information-and-communication-technologies-usage-in-households>.

ფუნქციაა, შეაფასოს წევრი ქვეყნების მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია მიუღებელ დებულებებზე.

შემდეგ გვერდებზე განხილულია სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის უახლესი დასკვნები საქართველოს მიერ მიღებულ და მიუღებელ დებულებებზე, წინამდებარე ანგარიშისთვის რელევანტური მოცულობით.¹⁰¹ დასკვნებზე დაყრდნობით, ნათელია, რომ კომიტეტი აღიარებს საქართველოს მიერ მიღწეულ პროგრესს ზოგიერთ სფეროში და გასცემს რეკომენდაციებს გარკვეული დებულებების მიღებაზე. ამავდროულად, ზოგ დებულებასთან მიმართებით, კომიტეტს არ აქვს საკმარისი ინფორმაცია დასკვნის გამოსატანად, ან ადგენს მნიშვნელოვან დარღვევას, განსაკუთრებით, ხანდაზმულ პირთათვის კრიტიკულად მნიშვნელოვან სფეროებში, რომელთა შორისაც არის: პროფესიული კონსულტაცია, ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.

3.3.1 დასკვნები მიღებულ დებულებათა შესახებ

სოციალურ უფლებათა ევროპულმა კომიტეტმა 2020 წელს¹⁰² გამოაქვეყნა დასკვნები საქართველოს მიერ ევროპის სოციალური ქარტიის შესრულებაზე, საქართველოს მიერ წარდგენილი მე-13 ანგარიშის საფუძველზე (01/01/2015 - 31/12/2018).¹⁰³ დასკვნები ყურადღებას ამახვილებს დებულებებზე შრომისა და პროფესიული მომზადების შესახებ, ასევე, შშმ პირთა უფლებებზე, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ეხება ხანდაზმულ პირებსაც (საანგარიშო პერიოდი: 01/01/2016 - 31/12/2019).

მუხდი 1 – შრომის უფლება

კომიტეტმა განიხილა საქართველოს მთავრობის ანგარიში და მიუთითა 2016 წლის დასკვნებზე, რომელთა მიხედვითაც, ქვეყნის დასაქმების პოლიტიკა არაადეკვატურად შეფასდა, როგორც უმუშევრობასთან ბრძოლის, ისე ახალი სამუშაო ადგილების შექმნის კუთხით.

101 შრომის უფლებებთან დაკავშირებით, დეტალურად იხილეთ: M. Smusz-Kulesza, „საქართველოში სოციალურ უფლებებთან დაკავშირებულ საჭიროებათა შეფასება“, ანგარიშში მომზადდა ევროპის საბჭოს პროექტის ფარგლებში „სოციალური და ეკონომიკური უფლებების განმტკიცება საქართველოში“, 10 ნოემბერი 2021, <https://rm.coe.int/needs-assessment-report-eng/1680a4af29>.

102 <https://rm.coe.int/rapport-geo-en/1680a1c798>.

103 <https://rm.coe.int/rap-cha-geo-13-2020/16809ccd1e>.

რაც შეეხება ქართის 1(1) მუხლს, კომიტეტმა აღნიშნა, რომ 2015-2018 წლებში შემცირდა ხანდაზმულ მუშაკთა დასაქმების მაჩვენებელი, კერძოდ, 55-59 წლის ასაკობრივ ჯგუფში - 74.2%-დან 70%-მდე, ხოლო 60-64 წლის ასაკობრივ ჯგუფში - 67.8%-დან 63.9%-მდე. ამას გარდა, უმუშევრობის მაჩვენებელმა მცირედ იკლო 2015 წელს არსებული 14.1%-დან 2018 წლის 12.7%-მდე.¹⁰⁴ კომიტეტმა ხაზი გაუსვა საქართველოს შრომის ბაზრის სახელმწიფო სტრატეგიის არსებობას (2015-2018), რომლის მიზანი იყო სამართლებრივი ჩარჩოს გაუმჯობესება, ეფექტიანი დასაქმების ხელშეწყობა, ღირსეული შრომის პირობების უზრუნველყოფა და მუშახელის უნარების განვითარება; ასევე გამოკვეთა დასაქმების მხარდამჭერი სერვისების შემოღება, რომლებიც მიმართულია აქტიური შრომის ბაზრის პოლიტიკაზე, სამუშაოს მაძიებელთა პროფესიულ მომზადებასა და შესაძლებლობათა განვითარებაზე. თუმცა, კომიტეტმა თავი შეიკავა დასკვნის გაკეთებისგან და მოითხოვა დამატებითი ინფორმაცია, კერძოდ, აქტიური შრომის ბაზრის ღონისძიებებში მონაწილეთა რაოდენობაზე, მიღებული ზომების ეფექტიანობასა და უმუშევართა აქტივაციის საერთო მაჩვენებელზე.

1(2) მუხლთან დაკავშირებით, კომიტეტმა აღნიშნა, რომ 2019 წელს საქართველომ ცვლილებები შეიტანა საკანონმდებლო აქტებში, მათ შორის: „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონში, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსსა და საქართველოს შრომის კოდექსში. ეს კანონები კრძალავს როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ/ირიბ დისკრიმინაციას (მათ შორის, ასაკის ნიშნით) და ვრცელდება როგორც შრომითი ხელშეკრულების ეტაპზე, ისე წინასახელშეკრულებო ურთიერთობებზე, შერჩევის კრიტერიუმებსა და დასაქმების პირობებზე. თუმცა, კომიტეტმა დროებით გადადო დასკვნის მიღება 1(2) მუხლთან შესაბამისობაზე და საქართველოს მთავრობისგან დამატებითი ინფორმაცია მოითხოვა. მან ხაზი გაუსვა საჭიროებას, რომ მომდევნო ანგარიშებში მთავრობას წარმოედგინა დეტალური პასუხები და სტატისტიკური მონაცემები, რათა სრულად შეეფასებინა დისკრიმინაციის საწინააღმდეგო ღონისძიებათა ეფექტიანობა და შესაბამისი კანონმდებლობის აღსრულება.

104 დაინტერესებულ მხარეთა მიხედვით, Geostat-მა 2019 წელს შრომის სტატისტიკის საწარმოებლად დანერგა ახალი მეთოდოლოგია, რომელიც ეფუძნება ILO-ს სტანდარტებს, მიღებულს შრომის სტატისტიკოსთა მე-19 და მე-20 საერთაშორისო კონფერენციებზე. შესაბამისად, 2010-2019 წლების მონაცემები თავიდან დაანგარიშდა, რამაც აჩვენა, რომ უმუშევრობის მაჩვენებელი გაიზარდა, ხოლო დასაქმების მაჩვენებელი შემცირდა. 55-59 წლის პირთა დასაქმების მაჩვენებელი 2020-2023 წლებში 51.4%-დან 56.9%-მდე გაიზარდა, ხოლო 60-64 წლის ასაკობრივ ჯგუფში - 42.3%-დან 48.2%-მდე. უმუშევრობის დონე 2020 წელს 18.5%-ს შეადგენდა, 2021 წელს 20.6%-მდე გაიზარდა, ხოლო 2023 წელს 16.4%-მდე შემცირდა.

კომიტეტმა ასევე განიხილა საქართველოს შესაბამისობა 1(3) მუხლთან, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს უფასო დასაქმების სერვისები. კომიტეტის დასკვნით, საქართველოს დასაქმების სერვისები არ შეესაბამება დადგენილ სტანდარტებს, რასაც განაპირობებს მათი არაეფექტიანობა და კონკრეტული რაოდენობრივი მონაცემების ნაკლებობა ეფექტიანობის შესაფასებლად.

და ბოლოს, ECSR-მა განიხილა საქართველოს შესაბამისობა 1(4) მუხლთან, რომელიც უზრუნველყოფს უფლებას პროფესიულ ორიენტაციასა და უწყვეტ პროფესიულ მომზადებაზე, როგორც დასაქმებულების, ისე უმუშევრებისთვის, და სპეციალიზებულ პროფესიულ კონსულტაციასა და მომზადებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. აღნიშნული მუხლი დაკავშირებულია შემდეგ დებულებებთან: მუხლი 9 (პროფესიული ორიენტაციის უფლება), მუხლი 10(3) (პროფესიული გადამზადების უფლება), მუხლი 15(1) (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პროფესიული მომზადება და დასაქმება). თუმცა, საქართველოს ეს დებულებები არ მიუღია. ECSR-ს უკვე დადგენილი ჰქონდა, რომ პროფესიული ორიენტაციისა და მომზადების სერვისები საქართველოში სათანადოდ არ არის უზრუნველყოფილი და არ იძლევა გარანტიას, რომ ზრდასრულ და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მუშაკებს აქვთ წვდომა პროფესიულ ორიენტაციასა და უწყვეტ პროფესიულ მომზადებაზე. საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი განახლებული მონაცემების მიუხედავად, ECSR-მა კვლავ მოითხოვა დამატებითი ინფორმაცია შემდეგ საკითხებზე: პროფესიული ორიენტაციისა და მომზადების სერვისები განათლების სისტემაში და შრომის ბაზარზე, მათ შორის, პერსონალის კვალიფიკაციის ასამაღლებლად; მათი დაფინანსება; და ბენეფიციართა რაოდენობა. შედეგად, კომიტეტმა დაასკვნა, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება ქართის 1(4) მუხლს.

მუხლი 10(2) და (4) – პროფესიული ორიენტაციის უფლება: სტაჟირება (შეგიძლათ სწავლება) და ხანგრძლივი უმუშევრობა

კომიტეტმა განიხილა საქართველოში არსებული მდგომარეობის შესაბამისობა 10(2) მუხლთან, რომელიც ითვალისწინებს შეგირდობის/სტაჟირების ეფექტიანი სისტემის შექმნასა და შენარჩუნებას. მან გაიმეორა წინა დასკვნა ქართის მოთხოვნებთან შეუსაბამობაზე, განპირობებული სტაჟირების ხარისხით, ინფორმაციის ნაკლებობითა და კანონმდებლობაში არსებული სხვა ხარვეზებით. რაც შეეხება 10(4) მუხლს, კომიტეტმა შეაფასა საქართველოს ძალისხმევა

ხანგრძლივი უმუშევრობის დასაძლევად, განსაკუთრებით, ხანგრძლივად უმუშევარ პირთა გადამზადებისა და შრომის ბაზარზე რეინტეგრაციის კუთხით. ECSR-ის თანახმად, მთავრობის მიერ წარმოდგენილი ანგარიში არ შეიცავდა ინფორმაციას სასწავლო პროგრამების ტიპებზე, მონაწილეთა რაოდენობასა და გრძელვადიანი უმუშევრობის განსაზღვრებაზე. შესაბამისად, კომიტეტის დასკვნით, საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება ქართის 10(4) მუხლს.

მუხლი 15(3) – შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები: შშმ პირთა ინტეგრაცია და მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში

კომიტეტმა შეაფასა საქართველოს შესაბამისობა 15(3) მუხლთან, რომელიც ყურადღებას ამახვილებს შშმ პირთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაციასა და მონაწილეობაზე. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობამ წარმოადგინა ინფორმაცია მიღებულ ზომებზე, რომელთა მიზანია დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა, სიღარიბესთან ბრძოლა და შესაბამისი საცხოვრებლის, ტრანსპორტისა და კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის უზრუნველყოფა, კომიტეტის დასკვნით, საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამებოდა 15(3) მუხლს, რადგან მტკიცებულებები არ კმაროდა შესაბამისობის დასადასტურებლად.

ერთი წლის შემდეგ, 2021 წელს¹⁰⁵, ECSR-მა გამოაქვეყნა დასკვნები საქართველოს მიერ ევროპის სოციალური ქართის შესრულებაზე, მთავრობის მე-14 ანგარიშსა¹⁰⁶ და სახალხო დამცველის კომენტარებზე დაყრდნობით.¹⁰⁷ დასკვნებში განხილულია დებულებები, რომლებიც უშუალოდ ან ირიბად უკავშირდება ხანდაზმულ პირთა უფლებებს, მათ შორის, ჯანდაცვის, სოციალური დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის კუთხით (საანგარიშო პერიოდი: 01/01/2016 - 31/12/2019).

მუხლი 11 – ჯანმრთელობის დაცვის უფლება

ჯანმრთელობის დაცვის უფლებასთან დაკავშირებით, კომიტეტმა შეუსაბამობა დაადგინა ქართის მე-11 მუხლის სამივე პუნქტთან, რომლებიც საქართველოს მიღებული აქვს.

რაც შეეხება განათლებასა და ცნობიერების ამაღლებას, კომიტეტმა განიხილა საქართველოს ძალისხმევა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული განათლების

105 <https://rm.coe.int/conclusions-2021-georgia-en/1680a5d9f7>.

106 <https://rm.coe.int/rap-cha-geo-14-2021/1680a13289>.

107 <https://rm.coe.int/rap-rcha-geo-14-2021-comments-by-public-defender/1680a2fff8>.

კუთხით, მათ შორისაა განათლება სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ და მავნე ქცევის პრევენცია, როგორცაა ნარკოტიკების მოხმარება, კვებითი დარღვევები და თვითდაზიანება. აღინიშნა, რომ 2016 წლიდან მოქმედებს „ჯანმრთელობის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა“, რომლის მიზანია ცნობიერების ამაღლება და ჯანმრთელობისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა. პროგრამა მოიცავს შემდეგ თემებს: თამბაქოს მოწევის შეწყვეტა, ალკოჰოლისა და ნარკოტიკების მოხმარების პრევენცია, ჯანსაღი კვება, ფიზიკური აქტივობა, ფსიქიკური ჯანმრთელობა, სქესობრივი ჯანმრთელობა და ჯანსაღი გარემო. ამავდროულად, ანგარიშში არ იყო წარმოდგენილი დეტალური ინფორმაცია ჯანმრთელობის შესახებ განათლებასა და პრევენციულ სტრატეგიებზე, რის გამოც ECSR-მა უფრო ვრცელი ინფორმაცია მოითხოვა მომდევნო ანგარიშებში.

საკონსულტაციო სერვისებსა და სკრინინგთან დაკავშირებით, კომიტეტმა კვლავ გამოთქვა შეშფოთება საქართველოს მიერ გატარებული არასაკმარისი ზომების გამო, განსაკუთრებით, ორსულთა და ბავშვთა შემთხვევაში, და მიუთითა წინა დასკვნებზე შეუსაბამობის შესახებ. მართალია, საქართველომ ანგარიშში წარმოადგინა ინფორმაცია გაუმჯობესებებზე, როგორცაა ანტენატალურ ვიზიტთა რაოდენობის გაზრდა, ასევე, ორსულთა გენეტიკური დაავადებებისა და ბავშვთა განვითარების შეფერხების სკრინინგპროგრამების გაფართოება, საქართველოში კვლავ მაღალი რჩება ჩვილთა და დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებლები. კომიტეტმა ხაზი გაუსვა, რომ ანტენატალური სერვისები და გამოკვლევები მეტ გაუმჯობესებას საჭიროებს.

სოციალურ უფლებათა ევროპულმა კომიტეტმა შეშფოთება გამოხატა იმ ინფორმაციის ნაკლებობის გამო, რომელიც შეეხება ჯანდაცვის სერვისებს დაკავების ადგილებში, განსაკუთრებით ციხეებში. ანგარიში არ შეიცავდა დეტალურ ინფორმაციას შემდეგ საკითხებზე: სამედიცინო შემოწმება დაკავებისას, სპეციალიზებულ სამედიცინო მომსახურებაზე წვდომა, გადამდებ დაავადებათა პრევენცია. კომიტეტმა საქართველოს მოუწოდა, რომ მომდევნო ანგარიშში ამომწურავი ინფორმაცია წარადგინოს ამ საკითხებზე.

თემზე დაფუძნებულ ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისებთან მიმართებით, საქართველომ ანგარიშში წარმოადგინა ინიციატივები, რომლებიც მოიაზრებს ინსტიტუციური ზრუნვიდან თემზე დაფუძნებულ მომსახურებებზე გადასვლას, და მიუთითა შესაბამისი გეგმის შემუშავებასა და საბიუჯეტო ასიგნებების გაზრდაზე

ამ კუთხით. მიუხედავად ამისა, კომიტეტმა განახლებული ინფორმაცია ითხოვა ამ პოლიტიკის განხორციელებასა და მის შედეგებზე. მან ხაზი გაუსვა საჭიროებას, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხები დარეგულირდეს ადამიანის უფლებებთან შესაბამისობაში და შემუშავდეს ყოვლისმომცველი კანონმდებლობა ფსიქიატრიული ჯანმრთელობის შესახებ. კომიტეტმა ასევე განიხილა საქართველოს მიერ გაღებული ძალისხმევა გარემოს დაბინძურების ასარიდებლად, მათ შორის, შეაფასა გარემოსა და ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული სამოქმედო გეგმა და ინიციატივები ჰაერის ხარისხზე მონიტორინგთან დაკავშირებით. ამავდროულად, კომიტეტმა ხაზი გაუსვა, რომ გარემოს დაბინძურების ასაცილებელი ზომები, მათ შორის, კანონმდებლობა ჰაერისა და წყლის ხარისხის, ნარჩენების მართვისა და ინდუსტრიული დაბინძურების შესახებ, არ კმარა ვითარების დასარეგულირებლად. მან ქვეყანას მოუწოდა, მომდევნო ანგარიშში დეტალური ინფორმაცია წარმოადგინოს გარემოსდაცვით სტანდარტებსა და მათ აღსრულებაზე.

საქართველოს ანგარიშში წარმოდგენილი იყო ზოგადი ინფორმაცია ვაქცინების ხელმისაწვდომობასა და გავრცელებაზე, თუმცა იგი არ შეიცავდა დეტალურ მონაცემებს ეროვნული ვაქცინაციის პროგრამასა და მისი დაფარვის ტენდენციებზე. კომიტეტმა მოითხოვა, რომ მომდევნო ანგარიშები შეიცავდეს ინფორმაციას ვაქცინების კვლევაზე, დაფარვის მაჩვენებლებსა და ინფექციურ დაავადებათა პრევენციის ზომებზე.

და ბოლოს, კომიტეტმა აღნიშნა ძალისხმევა, რომელიც საქართველომ გაიღო თამბაქოს კონტროლისათვის, შესაბამისი კანონმდებლობისა და გადასახადების მეშვეობით, თუმცა მიუთითა, რომ შემდგომი საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, ზოგიერთი ეს დებულება შერბილდა. ECSR-მა განახლებული ინფორმაცია მოითხოვა ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: თამბაქოს მოხმარების გასაკონტროლებელი ღონისძიებები, ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ გაფრთხილებათა დატანა თამბაქოს პროდუქტებზე და სტატისტიკური მაჩვენებლები თამბაქოს მოხმარების შესახებ. მსგავსად, კომიტეტმა განახლებული მონაცემები მოითხოვა საქართველოში ალკოჰოლის მოხმარების ტენდენციებზეც.

მუხდი 12 – სოციალური უზრუნველყოფის უფლება

სოციალური უზრუნველყოფის უფლებასთან მიმართებით, ECSR-მა განიხილა საქართველოს შესაბამისობა მე-12 მუხლთან (რომელიც ქვეყანას ნაწილობრივ აქვს მიღებული), მისი სოციალური დაცვის სისტემის სხვადასხვა ასპექტის

გათვალისწინებით. კომიტეტმა შეუსაბამობა დაადგინა ქარტიის 12(1) მუხლთან (სოციალური დაცვის სისტემის არსებობა) და დამატებითი ინფორმაცია მოითხოვა 12(3) მუხლთან დაკავშირებით (სოციალური დაცვის სისტემის განვითარება).

პირველ რიგში, კომიტეტმა აღნიშნა საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის სისტემის რამდენიმე ხარვეზი. წინა დასკვნებში (2017) მან ხაზი გაუსვა, რომ სისტემა სათანადოდ არ ფარავდა მნიშვნელოვან რისკებს, როგორიცაა საოჯახო შეღავათები, უმუშევრობის დახმარება და სამუშაო სივრცეში ჯანმრთელობის დაზიანების კომპენსაცია. კომიტეტმა დადებითად შეაფასა კონკრეტული სამართლებრივი ჩარჩოების არსებობა, როგორიცაა 2018 წლის კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“, თუმცა კვლავ აღნიშნა, რომ ეს ზომები არ აკმაყოფილებს ყოვლისმომცველი სოციალური დაზღვევის სქემის კრიტერიუმებს, განსაკუთრებით, სამუშაო სივრცეში ჯანმრთელობის დაზიანებებისა და პროფესიულ დაავადებათა დაფარვის თვალსაზრისით. რაც შეეხება საოჯახო შეღავათებს, საქართველოში მოქმედებს სოციალური დახმარების ღონისძიებები და შესაბამისი კანონმდებლობა, რომელიც მიზნად ისახავს მრავალშვილიანი ოჯახებისა და მთიან რეგიონებში მცხოვრები ეკონომიკურად მოწყვლადი პირების მხარდაჭერას. მიუხედავად ამ ძალისხმევისა, კომიტეტმა დაასკვნა, რომ ეს ინიციატივები არ შეესაბამება ქარტიით განსაზღვრულ საოჯახო შეღავათების სისტემას. უზრუნველყოფილი შეღავათები კლასიფიცირდება სოციალურ დახმარებად და არა სოციალური უზრუნველყოფის სისტემის განუყოფელ ნაწილად.

კომიტეტმა შეშფოთება გამოხატა საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის სისტემის ფარგლებში გათვალისწინებულ შეღავათებთან მიმართებითაც. მან აღნიშნა, რომ 2019 წელს საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი საარსებო მინიმუმი ეფუძნებოდა ოფიციალურ სტატისტიკას, თუმცა ხაზი გაუსვა, რომ საჭიროა მონაცემები მედიანური გათანაბრებული შემოსავლის შესახებ, რათა უფრო ზუსტად შეფასდეს სოციალური შეღავათების ადეკვატურობა სიღარიბის ზღვართან მიმართებით.

და ბოლოს, კომიტეტმა ასევე განიხილა შესაბამისობა ქარტიის 12(3) მუხლთან, რომელიც შეეხება სოციალური უზრუნველყოფის სისტემის განვითარებას. მიუხედავად იმისა, რომ 2017 წლის დასკვნების თანახმად, საქართველოში არსებული მდგომარეობა შეესაბამებოდა ამ დებულებას, კომიტეტმა ხაზგასმით აღნიშნა პრობლემების არსებობა, განსაკუთრებით, სოციალური დაცვის სისტემის

დასაქმების ახალ ფორმებზე მორგების კუთხით (მაგ: როგორიცაა, ციფრული პლატფორმის მუშაკები). ანგარიშში არ იყო წარმოდგენილი კონკრეტული ინფორმაცია ციფრული პლატფორმის მუშაკთა ინტეგრირებასა და სტატუსზე სოციალური უზრუნველყოფის სისტემაში, რის გამოც კომიტეტმა დამატებითი მონაცემები ითხოვა შემდგომ ანგარიშებში.

მუხდი 14 – სოციალური უზრუნველყოფის სამსახურებით საჩვენებლობის უფლება

კომიტეტმა განიხილა საქართველოს შესაბამისობა ქართის მე-14 მუხლთან (ორივე პუნქტი მიღებული აქვს ქვეყანას), რომლითაც გარანტირებულია სოციალური უზრუნველყოფის სამსახურებით სარგებლობის უფლება. აღინიშნა, რომ საქართველოს ეთხოვა პასუხის გაცემა გარკვეულ კითხვებზე, რომლებიც უკავშირდებოდა სოციალურ მომსახურებათა შენარჩუნებასა და ფუნქციონირებას Covid-19-ის პანდემიის პერიოდში, ასევე, ზომებს, რომლებიც გატარდა სამომავლოდ მსგავსი კრიზისისთვის მოსამზადებლად. კომიტეტის განმარტებით, ანგარიშში წარმოდგენილ ინფორმაციას, რომელიც შეეხება პანდემიის გავლენას, მხოლოდ ინფორმაციული მიზნებით გაითვალისწინებს, რადგან იგი სცდება განსახილველი პერიოდის ფარგლებს.

Covid-19-ის პანდემიის პერიოდში საქართველო უწყვეტად გასცემდა სახელმწიფო შეღავათებს, მათ შორის, პენსიებს, კომპენსაციებს, სოციალურ პაკეტებსა და საარსებო შემწეობას. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი სოციალური მომსახურება დროებით შეჩერდა ვირუსის გავრცელების ასარიდებლად, მათი დაფინანსება შენარჩუნდა გარკვეული პრინციპების საფუძველზე. სხვადასხვა ქვეპროგრამაში დაინერგა დისტანციური მომსახურების მოდელი, მათ შორის იყო ადრეული განვითარების მხარდაჭერის, ბავშვთა რეაბილიტაციისა და დღის ცენტრების ქვეპროგრამები.

საქართველომ მიიღო Covid-19-ის შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამა, რომლის ფარგლებშიც ექვსი თვე გაიცემოდა სახელმწიფო დახმარება შესაბამის მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის. დამატებითი დახმარება გაიცა მძიმედ გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და შშმ ბავშვებისთვის, თუმცა ანგარიშში არ იყო წარმოდგენილი კონკრეტული ინფორმაცია ზომებზე, რომლებიც მიმართული იქნებოდა მსგავსი კრიზისებისთვის მომზადებაზე. კომიტეტის შეფასებით, საქართველო შეესაბამება ქართის 14(1) მუხლს

(სოციალური სერვისების ხელშეწყობა და შექმნა), რაც მიუთითებს, რომ არსებული მექანიზმები და ზომები, ზოგადად, იძლევა წვდომას სოციალური უზრუნველყოფის მომსახურებებზე.

ქართის 14(2) მუხლთან დაკავშირებით (საზოგადოების მონაწილეობა სოციალურ მომსახურებათა შექმნასა და შენარჩუნებაში), საქართველოს უნდა წარმოედგინა ინფორმაცია მომხმარებელთა ჩართულობაზე სოციალური სერვისების დაგეგმვა-განხორციელებაში, რაც მოიცავს მომსახურების მიმწოდებელთა დამომხმარებელთა თანამშრომლობას თანასწორობის, მრავალფეროვნების, ხელმისაწვდომობისა და ურთიერთპასუხისმგებლობის პრინციპებზე დაყრდნობით. ანგარიშში აღინიშნა, რომ სოციალური სერვისების მიწოდების პროცესში, გადაწყვეტილებები მიიღება სამართლიანობის, მიუკერძოებლობისა და თანასწორი მოპყრობის პრინციპთა დაცვით, განსაკუთრებით, სოციალური დაცვისა და სოციალური შეღავათების სფეროებში. თუმცა, ანგარიშში არ იყო წარმოდგენილი დეტალური ინფორმაცია კომიტეტის მიერ დასმულ კონკრეტულ კითხვებზე, რომლებიც შეეხებოდა მომხმარებელთა პრაქტიკულ მონაწილეობას, მონაწილეობის საკანონმდებლო საფუძველს, ბიუჯეტის განაწილებას, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მომხმარებელთა ჩართულობას, სერვისების დიზაინს და მათი მიწოდების მექანიზმებს. შესაბამისად, დეტალური ინფორმაციის ნაკლებობის გამო, კომიტეტმა თავი შეიკავა დასკვნის გაკეთებისგან ქართის 14(2) მუხლთან შესაბამისობაზე. მან მოითხოვა, მომდევნო ანგარიშში წარუდგინონ ამომწურავი მონაცემები, რომლებიც საშუალებას მისცემს, შეაფასოს მომხმარებელთა ჩართულობა სოციალურ მომსახურებებში, ქართის მოთხოვნათა შესაბამისად.

3.3.2 დასკვნები მიუღებელ დებულებათა შესახებ

2021 წელს სოციალურ უფლებათა ევროპულმა კომიტეტმა გამოაქვეყნა მესამე ანგარიში ევროპის სოციალური ქართის დებულებებზე, რომლებიც საქართველოს ჯერ არ მიუღია¹⁰⁸ და შეეხება დასაქმებისა და სოციალური დაცვის სფეროებს. ECSR-ის დასკვნით, საქართველომ მიაღწია პროგრესს გარკვეულ დებულებათა მისაღებად, თუმცა აუცილებელია ძალისხმევის გაძლიერება სხვადასხვა მიმართულებით: განსაკუთრებით, ეს ეხება სოციალურ დაცვას, პროფესიულ ორიენტაციას, დისკრიმინაციის აღმოფხვრას სოციალური და სამედიცინო დახმარების სფეროში,

108 <https://rm.coe.int/3rd-report-georgia-na-provisions-eng/1680a5d629>.

როგორც პრაქტიკული განხორციელების, ისე პოლიტიკის კოორდინაციის კუთხით. ანგარიშში ასევე ხაზგასმული იყო, რომ ქარტიის მოთხოვნებთან სრული შესაბამისობისთვის, საქართველოს სჭირდება საკანონმდებლო ჩარჩოს გაძლიერება, მონაცემთა აღრიცხვის გაუმჯობესება და ხელმისაწვდომობისა და თანასწორობის გაზრდა სოციალურ მომსახურებებში. საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესის შემდგომი შეფასება დაგეგმილია 2025 წლისთვის.

მუხდი 9 - პროფესიული ორიენტაციის უფლება

საქართველოს მთავრობის განმარტებით, 2018 წელს მიღებულ „პროფესიული განათლების შესახებ“ კანონზე დაყრდნობით, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ მოამზადა და დაამტკიცა „პროფესიული ორიენტაციის, კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის სტრატეგია“, რომელიც მოიცავს ფორმალური განათლების სისტემას და პროფესიული უნარების განვითარების სხვა პროგრამებს.¹⁰⁹ ECSR-მა ხაზი გაუსვა, რომ სახელმწიფოებმა უნდა შექმნან და მართონ სამსახური, რომელიც ყველა პირს უფასოდ დაუჭერს მხარს პროფესიული არჩევანის გაკეთებაში, მათი ინდივიდუალური მახასიათებლებისა და პროფესიული შესაძლებლობების გათვალისწინებით. სისტემა ბენეფიციარებს უნდა აწვდიდეს ინფორმაციას მომზადებისა და გადამზადების პროგრამებზე, კონსულტაციას კი მათ უნდა უწევდნენ კვალიფიციური სპეციალისტები – კონსულტანტები, ფსიქოლოგები და მასწავლებლები, რომლებიც წარმოდგენილნი იქნებიან საკმარისი რაოდენობით და სათანადო ბიუჯეტით. კომიტეტმა აღნიშნა საქართველოს ძალისხმევა ამ მიმართულებით და მოუწოდა, გააგრძელოს ინიციატივები მიმდინარე პროექტთა სრულფასოვნად განხორციელებისათვის. შესაბამისად, ECSR-მა დაასკვნა, რომ საქართველო ადგას გზას მე-9 მუხლით მოთხოვნილი პირობების სრულად დასაკმაყოფილებლად უახლოეს მომავალში.

მუხდი 10(1), (3) და (5) – პროფესიული მომზადების უფლება: ტექნიკური და პროფესიული მომზადება, წვდომა უმაღლეს ტექნიკურ და საუნივერსიტეტო განათლებაზე, ზედასხუდ მუშაკთა წვდომა პროფესიულ მომზადებასა და გადამზადებაზე და ხელმისაწვდომი შეღავათების სხუდად გამოყენება

საქართველოს მთავრობამ მიუთითა საქართველოს კანონი „დასაქმების ხელშეწყობის შესახებ“, რეგისტრირებულ სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული განვითარების პროგრამები, ზრდასრულთა განათლების სისტემის ჩარჩო და

¹⁰⁹ როგორც ზემოთ აღინიშნა, სტრატეგია შემუშავდა და დამტკიცდა საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 27 აგვისტოს № 139/6 ბრძანებით.

სამუშაოზე დაფუძნებული პროგრამები (როგორც დუალური, ისე თანამშრომლობითი).¹¹⁰ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, კომიტეტმა დაასკვნა, რომ არ არსებობს დაბრკოლებები, რომლებიც საქართველოს ხელს შეუშლის ქარტიის 10(1), (3) და (5) მუხლების მოთხოვნებთან შესაბამისობაში.

მუხდი 12(2) და (4) – სოციალური უზრუნველყოფის უფლება: სოციალური უზრუნველყოფის სისტემის შენახრუნება ისეთ დონეზე, რომელიც, სუბ მცხიე, შეესაბამება ევროპის სოციალური დაცვის კოდექსის ხაგიფიკაციისთვის საჭირო მოთხოვნებს და სახედმწიფოთა შოხის გადაადგილებუდ პიხთა სოციალური უზრუნველყოფა

ქარტიის 12(2) და (4) მუხლებთან შესაბამისობის შეფასებისას, საქართველოს მთავრობამ არ წარმოადგინა კონკრეტული ინფორმაცია სოციალური უზრუნველყოფის სისტემის მდგომარეობასა და ფუნქციონირებაზე. გარდა ამისა, საქართველოს არ აქვს რატიფიცირებული ევროპის სოციალური დაცვის კოდექსი და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის №102 კონვენცია. შესაბამისად, კომიტეტის დასკვნით, არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება ქარტიის 12(2) მუხლის მოთხოვნებს. რაც შეეხება ქარტიის 12(4) მუხლს, საქართველოს კანონი „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი სტატუსის შესახებ“ განსაზღვრავს, რომ საქართველოში მუდმივად მცხოვრები უცხოელები სარგებლობენ იმავე სოციალური შეღავათებით, როგორიც გათვალისწინებულია საქართველოს მოქალაქეებისთვის. ეს მოიცავს საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირებს, თავშესაფრის მაძიებლებს, ლტოლვილებს და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირებს. „სოციალური დახმარების შესახებ“ კანონის შესაბამისად, სოციალური დახმარება ვრცელდება საქართველოში მუდმივად მცხოვრებ პირებზე, რომლებიც ოფიციალურად ითვლებიან სოციალურად დაუცველად, მათ შორის, დაბალშემოსავლიან ოჯახებსა და უსახლკარო პირებზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კომიტეტმა განაცხადა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ წარმოადგინა გარკვეული ინფორმაცია, თუმცა მონაცემები არ იყო საკმარისი ქარტიის 12(4) მუხლთან სრული შესაბამისობის დასადგენად. ამგვარად, კომიტეტმა საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდა, მომდევნო ანგარიშების მომზადებისას გაითვალისწინოს ინფორმაცია ქვეყნის პრეცედენტული სამართლის შესახებ, განსაკუთრებით, მიუღებელ დებულებებთან დაკავშირებით.

¹¹⁰ კანონმდებლობის თანახმად, ყველა სრულგანაკვეთიანი საკვალიფიკაციო პროგრამა დაფუძნებულია სამუშაოზე და, პრაქტიკულ კომპონენტთა რაოდენობის მიხედვით, იყოფა დუალურ და თანამშრომლობით პროგრამებად (პირველ შემთხვევაში, სწავლების 50%-ზე მეტი ხორციელდება რეალურ სამუშაო გარემოში, ხოლო მეორე შემთხვევაში - 50%-მდე).

მუხლი 13 – სოციალური და სამედიცინო დახმარების უფლება

კომიტეტმა ყურადღება გაამახვილა საქართველოს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამასა და სხვა მიზნობრივ პროგრამებზე, რომლებიც შეეხება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვას, ასევე, კონკრეტულ დაავადებათა მკურნალობას. თუმცა, მან დამატებითი ინფორმაცია მოითხოვა იმისთვის, რომ შეეფასებინა შესაბამისობა ქართის 13(1) მუხლთან (სათანადო დახმარების უზრუნველყოფა ნებისმიერი პირისთვის, რომელსაც არ აქვს ადეკვატური სახსრები). რაც შეეხება 13(2) მუხლს (დისკრიმინაციის დაუშვებლობა მათი სოციალური და პოლიტიკური უფლებების განხორციელებაში), საქართველოს არ წარუდგენია ინფორმაცია კონკრეტულ ღონისძიებებზე. შესაბამისად, კომიტეტმა დაასკვნა, რომ არსებული მდგომარეობა არ შეესაბამებოდა 13(2) მუხლის მოთხოვნებს და მოითხოვა დამატებითი ინფორმაცია. იგივე ვითარება აღინიშნა 13(3) მუხლთან დაკავშირებით (პრევენცია, აღმოფხვრა ან შემსუბუქება), რადგან საქართველოს არ წარუდგენია ინფორმაცია კონკრეტულ ზომებზე ისეთი აუცილებელი სერვისების მისაწოდებლად, როგორიცაა კონსულტირება და პერსონალური დახმარება¹¹¹ სოციალური და სამედიცინო საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. ამის საფუძველზე, კომიტეტმა დაასკვნა, რომ არსებული მდგომარეობა არ შეესაბამებოდა 13(3) მუხლის მოთხოვნებს. დაბოლოს, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში კანონიერად მყოფი უცხოელი მოქალაქეები საკუთარი სამედიცინო დახმარების ფარგლებში ისეთივე ხარისხის სამედიცინო მომსახურებას იღებენ, როგორსაც საქართველოს მოქალაქეები, კომიტეტმა აღნიშნა, რომ შესაბამისი ინფორმაციის ნაკლებობის გამო, ვერ შეძლო 13(4) მუხლთან შესაბამისობის შეფასება, განსაკუთრებით იმ ნაწილში, რომელიც შეეხება გადაუდებელი სოციალური და სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფას არარეზიდენტი პირებისთვის.

მუხლი 15(1) – შშმ პირთა უფლება დამოუკიდებლობაზე, სოციალური ინტეგრაციისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობაზე: შშმ პირთა პხოფესიული მომზადება The მთავრობა აცხადებდა, რომ „დასაქმების ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, შშმ პირებს, მხარდაჭერის მიზნით, კონსულტაციას უწევენ დასაქმების საკითხებზე და აწვდიან დასაქმების ხელშეწყობის სერვისებს, რასაც ზედამხედველობს დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო. ამ სერვისებს შორისაა: კარიერული განვითარების ინდივიდუალური გეგმების შემუშავება,

¹¹¹ რაც შეეხება პერსონალურ დახმარებას, ბოლო პერიოდში დაინერგა ქვეპროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალური ასისტენტის სერვისს (ძირითადად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის). მას ადმინისტრირებას უწევს SCA.

შესაბამისი სამუშაოს ან საქმიანობის შერჩევა და მოკლევადიანი პროფესიული მომზადების კურსების შეთავაზება, რომლებიც ხელს შეუწყობთ სამუშაოს შეცვლას ან შენარჩუნებაში. გარდა ამისა, 2013 წლიდან საქართველოს ფორმალური პროფესიული განათლებისა და გადამზადების სისტემასახელმწიფო დაფინანსებით ფუნქციონირებს და ხელმისაწვდომია შშმ და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის. პროფესიულ სასწავლებელთა უმეტესობას აქვს ადაპტირებული ინფრასტრუქტურა, მათ შორის, პანდუსები და შესაბამისი სველი წერტილები. სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტები კვარტალში ერთხელ იღებენ დამატებითი დახმარების ვაუჩერებს. ამასთანავე, მოქმედებს კვოტები და სახელმძღვანელო პრინციპები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის პროფესიული ორიენტაციის ხელშესაწყობად. ამ ინიციატივების გათვალისწინებით, კომიტეტმა დაასკვნა, რომ საქართველოს შემთხვევაში არ არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი დაბრკოლება ქართიის 15(1) მუხლის მისაღებად.

მუხლი 15(2) – შშმ პიხთა უფლება დამოუკიდებლობაზე, სოციალუი ინტეგრაციასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობაზე: შშმ პიხთა დასაქმება

მთავრობა აცხადებდა, რომ საქართველოს შრომის კოდექსი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ითვალისწინებს თანასწორ მოპყრობასა და გონივრულ მისადაგებას, მათი დასაქმების, კარიერული განვითარების, პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროცესში. დამსაქმებლებს მოეთხოვებათ შესაბამისი ზომების მიღება, თუ ეს არ აკისრებთ არაპროპორციულ ტვირთს. გარდა ამისა, „დასაქმების ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის უზრუნველყოფს დაცული სამუშაო ადგილების შექმნის შესაძლებლობას. დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო გრანტებს გამოყოფს იმ დამსაქმებლებისთვის, რომლებიც, სულ მცირე, სამი წლის განმავლობაში ინარჩუნებენ ასეთ სამუშაო ადგილებს; ამასთანავე, სპეციალიზებული ცოდნით, უნარებითა და მომზადებით აღჭურვილი „მხარდაჭერითი დასაქმების კონსულტანტების“ მეშვეობით, კონსულტაციებს უწევს შშმ და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებს დასაქმების პროცესში. ამის გათვალისწინებით, კომიტეტმა დადებითად შეაფასა საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესი შშმ პირთა დასაქმების უფლებებთან დაკავშირებით, თუმცა უფრო დეტალური ინფორმაცია მოითხოვა ქართიის 15(2) მუხლთან სრული შესაბამისობის დასადგენად. ამასთან, კომიტეტმა საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდა, განაგრძოს ძალისხმევა ამ მიმართულებით.

მუხლი 16 – ოჯახის სოციალური, სამაჩთღებხივი და ეკონომიკური დაცვის უფლება

მთავრობა მიუთითებდა, რომ საქართველოს სოციალური დაცვის სისტემა მოიცავს მიზნობრივი ფულადი დახმარების პროგრამებს, რომლებიც მიმართულია მოწყვლად ოჯახებში სიღარიბის შემცირებაზე; ასევე, არსებობს ოჯახთა მხარდაჭერის ინიციატივები, მხარდაჭერილი UNICEF-ის პროგრამებით. კომიტეტის დასკვნით, საქართველომ გაატარა ზომები ოჯახების ეკონომიკური დაცვის უფლების განსამტკიცებლად, თუმცა არ არსებობს საკმარისი ინფორმაცია მათ სოციალურ და სამართლებრივ დაცვაზე, რასაც მოითხოვს ქართის მე-16 მუხლი.

მუხლი 23 – ხანდაზმულ პიხთა უფლება სოციალური დაცვაზე

ქართის 23-ე მუხლის ქვეშ მოქცეულ საკითხებთან დაკავშირებით, მთავრობამ აღნიშნა, რომ საქართველო სოციალური პენსიებითა და შეღავათებით უზრუნველყოფს ხანდაზმულთა სოციალურ დაცვას. პენსიის მიღების კრიტერიუმად ქალებისთვის განსაზღვრულია 60 წელი, კაცებისთვის კი - 65. „სახელმწიფო პენსიების შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების თანახმად, პენსიის ინდექსაცია ხდება ინფლაციის შესაბამისად. 70 წელს გადაცილებული პენსიონერებისთვის კორექტირება ითვალისწინებს რეალური ეკონომიკური ზრდის 80%-ს. „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ სახელმწიფო კანონის თანახმად, ასეთ რეგიონებში მუდმივად მცხოვრები ხანდაზმული პირები დამატებით იღებენ შემწეობას საკუთარი სახელმწიფო პენსიის ან სოციალური შეღავათების პაკეტის 20%-ის ოდენობით. გარდა ამისა, მთავრობამ ისაუბრა მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამაზე ხანდაზმულთა შორის სიღარიბისა და სოციალური რისკების შესამცირებლად, ასევე, სხვა ინიციატივებზე, როგორიცაა სათემო სერვისების პროგრამა, დამხმარე მოწყობილობებით მხარდაჭერის პროგრამა და საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა. კომიტეტის შეფასებით, საქართველოს ხელისუფლების მიერ გაღებული ძალისხმევისა და მოწოდებული ინფორმაციის მიუხედავად, არსებული მდგომარეობა სრულად არ შეესაბამება ქართის 23-ე მუხლით დადგენილ სტანდარტებს. კომიტეტმა საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდა, გააგრძელოს სამართლებრივი ჩარჩოსა და მისი პრაქტიკული დანერგვის გაუმჯობესება, რათა უკეთ უზრუნველყოს ხანდაზმულთა სოციალური დაცვის უფლება. ეს მოიცავს პოლიტიკისა და პრაქტიკის მეტ შესაბამისობას 23-ე მუხლის მოთხოვნებსა და პრინციპებთან.

მუხლი 24 – დაცვის უფლება დასაქმების შეწყვეტის შემთხვევაში

მთავრობის განმარტებით, საქართველოს შრომის კოდექსი განსაზღვრავს

დამსაქმებლის მხრიდან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის დასაშვებ საფუძვლებს. გათავისუფლება იმ მიზეზით, რომელსაც ცალსახად არ განსაზღვრავს კანონი, აკრძალულია. დასაქმებულს უფლება აქვს, სასამართლოში გაასაჩივროს დამსაქმებლის გადაწყვეტილება. თუ სასამართლო დაადგენს, რომ გათავისუფლება დაუსაბუთებელი იყო, დამსაქმებელი ვალდებულია, აღადგინოს დასაქმებული და შესთავაზოს ეკვივალენტური სამუშაო, ან გადაუხადოს სასამართლოს მიერ განსაზღვრული კომპენსაცია. გარდა ამისა, დასაქმებულს შეუძლია, მოითხოვოს განაცდურის ანაზღაურება, რომელიც მოიცავს პერიოდს გათავისუფლების დღიდან სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულებამდე. აღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით, კომიტეტმა დაადგინა: არ არსებობს მნიშვნელოვანი დაბრკოლება, რომელიც ხელს შეუშლის საქართველოს, რომ თავისი პრაქტიკა შეუსაბამოს 24-ე მუხლის მოთხოვნებს.

მუხლი 30 – სიღარიბისა და სოციალური გახიყურობისგან დაცვის უფლება

ამ საკითხზე მთავრობამ განაცხადა, რომ საარსებო შემწეობა მიეწოდება ბევრ ადამიანს, მათ შორის, პენსიონერებსაც. სპეციალური ჯგუფებიც იღებენ სახელმწიფო კომპენსაციას, ხოლო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, მზრუნველობამოკლებული ბავშვების, ობლებისა და ძალადობის მსხვერპლი არასრულწლოვანთათვის მოქმედებს სხვადასხვა პაკეტი. გარდა ამისა, 2013 წლიდან საქართველო აფინანსებს აუცილებელ სამედიცინო მომსახურებას სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი პირებისთვის. ამ პაკეტში შედის ამბულატორიული და ჰოსპიტალური მომსახურება, ქირურგიული ოპერაციები, ონკოლოგიურ და ინფექციურ დაავადებათა მკურნალობა, ასევე, ქრონიკული დაავადებებისთვის აუცილებელი მედიკამენტები. თუმცა, მიუხედავად მნიშვნელოვანი ნაბიჯებისა, დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენამდე, კომიტეტმა თავი შეიკავა 30-ე მუხლთან შესაბამისობის შეფასებისგან. მით უფრო, რომ სახელმწიფო ანგარიში არ შეიცავდა მნიშვნელოვან დეტალებს, თუ როგორ უწევს მთავრობა კოორდინაციას სხვადასხვა სექტორში გაღებულ ძალისხმევას, რა მონიტორინგის მექანიზმები არსებობს და როგორ ერთვებიან შესაბამისი პირები ამ მექანიზმებში.

მუხლი 31 – უფლება საცხოვრებელ ადგილზე

აღინიშნა, რომ საქართველოში შექმნილია კომისია და სამუშაო ჯგუფი და ქვეყნის საბინაო პოლიტიკის შემუშავებას მხარს უჭერს USAID-ის დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის პროექტი. გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგია მოიცავს დებულებებს ადეკვატურ საცხოვრებელ ადგილზე

უფლების უწყვეტად განხორციელებისათვის, თუმცა მიმდინარე მდგომარეობისა და სამომავლო ნაბიჯების ყოვლისმომცველი ანალიზი ჯერ არ დასრულებულა. კომიტეტის დასკვნით, საქართველოს მიერ მიღებული ზომები საცხოვრებელ ადგილზე უფლების უზრუნველსაყოფად სრულად არ შეესაბამება ქართის 31-ე მუხლის მოთხოვნებს. ამრიგად, კომიტეტმა საქართველოს მოუწოდა, გააძლიეროს ძალისხმევა როგორც სამართლებრივი, ისე პრაქტიკული ჩარჩოების შესაქმნელად, რათა დაცული იყოს უფლება ადეკვატურ და ხელმისაწვდომ საცხოვრებელ ადგილზე და განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს უსახლკარობის აღმოფხვრას.

4. მნიშვნელოვანი საკითხები, ხარვეზები და შესაძლო/საჭირო დამატებითი რეფორმები

როგორც ანგარიშის მეორე ნაწილში გაანალიზდა, ევროპის სოციალური ქარტია, ევროპის საბჭოსა და სხვა ორგანიზაციების „რბილი სამართლის“ ჩარჩოდან გამომდინარე დაცვასთან ერთად, ცენტრალურ როლს ასრულებს დაბერების მიმართ ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომაში. კერძოდ, იგი უზრუნველყოფს ჩარჩოს, რომელიც საქართველოს დაეხმარება ახალ პარადიგმაზე გადასვლაში, სავალდებულო ძალის მქონე დებულებებისა და მონიტორინგის ორგანოს მეშვეობით. საქართველოს გზა ევროკავშირში გაწევრიანებისკენ ასევე მოითხოვს მნიშვნელოვან რეფორმებს, რათა ქვეყანა დაუახლოვდეს ევროკავშირის სოციალურ კანონმდებლობას, განსაკუთრებით, ხანდაზმულთა უფლებებისა და ფართო სოციალური პოლიტიკის კუთხით. ამ პროცესში, ევროპის სოციალური ქარტია უდავოდ შეიძლება იქცეს საერთო ტრანსფორმაციის ხელშემწყობ მნიშვნელოვან ინსტრუმენტად.

სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის მიდგომა ქარტიის დებულებათა ბუნებისა და სახელმწიფოთა ვალდებულებებისადმი მოითხოვს, რომ საქართველო უწყვეტი ძალისხმევით ახორციელებდეს სოციალურ უფლებებს, ისე, რომ არ დაარღვიოს მინიმალური სტანდარტები, ხოლო პროგრესი შეფასდეს მკაფიო კრიტერიუმებისა და ინდიკატორების გამოყენებით. კომიტეტის თანახმად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, საქართველოს ხელისუფლება აქტიურად უწევდეს კონსულტაციებს მოწყვლად ჯგუფებს, მათ შორის, ხანდაზმულ პირებსა და მათ წარმომადგენლებს, პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში. ზოგადად, ქარტიის კონტექსტში, „პროგრესული რეალიზაციის“ ცნების კომიტეტისეული განმარტება გულისხმობს პრაგმატულ და უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომას ხანდაზმულთა სოციალური და ეკონომიკური უფლებების მიმართ. ეს კი, შესაძლოა, გადამწყვეტი აღმოჩნდეს საქართველოში მიმდინარე ცვლილებებისთვის, რომელთა მიზანია ხანდაზმულთა აქტიური სოციალური მოქალაქეობის მიღწევა.

ამ კონტექსტში, მნიშვნელოვანია, კიდევ ერთხელ აღინიშნოს, რომ ხანდაზმულთა

სოციალური უფლებების განხორციელებისა და დაცვისას, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები პასუხისმგებელნი არიან ქარტიის წინაშე, მიუხედავად იმისა, რომ მათი უფლებამოსილებები დელეგირებულია ცენტრალური მთავრობის მხრიდან. შესაბამისად, ცენტრალურმა ხელისუფლებამ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები უნდა უზრუნველყოს საკმარისი რესურსებით და მხარდაჭერით, რათა მათ ეფექტიანად შეასრულონ თავიანთი ვალდებულებები და არ შელახონ ქარტიით გარანტირებული უფლებები. ცენტრალურ ზედამხედველობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივ ქმედებათა კონტროლსა და რეგულირებაში ისე, რომ სრულად შეესაბამებოდეს ხელშეკრულების სტანდარტებს. თუ ადგილობრივი ხელისუფლების მოქმედებები არღვევს ქარტიის უფლებებს და ამას ცენტრალური ხელისუფლება არ აღკვეთს ან არ ასანქცირებს, ეს შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფოს საერთაშორისო ვალდებულებების დარღვევად. აღსანიშნავია, რომ სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს ინსტრუქციებს აძლევს ხანდაზმულთა მხარდაჭერი პოლიტიკის განხორციელებაზე და აკვირდება, როგორ აწვდიან ადგილობრივი უწყებები სერვისებს ხანდაზმულებს, რათა უზრუნველყოს შესაბამისობა, მათ შორის, დეცენტრალიზებულ მომსახურების სისტემაშიც.

4.1. საქართველოს საკანონმდებლო და რეგულირების ჩარჩოს შეფასება (ბენჩმარკინგი)

ძირითადი სტანდარტი, რომლითაც შეფასდება საქართველოს საკანონმდებლო და პოლიტიკის ჩარჩო ხანდაზმულთა უფლებების შესახებ, წარმოდგენილი ანგარიშის მე-3 ნაწილში, არის ქარტიის 23-ე მუხლი. კერძოდ, ეს მუხლი საერთაშორისო დონეზე მიღებული პირველი დებულებაა, რომელიც ეძღვნება კონკრეტულად ხანდაზმულთა უფლებების დაცვას. იგი მოიცავს ევროპაში მოსახლეობის დაბერებით წარმოქმნილ გამოწვევათა მართვას კოორდინირებული სექტორთაშორისი ინიციატივების მეშვეობით და განსაკუთრებით ხაზს უსვამს ფასეულობებს, როგორიცაა ავტონომია, დამოუკიდებელი ცხოვრება და აქტიური სოციალური მოქალაქეობა. როგორც ანგარიშის მეორე ნაწილში გაანალიზდა, 23-ე მუხლით გარანტირებულია ხანდაზმულთა ეფექტიანი სოციალური დაცვა, რაც მოიცავს მათი კეთილდღეობის სხვადასხვა ასპექტს სამუშაო სივრცის მიღმა.

აღსანიშნავია, რომ 23-ე მუხლის მთავარი მიზნები სამ ძირითად მიმართულებად იყოფა: ხანდაზმულ პირთა სრული ინტეგრაცია და აქტიური მონაწილეობა

საზოგადოებრივ ცხოვრებაში, შესაბამისი სერვისებისა და შეღავათების დამკვიდრებით; დამოუკიდებელი ცხოვრების შესაძლებლობის მიცემა დამატებითი სოციალური, სამედიცინო და საცხოვრებელი სერვისების მეშვეობით; მათი უფლების გარანტირება პერსონალურ გადანაცვლებათა მიღებასა და ღირსების, ხელშეუხებლობისა და პირადი ცხოვრების დაცვაზე ზრუნვის დაწესებულებებში. გარდა ამისა, კომიტეტმა გააფართოვა 23-ე მუხლის თავდაპირველი ფარგლები და მასში შეიტანა დამატებითი ელემენტები, რომლებსაც კრიტიკული მნიშვნელობა აქვს ხანდაზმულთა სოციალური და ეკონომიკური უფლებების დასაცავად, ასევე, მათი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების რამდენიმე ასპექტი. ეს მოიცავს ბრძოლას ასაკობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ, არა მხოლოდ დასაქმების სფეროში, არამედ უფრო ფართო კონტექსტშიც, ასევე, ხანდაზმულთა მიმართ ძალადობის საწინააღმდეგო ზომების შემუშავებას სხვადასხვა მექანიზმის გამოყენებით.

23-ე მუხლთან შესაბამისობას კომიტეტი აფასებს რამდენიმე კატეგორიის მიხედვით, მათ შორისაა: საკანონმდებლო ჩარჩოები, ხანდაზმულთა მიმართ ძალადობის პრევენცია, სახსრების ადეკვატურობა, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, ჯანდაცვის სერვისები, საცხოვრებლის უზრუნველყოფა და ინსტიტუციური მოვლის ხარისხი. იგი სახელმწიფოს საქმიანობას ადარებს საერთაშორისო ნორმებს და განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ხანდაზმულთა ღირსების, ავტონომიის, თანასწორობისა და სოლიდარობის პრინციპებზე. კომიტეტის შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა სოციალური პენსიებისა და შეღავათების უზრუნველსაყოფად, ქვეყანამ უნდა გააძლიეროს სამართლებრივი ჩარჩოც და მისი პრაქტიკაში დანერგვის პროცესიც, რათა სრულად დააკმაყოფილოს ქარტიის 23-ე მუხლის სტანდარტები ხანდაზმულთა უფლებების დაცვასთან მიმართებით.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ჯერ არ მიუღია 23-ე მუხლი, აღსანიშნავია, რომ ეს დებულება ნაწილობრივ იკვეთება ქარტიის სხვა მუხლებთან, რომელთა ნაწილი საქართველოსთვის შესასრულებლად სავალდებულოა და, საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება გამოიყენებოდეს 23-ე მუხლის განმარტებისას. ეს უზრუნველყოფს ხანდაზმულთა უფლებების სპეციფიკურ დაცვას და უფრო მკაფიოდ განსაზღვრავს ფართო უფლებებს.

კერძოდ, როგორც ითქვა, ქარტიის მე-12 მუხლი სახელმწიფოებს ავალდებულებს

სრულყოფილი სოციალური დაცვის სისტემის შექმნას, შენარჩუნებასა და უწყვეტ გაუმჯობესებას, რათა დახმარებებმა გონივრულად ჩაანაცვლოს დაკარგული შემოსავალი. სიღარიბის ასაცილებლად, ეს დახმარებები არ უნდა იყოს მედიანური გათანაბრებული შემოსავლის 50%-ზე ნაკლები. საქართველოს არ წარმოუდგენია ინფორმაცია შეფასების იმ მეთოდთან შესაბამისობაზე, რომელსაც იყენებს სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი. მეორე მხრივ, ქართის მე-13 მუხლი სახელმწიფოებს ავალდებულებს სოციალურ და სამედიცინო დახმარებაზე წვდომის უზრუნველყოფას, სიღარიბის შესამცირებელი, ინტეგრირებული სტრატეგიების მეშვეობით; ასევე, ღირსეული ცხოვრების სტანდარტის დაცვას ისეთი დახმარებებით, რომლებიც ადეკვატურად ფარავს ძირითადი საჭიროებებს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ხანდაზმულთათვის, რომლებსაც შესაძლოა სრულად არ ფარავდეს საპენსიო სისტემა და სხვა შემოსავალი არ ჰქონდეთ. გარდა ამისა, ქართის მე-14 მუხლი ხელმომწერ სახელმწიფოებს ავალდებულებს სოციალური უზრუნველყოფის ეფექტიან მომსახურებათა ფართო სპექტრის შექმნასა და ხელშეწყობას, რაც ხელს შეუწყობს მოწყვლადი ჯგუფების, მათ შორის, ხანდაზმულების სოციალურ კეთილდღეობას, განვითარებასა და საზოგადოებაში ინტეგრაციას. ეს უნდა გაკეთდეს ეროვნული კეთილდღეობის საჭიროებების, კულტურული ტრადიციების, ოჯახური ვალდებულებებისა და ხელმისაწვდომი რესურსების გათვალისწინებით. საერთო ჯამში, ქართის მე-12, მე-13 და მე-14 მუხლები ქმნიან სოციალური პოლიტიკის ყოვლისმომცველ ჩარჩოს, რომელიც ადაპტირებულია ხანდაზმულთა განსაკუთრებულ საჭიროებებზე რეაგირებისათვის და განამტკიცებს ქართის 23-ე მუხლს.

სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის შეფასებით, საქართველო რამდენიმე გამოწვევას აწყდება ქართის იმ მოთხოვნებთან შესაბამისობაში, რომლებიც შეეხება სოციალური დაცვის უფლებებს, განსაკუთრებით, ადეკვატურ დაფარვას და აუცილებელი შეღავათების გათვალისწინებას, როგორცაა ოჯახის დახმარება და უმუშევრობის დახმარება. გარდა ამისა, კომიტეტის დასკვნით, მნიშვნელოვანი ხარვეზები არსებობს როგორც ადეკვატური მხარდაჭერის, ასევე დისკრიმინაციისგან დაცვის კუთხით.

ამ კონტექსტში, საქართველოს სოციალური პოლიტიკის შესაფასებლად, ძირითადი კრიტერიუმებია სიღარიბისა და სოციალური გარიყულობისგან დაცვის უფლება (ქართის 30-ე მუხლი) და უფლება საცხოვრებელ ადგილზე (ქართის 31-ე მუხლი). ECSR-ის მოთხოვნით, სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ერთიანი და კოორდინირებული

მიდგომა სიღარიბისა და სოციალური გარიყულობის წინააღმდეგ, რაც გულისხმობს ანალიტიკური ჩარჩოების განვითარებას, პრიორიტეტების განსაზღვრას და ისეთი ზომების გატარებას, რომლებიც ხელს შეუწყობს სოციალურ უფლებებზე წვდომის ბარიერების აღმოფხვრას. კომიტეტი განსაკუთრებულად უჭერს მხარს ინტეგრირებული პოლიტიკის განხორციელებას სხვადასხვა სექტორში, ნაცვლად მხოლოდ ცალკეული ჯგუფებისთვის განკუთვნილი პოლიტიკისა. ეს უნდა გამყარდეს მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმებით, რომელშიც ჩაერთვებიან სამოქალაქო საზოგადოება და შესაბამისი პირები. რაც შეეხება უფლებას საცხოვრებელ ადგილზე, იგი მოიცავს სხვადასხვა ასპექტს, რომლებიც მნიშვნელოვანია სათანადო საცხოვრებელი პირობების უზრუნველსაყოფად ყველა პირისთვის, განსაკუთრებით, ხანდაზმულთა მსგავსი მოწყვლადი ჯგუფებისთვის, რომლებიც, თემზე დაფუძნებული სათანადო სერვისების არარსებობის პირობებში, აწყდებიან საცხოვრებელთან დაკავშირებულ რისკებს.

ანგარიშებში იმ დებულებათა შესახებ, რომლებიც საქართველოს ჯერ არ მიუღია, სოციალურ უფლებათა ევროპულმა კომიტეტმა ხაზი გაუსვა სოციალური დახმარების სხვადასხვა პროგრამას, მიმართულს საქართველოში სიღარიბის შემცირებაზე. ამავდროულად, კომიტეტის თანახმად, საქართველომ უფრო სრულყოფილი ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს ამ პროცესის მაკოორდინირებელ სტრატეგიებსა და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობაზე, რათა უკეთ შეფასდეს სიღარიბის დაძლევისა და სოციალურ გარიყულობასთან ბრძოლის ქმედითი მექანიზმები. რაც შეეხება საცხოვრებლის საკითხს, კომიტეტმა აღნიშნა, რომ არსებული ზომები ბოლომდე არ შეესაბამება სათანადო საცხოვრებლის მოთხოვნებს. შესაბამისად, მან საქართველოს მოუწოდა სამართლებრივი ჩარჩოსა და მისი პრაქტიკული დანერგვის განმტკიცება უსახლკარობის აღმოსაფხვრელად და საცხოვრებელ ადგილზე უფლების უზრუნველსაყოფად, ქარტიის მოთხოვნათა შესაბამისად.

გარდა ამისა, ქარტიის მე-11 მუხლი განამტკიცებს 23-ე მუხლს, უზრუნველყოფს რა ჯანმრთელობის უფლებას, რომელიც მოიცავს სპეციალურ ზომებს ხანდაზმულთა ჯანმრთელობის ყოვლისმომცველი დაცვისთვის. კომიტეტი ხაზს უსვამს, რომ სამედიცინო მომსახურებაზე წვდომა ხანდაზმულებს არ უნდა აკისრებდეს ფინანსურ ტვირთს. შესაბამისად, იგი მხარს უჭერს თემზე დაფუძნებულ კოლექტიური დაფინანსების მექანიზმებს, ჯანდაცვის სერვისებზე სამართლიანი და არადისკრიმინაციული წვდომისთვის. ეს პრინციპი ეხება არა მხოლოდ ხანდაზმულთა დაწესებულებებში არსებულ მოვლის სერვისებს, არამედ ჯანდაცვის

ყოვლისმომცველ მომსახურებებსაც, მათ შორის, პირველად სამედიცინო დახმარებას, ფსიქიკური ჯანმრთელობის პროგრამებს და სახლის პირობებში ჯანდაცვის ინიციატივებს.

ამავდროულად, კომიტეტმა ხაზი გაუსვა ხარვეზებს ჯანმრთელობის შესახებ განათლების, კონსულტირებისა და სკრინინგის სერვისებში, ასევე, არასათანადო სამედიცინო მომსახურებას დაკავების დაწესებულებებში. პრობლემებს შორის დასახელდა ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების არასაკმარისი ხელმისაწვდომობაც, განსაკუთრებით, ინსტიტუციური სისტემიდან თემზე დაფუძნებულ ზრუნვაზე გადასვლის პროცესში; ასევე, არასათანადო ზომები გარემოს დაბინძურებასთან ბრძოლისა და ინფექციურ დაავადებათა მართვის მიმართულებით.

და ბოლოს, ქარტიის მე-16 მუხლი ხაზს უსვამს სოციალური, სამართლებრივი და ეკონომიკური დაცვის მნიშვნელობას ოჯახებისთვის, განსაკუთრებით, ოჯახურ გარემოში ხანდაზმულთა როლისა და უფლებების გათვალისწინებით. ეს მუხლი აღიარებს არაოფიციალური მზრუნველების, განსაკუთრებით, მეუღლეებისა და პარტნიორების მნიშვნელოვან მხარდაჭერას, რომლებიც აქტიურად ზრუნავენ ხანდაზმულ ოჯახის წევრებზე, მათი მოვლის გრძელვადიანი საჭიროებების ზრდის პირობებში. კომიტეტი აღნიშნავს, რომ ოჯახური ურთიერთობები გადამწყვეტია ცხოვრების ყველა ეტაპზე, სცდება რა მხოლოდ ტრადიციულ საქორწინო კავშირებს და მოიცავს ოჯახური ურთიერთობების მრავალფეროვან ფორმებს. კომიტეტის შეფასებით, მიზნობრივი ფულადი დახმარების პროგრამების გარდა, საქართველოში არ არსებობს კონკრეტული სამართლებრივი დაცვის მექანიზმები ოჯახებისთვის.

რაც შეეხება ქარტიის სტანდარტებს სამუშაო ადგილთან მიმართებით, არსებობს მრავალი დებულება, მათ შორის, მუხლები 1, 2, 3, 4, 9, 10, 15, 20 და 24, რომლებიც, კომიტეტის განმარტებით, ფუნდამენტურ დაცვას აწესებს ყველასთვის, განსაკუთრებით, ხანდაზმულებისა და შშმ პირებისთვის. ეს მუხლები ერთობლივად უწყობს ხელს ღირსეული სამუშაო პირობების შექმნას, სამართლიან ანაზღაურებას და ადამიანური რესურსების განვითარებას, რათა შრომის ბაზრის მოთხოვნები შეესაბამებოდეს ინდივიდუალურ შესაძლებლობებს. ამ დებულებათა თანახმად, სახელმწიფოებს მოეთხოვებათ ისეთი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, რომელიც ხელს შეუწყობს სამუშაო ადგილების შექმნას და უმუშევარ პირებს

დაეხმარება დასაქმებასა ან კვალიფიკაციის ამაღლებაში. განსაკუთრებით ხაზგასმულია დასაქმების მაღალი მაჩვენებელი, რომელიც მოიცავს ხანდაზმულ და მოწყვლად პირებს. გარდა ამისა, აღნიშნული მუხლები პოლიტიკის დონეზე ემსახურება დასაქმების მაღალი ნიშნულის მიღწევას, განსაკუთრებით, ისეთი მოწყვლადი ჯგუფებისთვის, როგორებიც არიან ხანდაზმულები და შშმ პირები. ამავე დებულებათა თანახმად, სახელმწიფოებს ევალებათ ხანდაზმულ მუშაკთა პროფესიული ორიენტაციის, გადამზადებისა და რეაბილიტაციის უზრუნველყოფა დისკრიმინაციის გარეშე, გენდერული თანასწორობის დაცვასა და ოჯახური ვალდებულებების მქონე დასაქმებულთა მხარდაჭერასთან ერთად.

სამწუხაროა, რომ ამ დებულებებიდან საქართველოს მხოლოდ რამდენიმე აქვს მიღებული. ეს ზღუდავს ხანდაზმულ მუშაკთა დაცვის არსებულ მექანიზმებს და არ აძლევს შესაძლებლობას სოციალურ უფლებათა ევროპულ კომიტეტს, აუცილებელი რეკომენდაციებით მიმართოს საქართველოს ხელისუფლებას ქარტიის მონიტორინგის პროცედურის ფარგლებში. კომიტეტის შეფასებით, საქართველოს შრომითკანონმდებლობასა და პრაქტიკაში არსებობს რიგი პრობლემები, რომლებიც შეიძლება მნიშვნელოვან გავლენას ახდენდეს ხანდაზმულ მუშაკებზე. მაგალითად, კომიტეტმა აღნიშნა, რომ საქართველოში ხანდაზმულ მუშაკთა რაოდენობა შემცირებულია და შეშფოთება გამოხატა უმუშევრობის მაჩვენებელსა და შრომის ბაზრის პოლიტიკის ეფექტიანობასთან დაკავშირებით. ეს განსაკუთრებულად ეხება კვალიფიციური თანამშრომლებისა და ადეკვატური სახსრების საჭიროებას ქარტიით მოთხოვნილი პროფესიული ორიენტაციის სერვისების სრულფასოვნად განხორციელებისათვის.

და ბოლოს, ზემოთ განხილულ საკითხებს განამტკიცებს E მუხლი, რომელსაც ეყრდნობა ქარტიის ჩარჩო. იგი კრძალავს ყველა ფორმის დისკრიმინაციას უფლებათა გამოყენების პროცესში, მათ შორის, ასაკის ნიშნით. დებულება საქართველოს ავალდებულებს ზუსტ მონაცემთა შეგროვებას, არადისკრიმინაციული პოლიტიკის გატარებას ყველა სექტორში, ადგილობრივ პროცესებზე ზედამხედველობას და ყველა ჯგუფისთვის თანაბარი წვდომის მიცემას უფლებებსა და შეღავათებზე, ინდივიდუალურ განსხვავებათა გათვალისწინებით.

4.2 ინსტიტუციური საკითხები და ხარვეზები

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და ანგარიშის მე-3 ნაწილში დეტალურად განხილული საკითხების შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუცია ფუნდამენტური სამართლებრივი დოკუმენტია, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის უფლებებს და ყველა სახელმწიფო უწყებას ავალდებულებს მისი პრინციპების დაცვას, ადგილობრივი ხელისუფლების ჩათვლით. მიუხედავად ყოვლისმომცველი რეგულირებისა, კონსტიტუციაში არ არის პირდაპირი მითითება ხანდაზმულთა უფლებებზე, თუმცა გარანტირებულია საყოველთაო თავისუფლებები, კანონის წინაშე თანასწორობა და შრომითი უფლებები. მათ შორისაა სამართლიანი ანაზღაურებისა და უსაფრთხო სამუშაო პირობების უზრუნველყოფა, რაც ირიბად მოქმედებს ხანდაზმულ მუშაკთა სასარგებლოდ.

ბოლო კონსტიტუციური ცვლილებები განამტკიცებს სოციალურ უფლებათა კონსტიტუციურ სტატუსს და განსაკუთრებულად უსვამს ხაზს სოციალური სამართლიანობის, თანასწორობისა და სოლიდარობის პრინციპებს. კონსტიტუციის მიხედვით, სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს ჯანდაცვა, სოციალური დაცვა, მინიმალური საარსებო პირობები და ღირსეული საცხოვრებელი გარემო, ასევე, ხელი შეუწყოს დასაქმებას. ისტორიულად, საკონსტიტუციო სასამართლო ფრთხილად უდგება სოციალურ უფლებებს, მიუთითებს რა, რომ სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებს სასამართლო არ განიხილავს. თუმცა, ბოლო დროს, ამ კუთხით, გარკვეული გაუმჯობესებები შეინიშნება სასამართლოს პრაქტიკაში. სოციალურ უფლებებისადმი მიდგომაში კვლავ აღინიშნება გამოწვევები, რადგან ხშირად მიიჩნევენ, რომ ეს უფლებები დამოკიდებულია სახელმწიფო ორგანოთა დისკრეციაზე და არ მიეკუთვნება აღსრულებად სამართლებრივ გარანტიებს. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ხელშეკრულებებს მნიშვნელოვანი ნორმატიული ძალა აქვთ საქართველოს სამართლებრივ სისტემაში და პრიორიტეტი ენიჭებათ ეროვნულ კანონმდებლობასთან შედარებით (როცა არ ეწინააღმდეგებიან კონსტიტუციის დებულებებს), ევროპის სოციალურმა ქარტიამ შესაძლოა მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ხანდაზმულთა უფლებების რეალიზაციაში, თუ მას სათანადო ყურადღება დაეთმობა ეროვნულ დონეზე. ამიტომ, მნიშვნელოვანია, საქართველომ გადადგას ნაბიჯები ქარტიის იმ დებულებათა მისაღებად, რომლებსაც ჯერ არ მიეერთებია, და გაამყაროს თავისი სამართლებრივი ჩარჩო.

რაც შეეხება კოორდინირებული სტრატეგიის ჩამოყალიბებას დაბერების საკითხებსა და ხანდაზმულთა უფლებებთან დაკავშირებით: აღინიშნა, რომ მას შემდეგ, რაც ევროპის ეკონომიკურმა კომისიამ შეიმუშავა საგზაო რუკა დაბერების საკითხთა ინტეგრირებისათვის საქართველოში, ქვეყანამ 2016 წელს მიიღო მნიშვნელოვანი პოლიტიკის დოკუმენტი – „დაბერების საკითხებზე სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფცია“. იგი მოიცავს ხანდაზმულთა საჭიროებების ფართო სპექტრს, რომელთა შორისაც არის: ჯანდაცვის გაუმჯობესება, სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა, უწყვეტი განათლება და დასაქმების საკითხები. პრაქტიკაში განსახორციელებლად, დოკუმენტი ითვალისწინებდა ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავებას ამ საკითხების შესახებ. გეგმა 2017 წელს მიიღეს, თუმცა მისი განხორციელება სერიოზული გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა, რაც ხაზს უსვამს შეუსაბამობას პოლიტიკის დონეზე არსებულ განზრახვასა და რეალურ შედეგებს. ამავე პერიოდში, საქართველომ ასევე მიიღო მნიშვნელოვანი და ყოვლისმომცველი პოლიტიკის ჩარჩო – „დემოგრაფიული უსაფრთხოების კონცეფცია“, რომელიც მიზნად ისახავს ქვეყნის დემოგრაფიულ გამოწვევათა გადაჭრას და არსებით გავლენას ვერ ახდენს ხანდაზმულ მოსახლეობაზე. თუმცა, ჯერჯერობით ბუნდოვანია, მოჰყვა თუ არა მას რეალური, ხელშესახები შედეგები.

საქართველოს ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგია (2022-2030) და 2024-2026 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია იმისთვის, რომ ქვეყანამ შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები, ასევე, დაიცვას და განავითაროს ფუნდამენტური უფლებები სხვადასხვა სფეროში, ხანდაზმულთა უფლებების ჩათვლით. ამავდროულად, მკაფიოდ ფორმულირებული მიზნებისა და დეტალურად განერილი გეგმის მიუხედავად, კვლავ რჩება გამოწვევები, როგორიცაა უწყებათა შორისი თანამშრომლობა, საკანონმდებლო ცვლილებები, სამოქალაქო საზოგადოებასთან ერთად მუშაობა და რესურსების განაწილება. საქართველო ამჟამად მუშაობს ახალ, 2024-2026 წლების სამოქმედო გეგმაზე დაბერების საკითხების შესახებ, რომელიც მოიცავს უფრო ფართო სახელმწიფო სტრატეგიებსა და კოორდინირებულ ძალისხმევას. თუმცა, მის მიღებამდე, 6 წელზე მეტი გავიდა ხანდაზმულთა უფლებების ყოვლისმომცველი პოლიტიკისა და შესაბამისი სამოქმედო ნაბიჯების გარეშე. საერთო ჯამში, მართალია, საქართველომ ჩამოაყალიბა ყოვლისმომცველი სტრატეგიები ხანდაზმულთა უფლებებსა და საჭიროებებზე რეაგირებისათვის, რომელთა მიზანია აქტიური სოციალური მოქალაქეობის ახალ მოდელზე გადასვლა, თუმცა მათი ეფექტიანი განხორციელება კვლავ დამოკიდებულია პოლიტიკური, ადმინისტრაციული, რესურსებთან

დაკავშირებული და სხვა სახის გამოწვევების დაძლევაზე. საქართველოს ხელისუფლებისთვის პრიორიტეტული უნდა იყოს საკუთარი ვალდებულებების იდენტიფიცირება და განხორციელება ევროპის სოციალური ქარტიისა და სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის საქმიანობის ქრილში, ასევე, სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებების კონტექსტში. ეს აუცილებელია იმისთვის, რომ ქვეყნის სტრატეგიებში ინტეგრირდეს ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა და ხელისუფლებამ მიიღოს რეკომენდაციები განხორციელების პროცესში არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად.

რაც შეეხება ინსტიტუციურ აქტორთა შესაძლებლობებსა და ქმედითობას დაბერებისადმი ახალი პარადიგმის ჩამოყალიბებისა და ხანდაზმულთა უფლებების დაცვისგზაზე, პირველრიგში, უნდა განვიხილოთ ქვეყნის ინფრასტრუქტურა, როგორც ცენტრალურ, ასევე ადგილობრივ დონეზე. ზემოთ დეტალურად იყო განხილული, რომ ცენტრალურ დონეზე ხანდაზმულთა პოლიტიკის განსაზღვრაზე პასუხისმგებელია ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, თუმცა ეს პასუხისმგებლობა ნაწილდება სხვა სამინისტროებზეც. მიუხედავად ამისა, კვლავ არსებობს მნიშვნელოვანი გამოწვევები დაბერების საკითხებთან დაკავშირებული პოლიტიკის კოორდინაციის კუთხით, რადგან შესაბამისი პასუხისმგებლობები გადანაწილებულია სხვადასხვა უწყებას შორის, ეს კი ხელს უშლის სტრატეგიული დაგეგმვისა და მართვის ერთიანი პროცესის ჩამოყალიბებას. სხვა გამოწვევებს შორის აღსანიშნავია: ადამიანური და ფინანსური რესურსების ნაკლებობა, რაც აფერხებს ხანდაზმულობასთან დაკავშირებული საკითხების კომპლექსურად მოგვარებას; ასევე, ადგილობრივ ხელისუფლებასა და მომსახურების მიმწოდებლებთან კომუნიკაციისა და კოორდინაციის პრობლემები. ამასთან, აუცილებელია, განხორციელების პროცესში ჩაერთოს ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა, მათ შორის, ევროპის სოციალური ქარტიის საფუძველზე.

ადგილობრივ დონეზე, საქართველოში მუნიციპალიტეტებს მნიშვნელოვანი უფლებამოსილებები და ვალდებულებები აქვთ ხანდაზმულთა მიმართ, ხოლო მათი ქმედებები არსებით გავლენას ახდენს ამ პირთა უფლებების რეალიზაციაზე. მიუხედავად ამისა, მუნიციპალური მმართველობის ფარგლებში კვლავ არსებობს გამოწვევები, რომლებიც უკავშირდება სოციალური მომსახურებებისა და მხარდაჭერის უზრუნველყოფას მოწყვლადი ჯგუფებისთვის, მათ შორის, ხანდაზმულთათვის. ასევე, განსხვავებები შეინიშნება ურბანულ და სოფლის

რეგიონებს შორის, როგორც ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და ხარისხის, ასევე სერვისების სპექტრის მხრივ. პრობლემებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია: არასათანადო დაფინანსება; ერთჯერად დახმარებაზე დამოკიდებულება და ფრაგმენტული ინიციატივები, ნაცვლად კომპლექსური ზრუნვისა; ინსტიტუციური ზრუნვის შეზღუდული შესაძლებლობები; არათანმიმდევრული გადაწყვეტილებები ჯანმრთელობისა და სოციალური სერვისების მართვაში. ასევე აშკარაა, რომ უნდა გაიზარდოს ადამიანის უფლებათა სწავლება ადგილობრივ დონეზე და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოთა ჩართულობა საქართველოს მიერ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებაში, მათ შორის, ევროპის სოციალური ქარტიისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ქარტიის ფარგლებში.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ მართალია, საქართველოს ადგილობრივი მმართველობის ჩარჩო უზრუნველყოფს დეცენტრალიზებულ მიდგომას მმართველობის პროცესში, თუმცა ხანდაზმულთა უფლებების სრულფასოვნად რეალიზაციისთვის, აუცილებელია ხარვეზების აღმოფხვრა რესურსების განაწილებაში, მომსახურების მიწოდების სტანდარტიზაცია და ცნობიერების ამაღლება ადამიანის უფლებათა ვალდებულებებზე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის. ასევე მნიშვნელოვანია კოორდინაციის მექანიზმთა გაძლიერება, პოლიტიკის თანმიმდევრულობის გაუმჯობესება და ინკლუზიურ გადაწყვეტილებათა ხელშეწყობა, რათა საქართველოს მუნიციპალიტეტებში უკეთ იყოს დაცული ხანდაზმულებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების უფლებები და კეთილდღეობა.

საქართველოს ინფრასტრუქტურის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საყრდენია სახალხო დამცველის ოფისი, რომელიც ემსახურება ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას და ხელშეწყობას ქვეყანაში. დამოუკიდებლად მოქმედი სახალხო დამცველის ოფისი აკვირდება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების დაცვას, გასცემს რეკომენდაციებს, ახორციელებს ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ საგანმანათლებლო აქტივობებს, იღებს საჩივრებს ინდივიდუალური პირებისგან და მონაწილეობს სამართლებრივ დავებში. სახალხო დამცველის ოფისი აქტიურად მუშაობს ხანდაზმულთა უფლებების დაცვაზე და უწყვეტად აკვირდება მათ მდგომარეობას, ითვალისწინებს რა ხანდაზმული მოსახლეობის ზრდით წარმოქმნილ დემოგრაფიულ გამოწვევებს საქართველოში და მასთან დაკავშირებულ ადამიანის უფლებათა საკითხებს. ამ საქმიანობით,

უნყება მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოში ხანდაზმულთა უფლებების დაცვასა და ადვოკატირებაში.

იმისთვის, რომ სახალხო დამცველის ოფისმა შეძლოს ხანდაზმულთა უფლებების კომპლექსურად დაცვა და ხელი შეუწყოს ახალი მოდელის დანერგვას, მნიშვნელოვანია, გაფართოვდეს მისი მანდატი და ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად განისაზღვროს ხანდაზმულთა უფლებები. ამასთან, აუცილებელია დამატებითი ფინანსური რესურსების გამოყოფა ამ მიზნის მისაღწევად. საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია, თუ გავითვალისწინებთ მიმდინარე დისკუსიებს გაეროს ხელშეკრულებაზე ხანდაზმულთა უფლებების შესახებ, ასევე, გამოწვევებს, რომლებსაც საქართველოში მოქმედი სამოქალაქო ორგანიზაციები აწყდებიან ხანდაზმულთა უფლებების ადვოკატირებისას, როგორც აღინიშნება მომდევნო პარაგრაფში. გარდა ამისა, უფრო აქტიურად ჩართვა ევროპის სოციალური ქარტიისა და სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის საქმიანობაში, სახალხო დამცველის ოფისს დაეხმარება ამ მიზნის მიღწევაში.

არასახელმწიფო აქტორები, განსაკუთრებით, არასამთავრობო ორგანიზაციები, ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მომსახურებების, მათ შორის, მუნიციპალიტეტთა მიერ დაფინანსებული შინმოვლის სერვისების მიწოდებაში. ზოგადად, სამოქალაქო საზოგადოებას შეუძლია, საგულისხმო მხარდაჭერა გაუწიოს ხანდაზმულ პირებს საქართველოში, თუმცა ამ სფეროში მაინც არსებობს მნიშვნელოვანი ხარვეზები და გამოწვევები. როგორც წესი, საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციები პოლისტიკური მიდგომით მოქმედებენ და, ისტორიულად, ხანდაზმულთა უფლებები და საჭიროებები არ არის პრიორიტეტული მიმართულება მათთვის. ამასთან, არასამთავრობო სექტორი კვლავ ძალზე შეზღუდულად ერთვება ევროპის სოციალური ქარტიისა და სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის საქმიანობაში. როგორც აღინიშნა, საქართველოს პენსიონერთა კავშირის გარდა, რომელსაც საკმაოდ დაბალი შესაძლებლობები აქვს ადვოკატირების კუთხით, ქვეყანაში არ არსებობს სხვა სპეციალიზებული არასამთავრობო ორგანიზაციები ან გაერთიანებები, რომლებიც ფოკუსირებულნი იქნებიან ექსკლუზიურად ხანდაზმულთა უფლებებზე. ამასთან, ხანდაზმულთა თვითადვოკატირების პრაქტიკა, ფაქტობრივად, არ არსებობს, რასაც განაპირობებს კულტურული და სხვა სახის ბარიერები.

განსხვავებით სხვა მოწყვლადი ჯგუფებისგან (მაგალითად, შეზღუდული

შესაძლებლობის მქონე პირებისგან), საქართველოში არ არსებობს სპეციალური საბჭო ან სამუშაო ჯგუფი, რომელიც ექსკლუზიურად ხანდაზმულთა საკითხებზე იმუშავებდა. ამგვარი პლატფორმების არარსებობა ზღუდავს სტრუქტურირებულ დისკუსიებსა და თანამშრომლობას სახელმწიფო ინსტიტუტებს, სამოქალაქო საზოგადოებასა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის, ხანდაზმულთა საჭიროებებთან დაკავშირებულ პოლიტიკასა და პროგრამებზე. გარდა ამისა, ბოლო პერიოდში მიღებული საკანონმდებლო ზომების შედეგად, რომლებიც შეხება უცხოური გავლენის რეგულირებას, დაიძაბა თანამშრომლობა სამთავრობო და არასამთავრობო სექტორებს შორის, რამაც შეიძლება შეაფერხოს ერთობლივი ძალისხმევა ადამიანის უფლებების, მათ შორის, ხანდაზმულთა უფლებების დასაცავად. სოციალურ მომსახურებებში კერძო სექტორი კვლავ შეზღუდულად ერთვება, ხოლო მოხალისეობის კულტურა ჯერაც განვითარების საწყის ეტაპზე.¹¹² ამ გამოწვევათა დასაძლევად, აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოების აქტიური ჩართულობის ხელშეწყობა, ინიციატივების შექმნა ხანდაზმულთა უფლებების ადვოკატირებისთვის, პლატფორმების ჩამოყალიბება დაინტერესებულ მხარეთა შორის სტრუქტურირებული დიალოგისთვის და კვლევების გაძლიერება ხანდაზმულობის საკითხებზე. ეს ნაბიჯები გადამწყვეტია ხანდაზმულთა უფლებებისა და კეთილდღეობის ეფექტიანად დასაცავად საქართველოში, ხოლო ევროპის სოციალური ქარტია შესაძლოა მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი გახდეს ამ პროცესის ხელმძღვანელობისათვის.

და ბოლოს, რაც შეეხება კვლევებისა და მონაცემების ხელმისაწვდომობას, საქართველო მნიშვნელოვან გამოწვევებს აწყდება ამ კუთხით. ყოვლისმომცველი მონაცემების ნაკლებობა ხანდაზმულთა შესახებ ხელს უშლის მათ საჭიროებებზე მორგებული ეფექტიანი პოლიტიკისა და პროგრამების შემუშავებას. არსებითი ხარვეზები შეინიშნება ისეთ კრიტიკულ სფეროებში, როგორიცაა ხანდაზმულთა მიმართ ძალადობა და უსახლკარობა. დაინტერესებული მხარეები ხაზგასმით მიუთითებენ ასაკის მიხედვით დეტალიზებულ მონაცემთა საჭიროებაზე, რათა შესაძლებელი გახდეს მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღება. ამ საკითხებთან დაკავშირებით, აკადემიური და პოლიტიკის კვლევები მცირე რაოდენობით ტარდება და ხშირად მოკლებულია ობიექტურობას, რადგან მათი ჩატარება დიდწილად დამოკიდებულია საერთაშორისო დონორების დაფინანსებაზე. ეს დაფინანსება ყოველთვის არ შეესაბამება ადგილობრივ

112 იხ. საქართველოს კანონი „მოხალისეობის შესახებ“.

პრიორიტეტებს და შესაძლოა, ზუსტად ვერ ასახავდეს ხანდაზმულთა რეალურ სურვილებსა და საჭიროებებს, განსაკუთრებით, აქტიურად დაბერებისა და დამოუკიდებელი ცხოვრების კუთხით.

4.3 თემატური და პოლიტიკაზე ორიენტირებული საკითხები და ხარვეზები

მუშაობა და უწყვეტი მომზადება/სწავლა

ჩვენს ანალიზზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ხანდაზმულთა დასაქმებისა და უწყვეტი განათლების სისტემას მრავალი გამოწვევა ახასიათებს და შეზღუდული ინსტიტუციური მხარდაჭერა აქვს, რაც ართულებს შესაბამისობას ქართულის მოთხოვნებთან. ხანდაზმული მოსახლეობა, ზოგადად, უფრო დაბალი განათლებით გამოირჩევა, ვიდრე ახალგაზრდა თაობები, რაც კიდევ უფრო აღრმავებს შეუსაბამობას არსებულ უნარებსა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ 2015 წლიდან საქართველომ დაიწყო სახელმწიფო პროგრამების განხორციელება დასაქმების ხელშესაწყობად და უნარების განვითარებისათვის, ეს ინიციატივები, ძირითადად, ფოკუსირებული იყო იმ სამუშაოს მაძიებელთა მხარდაჭერაზე, რომლებიც არიან საპენსიო ასაკს ქვემოთ. შესაბამისად, ხანდაზმულები, რომლებიც ოფიციალურად მიიჩნევიან საპენსიო ასაკის პირებად, არსებითად გამოირიცხებიან ამ პროგრამებიდან და აღარ განიხილებიან შრომის ბაზრის აქტიურ ნაწილად. დასაქმების ხელშეწყობის პროგრამები, ძირითადად, მიმართულია მოწყვლადი ჯგუფების, მაგალითად, შშმ პირების მხარდაჭერაზე და არ ითვალისწინებს კონკრეტულ წამახალისებელ საშუალებებს ან მიმართულებებს ხანდაზმული მუშაკებისთვის, ან საპენსიო ასაკს მიღმა მეწარმეობის ხელშესაწყობად. გამონაკლის შემთხვევებში, ხანდაზმულებს შეუძლიათ მოსამზადებელ პროგრამებში მონაწილეობა (საკანონმდებლო შეზღუდვების მიუხედავად), საკუთარი ინიციატივით წარდგენილი განცხადებისა და განსაკუთრებული სტატუსის (საპენსიო ასაკის მოქალაქე) საფუძველზე. თუმცა, ასეთ პროგრამებში ხანდაზმულთა საგამონაკლისო წესით მონაწილეობა არ შეესაბამება სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის მოთხოვნებს.

საქართველოს განათლების სტრატეგია, ძირითადად, ორიენტირებული იყო ახალგაზრდა თაობის პროფესიულ მომზადებაზე, რაც კიდევ უფრო ხაზგასმით წარმოაჩენდა ხანდაზმული მუშაკებისთვის განკუთვნილი სტრუქტურირებული უწყვეტი განათლების ნაკლებობას. 2019 წლიდან განათლების, მეცნიერებისა და

ახალგაზრდობის სამინისტრომ დაიწყო ზრდასრულთა განათლების სისტემის განვითარება, ხოლო მოკლევადიანი პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამები ფორმალური განათლების სისტემის ნაწილად იქცა. მიუხედავად ამ ძალისხმევისა, კვლავაც არ არსებობს სრულფასოვანი სისტემა, რომელიც მოერგება ხანდაზმულ მუშაკთა მიმდინარე საგანმანათლებლო საჭიროებებს, განსაკუთრებით, საპენსიო ასაკის მქონე დასაქმებულთა შემთხვევაში.

საქართველოს კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“, შრომის კოდექსთან ერთად, უზრუნველყოფს გარკვეულ გარანტიებს, რომლებიც აქტუალურია ხანდაზმული შშმ პირებისთვის. მათ შორისაა გონივრული მისადაგების ვალდებულება დასაქმებაში. თუმცა, კვლავ არსებობს სისტემური ბარიერები, როგორიცაა შეზღუდული ინვლდომის საგანმანათლებლო დაწესებულებებზე, საცხოვრებელ გარემოზე, ტრანსპორტსა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე, რაც ხელს უშლის შშმ პირთა, მათ შორის, ხანდაზმულთა სრულფასოვან მონაწილეობას შრომის ბაზარზე და ეწინააღმდეგება ქარტიის მოთხოვნებს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობა ძლიერ სამართლებრივ დაცვას უზრუნველყოფს ასაკობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ (რასაც ითხოვს სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი), ასაკზე დაფუძნებული დისკრიმინაციული დასაქმების პრაქტიკა მაინც ფართოდ არის გავრცელებული, განსაკუთრებით, კერძო სექტორში. ეს პრობლემა კვლავ აქტუალურია, მიუხედავად მტკიცებულებებისა, რომ ხანდაზმული მუშაკები მნიშვნელოვან გამოცდილებასა და საიმედოობას სძენენ სამუშაო ძალას.

გარდა ამისა, ხანდაზმულთა სპეციფიკური დებულებების არარსებობა შრომის კოდექსში კიდევ უფრო ართულებს მათი დასაქმების შესაძლებლობებს. ამგვარად, არ არსებობს მათ საჭიროებებზე მორგებული რეგულაციები, მაგალითად, მექანიზმები ზრუნვის მოვალეობის შესამსუბუქებლად.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ მართალია, საქართველომ გარკვეული ნაბიჯები გადადგა დასაქმების ხელშესაწყობად და უნარების განვითარებისთვის, კვლავაც რჩება მნიშვნელოვანი ხარვეზები ხანდაზმულ მუშაკთა სპეციფიკურ საჭიროებებთან დაკავშირებით. მათ შორისაა: ხანდაზმულებზე პროაქტიულად მორგებული და ფორმალიზებული უწყვეტი განათლების შესაძლებლობათა ნაკლებობა; ხანდაზმულ მუშაკთა ყოვლისმომცველად დაცვა შრომის

კანონმდებლობაში; და ასაკობრივ დისკრიმინაციასთან ბრძოლა, განსაკუთრებით, დასაქმებისა და სამსახურიდან გათავისუფლების პროცესებში. ამ ხარვეზებზე რეაგირება ევროპის სოციალური ქარტიისა და სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის საქმიანობის ქრილში, ხელს შეუწყობდა კანონმდებლობის გაუმჯობესებას, საგანმანათლებლო შესაძლებლობათა გაფართოებას და ისეთი ინკლუზიური პოლიტიკის ჩამოყალიბებას, რომელიც მხარს დაუჭერდა აქტიურ დაბერებას და ხანდაზმულთა უწყვეტ სწავლებას საქართველოში.

სოციალური უზრუნველყოფა, დახმარება და მხარდაჭერის სეხვისები

საქართველოს მიდგომა ხანდაზმულთა სოციალური უზრუნველყოფის, დახმარებისა და მხარდაჭერის სერვისების მიმართ შეესაბამება სოციალური დაცვის ვალდებულებას ინკლუზიურ ზრდაზე მიმართული ფართო ეკონომიკური რეფორმების პირობებში. 2003 წლიდან საქართველომ გადაუხვია სოციალური უზრუნველყოფის ტრადიციული, პოსტსაბჭოთა მოდელებიდან და დაამკვიდრა გადასახადებზე დაფუძნებული სისტემა, რომელიც პრიორიტეტს ანიჭებს საყოველთაო ასაკობრივ პენსიებს, შშმ პირთა დახმარებას, სიღარიბის აღმოსაფხვრელ პროგრამებს და საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამას. ნათელია, რომ მთავრობა აღიარებს სოციალური დაცვის გადამწყვეტ მნიშვნელობას ინკლუზიური ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობაში.

საქართველოს სოციალური დაცვის სისტემის ფუნდამენტია საყოველთაო ასაკობრივი პენსია. მართალია, ზოგიერთი კრიტიკოსის თქმით, ასეთი საყოველთაოობა შეიძლება ირიბად ხელს უწყობდეს არაფორმალური დასაქმების ზრდას, ასაკობრივმა პენსიამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ხანდაზმულთა უკიდურესი სიღარიბის პრევენციაში. თუმცა, მისი ოდენობა კვლავ საერთაშორისო სტანდარტებს ქვემოთ რჩება და არ კმარა ღირსეული ცხოვრების დონის უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებით, ჯანდაცვის, მედიკამენტებისა და კვების საჭიროებათა გათვალისწინებით, რაც ეწინააღმდეგება სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის მოთხოვნებს. საყოველთაო პენსია, ცალკე აღებული, ხშირად არ კმარა მოწყვლადი ჯგუფებისთვისაც, რომელთაც მრავალმხრივი საჭიროებები აქვთ, ეს კი ცხადყოფს დამატებითი მხარდაჭერის მექანიზმთა საჭიროებას.

საყოველთაო, არადაგროვებით პენსიაზე დამატებით, საქართველომ 2018 წელს შემოიღო სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სქემა, რომლის მიზანია პენსიების უზრუნველყოფა და ეკონომიკური ზრდის სტიმულირება ინვესტიციების გზით.

ამავდროულად, კვლავ რჩება ეჭვები, რომლებიც უკავშირდება მის სამართლიან გადანაწილებას, სოლიდარობის მექანიზმთა არარსებობას და უთანასწორობის ეფექტიანად დაძლეवास, განსაკუთრებით, ქალების შემთხვევაში, რომლებსაც, როგორც წესი, უფრო მოკლე შრომითი კარიერა და დაბალი შემოსავლები აქვთ.

ამ ძალისხმევის მიუხედავად, ნარჩუნდება ხარვეზები საქართველოს სოციალური დაცვის სისტემაში, მათ შორის, არ არსებობს უმუშევრობის დახმარება, სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობის დაზიანების დაზღვევა და გარდაცვლილის ოჯახის წევრის პენსია (survivors' benefits) ზრდასრულთათვის. ეს ასახავს არსებულ გამოწვევებს ხანდაზმულთა სასიცოცხლო ციკლის რისკების სრულფასოვნად მართვასა და კომპლექსური სოციალური დაცვის უზრუნველყოფაში. ამასთან, საჭიროა გენდერული ასპექტების აღიარება, რასაც ითხოვს ევროპის სოციალური ქარტია და ევროპის საბჭოს სხვა დოკუმენტები.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სოციალური დაცვის ჩარჩო ხელს უწყობს ხანდაზმულთა მიმართ აღებული ვალდებულებების შესრულებას საყოველთაო პენსიისა და მზარდი საპენსიო სისტემების მეშვეობით. თუმცა, საჭიროა რეფორმები სისტემის ადეკვატურობის გასაზრდელად, გენდერულ უთანასწორობებზე რეაგირებისთვის და დაფარვის გასაფართოებლად, რაც უზრუნველყოფს მხარდაჭერის კომპლექსურ სერვისებს ხანდაზმულ ასაკში ღირსეული ცხოვრებისათვის. რეფორმების ფარგლებში, პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს რეაგირებას სოციალურ უზრუნველყოფაში არსებულ ხარვეზებზე და ისეთი მექანიზმების დანერგვას, რომლებიც ხელს შეუწყობს თანასწორობასა და მდგრადობას მთლიანი სისტემის ფარგლებში, საქართველოში არსებულ დემოგრაფიულ გამოწვევათა გათვალისწინებით.

რაც შეეხება სოციალურ დახმარებას, ქვეყანაში არსებული სისტემა მიზნად ისახავს სიღარიბის შემცირებას და სოციალური უზრუნველყოფის გაუმჯობესებას სხვადასხვა მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამისა და დახმარების მეშვეობით. ამ ძალისხმევის ცენტრალური ელემენტია მიზნობრივი სოციალური დახმარება, რომლის ბენეფიციართა მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ ხანდაზმული პირები, განსაკუთრებით, ქალები. მიუხედავად პროგრამის ფართო დაფარვისა, კვლავ რჩება გამოწვევები, მათ შორის, შეცდომები, რომლებიც უკავშირდება ბენეფიციართა ჩართვა-გამორიცხვას მათი იდენტიფიკაციის პროცესში, ადმინისტრაციული შეფერხებები დახმარების გაცემისას და დამოკიდებულების რისკი ხანგრძლივ

ბენეფიციართა შემთხვევაში. ეს კი შეიძლება პრობლემურად ჩაითვალოს ქარტიისა და სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის განმარტებითი მიდგომის შესაბამისად.

სოციალური დახმარების მიზნობრივ პროგრამას დიდი ხანია აკრიტიკებენ იმის გამო, რომ ბენეფიციარებს დასაქმების მოტივაციას უკარგავს, რადგან, დასაქმების შემთხვევაში, თუ მათი შემოსავალი მინიმალურ ზღვარს გადააჭარბებს, დაკარგავენ დახმარებას. ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად, ბოლო რეფორმებმა ნაწილობრივ შეცვალა სისტემა, რაც ბენეფიციარებს საშუალებას აძლევს, ყოველგვარი ავტომატური დისკვალიფიკაციის გარეშე დასაქმდნენ. ეს ცვლილება წაახალისებს ეკონომიკურ მობილობას და, ამავედროულად, ინარჩუნებს სოციალურ მხარდაჭერას. თუმცა, 2015 წლიდან კვლავ ნარჩუნდება ხარვეზები შემწეობის ინფლაციაზე მორგების კუთხით, რაც ხაზს უსვამს გამოწვევებს ბენეფიციართა მსყიდველობითი უნარის შენარჩუნებაში, ეკონომიკური რყევების ფონზე.

გარდა ამისა, საქართველოს სოციალური დახმარების სისტემის მნიშვნელოვანი საყრდენია სოციალური პაკეტის პროგრამა - ქვეყნის სოციალური სისტემის კრიტიკული კომპონენტი, რომლის მიზანია მოწყვლადი ჯგუფების, მათ შორის, შშმ პირების მხარდაჭერა, სიღარიბის შემცირება და სოციალური უზრუნველყოფის გაუმჯობესება. მიუხედავად მნიშვნელოვანი გავლენისა, სოციალური პაკეტის პროგრამა გამოწვევებს აწყდება ბენეფიციართა შერჩევის კრიტერიუმებისა და დახმარების განსაზღვრაში. კერძოდ, არსებული ინფორმაციით, პროგრამის ეს კომპონენტები არ არის საკმარისად ინკლუზიური და არ ეყრდნობა ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომას. ამასთან, შეზღუდული შესაძლებლობის შეფასების სისტემა ეფუძნება მხოლოდ სამედიცინო დიაგნოზებს, რაც ნიშნავს, რომ სოციალური პაკეტით სარგებლობის კრიტერიუმები შესაძლოა სრულად ვერ ასახავდეს შშმ პირთა მრავალფეროვან საჭიროებებსა და გარემოებებს.

გარდა ამისა, სოციალური პაკეტის ფარგლებში გაწეული ფინანსური დახმარება არადამაკმაყოფილებლად ითვლება, რადგან ვერ ფარავს ძირითად საარსებო ხარჯებსა და მინიმუმს, განსაკუთრებით, ქალაქებში, სადაც ეს ხარჯები მაღალია. ამასთან, სოციალურ პაკეტთან დაკავშირებულ ზოგიერთ რეგულაციას აკრიტიკებენ დისკრიმინაციულობის გამო. მაგალითად, ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირებს არ აქვთ სოციალური პაკეტის მიღების უფლება, თუკი სხვა ქვეყნიდან უკვე იღებენ პენსიას, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მოქალაქეებიც არიან. საშუალოდ

გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ვერ სარგებლობენ სოციალური პაკეტით, თუ შშმ სტატუსი ბავშვობიდან არ აქვთ. შშმ ხანდაზმულები ვერ იღებენ ერთდროულად რამდენიმე სოციალურ შეღავათს, მაგალითად, სოციალურ პენსიასა და სოციალურ პაკეტს. ამგვარი დისკრიმინაციული პრაქტიკა შეიძლება ქართვის სტანდარტებთან შეუსაბამოდ ჩაითვალოს.

რაც შეეხება სოციალურ სერვისებს, სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვებზე ზრუნვის პროგრამა მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოწყვლადი მოსახლეობის, განსაკუთრებით, ხანდაზმულთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მხარდაჭერაში. პროგრამა მოიცავს სხვადასხვა სერვისს, როგორიცაა დღის ცენტრები, დამხმარე მოწყობილობები, თემზე დაფუძნებული მომსახურებები და შინმოვლის სერვისები. თუმცა, ქვეყანაში არ არსებობს ინტეგრირებული და ერთიანი ზრუნვის სისტემა, რომელიც დააკმაყოფილებდა ხანდაზმულთა სპეციალურ საჭიროებებს. გრძელვადიანი ზრუნვის სერვისებში საქართველო მნიშვნელოვან ხარვეზებს აწყდება როგორც სამედიცინო, ასევე არასამედიცინო მხარდაჭერის ნაწილში, რასაც კიდევ უფრო ამძაფრებს არასაკმარისი დაფინანსება და არაეფექტიანი ინფრასტრუქტურა სპეციალიზებულ დაწესებულებებში. გარდა ამისა, ქვეყანაში არ კმარა იმ სპეციალიზებულ დაწესებულებათა რაოდენობა, რომლებიც ინსტიტუციურ ზრუნვას სთავაზობენ ხანდაზმული პირებს, რომლებსაც შინ დარჩენა არ შეუძლიათ. თბილისსა და ქუთაისში არსებობს სახელმწიფოს მიერ მართული რეზიდენტული დაწესებულებები, თუმცა მათი შესაძლებლობები და მომსახურების ხარისხი არაერთხელ გამხდარა კრიტიკის საგანი. ეს ასახავს ფართო გამოწვევებს ხანდაზმულებზე ადეკვატური ზრუნვის სტანდარტთა უზრუნველყოფაში, ასევე, რეზიდენტული ზრუნვის გაუმჯობესების საჭიროებას. ამასთან, არ არსებობს დღის განმავლობაში ზრუნვის სახელმწიფო პროგრამა, მიმართული კონკრეტულად ხანდაზმულებსა და მათ სპეციალურ საჭიროებებზე, ანდა ამ მიზნით შექმნილი დღის ცენტრები.

გარდა ამისა, უფლებათა დარღვევები კერძო დაფინანსებით მოქმედ დაწესებულებებში ხშირად ყურადღების მიღმა რჩება, რასაც განაპირობებს არასაკმარისი შესაძლებლობები, სერვისების დაბალი ხარისხი და ყოვლისმომცველი ზედამხედველობის ნაკლებობა ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მხრიდან. ამ ტიპის დაწესებულებებში არსებულ გამოწვევებს შორისაა: ცნობიერების ნაკლებობა სამართლებრივი სტანდარტების შესახებ, უფლებათა დარღვევები ბენეფიციართა

მიღების პროცესში, არასათანადო ინფრასტრუქტურა, ჯანდაცვის უგულებელყოფა, ფსიქიკური ჯანმრთელობის მხარდაჭერის არარსებობა, ასევე, მომვლელთა დაბალი კვალიფიკაცია და შრომითი უფლებების დარღვევა. ეს პრობლემები ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებს, მათ შორის, ევროპის სოციალური ქარტიის მოთხოვნებს.

ამავდროულად, კვალიფიციურ სოციალურ მუშაკთა ნაკლებობა კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება, რაც ზეგავლენას ახდენს ზრუნვის სერვისების ხარისხსა და ხელმისაწვდომობაზე, განსაკუთრებით, სოფლებში. მცდარი წარმოდგენები სოციალურ მუშაობაზე კიდევ უფრო ართულებს ძალისხმევას, რომელიც მიემართება ბენეფიციართა გაძლიერებას და ინსტიტუციურ ზრუნვაზე დაფუძნებული პრაქტიკის ეტაპობრივ ჩანაცვლებას. ამ გამოწვევათა გადასაჭრელად, აუცილებელია ყოვლისმომცველი რეფორმები, მათ შორის, კერძო დაფინანსებით მოქმედ დაწესებულებათა რეგულირების გაუმჯობესება, რათა დაცული იყოს ადამიანის უფლებათა სტანდარტები და გაიზარდოს მომსახურების ხარისხი. ევროპის სოციალური ქარტიისა და სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის მოთხოვნათა შესაბამისად, საჭიროა ისეთი ზომების გატარება, როგორიცაა: დაწესებულებათა სათანადოდ ლიცენზირება, დამოუკიდებელი ზედამხედველობის მექანიზმთა ამოქმედება, საჩივართა განხილვის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება, პერსონალის გადამზადება და ღირსეული სამუშაო პირობების შექმნა. ევროპის სოციალური ქარტიის მიხედვით, სახელმწიფოები ვალდებული არიან, უზრუნველყონ, რომ ამ ხელშეკრულებით გარანტირებულ უფლებებს იცავდნენ არა მხოლოდ სახელმწიფო ინსტიტუტები, არამედ კერძო სუბიექტებიც.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მართალია, საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა მოწყვლადი პოპულაციისთვის, მათ შორის, ხანდაზმულებისა და შშმ პირებისთვის სოციალური სერვისების მისაწოდებლად, კვლავ არსებობს სერიოზული გამოწვევები ისეთი კუთხით, როგორიცაა თანაბარი ხელმისაწვდომობა, ხარისხის გაუმჯობესება და რეაგირება ეფექტიანი ზრუნვის დამაბრკოლებელ სისტემურ ბარიერებზე. ინტეგრირებული და ერთიანი ზრუნვის სისტემის ჩამოსაყალიბებლად, აუცილებელია უწყვეტი რეფორმები, ასევე, მეტი ინვესტიციები, რათა დაკმაყოფილდეს ხანდაზმულთა მრავალმხრივი საჭიროებები და ხელი შეეწყოს მათ კეთილდღეობასა და სოციალურ ინტეგრაციას მთელი ქვეყნის მასშტაბით.

ჯანდაცვა

საქართველოს ჯანდაცვის სექტორმა ბოლო ათწლეულებში მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა, რაც გამოიხატა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდით და სიკვდილიანობის შემცირებით. მიუხედავად ამ მიღწევებისა, ქვეყანაში მნიშვნელოვნად შემცირდა მოსახლეობა, რაც, ძირითადად, უკავშირდება ემიგრაციასა და დაბალ შობადობას და კიდევ უფრო უსვამს ხაზს ხანდაზმული მოსახლეობის ჯანდაცვის მზარდ საჭიროებებს. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ამოქმედებამ (2013) მოსახლეობის თითქმის 98%-სთვის გააფართოვა წვდომა ჯანმრთელობის დაცვის დაზღვევაზე. მიუხედავად ამ პროგრესისა, სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის შეფასებით, ჯანდაცვის სექტორში კვლავ არსებობს მნიშვნელოვანი გამოწვევები. მათ შორისაა: მედიკამენტთა მაღალი ღირებულება, ზოგიერთ რეგიონში მაღალი „ჯიბიდან“ გადასახადები ჯანდაცვის სერვისებისთვის, სოციალური ინტეგრაციის არასაკმარისი სერვისები ფსიქიკური ჯანმრთელობის ბენეფიციართათვის და ფსიქიატრიულ დაწესებულებებში სავალდებულო სამედიცინო ჩარევებთან დაკავშირებული კრიტიკა. ასევე საჭიროა გერიატრიული დახმარების გაუმჯობესება, მათ შორის, გერიატრიის ინტეგრირება სამედიცინო განათლების პროგრამებში და სპეციალიზებულ სერვისთა განვითარება, რომლებიც უფრო ეფექტიანად უპასუხებს ხანდაზმული მოსახლეობის საჭიროებებს. აუცილებელია პალიატიური მზრუნველობის ახალ დაწესებულებათა გახსნაც. და ბოლოს, საქართველოში ექთნები კვლავ აწყდებიან მნიშვნელოვან გამოწვევებს, რომელთა შორისაც არის მძიმე სამუშაო პირობები და არასაკმარისი მხარდაჭერის პოლიტიკა. მიუხედავად იმისა, რომ ბოლოდროინდელი საკანონმდებლო ცვლილებები მიემართებოდა მათ დაბალ ანაზღაურებას, სერტიფიცირებასა და განათლების საკითხებს, ქვეყანაში კვლავ ექთნების დეფიციტია.

დასასრულს, მართალია, საქართველომ შეძლო, გაეფართოებინა ჯანდაცვის პროგრამის დაფარვა და განეხორციელებინა ეროვნული სტრატეგია ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ გამოწვევათა დასაძლევად, კვლავ რჩება ხარვეზები სპეციალურ ზრუნვაში, რომელიც ესაჭიროებათ ხანდაზმულებს, ქრონიკულ დაავადებათა მქონე პაციენტებსა და ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისთა მომხმარებლებს. მოსახლეობის მზარდი ჯანდაცვითი საჭიროებების ეფექტიანად დაკმაყოფილებისა და ქარტიის სტანდარტებთან შესაბამისობისთვის, აუცილებელია დამატებითი ინვესტიციების ჩადება ჯანდაცვის ინფრასტრუქტურაში, პრევენციული ჯანდაცვის სტრატეგიების განვითარება და პროფესიული კადრების

მომზადება.

ძალადობისა და ბოიკოტად მოპყრობის პრევენცია

საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ოჯახში ძალადობისა და ბოროტად მოპყრობის წინააღმდეგ, თუმცა კვლავ არსებობს გარკვეული გამოწვევები. თავშესაფრებსა და კრიზისულ ცენტრებზე დამოკიდებულებამ გამოავლინა როგორც რაოდენობრივი, ასევე ხარისხობრივი ხარვეზები. პროაქტიული პრევენციული ზომები და მსხვერპლთა საჭიროებებზე მორგებული ყოვლისმომცველი სოციალური მომსახურებები კვლავ არასაკმარისია. გარდა ამისა, ბიუროკრატიული შეფერხებები და მხარდაჭერის არაადეკვატური ხანგრძლივობა მსხვერპლს ხელს უშლის გრძელვადიანი დამოუკიდებლობისა და სოციალური რეინტეგრაციის მიღწევაში თავშესაფრიდან გამოსვლის შემდეგ. წვდომა ფსიქოლოგიურ დახმარებაზე, ფინანსურ მხარდაჭერასა და პროფესიულ მომზადებაზე არათანაბარია, განსაკუთრებით, რეგიონებში, სადაც ეს სერვისები ბევრად ნაკლებად ხელმისაწვდომია, ურბანულ ცენტრებთან შედარებით.

ხანდაზმულთა მიმართ ბოროტად მოპყრობა, განსაკუთრებით, უგულებელყოფა და ფიზიკური, ფსიქოლოგიური თუ ფინანსური ძალადობა, საქართველოში მნიშვნელოვანი პრობლემაა. ხანდაზმული პირები აწყდებიან სერიოზულ გამოწვევებს, როგორიცაა ფსიქოსოციალური მომსახურებების, სპეციალიზებული პროგრამებისა და ეფექტიანი მონიტორინგის სისტემების ნაკლებობა, რაც ეწინააღმდეგება ქართიის მოთხოვნებს. მიუხედავად იმისა, რომ ხანდაზმულ მსხვერპლთათვის ხელმისაწვდომია საბაზისო სერვისები, როგორიცაა სამედიცინო დახმარება, იურიდიული კონსულტაცია და დროებითი თავშესაფარი, ხშირად ისინი არ არის მორგებული ამ პირთა უნიკალურ საჭიროებებზე. ეს კიდევ უფრო ამძაფრებს დაცვისა და მხარდაჭერის სისტემაში არსებულ ხარვეზებს და მიუთითებს, რომ ხანდაზმულთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და რეაგირების მექანიზმები მეტად უნდა მოერგოს ამ ჯგუფის სპეციფიკურ საჭიროებებს.

გენდერული ძალადობა, რომელიც განსაკუთრებულად ხანდაზმულ ქალებზე ახდენს გავლენას, საქართველოში კვლავაც ფართოდ გავრცელებული პრობლემაა. მიუხედავად კანონმდებლობის გაუმჯობესებისა, მისი ეფექტიანი აღსრულება და სახელმწიფო უწყებათა შორის კოორდინაცია კვლავაც არ არის საკმარისი დონის. ღრმად ფესვადგმული პატრიარქალური დამოკიდებულებები ხელს უწყობს გენდერული ძალადობისადმი ტოლერანტობის შენარჩუნებას საზოგადოებაში, რაც

კიდევ უფრო ზრდის ხანდაზმულ პირთა მოწყვლადობას ოჯახურ გარემოში.

თანასწორობა და დისკრიმინაციის აკრძალვა

საქართველოში თანასწორობის უზრუნველსაყოფად და დისკრიმინაციის ასაკრძალად გაღებული ძალისხმევა ეფუძნება საკანონმდებლო ჩარჩოს, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ პირთა დაცვას სხვადასხვა ფორმის, მათ შორის, ასაკის ნიშნით დისკრიმინაციისგან, რასაც ითხოვს სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი. ამავდროულად, სხვადასხვა ჯგუფი კვლავ აწყდება გამოწვევებს, განსაკუთრებით, ისეთი კუთხით, როგორიცაა გენდერული თანასწორობა და ზრუნვის ტრადიციული როლების გავლენა ქალთა მონაწილეობაზე სამუშაო ძალაში. გარდა ამისა, საქართველოში განსხვავებული საპენსიო ასაკია დაწესებული კაცებისა (65 წელი) და ქალებისთვის (60 წელი), რაც შესაძლოა უარყოფითად აისახოს ქალთა საპენსიო დანაზოგებსა და ფინანსურ დაცულობაზე ხანდაზმულ ასაკში. საპენსიო სისტემა საკმარისად არ ითვალისწინებს იმ ქალთა მდგომარეობას, რომლებიც ჩართულნი არიან აუნაზღაურებელ ზრუნვასა და საოჯახო საქმიანობაში, რაც კიდევ უფრო ამწვავებს გენდერულ უთანასწორობას საპენსიო შემოსავლებში და ეწინააღმდეგება ევროპის სოციალური ქარტიის სტანდარტებსა თუ კომიტეტის განმარტებებს. გენდერულ საკითხებთან ერთად, ასაკის ნიშნით დისკრიმინაცია საქართველოში კვლავ აქტუალურ პრობლემად რჩება ისეთი მიმართულებებით, როგორიცაა ჯანმრთელობისა და სამოგზაურო დაზღვევის შეძენა ან ფინანსური პროდუქტების ხელმისაწვდომობა ხანდაზმულებისთვის, რაც ეწინააღმდეგება ევროპის სოციალური ქარტიის მოთხოვნებს. გარდა ამისა, სხვა მარგინალიზებული ჯგუფები, როგორებიც არიან ლგბტქი პირები და ეთნიკური უმცირესობები, საქართველოში ისევ განიცდიან სისტემურ გარიყულობას და დისკრიმინაციას, რაც არღვევს ქვეყნის საერთაშორისო ვალდებულებებს. ამასთან, კვლავ უგულებელყოფილია იძულებით გადაადგილებულ პირთა/დევნილთა ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის დამატებითი საჭიროებები.

საქართველო მნიშვნელოვან გამოწვევებს აწყდება ყველა მოქალაქისთვის თანასწორი უფლებებისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფაში, განსაკუთრებით, ისეთ ურთიერთგადაშვებულ საკითხებთან მიმართებით, როგორიცაა ასაკი, გენდერი, ეთნიკური კუთვნილება და დევნილთა სტატუსი. ამ გამოწვევათა დაძლევა მოითხოვს არა მხოლოდ ძლიერ სამართლებრივ ჩარჩოს, არამედ ყოვლისმომცველ სოციალურ პოლიტიკას, თანასწორობის განმტკიცებაზე მიმართულ პროაქტიულ ზომებს და მიზნობრივ ინტერვენციებს, რომლებიც მხარს დაუჭერს მარგინალიზებულ

ჯგუფებს. ცნობიერების ამაღლება, ინკლუზიური პრაქტიკის განვითარება და სექტორთაშორისი დიალოგის გაძლიერება ის გადამწყვეტი ნაბიჯებია, რომლებიც ხელს შეუწყობს რეალური თანასწორობის მიღწევას და დისკრიმინაციის აკრძალვას საქართველოში.

ავტონომია და ქმედუნარიანობა

საქართველოში ქმედუნარიანობა ფუნდამენტურ როლს ასრულებს იმაში, რომ ადამიანებს სრულად შეეძლოთ თავიანთი უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზება. ეს პრინციპი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოწყვლადი ჯგუფებისთვის, როგორებიც არიან შშმ პირები და ხანდაზმულები. აღნიშნული მიმართულებით, ქვეყანამ შეიმუშავა შესაბამისი სამართლებრივი ჩარჩო, თუმცა მისი განხორციელება სერიოზულ გამოწვევებს აწყდება. მათ შორისაა: ეფექტიანი პოლიტიკისა და ინსტიტუციური ჩარჩოს არარსებობა გადამწყვეტილების მიღებაში მხარდაჭერისათვის; სასამართლო მოხელეთა და შესაბამის აქტორთა არასათანადო მომზადება; და შშმ პირთა ფორმალური ჩართულობა გადამწყვეტილებათა მიღების პროცესში, ნაცვლად არსებითი მონაწილეობისა. გარდა ამისა, აღინიშნება ფსიქოსოციალურ საჭიროებათა შეფასების სირთულეები, მულტიდისციპლინურ მიდგომათა ნაკლებობა და მონიტორინგის მექანიზმთა უკმარობა უფლებების დასაცავად და არასათანადო გავლენის ასარიდებლად.

ქართისა და სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის სტანდარტებთან შესაბამისობისათვის, საქართველომ უნდა მიიღოს ეროვნული სამართლებრივი ჩარჩო კონკრეტულად ხანდაზმულთა მხარდასაჭერად გადამწყვეტილების მიღებაში, რომლითაც გარანტირებული იქნება მათი უფლება საკუთარი გადამწყვეტილებების მიღებაზე (გარდა იმ შემთხვევისა, როცა დადასტურდება, რომ მოკლებულნი არიან ამ უნარს). ეროვნული სამართლებრივი ჩარჩო უნდა ითვალისწინებდეს შესაბამის დაცვის მექანიზმებს ხანდაზმულ პირთა ქმედუნარიანობის თვითნებური შეზღუდვის ასაცილებლად, მათ შორის იმ შემთხვევაშიც, როდესაც გადამწყვეტილების მიღების უნარი ნაწილობრივ შესუსტებული აქვთ. აუცილებელია, ხანდაზმულის სახელით მოქმედი პირი მინიმალურად ჩაერიოს მის ნება-სურვილებსა და უფლებებში, რათა დაცული იყოს ხანდაზმულის ავტონომია და პირადი არჩევანი.

დამოუკიდებელი ცხოვრება და საცხოვრებელი ადგილი

და ბოლოს, რაც შეეხება ხანდაზმულთა დამოუკიდებელი ცხოვრებისა და საცხოვრებლის უზრუნველყოფას, საქართველო მნიშვნელოვან გამოწვევებს აწყდება ქარტიის სტანდარტებთან შესაბამისობაში. ბევრი ხანდაზმული ცხოვრობს არასათანადო პირობებში, ან დგას უსახლკარობის საფრთხის წინაშე; ამას კიდევ უფრო ამწვავებს პოსტსაბჭოთა პრივატიზაციის შედეგები, რამაც ზოგიერთი პირი უსაფრთხო საცხოვრებლის გარეშე დატოვა. ამ პროცესმა გააუარესა საერთო სარგებლობის სივრცეთა მდგომარეობა კორპუსებში, რაც განსაკუთრებულად აისახა ლიფტებისა და კომუნალური ინფრასტრუქტურის მდგომარეობაზე. ურბანულ ცენტრებში, განსაკუთრებით, თბილისში, საცხოვრებელი ხარჯები, შემოსავლებთან შედარებით, კვლავ მაღალი რჩება, ეს კი სერიოზული ბარიერია ხანდაზმული პირებისთვის, რომლებიც ეძებენ ხელმისაწვდომ საცხოვრებელ გარემოს, ან სესხის აღების შესაძლებლობებს. ქვეყანაში არ არსებობს ყოვლისმომცველი სამთავრობო სტრატეგია, რომელიც უშუალოდ საცხოვრებლისა და უსახლკარობის პრობლემას მოაგვარებდა. ამის შედეგია უსახლკარობის ვიწრო სამართლებრივი განსაზღვრება და არათანმიმდევრული პოლიტიკა. მუნიციპალიტეტები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან საცხოვრებლის უზრუნველყოფაზე, ცდილობენ, გაუმკლავდნენ უსახლკარობის არაერთგვაროვანი განმარტების პრობლემას, არაადეკვატურ მონაცემთა ბაზებსა და არასაკმარის საბიუჯეტო ასიგნებებს სოციალური საცხოვრებლისთვის. ინფრასტრუქტურაში არსებული ხარვეზები ასევე აფერხებს ხანდაზმულთა დამოუკიდებელ ცხოვრებას, განსაკუთრებით, დიდი ქალაქების გარეთ. დეინსტიტუციონალიზაციის პროცესების მიუხედავად, ბევრ ხანდაზმულს კვლავ აწუხებს მარტოობა და სოციალური იზოლაცია, გამოწვეული ხელმისაწვდომი საცხოვრებლისა და საზოგადოებრივი სერვისების ნაკლებობით. გარდაამისა, სოფლებში ხანდაზმულები ხშირად აწყდებიან ციფრული გარიყულობის პრობლემას, რაც განპირობებულია როგორც ციფრული უნარების ნაკლებობით, ისე შეზღუდული წვდომით ტექნოლოგიებზე.

5. დასკვნები და რეკომენდაციები

საჭიროებათა შეფასების ამ ანგარიშიდან ჩანს, რომ ხანდაზმულთა მდგომარეობის გაუმჯობესება და სოციალურ უფლებათა დისკრიმინაციის გარეშე უზრუნველყოფა კრიტიკული გამოწვევაა საქართველოსთვის, რისი დაძლევაც პრიორიტეტულად უნდა განიხილებოდეს. ევროპის სოციალური ქარტია არ ითხოვს მხარდაჭერის გაზრდას არსებული სისტემის პირობებში: ის საქართველოს სთავაზობს შეუცვლელ ჩარჩოს, რომელიც ხელს შეუწყობს ხანდაზმულთა პოლიტიკის ტრანსფორმაციას, კერძოდ, გადასვლას პასიურ დამოკიდებულებასა და მზრუნველობაზე დაფუძნებული მოდელიდან აქტიურ სოციალურ მოქალაქეობაზე დაყრდნობილ მიდგომაზე, რომლის უმთავრესი ფასეულობებია ავტონომია, დამოუკიდებლობა და სოციალური ჩართულობა.

მართალია, საქართველოს არ მიუღია ქარტიის 23-ე მუხლი უშუალოდ ხანდაზმულთა უფლებების შესახებ, ასევე, სხვა დებულებები, რომლებიც მნიშვნელოვანია ხანდაზმულთათვის და ერთობლივად უზრუნველყოფენ მათ უფლებებს ცხოვრების ყველა სფეროში, შეიძლება ითქვას, რომ საქართველო მზად არის ამ დებულებების მისაღებად და შესაბამისი ნაბიჯების გადასადგმელად, რათა ქვეყნის სამართლებრივი თუ პოლიტიკის ჩარჩო შეესაბამოს მათ შინაარსს. ქარტიის „პროგრესული რეალიზაციის“ პრინციპი გულისხმობს, რომ მიზნების მიღწევა შესაძლებელია ეტაპობრივად, რესურსების ხელმისაწვდომობის შესაბამისად, რაც ხაზს უსვამს სახელმწიფო პოლიტიკის მიმართულებათა სწორად განსაზღვრის მნიშვნელობას.

ანგარიშში შესწავლილია ევროპის სოციალური ქარტიის მოთხოვნები და ხანდაზმულთა სოციალური უფლებების მდგომარეობა საქართველოში, განსაკუთრებული ფოკუსით ინსტიტუციურ სტრუქტურასა და სამართლებრივ თუ პოლიტიკის ჩარჩოებზე, ასევე, ქვეყნის სოციალური, ეკონომიკური და კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით. დოკუმენტში გამოვლენილია მნიშვნელოვანი საკითხები, ხარვეზები და აუცილებელი რეფორმები, ქარტიის სულისკვეთებისა და შინაარსის მაქსიმალურად გასათვალისწინებლად საქართველოში.

ანგარიშმა აჩვენა, რომ ევროპის სოციალური ქარტია, ევროპის საბჭოსა და

სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების რბილი სამართლის მექანიზმებთან ერთად, არსებითია დაბერებისადმი ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომისათვის. ის საქართველოს სთავაზობს ჩარჩოს ახალ პარადიგმაზე გადასვლაში მხარდასაჭერად, თავისი სავალდებულო ძალის მქონე დებულებებითა და მონიტორინგის ორგანოს ძალისხმევით. საქართველოს გზა ევროკავშირში გაწევრიანებისკენ მნიშვნელოვან რეფორმებს მოითხოვს ევროკავშირის სოციალურ პოლიტიკასთან დასაახლოებლად, განსაკუთრებით, ხანდაზმულთა უფლებების კუთხით. ამ პროცესში ევროპის სოციალური ქარტიის სტანდარტებთან შესაბამისობა შესაძლოა გადამწყვეტი ფაქტორი აღმოჩნდეს.

სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის მიდგომა ქარტიის დებულებათა ბუნებისა და სახელმწიფოთა ვალდებულებებისადმი მოითხოვს, რომ საქართველო უწყვეტი ძალისხმევით ახორციელებდეს სოციალურ უფლებებს, ისე, რომ არ დაარღვიოს მინიმალური სტანდარტები, ხოლო პროგრესი შეფასდეს მკაფიო კრიტერიუმებისა და ინდიკატორების გამოყენებით. კომიტეტი ასევე ხაზს უსვამს მოწყვლადი ჯგუფების, მათ შორის, ხანდაზმულებისა და მათი წარმომადგენლების აქტიური კონსულტირების მნიშვნელობას პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში. მთლიანობაში, ევროპის სოციალური ქარტიის კომიტეტისეული განმარტება გულისხმობს პრაგმატულ და უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომას ხანდაზმულთა სოციალური და ეკონომიკური უფლებების მიმართ, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საქართველოში ხანდაზმული მოსახლეობის კეთილდღეობისთვის, განსაკუთრებით, არსებულ დემოგრაფიულ გამოწვევათა გათვალისწინებით.

რაც შეეხება საქართველოში არსებული ინსტიტუციური არქიტექტურის, ასევე, სამართლებრივი და პოლიტიკის ჩარჩოს შესაძლებლობებსა და ადეკვატურობას დაბერების ახალ პარადიგმაზე გადასასვლელად და ხანდაზმულთა უფლებების დასაცავად, ანგარიში რამდენიმე მნიშვნელოვან გამოწვევას ავლენს. მათ შორის აღსანიშნავია: ხარვეზები ხანდაზმულობასთან დაკავშირებული თანმიმდევრული პოლიტიკის სტრატეგიულ დაგეგმვაში, კოორდინაციასა და განხორციელებაში; ადამიანური და ფინანსური რესურსების ნაკლებობა ასაკთან დაკავშირებული საკითხების კომპლექსურად მოგვარებისათვის; ხანდაზმულთა საკითხებზე სტრუქტურირებული დისკუსიებისა და თანამშრომლობის არარსებობა სახელმწიფო ინსტიტუტებს, სამოქალაქო საზოგადოებასა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის; ასევე, ხანდაზმულთა შესახებ კვლევებისა და მონაცემების

ხელმისაწვდომობის ნაკლებობა.

რაც შეეხება კონკრეტულ თემატურ მიმართულებებს, საქართველომ გარკვეული ნაბიჯები გადადგა ღირსეული სამუშაო პირობების, დასაქმებისა და უნარების განვითარების ხელშესაწყობად, თუმცა კვლავ რჩება ხარვეზები ხანდაზმულ მუშაკთა სპეციფიკური საჭიროებების დაკმაყოფილების კუთხით. გარდა ამისა, მართალია, საქართველოს სოციალური დაცვის ჩარჩო ხელს უწყობს ხანდაზმულთა მიმართ აღებული ვალდებულებების შესრულებას საყოველთაო პენსიისა და სოციალური დახმარების უზრუნველყოფით, აუცილებელია რეფორმები, რათა გაიზარდოს სოციალური დაცვის სისტემის ადეკვატურობა, აღმოიფხვრას გენდერული უთანასწორობა და სხვა დისკრიმინაციული პრაქტიკები, ასევე, გაფართოვდეს სისტემის დაფარვა კომპლექსური მხარდაჭერის სერვისების ჩართვით, რომლებიც აუცილებელია ხანდაზმულ ასაკში ღირსეული ცხოვრებისათვის.

საქართველო მნიშვნელოვან გამოწვევებს აწყდება სოციალური სერვისების მიწოდებაშიც, მათი ხელმისაწვდომობის, ხარისხისა და ადამიანის უფლებათა პრინციპებთან შესაბამისობის კუთხით, მიუხედავად ბოლო წლებში მიღწეული პროგრესისა. ბოლო ათწლეულებში საქართველოს ჯანდაცვის სექტორი მნიშვნელოვნად განვითარდა, თუმცა კვლავ რჩება ხარვეზები ხანდაზმულთა სპეციალიზებულ ზრუნვაში, განსაკუთრებით, ქრონიკული დაავადებების მქონე პირებისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის პაციენტთა შემთხვევაში.

საქართველომ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია ოჯახში ძალადობასა და ბოროტად მოპყრობასთან ბრძოლაში, თუმცა ისევ არსებობს სერიოზული პრობლემები ხანდაზმულთა დაცვისა და მხარდაჭერის სპეციფიკურ საჭიროებებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, ბოლო პერიოდში ქვეყანამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა დისკრიმინაციის აკრძალვისა და თანასწორობის კუთხით, ასევე, ავტონომიისა და ქმედუნარიანობის საკითხთა გადასაჭრელად. მიუხედავად ამისა, საქართველო კვლავ აწყდება გამოწვევებს ყველა მოქალაქისთვის თანასწორი უფლებებისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფაში, განსაკუთრებით, ისეთ ურთიერთგადამკვეთ საკითხებთან მიმართებით, როგორიცაა ასაკი, გენდერი და ეთნიკური კუთვნილება. განხორციელების კუთხით, გამოწვევები აღინიშნება ისეთ სფეროებში, როგორიცაა გადაწყვეტილების მიღებაში მხარდაჭერა და შშმ ხანდაზმულთა არსებითად ჩართვა დასაქმებაში, გადაწყვეტილების მიღების პროცესებსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. და ბოლოს, საქართველოში

აუცილებელია რეფორმების გატარება როგორც კანონმდებლობის, ისე პრაქტიკის დონეზე, რათა ხანდაზმულ პირებს შეეძლოთ დამოუკიდებლად ცხოვრება და ჰქონდეთ საცხოვრებელი, განსაკუთრებით, იმის გათვალისწინებით, რომ არ არსებობს ყოვლისმომცველი სტრატეგიები და რეგულაციები ამ მიმართულებით. ამ გამოწვევათა დასაძლევად, ასევე, საქართველოს მთავრობის, სამოქალაქო საზოგადოებისა და სხვა აქტორებისთვის ინსტრუქციების მისაცემად დაბერებისადმი ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის შესახებ, ევროპის სოციალური ქარტიისა და აქტიურ სოციალურ მოქალაქეობასთან დაკავშირებული ფილოსოფიის გამოყენებით, წარმოგიდგენთ შემდეგ რეკომენდაციებს:

რეკომენდაციები სახელმწიფოსთვის

ქარტიასთან დაკავშირებით:

- გააუმჯობესოს ანგარიშგება სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის წინაშე, უფრო დეტალური ინფორმაციის მიწოდებით ქარტიის როგორც მიღებულ, ისე ჯერ არმიღებულ დებულებებზე.
- მიიღოს ევროპის სოციალური ქარტიის ის დებულებები, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხანდაზმულთათვის.
- მიიღოს დამატებითი ოქმი, რომელიც ითვალისწინებს კოლექტიური საჩივრების სისტემას (1995).
- მისი იურისდიქციის ფარგლებში მოქმედი ეროვნული არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს მიანიჭოს უფლება, საჩივრებით მიმართონ სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტს, კოლექტიური საჩივრების სისტემის შესახებ დამატებითი ოქმის, ან შესწორებული ქარტიის D52 მუხლის შესაბამისად.
- აქტიურად ჩაერთოს სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის საქმიანობაში ხანდაზმულთა უფლებების კუთხით, როგორც კანონებისა და პოლიტიკის შემუშავებისას, ისე მათი განხორციელებისას, ასევე, ქარტიის თანახმად აღებულ ვალდებულებათა ქრილში, რომლებიც შეეხება შესაბამის უფლებათა პროგრესულ რეალიზაციასა და დაუყოვნებლივ აღსრულებას.

ინსტიტუციური კუთხით:

- პრიორიტეტად დასახოს ხანდაზმულთა უფლებებთან დაკავშირებული ახალი კანონმდებლობისა და სტრატეგიული პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავება, განხორციელება და მონიტორინგი ფართო საზოგადოების ჩართულობით, იმ ორგანიზაციების ჩათვლით, რომლებიც ხანდაზმულთა საკითხებზე მუშაობენ.
- შექმნას ხანდაზმულობის საკითხთა უწყებათაშორისი საკოორდინაციო მექანიზმი, ყოვლისმომცველი მიდგომისა და ადამიანის უფლებების ჩასართავად შესაბამის პოლიტიკებში.
- გააფართოოს სახალხო დამცველის მანდატი ხანდაზმულ პირთა პრიორიტეტულ ჯგუფად განსაზღვრისათვის (მაგალითად, ხანდაზმულთა უფლებების დაცვის სამუშაო ჯგუფის შექმნით), რაც შეიძლება მოიცავდეს უფლებამოსილების მინიჭებას სავალდებულო ძალის მქონე სამართლებრივი დასკვნების გამოცემისა და ზედამხედველობისთვის; ასევე, გამოყოს დამატებითი რესურსები ამ მიზნით.
- სრულად შეაფასოს ხანდაზმული მოსახლეობის საჭიროებები მუნიციპალიტეტებში და შეიმუშაოს შესაბამისი მიზნობრივი პროგრამები.
- გააძლიეროს ადგილობრივი ხელისუფლების შესაძლებლობები ხანდაზმულთა საკითხებზე ეფექტიანი რეაგირებისათვის, განსაკუთრებით, იმ რეგიონებში, სადაც ხანდაზმული მოსახლეობის მაღალი კონცენტრაცია შეინიშნება; პარალელურად, მუნიციპალიტეტთა ბიუჯეტებისთვის გამოყოს საკმარისი რესურსები.
- გააუმჯობესოს კომუნიკაცია და კოორდინაცია მთავრობას, სახელმწიფო უწყებებსა და მუნიციპალიტეტებს შორის, რათა შესაძლებელი გახდეს ეფექტიანი და ერთიანი პოლიტიკის განხორციელება ხანდაზმულთა საკითხებზე.
- შექმნას ხანდაზმულთა თვითადვოკატირების ხელშემწყობი მექანიზმები (მაგალითად, სანდო ინფორმაციის მიწოდებით საჩივრების წარდგენის ხელმისაწვდომ პროცედურაზე).
- წაახალისოს ხანდაზმულთა ორგანიზაციებისა და მექანიზმების შექმნა ყველა დონეზე, გადანყვეტილებათა მიღების პროცესში მათი წარმომადგენლობისათვის (მაგალითად, შეიქმნას ხანდაზმულთა ეროვნული კომისია).
- განამტკიცოს ხანდაზმული პირებისა და მათი წარმომადგენლების კონსტრუქციული და არსებითი მონაწილეობა საკანონმდებლო და პოლიტიკის შემუშავების პროცესებში, ყველა დონეზე.
- წაახალისოს შესაძლებლობათა განვითარების ინიციატივები არასამთავრობო

ორგანიზაციებისთვის, რათა ეფექტიანად ვაკატირება გაუწიონ ხანდაზმულობის საკითხებს და უფრო აქტიურად ჩაერთონ სამთავრობო პროცესებში.

- ხელი შეუწყოს კომუნიკაციას და ერთობლივ მუშაობას სამოქალაქო საზოგადოებასთან, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ხანდაზმულთა წარმომადგენლებთან, რათა პოლიტიკის დაგეგმვა-განხორციელება იქცეს ინკლუზიურ პროცესად.
- მხარი დაუჭიროს ასაკის მიხედვით დეტალიზებული ინფორმაციისა და მონაცემების შეგროვება-გავრცელებას, რომლებიც აქტუალურია ხანდაზმულთათვის და ასახავს მათ რეალურ ცხოვრებას (მაგ. სოფლად ცხოვრების, ან არაფორმალური დასაქმების შესახებ).
- გადახედოს სტატისტიკურ კონცეფციებს, მონაცემთა შეგროვების ინსტრუმენტებსა და მეთოდოლოგიურ მიდგომებს, რომლებიც გამოიყენება პოლიტიკის შემუშავებისა და შეფასების პროცესში, ნებისმიერი მიკერძოების გამოსავლენად ასაკის ნიშნით.
- გამოყოს რესურსები დაბერებასთან დაკავშირებული კვლევის იმ ასპექტებისთვის, რომლებიც ქვეყანაში პრიორიტეტად მიიჩნევა, და შესაბამისად მიმართოს დაფინანსების ეროვნული სამეცნიერო ორგანოებისა თუ ფონდების საშუალებით.
- ეიჯიზმის მოდულები ჩართოს ეროვნულ სოციალურ გამოკითხვებსა და მონაცემთა შეგროვების პროცესებში.
- ჩაატაროს და ხელი შეუწყოს შემდგომ კვლევებს, რათა გამოვლინდეს, კონკრეტულად რა სერვისები ესაჭიროებათ ხანდაზმულებს და რომელ აქტივობებს ანიჭებენ უპირატესობას, რაც საფუძვლად დაედება სამომავლო ინტერვენციების შემუშავებას.
- აქტიურად ჩაერთოს და გააგრძელოს მონაწილეობა დაბერების საკითხებთან დაკავშირებულ საერთაშორისო პროცესებში (მაგ. UNECE, OEWS) და შეისწავლოს დონორთა ჩართულობის შესაძლებლობები მხარდაჭერის მისაღებად.

პოლიტიკასთან დაკავშირებით:

- შეიმუშაოს და განახორციელოს ხანდაზმული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების პოლიტიკა, პოლისტიკური მიდგომით და პოლიტიკის სხვადასხვა სფეროს შორის კოორდინაციით.
- უზრუნველყოს, რომ ყველა პოლიტიკა ითვალისწინებდეს ცვლილებებს ადამიანის მდგომარეობაში, მისი ცხოვრების განმავლობაში.

- მიიღოს აქტიურად და ჯანსაღად დაბერების სტრატეგია, ან ყოვლისმომცველი და კონკრეტული პოლიტიკა, რომელიც ადამიანებს საშუალებას მისცემს, მთელი ცხოვრების განმავლობაში სარგებლობდნენ აქტიურად და ჯანსაღად დაბერების შესაძლებლობებით.
- ებრძოლოს სიღარიბეს ყოვლისმომცველი და კოორდინირებული სტრატეგიის მეშვეობით, რომელიც შექმნის პირობებს აქტიურად და ჯანსაღად დაბერებისთვის.
- გენდერული ასპექტი ჩართოს აქტიური და ჯანსაღი სიბერის მხარდამჭერ პოლიტიკაში, ყველა ინდივიდის განსხვავებული საჭიროებებისა და გარემოებების გასათვალისწინებლად ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე.
- ხელი შეუწყოს ხანდაზმულ პირთა მონაწილეობასა და ჩართულობას სოციალურ, კულტურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში; ასევე, უზრუნველყოს უწყვეტი წვდომა განათლებაზე.
- ინვესტიციები ჩადოს ასაკზე მორგებული გარემოს შექმნაში, ხანდაზმულ პირთა ავტონომიისა და დამოუკიდებლობის გასაძლიერებლად.
- ებრძოლოს ხანდაზმულ პირთა მარტოობასა და სოციალურ იზოლაციას კონკრეტული ზომების მიღებით, მათ შორის, ადგილობრივი თემის, სამოქალაქო საზოგადოებისა და მოხალისეების ინიციატივითა მხარდაჭერით.
- ხელი შეუწყოს პოზიტიური კულტურისა და წარმოდგენების შექმნას დაბერების მიმართ, ხანდაზმულთა მნიშვნელოვანი წვლილის წარმოჩენით საზოგადოებაში (მაგალითად, მედიაკამპანიების მეშვეობით).
- ხელი შეუწყოს და წაახალისოს ხანდაზმულთა მონაწილეობა შრომის ბაზარზე მათი სამუშაო ცხოვრების გასახანგრძლივებლად, ამ მხრივ არსებული დაბრკოლებებისა და მოტივაციის შესამცირებელი ფაქტორების აღმოფხვრით.
- განახორციელოს აქტიური შრომის ბაზრის პოლიტიკა, როგორიცაა შესაბამისი სამუშაოს შერჩევა, მის მოძიებაში დახმარება, მომზადება, პროფესიული ორიენტაცია და კარიერული რჩევები, რათა გაუმჯობესდეს ხანდაზმულთა დასაქმება, უწყვეტი განათლების საფუძველზე.
- განიხილოს სამართლებრივი სტატუსის მინიჭება არაფორმალურ მზრუნველთა საქმიანობისთვის და მიზნობრივი მხარდაჭერა გაუწიოს მათ (მაგ. დააწესოს მზრუნველთა დახმარებები, მოქნილი სამუშაო გრაფიკი, გაზრდილი შვებულება და ზრუნვის პერიოდების შესატყვისი ადეკვატური პენსია). ეს ხელს შეუწყობს ანაზღაურებადი სამუშაოს, ზრუნვისა და პირადი ცხოვრების დაბალანსებას (განსაკუთრებით, ქალების შემთხვევაში) და სიღარიბის არიდებას სიბერეში.
- მიიღოს ზომები კაცების წასახალისებლად, რათა მათ გაიზიარონ ოჯახსა და

ზრუნვასთან დაკავშირებული მოვალეობები (მაგ. მამებისთვის განკუთვნილი დახმარების, შეღავათების, ან დეკრეტული შვებულების დაწესებით).

- განამტკიცოს საპენსიო სისტემის მდგრადობა (მაგ: კანონით განსაზღვრული საპენსიო ასაკის გაზრდით; ქალებისა და კაცების საპენსიო ასაკის ეტაპობრივი გათანაბრებით; საპენსიო ასაკის ინდექსირებით სიცოცხლის ხანგრძლივობის შესაბამისად; წამახალისებელ ფინანსურ საშუალებათა უზრუნველყოფით უფრო ხანგრძლივად მუშაობისთვის; და მოქნილი საპენსიო სქემების დანერგვით, რათა გადაიწიოს შრომის ბაზრიდან გამოსვლის ასაკმა).
- ინვესტიციები ჩადოს ხანდაზმულთა ფორმალურ და არაფორმალურ სასწავლო შესაძლებლობებში და ხელი შეუწყოს მათ პროფესიული სწავლების მიღმა.
- განავითაროს მომხმარებელზე ორიენტირებული ციფრული ტექნოლოგიები, გააუმჯობესოს ხანდაზმულთა ციფრული უნარები და წიგნიერება.
- ზრუნვის პროცესში გამოიყენოს პიროვნებაზე ორიენტირებული და ასაკზე მორგებული მიდგომები, რაც უზრუნველყოფს ხანდაზმულთა მაქსიმალურ დამოუკიდებლობას, ავტონომიასა და ღირსეულ ცხოვრებას.
- ინვესტიციებით განავითაროს ინტეგრირებული და ერთიანი ზრუნვის სისტემა, ხანდაზმულ პირთა სპეციფიკური საჭიროებების გათვალისწინებით.
- განაგრძოს მდგრადი ინვესტიციების ხელშეწყობა ჯანდაცვისა და ზრუნვის ყველა სერვისში, განსაკუთრებით, გრძელვადიანი და დღის ზრუნვის სისტემათა განვითარება-გაუმჯობესებაში, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებსა და სხვა შესაბამის მხარეებთან თანამშრომლობით; ასევე, გააძლიეროს დეინსტიტუციონალიზაციის პროცესი.
- უზრუნველყოს ჯანდაცვის, სოციალური დაცვისა და გრძელვადიანი ზრუნვის მომსახურებათა მაღალი ხარისხი, რაც დაეფუძნება ხარისხის მართვას, მონიტორინგს, აუდიტსა და მუდმივ გაუმჯობესებას ზრუნვის მიმღებ პირებთან დიალოგის ფარგლებში.
- გააუმჯობესოს ხანდაზმულთა დაცვა ძალადობის, უგულებელყოფისა და ბოროტი მოპყრობისგან ზრუნვის ყველა გარემოში, დაცვისა და მონიტორინგის შესაბამისი მექანიზმების მიღებით და ეფექტიანად განხორციელებით.
- უზრუნველყოს ხანდაზმულთა უსაფრთხო, საიმედო, ხელმისაწვდომი და მოსახერხებელი სატრანსპორტო მომსახურებები და სხვა ინფრასტრუქტურული სერვისები ადგილობრივ დონეზე.
- მიიღოს პოლიტიკა, რომელიც განამტკიცებს თანამშრომლობასა და სოლიდარობას თაობათა შიგნით/შორის, არსებულ და სამომავლო საჭიროებათა გათვალისწინებით, მათ შორის, დაბრუნებულ მიგრანტთა შემთხვევაშიც.

- ხელი შეუწყოს ხანდაზმულ პირთა ინტეგრაციას საზოგადოებაში, მათი აქტიური ჩართულობის წახალისებითა და თაობათაშორისი ურთიერთობების გაძლიერებით (მაგ: შექმნას ან განავითაროს აქტიური დაბერების სტანდარტიზებული ცენტრები; თაობათაშორისი სივრცეები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდებისა და ხანდაზმულების ერთობლივ სწავლებასა და ჩართულობას; ასევე, მოხალისეობრივი საქმიანობის ცენტრები).

თემატურად:

სამუშაო

- შექმნას მოქნილი პირობები ხანგრძლივი და ჯანსაღი სამუშაო ცხოვრებისთვის, ინკლუზიური შრომის ბაზრებისა და ყველა ასაკისთვის ღირსეული დასაქმების უზრუნველყოფით.
- გააგრძელოს ძალისხმევა უწყვეტი მომზადებისა და განათლების ხელშესაწყობად, ასევე, შექმნას ხანდაზმულ პირთა საჭიროებებზე მორგებული უწყვეტი სწავლების შესაძლებლობები და დასაქმების მხარდაჭერი პროგრამები.
- გააუმჯობესოს აქტიური შრომის ბაზრის პოლიტიკა, რომელიც უპასუხებს ასაკოვანი სამუშაო ძალის საჭიროებებს, ასევე, ხანდაზმულ სამუშაოს მაძიებლებზე მორგებული მხარდაჭერა; გააძლიეროს უნარების განვითარების პროგრამები, შექმნას ოჯახისთვის ხელსაყრელი სამუშაო პირობები და ჯანსაღი, უსაფრთხო და ხელმისაწვდომი სამუშაო გარემო.
- ხელი შეუწყოს ხანდაზმულთა დასაქმების შესაძლებლობების შექმნას (მაგალითად, დამსაქმებლებისთვის შეიმუშაოს ფინანსური სტიმულები, ხანდაზმულ მუშაკთა დასაქმების მიზნით).
- აღმოფხვრას ასაკობრივი ბარიერები და ასაკის ნიშნით დისკრიმინაცია შრომით უფლებებთან მიმართებით, განსაკუთრებით, ხანდაზმულ მუშაკთა რეკრუტირების, დასაქმებისა და გათავისუფლების პროცესში.
- წახალისოს ხანდაზმულ ქალთა და კაცთა შრომის ბაზარზე მონაწილეობის მაღალი მაჩვენებლები.
- გაითვალისწინოს ხანდაზმულ პირთა დასაქმების საჭიროებები (მაგ: გააუმჯობესოს მოქნილი, ნახევარგანაკვეთიანი, ან დროებითი დასაქმების შესაძლებლობები).
- გააძლიეროს ძალისხმევა, რათა გაზარდოს შრომის ბაზარზე ხანდაზმულთა

დარჩენის შესაძლებლობები, მაგალითად, მოქნილი და ეტაპობრივი საპენსიო სქემების დანერგვით და უწყვეტი განათლების რეალური ხელმისაწვდომობით.

- გაზარდოს დასაქმების შესაძლებლობები სოფლებსა და შორეულ რეგიონებში მცხოვრები პირებისთვის, ეკონომიკური პოლიტიკითა და წამახალისებელი საშუალებებით, განსაკუთრებით, დისტანციური სწავლებისა და მომზადების ხელშეწყობით.

სოციალური დაცვა

- არსებული სოციალური დაცვის სისტემები მოარგოს დემოგრაფიულ ცვლილებებს, ასევე, ცვლილებებს ოჯახების სტრუქტურაში.
- გააძლიეროს სოციალური დაცვის სისტემა, მათ შორის, გაზარდოს სოციალური პენსიის ოდენობა, რათა ხანდაზმულ პირებს მიეცეთ ღირსეული და აქტიური ცხოვრებისა და საზოგადოებაში მონაწილეობის შესაძლებლობა.
- უზრუნველყოს ფინანსური დახმარება, რომელიც ფარავს პირის ძირითად საჭიროებებს, მათ შორის, ინფლაციისა და ცხოვრების ხარჯების გათვალისწინებით (მაგალითად, ინდექსაციის მექანიზმების მეშვეობით).
- ჩაატაროს კვლევა, რათა უკეთ გაანალიზდეს მიზნობრივი სოციალური დახმარების მეთოდოლოგიის გავლენა იმ ხანდაზმულ პირებზე, რომლებიც საჭიროებენ სოციალურ დახმარებას.
- გადახედოს სოციალური დაცვის სისტემას, რათა შემცირდეს გადაჭარბებული დამოკიდებულება პენსიებზე, და წაახალისოს ხანდაზმულები, რომ დასაქმდნენ და, პარალელურად, მიიღონ პენსიაც, თუკი ასე მოისურვებენ.
- განიხილოს დახმარების დაწესება დაბალშემოსავლიანი, მარტოხელა პენსიონერებისთვის, ასევე, გარდაცვლილის მეუღლისა ან ოჯახის სხვა წევრებისთვის (მაგალითად, გაზარდოს სოციალური სარგებელი გარდაცვლილი პირის ოჯახის არა მხოლოდ არასრულწლოვანი, არამედ ზრდასრული წევრებისთვისაც).
- ადამიანის უფლებათა პრინციპები და სტანდარტები ჩართოს სოციალური პენსიების შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების პროცესებში.
- უზრუნველყოს ხანდაზმული პირებისა და მათი წარმომადგენლების არსებითი და ეფექტიანი მონაწილეობა სოციალური პენსიებისა და დახმარების დაგეგმვის, განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესებში.
- ყველა არსებულ სარგებელსა და მომსახურებაზე გაავრცელოს მისაწვდომი ინფორმაცია (ყველა შესაძლო გზით, ხანდაზმულთა საჭიროებებზე მორგებული

ფორმატით და მათთვის გასაგები ენით), ასევე, შეაფასოს ამ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

სოციალური სეზონები და ზრუნვა

- განავითაროს და დანერგოს საჭიროებებზე დაფუძნებული საზოგადოებრივი სერვისები და შინმოვლის მომსახურება, გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით და მომსახურებაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრით.
- გააუმჯობესოს ექთნებისა და სოციალური მუშაკების დასაქმების პირობები და სამუშაო გარემო.
- ინვესტიცია ჩადოს ჯანმრთელობისა და სოციალური ზრუნვის სფეროს სპეციალისტთა განვითარებასა და უწყვეტ მომზადებაში, გერონტოლოგიური, გერიატრიული და ციფრული უნარების კუთხით.
- შეიმუშაოს გრძელვადიანი ზრუნვის სტრატეგიული ხედვა, გააუმჯობესოს დღის ცენტრები, გააფართოოს მუნიციპალიტეტთა მიერ დაფინანსებული, სტანდარტიზებული ჯანსაღი დაბერების კლუბების ქსელი და გააუმჯობესოს ხარისხის სტანდარტები რეზიდენტული ზრუნვის დაწესებულებებში.
- შემდგომშიც განავითაროს და გააძლიეროს ხანდაზმულ პირთა საჭიროებებზე მორგებული რეზიდენტული ზრუნვა.
- ჩამოაყალიბოს და მხარი დაუჭიროს სპეციალიზებულ დაწესებულებებს, რომლებიც ხანდაზმული პირებს სთავაზობენ ინსტიტუციურ ზრუნვას.
- შეაფასოს საჭიროებები ხანდაზმულთა ზრუნვის დაწესებულებებში და გააუმჯობესოს პერსონალის კვალიფიკაცია.
- შეიმუშაოს და დაამტკიცოს პერსონალის მოსამზადებელი პროგრამები, მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად, ჯანმრთელობაზე მონიტორინგისთვის და ხანდაზმულთა დასაცავად ძალადობისა და დისკრიმინაციისგან.
- პერიოდულად, მონიტორინგი გაუწიოს ადგილობრივი ხელისუფლების მიერ დაფინანსებულ ან თანადაფინანსებულ დაწესებულებებს.
- შეიმუშაოს რეგულაციები და მინიმალური სტანდარტები ყველა ტიპის ზრუნვის დაწესებულებისთვის, მათი სამართლებრივი ფორმისა და დაფინანსების წყაროს მიუხედავად.
- დანერგოს ეფექტიანი მონიტორინგის მექანიზმი, დადგენილ სტანდარტთა დასაცავად.
- დარწმუნდეს, რომ კერძო მომსახურების მიმწოდებლები იყენებენ უფლებებზე

დაფუძნებულ მიდგომას ხანდაზმულ პირთათვის ზრუნვისა და საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფისას.

- განიხილოს პერსონალის რაოდენობის გაზრდა ინსტიტუციებში და ყველა დაწესებულებაში უზრუნველყოს ძირითად სპეციალისტთა ხელმისაწვდომობა, როგორებიც არიან ექიმები, ფსიქიატრები, სოციალური მუშაკები და ფსიქოლოგები, რათა ხანდაზმულებზე ზრუნვა იყოს ჰოლისტიკური.
- გააუმჯობესოს ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების ხელმისაწვდომობა საცხოვრებელ დაწესებულებებში მყოფი ხანდაზმულებისთვის და რეგულარული მონიტორინგი გაუწიოს ამ საკითხს.
- განავითაროს გერიატრიული ცენტრები და მოხუცთა თავშესაფრები, რათა დაკმაყოფილდეს ფსიქიკური დაავადების მქონე პაციენტთა სპეციფიკური საჭიროებები (მაგ: მულტიდისციპლინური, გერიატრიული და გერონტოლოგიური შეფასებით, კონსულტირებით, ზრუნვით, მკურნალობით და რეაბილიტაციით, რაც განმტკიცებულია ზრუნვის მიმწოდებელთა სპეციალური გადამზადების პროგრამებით).
- უკეთ აღიაროს როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ მზრუნველთა მნიშვნელოვანი როლი და მხარდაჭერა, განსაკუთრებით, ხანდაზმულ ქალთა და მიგრანტთა შემთხვევაში, და წაახალისოს ზრუნვითი შრომის გადანაწილება გენდერულად დაბალანსებული ფორმით.
- უპასუხოს ადეკვატური და ხელმისაწვდომი პალიატიური ზრუნვის მზარდ საჭიროებებს იმ ხანდაზმულთათვის, რომლებიც მძიმე დაავადებით იტანჯებიან (ასევე, მათი ოჯახებისთვის), განსაკუთრებით, სიკვდილის პირას მყოფი პირებისთვის (პროგნოზის მომენტიდან, და არა მხოლოდ ტერმინალურ ეტაპზე), მათი ჩართვით უწყვეტ ზრუნვასა და მხარდაჭერაში.
- სადაც შესაძლებელია, ხანდაზმული პირები უზრუნველყოს უფლებით, არჩევანი გააკეთონ გრძელვადიანი ზრუნვის სხვადასხვა ვარიანტს შორის.

ჯანმრთელობა

- ფოკუსირდეს ჯანმრთელობის ხელშეწყობაზე, რაც მოიცავს ცნობიერების ამაღლებას და სხვა პრევენციული ჯანდაცვის ზომების გატარებას სიცოცხლის ყველა ეტაპზე.
- უზრუნველყოს, რომ ჯანდაცვის ხარჯები ხანდაზმულს არ აკისრებდეს გადამეტებულ ფინანსურ ტვირთს, რომელიც შეუზღუდავს საზოგადოებაში სრულფასოვნად მონაწილეობის შესაძლებლობას.

- ჯანდაცვის სამსახურები დაახლოოს ხანდაზმულებთან (მაგ: პრევენციული შინმოვლის ვიზიტებით, რეგულარული სამედიცინო შემოწმებებით, თვითდახმარების ჯგუფების ჩამოყალიბებით იმ ხანდაზმულთათვის, რომლებიც შინ დარჩენას გადაწყვეტენ).
- გერიატრიული მედიცინა ჩართოს სამედიცინო განათლებაში, საავადმყოფოებში კი შექმნას გერიატრიული განყოფილებები, რათა უკეთ დაკმაყოფილდეს ხანდაზმულ პაციენტთა ჯანდაცვის საჭიროებები.
- შეიმუშაოს, რეგულარულად განაახლოს და განახორციელოს ეროვნული და ადგილობრივი გეგმები დეპრესიის, ქრონიკული დაავადებებისა და დემენციის სამართავად, ასევე, კოგნიტიური და ფსიქიკური დარღვევის მქონე პირთა ხარისხიანი ცხოვრების უზრუნველსაყოფად.

ძალადობა, ბოროტად მოპყრობა და უგულებელყოფა

- ჩაატაროს ეროვნული მასშტაბის სპეციალური კვლევა ხანდაზმულთა მიმართ ძალადობისა და ბოროტად მოპყრობის შესახებ, რათა უკეთ გაანალიზდეს არსებული მდგომარეობა, ძალადობის მიზეზები/შედეგები და საზოგადოების დამოკიდებულება ამ პრობლემის მიმართ.
- შეიმუშაოს სპეციფიკური მეთოდოლოგია და სტატისტიკური ანგარიშები, რომლებიც ზუსტად ასახავს ხანდაზმულ პირებზე ძალადობის შემთხვევებს, გენდერულ კატეგორიათა მიხედვით, რათა გაუმჯობესდეს ძალადობის აღქმა და მასზე რეაგირების მექანიზმები.
- დარწმუნდეს, რომ ეროვნული კანონმდებლობა ოჯახში ძალადობის შესახებ მოიცავს ხანდაზმულთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმას; ძალადობის ხანდაზმულ მსხვერპლთათვის უზრუნველყოს შესაბამისი მხარდამჭერი სერვისები, გასაჩივრების ადეკვატური მექანიზმები და თანაბარი წვდომა მართლმსაჯულებაზე.
- შემოიღოს ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიები, საკანონმდებლო ჩარჩოები და ინსტიტუციური დაცვის მექანიზმები, რათა შესაძლებელი გახდეს ხანდაზმულთა მიმართ ძალადობის გამოვლენა და პრევენცია საზოგადოებაში, განსაკუთრებით, სოციალური დაცვის სისტემაში.
- გაითვალისწინოს ზომები ისეთ შემთხვევათა შეუტყობინებლობის წინააღმდეგ, როგორიცაა ხანდაზმულ პირთა მიმართ ეკონომიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა და ბოროტად მოპყრობა ოჯახის წევრთა მხრიდან.
- მიიღოს ზომები ხანდაზმულ მსხვერპლთა თავშესაფრებსა და კრიზისულ

ცენტრებში არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ასევე, მათი ადეკვატურობისა და ხარისხის გასაზრდელად.

დამოუკიდებელი ცხოვრება და საცხოვრებელი ადგილი

- უზრუნველყოს, რომ ყველა გარემო, ფიზიკური, სოციალური, ტექნოლოგიური და ციფრული სივრცეების ჩათვლით, მეტად მოერგოს ხანდაზმულებს და გახდეს საყოველთაოდ მისაწვდომი.
- შეიმუშაოს და განახორციელოს ეროვნული საბინაო სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, განსაკუთრებული ყურადღებით ხანდაზმულთა საჭიროებებზე.
- გაზარდოს ადაპტირებული საცხოვრებლებისა და დამხმარე მოწყობილობების ხელმისაწვდომობა ხანდაზმულებისთვის.
- დარწმუნდეს, რომ ხანდაზმულ პირებს არ უწევთ დიდხანს ლოდინი საცხოვრებლის მიღებისათვის და გაუმართლებლად ხანგრძლივად ყოფნა დროებით თავშესაფრებში.
- განიხილოს საგადასახადო შეღავათებისა და სუბსიდიების დაწესება დეველოპერთა წასახალისებლად, რათა მათ შექმნან ხანდაზმულთათვის მისაწვდომი და შესაფერისი საცხოვრებელი ინფრასტრუქტურა.
- ინტენსიური და შეთანხმებული ძალისხმევა გაიღოს ხანდაზმულთა საცხოვრებელი პირობებისა და გარემოს გასაუმჯობესებლად, განსაკუთრებით, სოფლებში.
- მკაფიოდ განსაზღვროს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მოვალეობები ხანდაზმულ პირთა საცხოვრებლის უფლების აღსრულებისათვის.
- შეიმუშაოს ყოვლისმომცველი კანონმდებლობა უსახლკარობის შესახებ, რომელიც გაითვალისწინებს ხანდაზმულთა მდგომარეობას.
- აღიაროს და კანონმდებლობაში ასახოს დამოუკიდებლად ცხოვრების უფლება, უსახლკარობის პრევენციის მხარდასაჭერად.
- მოამზადოს ხანდაზმული პირები საკუთარი თავის მოვლისა თუ სხვა უნარებში, რომლებიც დაეხმარებათ ცხოვრების ხარისხის შენარჩუნებაში.
- უზრუნველყოს თანაბარი წვდომა ციფრულ ტექნოლოგიებზე, მოწყობილობებსა და ინტერნეტზე, ასევე, იმ ყოველდღიურ სერვისებზე, რომლებიც ინაცვლებს ონლაინსივრცეში.
- უზრუნველყოს ავტონომია, ასევე, შესაძლებლობა, რომ ხანდაზმულმა პირებმა თავად აირჩიონ, გამოიყენებენ თუ არა ციფრულ ტექნოლოგიებს.
- უზრუნველყოს უწყვეტი წვდომა პროდუქტებსა და მომსახურებებზე.

- უზრუნველყოს, რომ ხანდაზმულთა სოციალური სერვისები ხელს უწყობდეს მათ დამოუკიდებელ ცხოვრებას.

ქმედუნარიანობა და ავტონომია

- აღიაროს შეზღუდული შესაძლებლობისა და ხანდაზმულობის თანაკვეთა ყოველდღიური ცხოვრების სხვადასხვა სფეროში.
- გამოავლინოს და აღმოფხვრას ხანდაზმულ შშმ პირთა ბარიერები, განსაკუთრებით, სოციალური დახმარებისა და სოციალური სერვისების სფეროში.
- მხარი დაუჭიროს გადაწყვეტილების მიღებაში შეზღუდული ინტელექტუალური ან ფსიქოსოციალური შესაძლებლობის მქონე პირებს, მათ შორის, ხანდაზმულებს, ცხოვრების ყველა ასპექტზე.
- მიიღოს ეროვნული სამართლებრივი ჩარჩო გადაწყვეტილების მიღებაში ხანდაზმულთა მხარდაჭერის შესახებ.
- მოსამართლეებს ჩაუტაროს ტრენინგი ევროპის სოციალურ ქარტიასა და სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის საქმიანობაზე, ასევე, შშმ პირთა უფლებების კონვენციასა და სხვა საერთაშორისო ინსტრუმენტებზე, რათა ხანდაზმულებს მისცენ შესაძლებლობა, მაქსიმალურად დიდხანს შეინარჩუნონ დამოუკიდებლად განსაზღვრული და ავტონომიური ცხოვრება.
- ხანდაზმულ პირთათვის უზრუნველყოს გარანტიები მათი სურვილების, ნებისა და საუკეთესო ინტერესების გასათვალისწინებლად ყველა საკითხში, რომლებიც შეეხება მათ ცხოვრებას.

თანასწორობა და დისკრიმინაციის აკრძალვა

- დაიცვას ხანდაზმული პირები ეიჯიზმისა და დისკრიმინაციის ყველა ფორმისგან ყველა სფეროში, ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე შესაბამისი კანონებისა და სხვა მექანიზმების მიღებით, ან მათი დანერგვის გაძლიერებით.
- აღმოფხვრას არსებული გენდერული უთანასწორობები და აღკვეთოს დემოგრაფიულ ცვლილებათა განსხვავებული ზემოქმედება ქალებსა და კაცებზე, სპეციალური ზომების მეშვეობით.
- უზრუნველყოს ქალებისა და კაცების მიმართ თანასწორი მოპყრობა სოციალური დაცვის სისტემებში, სამუშაოსა და საოჯახო პასუხისმგებლობების უკეთ დაბალანსებით ცხოვრების ყველა ეტაპზე (მაგ: შემოიღოს სპეციალური შვებულება მომუშავე მშობლებისა და სხვა მზრუნველებისთვის, ან სხვა

მხარდამჭერი ზომები, როგორიცაა დროებითი მოვლის სერვისები მზრუნველთა დასვენებისთვის).

- გაითვალისწინოს ხანდაზმულ ლგბტქი პირთა სპეციფიკური საჭიროებები, მიზნობრივი სოციალური პოლიტიკისა და ინკლუზიური პრაქტიკის დანერგვით.
- უზრუნველყოს სოციალურ მომსახურებათა ადაპტაცია, რათა ისინი უკეთ პასუხობდეს ეთნიკური უმცირესობებისა და დევნილების საჭიროებებს.

რეკომენდაციები სახალხო დამცველისთვის

- ითანამშრომლოს სოციალურ უფლებათა ევროპულ კომიტეტთან და გაავრცელოს მისი დასკვნები და გადაწყვეტილებები ხანდაზმულთა უფლებების შესახებ.
- ხელი შეუწყოს საქართველოს მიერთებას ქართის 23-ე მუხლსა და სხვა დებულებებთან, რომლებიც ჯერარმიულია დამნიშვნელოვანია ხანდაზმულებისა თუ სხვა მოწყვლადი ჯგუფებისთვის.
- ხელი შეუწყოს საქართველოს მიერ კოლექტიური საჩივრების პროცედურის მიღებას.
- განაგრძოს ძალისხმევა ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის დასაწერად ხანდაზმულთა საკითხებისა და სოციალური პოლიტიკის მიმართ.
- გაზარდოს ძალისხმევა ხანდაზმულთა პრიორიტეტულად გათვალისწინებისათვის სამუშაო გეგმებში.
- განაგრძოს სტრატეგიული სამართალწარმოების მხარდაჭერა ხანდაზმულ პირთა უფლებების გასაძლიერებლად, მათ შორის, კონსტიტუციური სარჩელების წარდგენით საკონსტიტუციო სასამართლოში და სასამართლოს მეგობრის მოსაზრების გამოყენებით საქართველოს ყველა სასამართლოში.

რეკომენდაციები სამოქალაქო საზოგადოებისთვის

- ადვოკატირება გაუწიოს საქართველოს მიერ ქართის იმ დებულებათა მიღებას, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხანდაზმულებისთვის.
- მხარი დაუჭიროს ქართის კოლექტიური საჩივრების ოქმის რატიფიცირებას საქართველოს მიერ.
- ადვოკატირების აქტივობები დააფუძნოს ქარტიას და სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის მუშაობას; სოციალური პოლიტიკის განხილვისას, გამოიყენოს ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა.
- მონაწილეობა მიიღოს ქართის ანგარიშგების პროცედურაში (როგორც მიღებულ,

ისე მიუღებელ დებულებათა შესახებ), ეროვნულ ანგარიშებზე კომენტარების წარდგენით.

- ადვოკატირება გაუწიოს ILO-ს კონვენციათა რატიფიცირებას საქართველოს მიერ, ხანდაზმულ პირთა სოციალური დაცვისა და უსაფრთხოების გასაძლიერებლად.
- მხარი დაუჭიროს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის დამატებითი ოქმების რატიფიცირებას საქართველოს მიერ.
- ადვოკატირება გაუწიოს ახალი კონვენციის მიღებას, რომელიც შეეხება კონკრეტულად ხანდაზმულ პირთა უფლებებს, მათი სამართლებრივი დაცვის, ანგარიშვალდებულებისა და საზოგადოებაში აღიარების უზრუნველსაყოფად.
- ხელი შეუწყოს სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობას საქართველოს მთავრობის დიალოგსა და პოლიტიკურ ინიციატივებში ხანდაზმულთა უფლებების შესახებ, ასევე, შესაბამისი კანონებისა და პოლიტიკის ერთობლივად შემუშავებას.
- ხელი შეუწყოს ეიჯიზმისა და უთანასწორობის აღმოფხვრაზე მიმართული კანონების შემუშავება-აღსრულებას და დაეხმაროს მონიტორინგს მათ გამოყენებაზე.
- შეიმუშაოს და განახორციელოს მტკიცებულებებზე დაფუძნებული საგანმანათლებლო პროგრამები და თაობათაშორისი აქტივობები ეიჯიზმთან საბრძოლველად.
- დაამყაროს თანამშრომლობა ხანდაზმულთა საკითხებზე მომუშავე და ახალგაზრდულ ორგანიზაციებს შორის, თაობათაშორისი ინიციატივებისა და თანამშრომლობის წასახალისებლად.
- განავითაროს ხანდაზმულთა შესაძლებლობები, რათა ადვოკატირება და მონიტორინგი გაუწიონ კანონების შესრულებას, და გააძლიეროს მათი მონაწილეობა ამ აქტივობებში.
- შეისწავლოს ხანდაზმულთა ცხოვრებისეული გამოცდილება და შექმნას მტკიცებულებები, კვლევითი ინსტიტუტების თანამონაწილეობით.
- ადვოკატირება გაუწიოს ჯანსაღი და აქტიური დაბერების პოლიტიკის/პროგრამების მიღებას და ეფექტიან განხორციელებას.
- ჩაერთოს სტრატეგიული სამართალწარმოების პროცესში, ხანდაზმულ პირთა უფლებების დასაცავად და გასაძლიერებლად.

რეკომენდაციები აკადემიური წრეებისა და კვლევითი ორგანიზაციებისთვის

- შეისწავლონ ხანდაზმულ პირთა ცხოვრებისეული გამოცდილება, სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობით.
- გაააქტიურონ გერონტოლოგიური კვლევები, დაბერებასთან დაკავშირებული სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევების ეფექტიანად გადასაჭრელად.
- შეიმუშაონ და განახორციელონ მტკიცებულებებზე დაფუძნებული საგანმანათლებლო პროგრამები და თაობათაშორისი აქტივობები, ეიჯიზმთან საბრძოლველად.
- შეისწავლონ და გაავრცელონ სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის დასკვნები და კოლექტიურ საჩივრებზე მიღებული გადაწყვეტილებები ხანდაზმულთა უფლებების შესახებ.
- დაწერონ ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა დაბერებისა და სოციალური პოლიტიკის მიმართ.

რეკომენდაციები განვითარების საერთაშორისო სააგენტოებისთვის

- დაეხმარონ საქართველოს ხანდაზმულთა უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო ინსტრუმენტებისა და პოლიტიკის განხორციელებაში.
- გამოავლინონ ასაკობრივი დისკრიმინაციის შემცველი პოლიტიკა და პრაქტიკა და ხელი შეუწყონ მათ გადახედვას.
- მხარი დაუჭირონ სამოქალაქო ორგანიზაციებსა და კვლევით ცენტრებს, რომლებიც მუშაობენ ხანდაზმულთა უფლებებზე.

ბიბლიოგრაფია

- საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, ეროვნული ნებაყოფლობითი მიმოხილვა 2020, საქართველო, https://sustainabledevelopment.un.org/content/documents/26390VNR_2020_Georgia_Report.pdf
- Angeleri S. და Nivard C. (რედ.) ევროპის სოციალური ქარტია: კომენტარები, ტომი 1, კრიტიკული თემები, ლეიდენი, 2022.
- Angeleri S., Casla K. და van Drooghenbroeck S. (რედ.) ევროპის სოციალური ქარტია: კომენტარები, ტომი 3, მუხლები 11-19, ლეიდენი, 2024.
- ევროპის საბჭო (CoE), საქართველოს მთავრობის მიერ წარდგენილი მე-14 ეროვნული ანგარიში ევროპის სოციალური ქარტიის განხორციელების შესახებ, 26/01/2021 RAP/RCha/GEO/14(2021), <https://rm.coe.int/rap-cha-geo-14-2021/1680a13289>
- ევროპის საბჭო (CoE), საქართველოს მთავრობის მიერ წარდგენილი სპეციალური ანგარიში ცხოვრების ღირებულების კრიზისზე 28/12/2023 RAP/RCha/GEO/2023, <https://rm.coe.int/geo-ad-hoc-report-on-the-cost-of-living-crisis/1680ae60b7>
- ევროპის საბჭო (CoE), საქართველოს სახალხო დამცველის (ომბუდსმენის) ოფისის კომენტარები საქართველოს მთავრობის მე-14 ეროვნულ ანგარიშზე ევროპის სოციალური ქარტიის განხორციელების შესახებ, 26/01/2021 RAP/RCha/GEO/14(2021), <https://rm.coe.int/rap-rcha-geo-14-2021-comments-by-public-defender/1680a2fff8>
- ევროპის საბჭო (CoE), ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის, დუნია მიატოვიჩის ანგარიში 2022 წლის 21-24 თებერვალს საქართველოში განხორციელებული ვიზიტის შემდგომ, <https://rm.coe.int/report-of-the-council-of-europe-commissioner-for-human-rights-dunja-mi/1680a740bf>
- ევროპის საბჭო (CoE), სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის დასკვნები საქართველოს შესახებ (2021) (თემატური ჯგუფი: ჯანმრთელობა, სოციალური უზრუნველყოფა და სოციალური დაცვა), <https://rm.coe.int/conclusions-2021-georgia-en/1680a5d9f7>
- ევროპის საბჭო (CoE), სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის პრეცედენტული სამართლის დაიჯესტი, სტრასბურგი, 2022, <https://rm.coe.int/digest-ecsr-prems-106522-web-en/1680a95dbd>
- ევროპის საბჭო (CoE), ევროპის სოციალური ქარტიის განმარტებითი განცხადება 23-ე მუხლის შესახებ (ხანდაზმულ პირთა უფლება სოციალურ დაცვაზე) –ეიჯიზმი,

2021, <https://rm.coe.int/statement-of-interpretation-ageism-2021-en/1680ab8929>

- ევროპის საბჭო (CoE), ფაქტები - ხანდაზმული ადამიანები და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, 2023, https://prd-echr.coe.int/documents/d/echr/FS_Elderly_ENG
- ევროპის საბჭო (CoE), ადამიანის უფლებები ადგილობრივ დონეზე საქართველოში, შეფასების ანგარიში, დეკემბერი 2021, ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესი, <https://rm.coe.int/assessment-report-human-rights-at-local-level-in-georgia-eng/1680a524e0>
- ევროპის საბჭო (CoE), ადამიანის უფლებათა ხელშეწყობა ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე: ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესის საქმიანობის ადამიანის უფლებათა განზომილება, 2016, <https://rm.coe.int/168071b33b>
- ევროპის საბჭო (CoE), დაბერებადი საზოგადოებები – ხარისხიანი სოციალური მომსახურების ხელმისაწვდომობა ხანდაზმული პირებისთვის, 2024, <https://rm.coe.int/ageing-communities-ensuring-access-to-quality-social-care-for-older-pe/1680b1a056>
- Cullen H., „ევროპის სოციალური ქარტიის კოლექტიური საჩივრების სისტემა: სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის განმარტებითი მეთოდები“, Human Rights Law Review, 2009, გვ. 61 და შემდგომ.
- Dalli M., „სოციალური დახმარების უფლების შინაარსი და პოტენციალი ევროპის სოციალური ქარტიის მე-13 მუხლის ქრილში“, European Journal of Social Security, 2020, გვ. 3 და შემდგომ.
- დავითიძე დ., ხანდაზმულ პირთა „მედეგობის“ განვითარება საქართველოში საპენსიო სქემების მეშვეობით, ლუნდი, 2022, <https://lup.lub.lu.se/luur/download?func=downloadFile&recordId=9093176&fileId=9093177>
- De Bruijn B. და ჭითანავა მ., მოსახლეობის დაბერება და ხანდაზმულები საქართველოში: 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებზე დაფუძნებული მიმოხილვა, გაეროს მოსახლეობის ფონდი, 2017, https://georgia.unfpa.org/sites/default/files/pub-pdf/2.%20Ageing-Engl_Print_F.pdf
- Deakin S., „მუხლი 1: შრომის უფლება“, Bruun N., Lörcher K., Schömann I. და Clauwaert S. (რედ.), ევროპის სოციალური ქარტია და შრომითი ურთიერთობები, ოქსფორდი, გვ. 147 და შემდგომ.
- ESCAP, მზადყოფნა რეგიონული თანამშრომლობის გაძლიერების სამოქმედო გეგმის განხორციელებისთვის: საქართველო, 2023, <https://www.unescap.org/kp/2023/readiness-implement-action-plan-strengthen-regional-cooperation-so>

cial-protection-georgia

- ევროპის კავშირის ფუნდამენტურ უფლებათა სააგენტო (FRA), ანგარიში 2018, https://fra.europa.eu/sites/default/files/fra_uploads/fra-2018-fundamental-rights-report-2018-focus_en.pdf
- ევროკავშირი (EU), „დაბერების მწვანე წიგნი: სოლიდარობისა და პასუხისმგებლობის გაძლიერება თაობათა შორის“, 2021, https://commission.europa.eu/document/download/2d800530-4408-4291-a229-ebd08729d561_en?filename=1_en_act_part1_v8.pdf
- Foster L. და Walker A., „აქტიური და წარმატებული დაბერება: ევროპული პოლიტიკის პერსპექტივა“, The Gerontologist, 2015, გვ. 83 და შემდგომ.
- Georgantzi N., „ევროკავშირის მიდგომა ეიჯიზმის მიმართ“, Contemporary Perspectives on Ageism, Ayalon L. და Tesch-Römer C. (რედ.), ჩამი, 2018, გვ. 341 და შემდგომ.
- Georgantzi N., ხანდაზმულ ასაკში ადამიანის უფლებათა ახალი ჩარჩოს განვითარება: კვლევა, ინტერპრეტაცია და პრაქტიკული გამოყენება, სადოქტორო დისერტაცია, NUI Galway, 2020.
- საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA), „ხანდაზმულთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში“, 2022, <https://www.gyla.ge/files/2020/%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/untitled%20folder/THE%20LEGAL%20STATUS%20OF%20OLDER%20PERSONS%20IN%20GEORGIA.pdf>
- Guilmo C. Z. და Tafuro S., დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის ტენდენციები საქართველოში: 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებზე დაფუძნებული მიმოხილვა, გაეროს მოსახლეობის ფონდი, 2017, https://www.geostat.ge/media/20630/4.-SRB-Trends_ENGL_Final_0.pdf
- შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, სოციალური დაცვის სისტემის შეფასება საქართველოში – საბოლოო ანგარიში, 2020, <https://researchrepository.ilo.org/explore/outputs/report/Assessment-of-the-social-protection-system/995219100102676>
- ჯალაღანია ლ., ლგბტქ ჯგუფის სოციალური ექსკლუზია საქართველოში: რაოდენობრივი კვლევის ანალიზი, ადამიანის უფლებათა განათლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), 2020, https://socialjustice.org.ge/uploads/products/pdf/Social_Exclusion_of_LGBTQ_Group_1612128635.pdf
- ჯანაშვილი მ. და სხვები, ქმედუნარიანობის რეფორმის შეფასება: კანონმდებლობა და პრაქტიკა, EMC, 2020, <https://socialjustice.org.ge/en/products/kmedunarianobis-reformis-shefaseba-kanonmdebloba-da-praktika-rekome-datsiebis-paketi>

- ჯანაშვილი მ., მიზნობრივი სოციალური დახმარების როლი სოციალური დაცვის სისტემაში და მისი მიმართება სხვა სოციალური დახმარების სერვისებთან, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2023, <https://socialjustice.org.ge/en/products/saarsebo-shemtseobis-rol-i-sotsialuri-datsvis-sistemashi-da-misi-mimarte-ba-sotsialuri-mkhardacheris-skhva-servisebtan>
- კაჭკაჭიშვილი ი. და პაპიაშვილი ა., მართობა ხანდაზმულებში: კვლევის ანალიტიკური ანგარიში, საქართველო, გაეროს მოსახლეობის ფონდი, 2021, <https://georgia.unfpa.org/sites/default/files/pub-pdf/lonelinesseng.pdf>
- Kanter S., გაეროს კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ დამისი გავლენა ხანდაზმულთა უფლებებზე საერთაშორისო სამართალში, Georgia State University Law Review, 2009, გვ. 527 და შემდგომ.
- ქაშაკაშვილი ნ., და სხვები, უფლება სათანადო საცხოვრებელზე – ძირითადი გამოწვევების ანალიზი, EMC, 2018, https://socialjustice.org.ge/uploads/products/pdf/Housing_Eng_WEB_1542897567.pdf
- Katrougalos G., „სოციალური დაცვა სოციალურ უფლებათა კომიტეტის პრეცედენტულ სამართალში“, Research Handbook on European Social Security Law,
- Pennings F. და Vonk G. (რედ.), ჩელტენჰემი, 2015, გვ. 84 და შემდგომ.
- Kesby A., „დაბერების ნარატივები და ხანდაზმულთა ადამიანის უფლებები“, Human Rights Review, 2017, გვ. 371 და შემდგომ.
- Kollonay Lehoczy C., „ვინ, ვის, როდის, როგორ? შეკითხვები და პასუხები ასაკობრივი დისკრიმინაციის შესახებ“, The Equal Rights Review, 2013, გვ. 69 და შემდგომი გვერდები
- Lewis B., Purser K. და Mackie K., ხანდაზმულთა უფლებები: ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა ხანდაზმულთა სამართალთან მიმართებით, სინგაპური, 2020
- Lougarre C., „რას ნიშნავს ჯანმრთელობის უფლება? სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის განმარტება ევროპის სოციალური ქარტიის მე-11 მუხლის შესახებ“, Netherlands Quarterly of Human Rights, 2015, გვ. 326 და შემდგომ.
- Love J. G. და Lynch R., „ხელშეწყობა და პოზიტიურად დაბერება: ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა ხანდაზმულ პირებსა და დემოგრაფიულ ცვლილებებთან მიმართებით“, The International Journal of Human Rights, 2018, გვ. 90 და შემდგომი გვერდები
- Lukas K., შესწორებული ევროპის სოციალური ქარტია: სტატია, Article Commentary, ჩელტენჰემი, 2021
- Mikkola M., ევროპის სოციალური უფლებები, ჰელსინკი, 2010

- Mikolajczyk B., „საერთაშორისო სამართალი და ეიჯიზმი“, Polish Yearbook of International Law, 2015, გვ. 83 და შემდგომ.
- Nivard C. (რედ.), ევროპის სოციალური ქარტია: კომენტარები, ტომი 2, პრეამბულა, ნაწილი I და II (მუხლები 1-10)
- O’Cinneide C., „მუხლი 25 – ხანდაზმულთა უფლებები“, The EU Charter of Fundamental Rights: A Commentary, Peers S. და სხვები (რედ.), ბადენ-ბადენი, 2022, გვ. 725 და შემდგომ.
- ღია საზოგადოების ფონდი (OSF), სოციალური დაცვის სისტემის ძირითადი გამოწვევები სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფისთვის საქართველოში, 2022, https://csf.ge/wp-content/uploads/2022/04/160x230mm_ENG_Pages.pdf
- Papadopoulos N. A., „ევროპის სოციალური ქარტიის პრეამბულა: ქალაქის ვეფხვი თუ შეფარული კურთხევა?“ Human Rights Law Review, 2022, გვ. 1 და შემდგომ.
- Papadopoulos N. A., „სტრატეგიული სამართალწარმოება სოციალურ უფლებათა ევროპულ კომიტეტში: პასუხობს მიზანს?“ Netherlands Quarterly of Human Rights, 2022, გვ. 379 და შემდგომ.
- Papadopoulos N. A., „აქტიურად დაბერება“ საერთაშორისო სამართლის შესაბამისად: ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის ლოკალიზაცია, Diritti umani e diritto internazionale, 2024, გვ. 5 და შემდგომ.
- ფირანიშვილი თ. და ბარბაქაძე ზ., ეთნიკური უმცირესობების სოციალური და ეკონომიკური ექსკლუზია, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2023, <https://socialjustice.org.ge/en/products/etnikuri-umtsiresobebis-sotsialuri-da-ekonomikuri-ekskluzia>
- საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, „ხანდაზმულ პირთა ავტონომია და დამოუკიდებლობა“, <https://social.un.org/ageing-working-group/documents/ninth/Inputs%20NHRIs/Georgia.pdf>
- საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, „ქმედუნარიანობა – საკანონმდებლო რეფორმა იმპლემენტაციის გარეშე“, კვლევის ანგარიში, 2016, <https://www.ombudsman.ge/res/docs/2019040412214254520.pdf>
- საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, „კერძო დაფინანსებით მოქმედი ხანდაზმულთა ხანგრძლივი მოვლის დაწესებულებების მონიტორინგი“, 2024, <https://ombudsman.ge/eng/spetsialuri-angarishebi/kerdzo-dafinansebit-mokmedi-khandazmulta-khangdzlivi-movlis-datsesebulebebis-monitoringi>
- საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, „საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, 2017, <https://www.theioi.org/downloads/ejq98/>

Public%20Defender%20-%20Human%20Rights%20Report%20-%202017.pdf

- საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, „საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, 2019, <https://www.theioi.org/downloads/8j2a8/Public%20Defender%20-%20Human%20Rights%20Report%20-%202019.pdf>
- საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, „საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, 2021, <https://www.ombudsman.ge/res/docs/2022070612391254904.pdf>
- საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, „საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, 2022, <https://ombudsman.ge/res/docs/2023120411211781277.pdf>
- საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, „საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ“, 2022, <https://ombudsman.ge/res/docs/2022022413261538101.pdf>
- Quinn G. და Doron I., „ეიჯიზმის წინააღმდეგ და ხანდაზმულთა აქტიური სოციალური მოქალაქეობისაკენ: ევროპის სოციალური ქარტიის ამჟამინდელი გამოყენება და მომავალი შესაძლებლობები“, ევროპის საბჭო (CoE), სტრასბურგი, 2021, <https://rm.coe.int/against-ageism-and-towards-active-social-citizenship-for-older-persons/1680a3f5da>
- Rodriguez-Pinzón D. და Martin C., ხანდაზმულთა ადამიანის უფლებები: უნივერსალური და რეგიონული სამართლებრივი პერსპექტივები, დორდრეხტი, 2015.
- Smusz-Kulesza M., „საქართველოში სოციალურ უფლებებთან დაკავშირებულ საჭიროებათა შეფასება“, ანგარიში მომზადდა ევროპის საბჭოს პროექტის ფარგლებში „სოციალური და ეკონომიკური უფლებების განმტკიცება საქართველოში“, 10 ნოემბერი 2021, <https://rm.coe.int/needs-assessment-report-eng/1680a4af29>
- Spanier B. და Doron I., „ევროპის სოციალური ქარტია და ხანდაზმულთა უფლებები“, Ageing, Ageism and the Law: European Perspectives on the Rights of Older Persons, Doron I. და Georgantzi N. (რედ.), ჩელტენჰემი, 2018, გვ. 146 და შემდგომ.
- Spanier B., Doron I. და Milman-Sivant F., „ცვლილებების პროცესში? რბილი სამართალი, ხანდაზმულთა უფლებები და ევროპის ადამიანის უფლებათა

სასამართლო“, Law and Inequality, 2016, გვ. 55 და შემდგომ.

- გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women), „ზრუნვის დროა: აუნაზღაურებელი შრომა და გენდერული უთანასწორობა საქართველოში“, 2022, <https://georgia.un.org/en/254737-time-care-unpaid-work-and-gender-inequality-georgia>
- გაერო, „ხანდაზმულთა უფლებები: მონაცემთა ნაკლებობა – დამოუკიდებელი ექსპერტის ანგარიში ხანდაზმულთა ყველა უფლების განხორციელების შესახებ“, 2020, A/HRC/45/14, <https://documents.un.org/doc/undoc/gen/g20/176/53/pdf/g2017653.pdf>
- გაერო, „დაბერების შესახებ მადრიდის საერთაშორისო სამოქმედო გეგმის რეგიონული განხორციელების სტრატეგია“, 2002, ECE/AC.23/2002/2/Rev.6, https://digitallibrary.un.org/record/473833?ln=zh_CN&v=pdf
- გაერო, „დამოუკიდებელი ექსპერტის ანგარიში ხანდაზმულთა ყველა უფლების განხორციელების შესახებ“, Claudia Mahler, 2021, <https://digitallibrary.un.org/record/3938306?v=pdf>
- გაერო, „დამოუკიდებელი ექსპერტის საქართველოში ვიზიტის ანგარიში ხანდაზმულთა ყველა უფლების განხორციელების შესახებ“, 2018, <https://digitallibrary.un.org/record/1638448?ln=ar&v=pdf>
- გაერო, „დამოუკიდებელი ექსპერტის საქართველოში ვიზიტის ანგარიში ადამიანის უფლებებისა და უკიდურესი სიღარიბის შესახებ“, Magdalena Sepúlveda Carmona, 2011, https://digitallibrary.un.org/record/705121/files/A_HRC_17_34_Add-2-EN.pdf
- გაერო, „საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტის წინაშე“, 2024, https://tbinternet.ohchr.org/_layouts/15/treatybodyexternal/TBSearch.aspx?Lang=en
- გაერო, „ანგარიში საქართველოს მიერ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტის განხორციელების შესახებ“, https://tbinternet.ohchr.org/_layouts/15/treatybodyexternal/TBSearch.aspx?Lang=en
- გაერო, „ალტერნატიული ანგარიში: შემოთავაზებული საკითხების ჩამონათვალი საქართველოს მთავრობის მიერ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტისთვის წარდგენილ მესამე პერიოდულ ანგარიშზე: https://tbinternet.ohchr.org/_layouts/15/treatybodyexternal/TBSearch.aspx?Lang=en
- გაერო, საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, წარდგენილი გაეროს გენერალური ასამბლეის დაბერების საკითხებზე მომუშავე ღია სამუშაო ჯგუფის მე-12 სესიაზე“, 2022, <https://social.un.org/ageing-working-group/documents/Inter-sessional%20Events/NHRIs/Georgia%20-%20NHRI%20-%20submission.pdf>

- გაერო, „საქართველოს მესამე პერიოდული ანგარიში პაქტის მე-16 და მე-17 მუხლების ფარგლებში – საქართველოს მთავრობის პასუხი“, https://tbinternet.ohchr.org/_layouts/15/treatybodyexternal/TBSearch.aspx?Lang=en
- გაეროს განვითარების პროგრამა, „დაბერება, ხანდაზმული პირები და მდგრადი განვითარების 2030 წლის დღის წესრიგი“, 2017, <https://www.undp.org/publications/ageing-older-persons-and-2030-agenda-sustainable-development>
- გაეროს ეკონომიკური კომისია ევროპისათვის, „მდგრადი მსოფლიო ყველა ასაკის ადამიანისთვის – ძალისხმევის გაერთიანება სოლიდარობისა და ცხოვრების განმავლობაში თანასწორი შესაძლებლობებისთვის“, 2022, https://unece.org/sites/default/files/2022-10/ECE_WG.1_41_WEB.pdf
- გაეროს ეკონომიკური კომისია ევროპისათვის, „დაბერების საკითხთა ინტეგრაციის სახელმძღვანელო პრინციპები“, 2021, https://unece.org/sites/default/files/2021-03/ECE-WG.1-37_Guidelines_for-Mainstreaming_Ageing_1.pdf
- გაეროს ეკონომიკური კომისია ევროპისათვის, „დაბერების საკითხთა ინტეგრაციის საგზაო რუკა – საქართველო“, 2015, https://unece.org/DAM/pau/age/Capacity_building/Road_Maps/Georgia/Publication/ECE-WG.1-22_12-15.pdf
- გაეროს ეკონომიკური კომისია ევროპისათვის, „მადრიდის საერთაშორისო სამოქმედო გეგმის განხორციელების სინთეზური ანგარიში UNECE-ის რეგიონში – მეორე მიმოხილვა და შეფასება“, https://unece.org/DAM/pau/age/Ministerial_Conference_Vienna/Proceedings/Chapter7_Synthesis_Report_Implementation_MIPAA.pdf
- ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO), „გლობალური ანგარიში ეიჯინგის შესახებ“, 2021, <https://iris.who.int/bitstream/handle/10665/340208/9789240016866-eng.pdf?sequence=1>

ევროპის სოციალური ქარტია, მიღებულია 1961 წელს და გადაისინჯა 1996 წელს. ეს არის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ანალოგი ეკონომიკისა და სოციალური უფლებების სფეროში. ქარტიით გარანტირებულია ადამიანის უფლებათა ფართო სპექტრი, რომლებიც უკავშირდება დასაქმებას, საცხოვრებელს, ჯანმრთელობას, განათლებას, სოციალურ დაცვასა და კეთილდღეობას. პანევროპულ დონეზე არცერთი სხვა სამართლებრივი ინსტრუმენტი არ იცავს სოციალურ უფლებებს ისე ფართოდ და სრულფასოვნად, როგორც ქარტია. შესაბამისად, იგი განიხილება ევროპის სოციალურ კონსტიტუციად და ადამიანის უფლებათა სისტემის განუყოფელი ნაწილია კონტინენტზე.

www.coe.int/socialcharter

GEO

www.coe.int

ევროპის საბჭო ადამიანის უფლებათა წამყვანი ორგანიზაციაა კონტინენტზე. იგი შედგება 46 სახელმწიფოსგან, ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყნის ჩათვლით. ევროპის საბჭოს ყველა წევრმა ქვეყანამ ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას, ხელშეკრულებას, რომელიც შექმნილია ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დასაცავად. ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში კონვენციის შესრულებას ზედამხედველობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო.



European
Social
Charter

Charte
sociale
européenne

